

საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

წლიური ანგარიში

2012

თბილისი
2013

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2012 წლის ანგარიშში ასახულია აკადემიისა და მისი წევრების სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა.

ანგარიში მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა აკადემიის წევრების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, აკადემიის სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო კომისიებისა და რედაქციების, აკადემიის ადმინისტრაციული აპარატის სამსახურების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

შესაგალი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნები და ამოცანებია: საქართველოს მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიოს მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად, თავისი წევრების ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და პროფესიონალიზმების დაუყრდნობით, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი წარმოჩენა, ქვეყნის მეცნიერების განვითარების პროგნოზირება მსოფლიო მეცნიერების მიღწევების შესაბამისად. მას ევალება: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშების განხილვა და შეფასება, ქვეყანაში ერთიანი სამეცნიერო სივრცის შენარჩუნება, მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, მაღალევფექტური ეროვნული საინოვაციო სისტემის ამოქმედება.

უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა განადგურების პირამდე მიიყვანა არსებული მაღალი რანგის სამეცნიერო პოტენციალი. უნივერსიტეტებთან მიერთებულმა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ნაწილმა დაკარგა თავისი სტატუსი. შედეგად, მნიშვნელოვნად დაეცა მეცნიერების იმიჯი ქვეყნის მოსახლეობაში, რამაც გამოიწვია ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების ქვეყნიდან გადინება.

ქვეყანაში მოსული ახალი ხელისუფლება იძლევა იმის იმედს, რომ მეცნიერთა დღეს არსებული ბირთვი მიზანმიმართულად იმოქმედებს ადამიანური ღირსებისა და ეროვნულ ფასეულობათა დაცვისა და დამკვიდრებისათვის.

ახალი რეალობიდან გამომდინარე საჭიროა შევი-
დეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს მეცნიე-
რებათა ეროვნული აკადემიის კანონში. ამასთანავე
დღის წესრიგში დგას საქართველოში მეცნიერების
განვითარების (2013-2017 წწ.) სტრატეგიის დამუშავების
საკითხი. წინამდებარე ანგარიში ნათლად ადასტუ-
რებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია დღესაც ინარჩუნებს მჭიდრო შემოქმედებით
კავშირებს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო წრეებ-
თან; იგი მიმართულია მეცნიერული ძიების გააქტიურე-
ბისკენ და გაადრმავებისკენ, რაც დასტურდება სხვადა-
სხვა ქვეყნების მაღალი რეიტინგის მქონე გამოცემებში
აკადემიის წევრთა პუბლიკაციებით (ცხრილი №1) და,
რაც მთავარია, ჩვენი აკადემიის წევრთა კვლევის შე-
დეგებმა ასახვა პპოვა სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედ
დარგობრივ ნორმატიულ დოკუმენტებში, ენციკლოპე-
დიურ ცნობარებში, უმაღლესი სასწავლებლების სტუ-
დენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში.

ცხრილი 1

2012 წლის მონაცემები საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრთა სამეცნიერო მოღვაწეობის
შესახებ

№	სამეცნიერო განყოფილების დასახელება	აკადემიის წევრთა რაოდენობა (2013 წ. 1 იანვრისათვის)			გამოცემულ ან გამოსაცემად გადაცემულ შრომათა რაოდენობა			
		სულ	აკდ.	წევრ-გორ.	სულ	გ.შ.ცხოვ. ქთ.ში	სტატიები	გ.შ.ცხოვ. ქთ.ში
1.	მათემატიკისა და ფიზიკის	18	9	9	3	1	46	26
2.	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა	7	1	6	2	—	17	7
3.	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების	12	3	9	—	—	33	12
4.	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების	9	5	4	5	—	43	26
5.	ბიოლოგიურ მეცნიერებათა	12	4	8	3	1	36	19
6.	მედიცინის	5	2	3	—	—	20	13
7.	ფიზიოლოგიის	4	2	2	—	—	5	2
8.	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა	6	1	5	1	1	24	5
9.	საზოგადოებრივ მეცნიერებათა	16	6	10	18	2	69	15
10.	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების	14	3	11	6	—	26	4
11.	ჯ ა მ ი	103	36	67	38	5	319	129

იმსახურებულის დასახვა	მიღებული გრანტები	სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა	იმსახურებულის დასახვა			
			ასეთი მონაცემი	მიღებული კონფერენციებში მონაწილეობა	იმსახურებულის დასახვა	იმსახურებულის დასახვა
-	13	2	22	15	37	-
3	4	2	6	6	22	-
2	1	-	7	1	22	4
3	3	-	23	17	25	5
-	8	7	15	9	16	1
2	-	-	12	9	17	-
-	1	1	3	3	3	-
8	4	3	11	3	13	1
-	3	1	39	15	48	-
9	3	1	29	6	17	-
27	40	17	167	84	220	11

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება

2012 წლის 29 ივნისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თ.გამყრელიძე.

მოსსენება „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2011 წლის მუშაობის ანგარიში“ გააკეთა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ოთარ ნათიშვილმა.

საერთო კრებამ დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2011 წლის მუშაობის ანგარიში.

საერთო კრებამ დაადგინა:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მიაჩნია, რომ საქართველოში მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენარჩუნება და მათი სახელმწიფო ებრივი მხარდაჭერა. აკადემია მოუწოდებს საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო უნივერსიტეტების სამეცნიერო საბჭოებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მონაწილეობით, მიმდინარე წლის ბოლომდე დაადგინონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სტატუსი, მოაწესრიგონ მეცნიერთა შრომითი ანაზღაურება და შეუქმნან ინსტიტუტებს საჭირო პირობები.

2. იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოსთა არჩევნები არ ჩატარებულა, მეცნიერებათა აკადემიამ გაითვალისწინოს 2012 წლის შემოდგომაზე აკადემიკოსების ვაკანსიების გამოცხადება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეთხოვოს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გაითვალისწინოს აკადემიის საბიუჯეტო დაფინანსება 2011 წლის დონეზე.

აკადემიის საერთო კრებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2011-2012 წლების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრებად დაამტკიცა:

1. მიხეილ დავიდოვი – რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ.ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი, სპეციალობით – „მედიცინა“ (მედიცინის განყოფილება).

2. გიუნტერ პოტცი – საარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, კომპიუტერულ მეცნიერებათა ფუძემდებელი გერმანიაში, ლაიბნიცის პრემიის ლაურეატი. ფრანკფურტის, დარმშტადტის, პადერბორნის უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების საპატიო დოქტორი. „ინფორმატიკის“ სპეციალობით (გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება).

3. ჟორეს ალფონროვი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სანკტ-პეტერბურგის ფიზიკურ-ტექნოლოგიური სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი, „ფიზიკის“ სპეციალობით (მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება).

4. ლეო ბოკერია – რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ა.ნ.ბაკულევის სახელობის გულსისხმეარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი, „ქარდიოქირურგიის“ სპეციალობით (მედიცინის განყოფილება).

5. ელდარ მამედ ოდლი ისმაილოვი – კავკასიის კვლევების ინსტიტუტის (ქბაქო) დირექტორი, პროფესორი, „გეოეკონომიკის“ სპეციალობით (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება).

6. ანრი რუსაძე – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ა.პროხოროვის სახელობის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპეციალობით – „პლაზმის ფიზიკა“ (მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება).

7. ბესარიონ მესხი – დონის როსტოვის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ამავე უნივერსიტეტის უსაფრთხოების, სიცოცხლისუნარიანობისა და გარემოს დაცვის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპეციალობით – „შრომის დაცვა“ (გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება).

8. აარონ ჩეხანოვერი – ისრაელის ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ქიმიის დარგში 2004 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, სპეციალობით – „ბიოლოგია“ (ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება).

9. მერაბ სარელი (იზრაელაშვილი) – ისრაელის ხაიმ შიბას სამედიცინო ცენტრის ონკო-ქირურგიული განყოფილების პროფესორი, სპეციალობით – „ქირურგი-ონკოლოგი“ (მედიცინის განყოფილება).

10. ბათუმ ჯენა – ვეინის (მიჩიგანი, აშშ) უნივერსიტეტის ნანობიომეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, სპეციალობით – „ნანობიომეცნიერება“ (ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება).

2012 წლის 5 ოქტომბერს გამოქვეყნდა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებას და გამოთქვამს იმედს, რომ ქართული პარლამენტის განახლებული შემადგენლობა და საქართველოს მომავალი მთავრობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ქართული განათლებისა და ქართული მეცნიერების განვითარებას, მეცნიერებისა, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების დონეზე და ზოგ დარგში თვით განსაზღვრავდა ამ დონეს. . .

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში „ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების“ ჩამოყალიბებას, რაც, როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

14 წლის გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. ნაჩვენები იქნა ფილმი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – 70“. საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, პროფ. რაფიელ ჩიქოვანი. მოხსენება „ნადირობა

პიგნის ბოზონზე“ გააკეთა აკადემიკოსმა ჯუმბერ ლო-
მინაძემ. მანვე წარმოადგინა ინფორმაცია საზღვარგა-
რეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერების შესახებ.

გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური
პრემიების 2012 წლის ლაურეატებს (იხ. გვ. 15-16) დიპ-
ლომები გადასცა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ.

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადო-
ების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული-
სათვის საზოგადოების მედალი და პრემია გადაეცა
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. ჯ.ხუბუას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო

2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნუ-
ლი აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განხილული იქნა
ქვეყნისათვის აქტუალური პრობლემები.

1. საქართველოში ბიოტექნოლოგიის განვითარე-
ბის პერსპექტივები (მომხს. აკად. გ.კვესიტაძე და თანა-
მომხსენებლები).

აკადემიურმა საბჭომ ჩათვალა, რომ საჭიროა ბი-
ოტექნოლოგიის კვლევების გაძლიერება და მცირე
ბიოტექნოლოგიური წარმოებების შექმნა, რაც აუცი-
ლებლად მოითხოვს სახელმწიფოსა და ბიზნესის სექ-
ტორის თანადგომას. საჭიროდ იქნა მიჩნეული საქარ-
თველოში ბიოტექნოლოგიის განვითარების კონცეფცი-
ის დამუშავება, რისთვისაც საქართველოს მეცნიერება-
თა ეროვნულმა აკადემიამ საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტთან ერთად საქართველოს მთავრობას წა-
რუდგინოს მოსაზრებანი ქვეყანაში პერსპექტივული ბიო-
ტექნოლოგიების განვითარების მხარდასაჭერად.

2. საქართველოში შავი მეტალურგიის განვითარების კონცეფცია (მომხს. აკად. წევრ-კორ. გ.თავაძე).

აკადემიურმა საბჭომ კონცეფციის განხილვის დროს წამოჭრილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გასათვალისწინებლად და კონცეფციის საბოლოო ვარიანტის დასახვეწად შექმნა მუშა ჯგუფი.

ეთხოვა საქართველოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს განხილვს „საქართველოში შავი მეტალურგიის განვითარების კონცეფცია“ და კონცეფციის საბოლოო ვარიანტი წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

3. აკად. წევრ-კორ. ე.მემმარიაშვილის მოხსენება – „საქართველოში დიდმალიანი, 32-48 მეტრის სიგრძის, გასაშლელი საიერიშო ხიდის და სატანკო ხიდგამდების შექმნის და მისი გამოყენების სამხედრო-საინჟინრო კონცეფცია“ და მიიღო გადაწყვეტილება საბოლოოდ დახვეწილი კონცეფცია გადაეგზავნოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დაპარტამენტს.

4. პროფ. ა.გამყრელიძის მოხსენება „გლობალური ჯანმრთელობის ტენდენციები XXI საუკუნეში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია“.

აკადემიურმა საბჭომ თხოვნით მიმართა პროფ. ა.გამყრელიძეს გამოსაცემად მოამზადოს წაკითხული მოხსენება, რომლის წიგნად გამოცემის ხარჯებს იკისრებს აკადემია.

5. პროფ. გ.ლუჟაგას მოხსენება „ნარკომანიის ფენომენი“.

მოხსენებაში წამოჭრილი აქტუალური პრობლემების გადასაწყვეტად აკადემიურმა საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას.

6. საქართველოში ქიმიის მეცნიერების განვითარების კონცეფცია (მომხსენებლები: აკადემიკოსები გ.ცინ-ცაძე და ე.ქემერტელიძე, აკად.წ.ევრ-კორ. გ.ციციშვილი და ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. თ.მარსაგიშვილი).

აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება კონცეფცია გადაეგზავნოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს.

აკადემიური საბჭოს სხდომებზე მოსმენილ იქნა აკად. ჯ.ლომინაძის სამეცნიერო ინფორმაციები:

ა) ტურბულენტობის პრობლემა წანაცვლებით დინებებში;

ბ) „ცერნში“ ჰიგსის ბოზონის („ლმერთის ნაწილაკი“) აღმოჩენის შესახებ. ამავე საკითხზე მოსხეულება გააკეთა CERN-ის თანამშრომელმა ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. ჯ.ხუბუამ.

აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“ 2012 წლიდან გამოიცეს წელიწადში ორჯერ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების პასუხისმგებლობით. დამტკიცდა ურნალის სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო წერილების გამოქვეყნების წესები. ურნალის მთავარ რედაქტორად დამტკიცდა აკად. რ.მეტრეველი.

ურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ პაზაზე დაფუძნდა ახალი ქართულენოვანი სამეცნიერო-პოპულარული ურნალი „მეცნიერება და კულტურა“.

აკადემიურმა საბჭომ შეაჯამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათთან მიერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ახლად შექმნილი სამეცნიერო ცენტრებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულებების 2011 წლის სამეცნიერო ანგარიშების საექსპერტო შეფასებები (იხ.

ცხრილი 2). საექსპერტო დასკვნები და აკადემიური საბჭოს დადგენილებები ეცნობათ სამეცნიერო ანგარიშების წარმომდგენ დაწესებულებებს, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გ.წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის დებულება;

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან მოქმედი „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ დებულება.

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა.

4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობით პრემიებზე 2012 წელს წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი საექსპერტო კომისიები.

აკადემიურმა საბჭომ განიხილა ენციკლოპედია „საქართველოს“ (II ტომი) გამოცემის საკითხი.

აკადემიურმა საბჭომ მოისმინა ინფორმაცია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სატელევიზიო ეთერით „სამეცნიერო თემებზე საუბრების“ გადაცემის შესახებ და წარმოდგენილი წინადადებები მიიღო ცნობად.

აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შუამდგომლობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კავკასიის არქეოლოგია, ფოლკლორისტიკა“ ქ.ახალციხეში 2012 წლის 26-30 ივნისს ჩატარების შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ მოიწონა სამეცნიერო თანამშრომლობის დამყარება:

1. თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებას შორის;

2. რიო-გრანდე დუ ნორტეს ფედერალური უნივერსიტეტის საერთაშორისო ინსტიტუტთან (ქ.ნატალი, ბრაზილია). ამ ინსტიტუტთან ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შეჯერება და კოორდინაციის ხელმძღვანელობა დაევალა აკად.წევრ-კორ. გ.ჯაფარიძეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდნენ:

1. პროფ. კატარინა ქორშ-რიზკო (პოლონეთი) „პაგკასიელ ლტოლვილთა ინტეგრაცია პოლონეთში (ლტოლვილთა ორი ბანაკის მაგალითზე)“.

2. კიოლნის უნივერსიტეტის (გფრ) პროფ. კარლ-ბერნდ ჰიუტენბრინკი;

3. სახელგანთქნული ონკოლოგ-ქირურგი აკად. მ.დავიდოვი. „თანამედროვე ონკოლოგიის აქტუალური საკითხები“.

2012 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭათ:

1. პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია აკადემიის წევრ-კორესპონდენტს შოთა სამსონიას, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორებს: იოსებ ჩიკვაიძეს, მარინა ტრაპაიძეს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატებს: ნანა ჩიკვაიძეს (თარგამაძეს), დალი ყაჯრიშვილს, დავით ზურაბიშვილს ნაშრომთა ციკლისათვის – „აზოტ-შემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი არომატული ჰეტეროციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი“.
2. გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, ზაზა კიკნაძეს (გარდაცვალების შემდეგ), ფილოლ.მეცნ.დოქტ. ინგა შადურს,

- ფილოლ.მეცნ.დოქტ. ნანა შენგელიას ნაშრომისათვის – „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“.
3. ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლეო ჩიქავას ნაშრომისათვის – „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“.
 4. შოთა მესხიას სახელობის პრემია აკადემიკოს როინ მეტრეველს ნაშრომთა ციკლისათვის – „პატრიარქი – ერის სულიერი მამა“; „მეფეები და პატრიარქები“.
 5. ალბერტ თავეჯელიძის სახელობის პრემია აკადემიკოს ნოდარ ცინცაძეს ნაშრომთა სერიისათვის – „მტვრიანი“ პლაზმის ფიზიკის ზოგიერთი ასპექტები.
 6. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია ფიზ.-მათ.მეცნ. დოქტორებს: ავთანდილ კორძაძეს, დემურ დემეტრა-შვილს ნაშრომთა ციკლისათვის – „შავ ზღვაში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება და მის საფუძველზე შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდგომარეობის ოპერატორული პროგნოზული სისტემის შემუშავება“.
 7. ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია ფიზ.-მათ.მეცნ. დოქტ. ალექსანდრე მესხეს მონოგრაფიისათვის – „არაკომპაქტურობის ზომა ინტეგრალური ოპერატორებისათვის ლებეგის წონიან სივრცეებში“.
 8. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მიხეილ კაკაბაძეს ნაშრომთა ციკლისათვის – „ადრეცარცული ამონიტების სისტემატიკა და სტრატეგიული მნიშვნელობა“.
- აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა მედიცინის განყოფილების შუამდგომლობა ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემიის მინიჭების მომავალი წლისათვის გადავადების შესახებ.
- აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა „ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ ახალი შემადგენლობა.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე ინფორმაცია ბაქოს საერთაშორისო ჰუმანიტარული ფორუმის შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

საქართველოში ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ უკანასკნელ წლებში შემუშავებული სხვადასხვა დარგების განვითარების კონცეფციები და გამოკვლევები ქვეყნის ზოგიერთი რეგიონის ბუნებრივი რესურსების გამოყენების პერსპექტივების შესახებ გაეგზავნოს შესაბამის სამინისტროებსა და აღგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

აკადემიურმა საბჭომ განიხილა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ „Trans Electrica“-ს მიერ დამუშავებული დოკუმენტი. აღინიშნა, რომ „Trans Electrica“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების პროგრამა დამუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა არასრულად ასახავს ხუდონქესის მშენებლობის არეალში მოხვედრილი ბუნებრივი და სოციალური გარემოს დღევანდელ მდგომარეობას და მშენებლობით გამოწვეულ შესაძლო უარყოფით შედეგებს მათი შერბილების პირობების გათვალისწინებით. აკადემიურმა საბჭომ ჩათვალა, რომ აუცილებელია საქართველოს ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო დოკუმენტის (კანონის) მიღება. აკადემიური საბჭოს დადგენილება გადაეგზავნა კომპანია „Trans Electrica“-ს და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

26 დეკემბერს აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკად.წევრ-კორ. ე. მემარიაშვილის მოხსენება „სამხედრო მეცნიერება და საქართველოს სამხედრო უსაფ-

რთხოების აქტუალური საკითხები“. სხდომას ეხწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ოპ-დაცვის მინისტრი ი.ალასანია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გ.მარგველაშვილი.

საქართველოში სამხედრო მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სამხედრო უსაფრთხოებაში არ-სებული პრობლემატიკის კვალიფიციური გადაწყვეტის მიზნით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ წინადადებით მიმართა საქართველოს ოპდაცვის სამინისტროს, რათა აკადემიის მონაწილეობით შეიქმნას სამხედრო მეცნიერების ერთიანი საკოროდინაციო საბჭო, რომელიც შეისწავლის და განიხილავს საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების პრობლემატურ საკითხებს და მოამზადებს რეკომენდაციებს ხელისუფლებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიდე 2012 წელს ხელმძღვანელობდა აკადემიური საბჭოს სხდომებს და აკადემიის საერთო კრებას. როგორც აკადემიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მიიღო საქართველოში ვიზიტით ჩამოსული უცხოელი სტუმრები: ესტონეთის პარლამენტის სპიკერი, ქალბატონი ენე ერგმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრები, პროფესორები ბაპანუ ჯენა (აშშ) და ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), აკადემიკოსი მიხეილ დავითოვი (რფ), ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი მიროსლავ ტუმა, საქსონიის აკა-

დემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი პანს ვეისმესი (გფრ), ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. ჰელმუტ დენკი.

2012 წელს აკად. თ.გამყრელიძე მონაწილეობდა შემდეგი ფორუმების მუშაობაში:

1) ევროპის აკადემიების გენერალური ასამბლეა (10-13 აპრილი, რომი, იტალია);

2) ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წლიური სხდომა (27 აპრილი-2 მაისი, ვაშინგტონი, აშშ);

3) ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომა (8-10 მაისი, ვენა, ავსტრია).

აკად. თ.გამყრელიძეს 2012 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემია ნაშრომისათვის „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ (თანაავტორებთან ერთად).

აკად. თ.გამყრელიძე „საქართველოში მეცნიერების განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იღია II-მ დააჯილდოვა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

აკად. თ.გამყრელიძე არის აკად. გ.წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურულების კომიტეტის ხელმძღვანელი (კომისიის 2012 წლის ანგარიში იხ. გვ. 273).

შეხვედრები, იუბილეები, პრეზენტაციები, გამოფენები

2012 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის გასვლითი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლები. კომიტეტის სხდომას ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი.

სხდომა მიეძღვნა მეცნიერების რეფორმირების საკითხებს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა კომიტეტის თავმჯდომარემ აკად. ივანე კილურაძემ. მოხსენებები გააკმონეს ქართული აკადემიის წარმომადგენლებმა ბიოლ. მეცნ. დოქტ. თ. ნანევიშვილმა და ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. ჯ. მებონიამ. სიტყვებით გამოვიდნენ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკად. წევრ-კორ. ა. არაბული, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკად. გ. ხარაძე, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. თ. მარსაგიშვილი, პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, აკად. წევრ-კორ. გ. ციციშვილი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. თ. ქადეეშვილი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გ.მარგველაშვილმა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების საიუბილეო თარიღები:

აკადემიკოსების აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის დაბადების 125, აკად. ვლადიმერ ასათიანისა და აკად.წევრ-კორ. ილია აბულაძის დაბადების 110, აკადემიკოსების ფერდინანდ თავაძის, ავთანდილ გუნიას, ლეონიდე მელიქიძის, პროფესორების ირაკლი ანთალავასა და ვახტანგ პარკაძის დაბადების 100, აკადემიკოს ჯონდო ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავები.

გაიმართა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო სხდომა და აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს მიკრობული მრავალფეროვნება ახალი ბიოტექნოლოგიებისათვის“.

პრეზენტაციები:

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის თედო ქორდანიას თხზულებათა კრებულის.

კრებულის „რაჭა, წარსული, აწმუო და მომავალი“.

წიგნების:

1. Galaktion Tabidze, Poems, Translated by Innes Merabishvili, Critical, Cultural and Communications Press, Nottingham, 2011.

2. ი.მემმარიაშვილი, გალაკტიონის Meri, ობ., 2012.

აღნიშნული წიგნების პრეზენტაციაზე მოხსენებით „ბაირონი და გალაკტიონი“ გამოვიდა პროფ. ინესა მერაბიშვილი.

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის წიგნების:

1. „რჩეული ფილოსოფიური შრომები“ ერთტომეული.
2. „ფილოსოფია და ცხოვრება“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის ელდარ ისმაილოვისა და აკად. წევრ-კორ. ვლადიმერ პაპავას მონოგრაფიის „ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“.

გაიმართა დიალოგი თემაზე „ქართული ენა და თანამედროვე მასშედია“, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ საქართველოს წამყვანი მედიასაშუალებების ხელმძღვანელები და ჟურნალისტები.

ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში) გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელშიც გამოფენილი იყო აკად. ზ.წერეთლის ნახატები და ქანდაკებები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 18 წევრი, მათ შორის 9 აკადემიკოსი და 9 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს 2 მონოგრაფია, 1 წიგნი და 46 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია

სტატია

1) „დარმუა-სკიტოვიჩის თეორემა კომპლექსურ და კვატერნიონულ შემთხვევებში“ (თანაავტორობით; ა.რაზ-მაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 160, 2012, 24-34, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია დარმუა-სკიტოვიჩის თეორემის ანალოგი კომპლექსურ და კვატერნიონულ შემთხვევებში. დამტკიცების მეთოდი ორიგინალურია.

აკად. ნ.ვახანიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის III საერთაშორისო კონფერენციაში (ბათუმი), სადაც თანაავტორებთან ერთად წარმოადგინა მოხსენება „სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტის ცნება ბანახის სივრცეში“.

იგი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№GNSF/ST09_99_3-104) შესრულებაში.

აკად. ნ.ვახანია არის ორი საერთაშორისო ჟურნალის: „Georgian Mathematical Journal“ და „Теория вероятностей и её применения“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე

სტატია

„ლოკალიზაცია და კოლოკალიზაცია ტრიანგულირებადი კატეგორიების მსუქანი ქვეკატეგორიების მიმართ“ (თანაავტორობით; Matematica Scandinavica, 110, 2012, 59-74, ინგლისურ ენაზე).

გრძელდებოდა ლოკალურად ამოზნექილი ალგებრების პომოწოპიური თვისებების შესწავლა. დამტკიცებულია, რომ კარუბი-ვილიამაიერის ალგებრული K-ჯგუფები იზომორფულია გლუვი K-ჯგუფების კვაზისტაბილური ლოკალურად ამოზნექილი ალგებრებისათვის. გარდა ამისა, შესწავლილია კარუბის პიპოთეზა ფრეშეს ალგებრების პოლინომური გაფართოებებისათვის.

აკად. ხ.ინასარიძე არის ფოლკსვაგენის საერთაშორისო გრანტის (Georgian-German Non-Commutative Algebra-Geometry-Topology Partnership, 2011-2013) თანახელმძღვანელი.

იგი არის ორი საერთაშორისო ელექტრონული მათემატიკური ჟურნალის „Journal of Homotopy and Related Structures“ (რომელიც შარშან შევიდა Science Citation Index-ში) და Tbilisi Mathematical Journal“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. ჟურნალები ქვეყნდება Springer-ის გამომცემლობის მიერ და მათგან პირველს მინიჭებული აქვს იმპაქტ-ფაქტორი.

აკადემიკოსი ივანე კილურაძე

სტატიები

1) „ზოგიერთი მრავალწერტილოვანი სასაზღვრო ამოცანა მეორე რიგის სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის“ (თანაავტორობით; მემუა-

რები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში 56, 2012, 133-141, ინგლისურ ენაზე).

მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის არაინტეგრებადი სინგულარობებით დროითი ცვლადის მიმართ დადგენილია მრავალწერილოვან სასაზღვრო ამოცანათა ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები.

2) „ზოგიერთი არალოკალური ამოცანა მაღალი რიგის სინგულარული დიფერენციალური განტოლებებისათვის“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს მათემატიკურ ჟურნალში).

მაღალი რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის ძლიერი სინგულარობებით დადგენილია გარკვეული აზრით ოპტიმალური პირობები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფენ არალოკალურ ამოცანათა ამოხსნადობასა და კორექტულობას.

3) „არაწრფივ სინგულარულ დიფერენციალურ სისტემათა არალოკალური ამოცანების დადებითი ამოხსნები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“).

არაწრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის ძლიერი სინგულარობებით ფაზური და დროითი ცვლადების მიმართ სათანადოდ დადგენილია არალოკალურ ამოცანათა დადებითი ამონახსნის არსებობის პირობები.

4) „ორწერტილოვანი წონიანი სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობისა და კორექტულობის პირობები სინგულარული დიფერენციალური სისტემებისათვის“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს მათემატიკურ ჟურნალში).

არაწრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის ძლიერი სინგულარობებით ფაზური და დროითი ცვლა-

დების მიმართ სათანადოდ დადგენილია ორწერტი-ლოგან წონიან ამოცანათა ამოხსნადობისა და კო-რექტულობის პირობები.

აკად. ი.კილურაძე (როგორც პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი) მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით (№GNSF/ST09_175_3-101) დაფინანსებულ პროექტში: „სასახლეო ამოცანები სინგულარობებიანი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის“.

აკად. ი.კილურაძემ 2012 წ. მონაწილეობა მიიღო და მოხსენებებით გამოვიდა საერთაშორისო ფორუმებზე:

- „დიფერენციალური განტოლებები და მათი როლი გამოყენებით მათემატიკაში“ (სრულიად უკრაინის სამეცნიერო კონფერენცია, ჩერნოვცი, უკრაინა);

- „დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენებები“ (პროფ. დ.მარტინიუკის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, კამენეც-პოდოლსკი, უკრაინა).

აკად. ი.კილურაძე მივლინებული იყო უკრაინაში, სადაც მონაწილეობდა, როგორც ოფიციალური ოპონენტი, სადოქტორო დისერტაციის დაცვაში ტარას შევჩერკოს სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში.

როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი აკად. ი.კილურაძე თანამშრომლობდა უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებთან: „Boundary Value Problems”; „Electronic Journal of Qualitative Theory of Differential Equations”; „Nonlinear Oscillations”; „Fasciculi Mathematici”; „Functional Differential Equations”; „Journal of Applied Mathematics, Statistics and Informatics”, ხოლო როგორც რეცენზენტი – ჟურნალებთან: „Дифференциальные уравнения”, „Nonlinear Analysis”.

საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად აკად. ი.კი-

ღურაძე გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი, სადაც არჩეულ იქნა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ.

აკადემიკოსი თეიმურაზ კოპალეიშვილი სტატია

„ბმული զզ-სისტემების შესწავლა სოლპიტერის განტოლების საფუძველზე უბრალო მიდგომის ფარგლებში პიპერსფერული პარმონიკების მწკრივად გაშლის მეთოდის გამოყენებით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №1, 87-95).

სოლპიტერის განტოლების საფუძველზე სამი ბმული კონსტიტუენტური კვარკის (ბარიონის) ამოცანის ამოხსნისათვის, სრული ტალღური ფუნქციის ე.წ. რელატივიზაციის გარეშე ყალიბდება მიდგომა, სადაც ორ საძიებელ 8-კომპონენტიან სპინორს გააჩნია ნათელი ფიზიკური შინაარსი ნაწილაკ-ანტინაწილაკის (ბარიონ-ანტიბარიონის) კონტექსტში. მთითებულია ორნაწილაკოვანი ურთიერთქმედების განხილვის საჭრო ხასიათი კვარკული კონფაინმენტის პირობებში. სამნაწილაკოვანი ურთიერთქმედების მქონე კომპაქტური ბმული სისტემის ყველაზე სრული და ადეკვატური აღწერისათვის შემოთავაზებულია გამოთვლებში პიპერსფერული პარმონიკების მწკრივად გაშლის მეთოდის გამოყენება. განხილულია ცენტრალური სამნაწილაკოვანი ურთიერთქმედების ორი მარტივი ტიპი – წრფივი და ოსცილატორული პოტენციალები.

აკად. თ.კოპალეიშვილი მონაწილეობდა 2012 წელს დამთავრებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (GNSF/ST08/4-401) შესრულებაში.

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე

ურნალებში „Physics of Fluids“ და „Phys. Rev. E.“ გადაცემულია ორი სტატია აკად.წევრ.კორ. გ.ჩაგელი-შვილთან თანაავტორობით.

აკად. ჯ.ლომინაძემ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში: ე.ზაბაბახინის სახელობის XI საერთაშორისო კონფერენცია (რუსეთის ფედერაციური ბირთვული ცენტრი, სნეჟინსკი, რფ), სადაც წაიკითხა მოსსენება „განივი არაწრფივი კასკადი – წანაცვლებით დინებებში ტურბულენტობის არსებობის საფუძველი“; მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო საბჭოს სხდომა (მოსკოვი, ნაციონალური კვლევითი ცენტრი „კურჩატოვის ინსტიტუტი“); NATO-ს სამეცნიერო კონფერენცია „შავი ზღვა: სტრატეგია – ენერგიის განვითარების რესურსები და წყალბადის ენერგიის პრობლემები“ (ბათუმი).

საანგარიშო წელს ჯ.ლომინაძე განაგრძობდა მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელობას.

აკადემიკოსი ნოდარ ცინცაძე

სტატიები

1) „დამკვანგავი მაგნიტური ველით გამოწვეული ჩაჭერის ეფექტი გადაგვარებულ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Physics of Plasmas 19, 092304, 2012, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ჩაჭერის ეფექტი გადაგვარებულ ფერმი გაზში იმ შემთხვევისათვის, როდესაც ძლიერ მაგნიტურ ველში იკვანგება ელექტრონის ორბიტალური მოძრაობა. წრფივ მიახლოებაში მიღებულია დისპერსიული განტოლება და ნაჩვენებია, თუ რა ტიპის ტალღების გავრცელებას აქვს ადგილი. არაწრფივი იონური ბგერის ასაწერად გამოყვანილია დიფერენციალური

განტოლება და შესწავლილია სოლიტონური სტრუქტურები.

2) „რელატივისტურ გადაგვარებულ ელექტრონ-პოზიტრონ-იონურ პლაზმაში იონურ-აკუსტიკური სოლიტონური ტალღების არაწრფივი სტრუქტურები“ (თანაავტორობით; J. Plasma Physics, 78, 133-141, 2012, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია რელატივისტურ თომას-ფერმის სამკომპონენტიან პლაზმაში დიდი და მცირე ამპლიტუდის იონური ბგერის სოლიტარული ტალღები. დაწვრილებით შესწავლილია საგდევვის ფსევდო-პოტენციალი. ნაჩვენებია ინტერვალი, რომელშიც მახის რიცხვი იცვლება.

3) „პოზიტრონ ბგერითი ტალღები და ინტენსიური განვივი ელექტრომაგნიტური ველების ლანდაუს არაწრფივი შთანთქმა ელექტრონ-პოზიტრონ-იონურ იზოტროპიულ პლაზმაში“ (თანაავტორობით; მიღებულია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში Plasma Physics, ინგლისურ ენაზე).

განხილულია იზოტროპიულ ელექტრონ-პოზიტრონ-იონურ პლაზმაში რელატივისტური ინტენსივობის ელექტრომაგნიტური ტალღების ლანდაუს არაწრფივი შთანთქმა. აღმოჩენილია და დეტალურადაა შესწავლილი ნელად მიღევადი პოზიტრონული ბგერის ტალღები (ახალი ტიპის ტალღები). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტალღების შესწავლისას პლაზმის ტემპერატურა ნებისმიერია, მათ შორის რელატივისტური. გამოყვანილია შრედინგერის განტოლება ლოკალური და არალოკალური არაწრფივი წევრებით. შესწავლილია მოდულაციური არამდგრადობა. მიღებულია არაწრფივი ლანდაუს შთანთქმის კოეფიციენტი. აღმოჩენილია cuspl სოლიტონი.

4) „ელექტრონული გაზის დამაგნიტულით გაცივება“ (თანაავტორობით; e-print arXiv: Physics/1212227v1, ინგლისურ ენაზე, გაგზავნილია უურნალში დასაბეჭდად).

აღმოჩენილია ელექტრონული ფერმი გაზის ადიაბატური გაცივება დამაგნიტულის გზით. გამოთვლამ აჩვენა, რომ ტემპერატურა მაგნიტური ველის კვადრატის უკუპროპორციულია, ანუ მაგნიტური ველის ხუთჯერ გაზრდით ტემპერატურა მცირდება 25-ჯერ. მანამდე არსებობდა გაცივების მეთოდი, რომელიც ემყარებოდა ტემპერატურისა და მაგნიტური ველის პროპორციულობას. მაგნიტური ველის გამორთვით აცივებდნენ სისტემას.

5) „დამაგნიტებული ფერმის ელექტრონული გაზის რელატივისტური თერმოდინამიკა“ (თანაავტორობით; e-print arXiv: Physics/12122830 v1, ინგლისურ ენაზე, გაგზავნილია უურნალში დასაბეჭდად).

შექმნილია ფერმი გაზის რელატივისტური თერმოდინამიკა ძლიერ მაგნიტურ ველში. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნაწილაკების მოძრაობა მაგნიტური ველის ჰერკენდიულარულ სიბრტყეში იკვანტება, მიღებულია ახალი ადიაბატური განტოლებები. განსხვავებით ჩვეულებრივი განტოლებებისაგან, ეს ადიაბატური განტოლებები შეიცავს სამ უცნობს, კერძოდ, სიმკვრივეს, ტემპერატურას და მაგნიტურ ველს. სხვადასხვა შემთხვევისათვის გამოყვანილი და შესწავლილია მაგნეტობგერითი სიჩქარეები. განსილულია რელატივისტური სიმკვრივეების შემთხვევაში ენტროპიის, სითბოტევადობის და სიჩქარის ოსცილაციის ეფექტი. ძლიერი მაგნიტური ველის შემთხვევაში ნაჩვენებია მესნერის ეფექტი.

აკად. ნ.ცინცაძე მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის №1-4/16GNSF/STO9_305_4_140 გრანტის (2010-2012 წწ.) დამუშავებაში.

მას მიენიჭა ალბერტ თავხელიძის სახელობის პრემია ნაშრომთა სერიისათვის „მტვრიანი პლაზმის ფიზიკის ზოგიერთი ასპექტები“.

აკადემიკოსი გიორგი ხარაძე

სტატია

„ზედენად ${}^3\text{He}$ -A-ში კოპერენციული სპინური პრეცესიის პარამეტრული არამდგრადობის კვანტური აღწერა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, 43-52, ინგლისურ ენაზე).

ზედენადი He-3 -ის მაგნიტური დინამიკის აქტუალურ პრობლემათა შორის აქტიურად შეისწავლება კოპერენციული სპინ-პრეცესიული მდგომარეობის ანომალურად სწრაფი („კატასტროფული“) რელაქსაციის პროცესები, რომლებიც ვითარდება საკმარისად დაბალი ტემპერატურის პირობებში. ამ მოვლენის შესაძლო ახსნა ეფუძნება ვარაუდს, რომ სპინ-პრეცესიული მდგომარეობის არამდგრადობა უკავშირდება მის დაშლას გასწვრივი პოლარიზაციის მქონე სპინურ ტალღებად. ხსენებული მოსაზრება ავტორის მიერ პირველად გამოთქმული იყო 1980 წელს თანაავტორებთან ერთად შესრულებულ თეორიულ გამოკვლევაში, სადაც ნაჩვენებია, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში ზედენადი He-3 -ის ანიზოტროპიულ A -ფაზაში თავი უნდა იჩინოს კოპერენციული სპინური პრეცესიის პარამეტრულმა არამდგრადობამ. ამ გამოკვლევაში მითითებული იყო, რომ ხსენებული არამდგრადობა ვითარდება მაშინ, როდესაც შეზღუდული ექსპერიმენტული გეომეტრიის პირობებში კუპერის წყვილების ორბიტული ღერძის ორიენტაცია არ ეთანადება სპინ-ორბიტული ურთიერთქმედების პოტენციალის მინი-

მუმს. პირველი ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებმაც დაადასტურა პარამეტრული არამდგრადობის როლი კოპერენტული სპინური პრეცესიის სწრაფი რელაქსაციის განვითარებაში შეზღუდული გეომეტრიის პირობებში, მოპოვებული იქნა ზედენადი He-3-ის იზოტოპიულ B-ფაზაში ი.ბუნკოვისა და სხვათა მიერ (1989-1990 წწ.).

აკად. გ.ხარაძე განაგრძობდა ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრის მოვალეობების შესრულებას.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რევაზ ბანცური სტატია

„ელექტროდრეკადობის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები პიეზო-დრეკადი მასალისათვის ჩართვებით და ბზარებით“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „უწყვეტ ტანთა მექანიკის აქტუალური პრობლემები“ შრომები, 251-254, ცახაძორი, სომხეთი, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ელექტროდრეკადობის საკონტაქტო და ბზართა თეორიის ამოცანები ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი პიეზო-ელექტრული სხეულებისათვის. ბრტყელი დეფორმაციის პირობებში დრეკადი სიბრტყე გამაგრებულია სასრული დრეკადი ჩართვით, რომელზეც მოქმედებს ტანგენციალური და ელექტრული დაძაბულობების ერთგვაროვანი ველი. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით ამოცანა დაყვანილია სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით ეს უკანასკნელი დაყვანილია უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემაზე. შე-

სწავლილია მიღებული სისტემის რეგულარობის საკითხი და დაფუძნებულია რედუქციის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა.

განხილულია, აგრეთვე, პიეზო-ელექტრული მასალისაგან შედგენილ ნახევარსივრცეში სივრცითი ბზარის ამოცანა. ბზარის საზღვარზე მოქმედებს ნორმალური ძაბვები. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდის გამოყენებით ამოცანა დაყვანილია ბზარის გახსნის აღმწერი ფუნქციის მიმართ პირველი გვარის სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით, რომელიც ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნით დაყვანილია რიმანის ამოცანაზე. ამონასსნი წარმოდგენილია კვადრატურებში. მიღებულია ასიმპტოტური შეფასებები როგორც ჩართვის ბოლოების მახლობლობაში, ასევე ბზარის ბოლოებში.

აკად.წევრ-ქორ. რ.ბანცურმა 2012 წ. მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციის – „უწყვეტ ტანთა მექანიკის აქტუალური პრობლემები“ (ცახეკაძორი, სომხეთი) მუშაობაში.

იგი იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2012 წელს დამთავრებული გრანტის (GNSF/ST08/3-386) სამეცნიერო ხელმძღვანელი.

აკადემიის წევრ-ქორესპონდენტი ალექსანდრე კვინიხიძე

სტატიები

1) „ნონეტის მეზონების თვისებები სასრული სიმკვირივის და ტემპერატურის პირობებში ნამბუ-იონალაზინიოს მოდელში განზომილებითი რეგულარიზაციის გამოყენებით“ (თანაავტორობით; Phys. Rev. D85, 076002, 2012, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია მეზონების შემადგენელი კვარკების დამოკიდებულება ტემპერატურაზე და სიმკვრივეზე,

ასევე პი- და კა-მეზონების მასებისა და მათი დაშლის მუდმივების დამოკიდებულება ტემპერატურაზე და სიმკვრივეზე. დადგენილია კრიტიკული ტემპერატურა სხვადასხვა რეგულარიზაციის შემთხვევაში. განხილულია ტოპოლოგიური მგრძნობიარობა, რომელიც ახლო კავშირშია კირალურ და UA(1) სიმეტრიულთან და მათ სპონტანურ დარღვევასთან. ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელში მიღებულმა ფაზურმა დიაგრამამ გამოავლინა არსებითი განსხვავება სხვადასხვა რეგულარიზაციის სქემებს შორის. კერძოდ, ჩამოჭრის რეგულარიზაციის-გან განსხვავებით, განზომილებით რეგულარიზაციაში მიღებულია პირველი რიგის ფაზური გადასვლები. ანალოგიური განსხვავებაა გამოვლენილი მეზონების ოვისებების აღწერაში.

2) „ფაზური დიაგრამა ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელში განზომილებითი რეგულარიზაციის გამოყენებით“ (თანაავტორობით; Phys. Rev. D86, 116013, 2012, ინგლისურ ენაზე).

ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელი გადაუნორმვადია, ამიტომ რეგულარიზაცია შეადგენს მოდელის არსებით დინამიკურ ნაწილს. კერძოდ, რეგულარიზაცია განსაზღვრავს კვარკებს შორის ურთიერთქმედების გავრცელების ეფექტურ ზომას და ასევე ურთიერთქმედების „ფორმას“. ამიტომ ნამბუ-იონა-ლაზინიოს მოდელის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამათუ იმ რეგულარიზაციის არჩევანზე. კვარკებს შორის ურთიერთქმედების შესწავლის მიზნით მიღებული და გაანალიზებულია ფაზური დიაგრამები ტემპერატურა-სიმკვრივის სიბრტყეში სხვადასხვა რეგულარიზაციის გამოყენებით.

ა.კვინიხიძე 2-თვიანი სამეცნიერო მივლინებით იმუოფებოდა ფლინდერსის (ავსტრალია) უნივერსიტეტში და ერთოვთანი მივლინებით მადრიდის ავტონომიურ უნივერსიტეტში. მადრიდის „კომტუტენ-

ცა“-ს უნივერსიტეტში წაიკითხა დექცია, რომელიც ეხებოდა წყვილთა ანიპილაციის ეფექტების გათვალისწინებას ველის კვანტური თეორიის დინამიკურ განტოლებებში და ამ განტოლებების გამოყენებას კვანტური ველის თეორიაში.

იგი არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (GNSF/ST 11/31, 2012-2015) ძირითადი მონაწილე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ კოკილაშვილი

მონოგრაფია

„ანალიზური და ჰარმონიული ფუნქციებისათვის სასაზღვრო ამოცანები ბანახის არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში“ (თანაავტორობით; Nova Science Publishers, ნიუ-იორკი, აშშ, 2012, ინგლისურ ენაზე).

მონოგრაფიაში განვითარებულია ახალი მიმართულება ანალიზური და ორი ცვლადის ჰარმონიული ფუნქციების სასაზღვრო ამოცანების თეორიაში. აღნიშნული ამოცანები ამოხსნილია არებებში რთული გეომეტრიული სტრუქტურის მქონე საზღვრებით. მოცემულია ამოცანების ამოხსნადობის სრული სურათი როგორც ცალადბმულ, ასევე ორადბმულ არებებში არაგლუვი საზღვრებით. გამოკვლეულია წრფივი შეუღლების რიმანის სასაზღვრო ამოცანა, რიმან-პილბერტის, რიმან-პილბერტ-პუანკარეს, ჰაზემანის სასაზღვრო ამოცანები, დირიხლევსა და ნეიმანის ამოცანები, როცა სასაზღვრო პირობების მარჯვენა მხარეები ეკუთვნის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებს ან გრანდ ლებეგის სივრცეებს. ყველა ზემოთ ხსენებული ამოცანის შემთხვევაში დადგენილია ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები, გამოვლენილია საზღვრის რთული გეომეტრიის გავლენა

ამოხსნადობის სურათზე. ამასთან ერთად, ამოხსნადობის ყველა შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ცხადი სახით.

სტატიები

1) „კვალის უტოლობები წილადური ინტეგრალუ-ბისათვის გრანდ ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით; *Studia Mathematica*, ტ. 210, 2012, 159-176, ინგლისურ ენაზე).

კვაზი-მეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული წილადური ინტეგრალური ოპერატორებისათვის დადგენილია კვალის უტოლობების მართებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. აღნიშნული ამოცანები ამოხსნილია ახალ ფუნქციურ სივრცეებში, სახელდობრ, გრანდ ლებეგის სივრცეებში. კვალის ამოცანები ამოხსნილია, აგრეთვე, პოტენციალებისათვის ნამრავლიანი გულებით, ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისა და ნახევარსივრცეზე განსაზღვრული წილადური ინტეგრალებისათვის. გრანდ ლებეგის სივრცეებში დადგენილია ფეფერმან-სტეინის ტიპის უტოლობები ჰარდი-ლიტლვედის მაქსიმალური ფუნქციებისა და კალდერონ-ზიგმუნდის სინგულარული ინტეგრალებისათვის.

2) „ორწონიანი უტოლობები ორჯერადი ჰარდის გარდაქმნებისა და ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისათვის ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით; *Operator Theory: Advances and Applications*, 219, 2012, 105-124, Springer Basel AG, ინგლისურ ენაზე).

ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში დადგენილია ოპტიმალური ორწონიანი უტოლობები ჯერადი ჰარდის გარდაქმნებისა და ძლიერი მაქსიმალური ფუნქციებისათვის. მიღებული შედეგების ზოგადობა განპირობებულია იმითაც, რომ ცვლადი მაჩვენებლები-

სათვის არ მოითხოვება სუსტი ლოგარითმული პირობა, მაშინ როცა ოკერატორების შემოსაზღვრულობის საკითხების შესწავლისას სხვა ავტორები ზემოხსენებულ პირობას არსებითად გამოიყენებენ. აღნიშვნის დირსია ისიც, რომ მაშინ, როცა ორწონიანი უტოლობების მარჯვენა მხარეში სივრცის მაჩვენებელი მუდმივია, მიღებული შედეგები კრიტერიუმის ხასიათს ატარებს.

3) „მიახლოების ზოგიერთი პრობლემა (α, ψ)-აზრით დიფერენცირებადი ფუნქციებისათვის ცვლად-მაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში“ (თანაავტორობით; Journal of Mathematical Sciences, ნიუ-იორკი, აშშ, 186, 2012, №2, 139-152, ინგლისურ ენაზე).

ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში დამტკიცებულია ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის პირდაპირი და შებრუნებული თეორემები. ნაშრომში შემოღებულია ბესოვის ტიპის ახალი სივრცეები და დადგენილია ამ სივრცეების მთელი რიგი თვისებები.

4) „განზოგადებული აზრით წარმოებადი ფუნქციების ტრიგონომეტრიული პოლინომებით აპროქსიმაციის დაზუსტებული შეფასებები“ (თანაავტორობით; საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 19, 4, 2012, 3-16, ინგლისურ ენაზე).

ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის წონიან სივრცეებში შემოღებული განზოგადებული სიგლუვის მოდულის ტერმინებში დამტკიცებულია დაზუსტებული პირდაპირი და შებრუნებული უტოლობები განზოგადებული აზრით დიფერენცირებადი ფუნქციების ტრიგონომეტრიული პოლინომებით აპროქსიმაციის შესახებ. ნაშრომის ორიგინალობა განპირობებულია იმითაც, რომ ზემოთ სსენებულ უტოლობებში გამოვლენილია სივრცის მაჩვენებლის გავლენა სიგლუვის განზოგადებული მოდულის ნულისაკენ მისწრაფების რიგზე.

5) „პერიოდული ფუნქციების მიახლოების შესახებ გრანდ ლებეგის სივრცეების ჩარჩოებში“ (თანავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული ოკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, 2012, 11-16, ინგლისურ ენაზე).

მოყვანილია გრანდ ლებეგის წონიანი სივრცეების ფუნქციების ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის ჩეზაროსა და აბელ-პუასონის საშუალოების მაჟორანტების შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები. ნაჩვენებია, რომ გრანდ ლებეგის სივრცეებში ფუნქციათა საშუალოდ უწყვეტობის თვისებას, განსხვავებით კლასიკური ლებეგის სივრცეებისაგან, ადარ აქვს ადგილი. აღნიშნული სივრცის იმ ქვესივრცისათვის, სადაც გლუკი ფუნქციები ყველგან მკვრივია, გრანდ ლებეგის სივრცის ნორმის აზრით შემოღებულია წილადური რიგის სიგლუკის მოდული და მის ტერმინებში დამტკიცებულია ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის პირდაპირი და შებრუნებული უტოლობა. აღნიშნული სივრცეების ჩარჩოებში განზოგადებულია ს.ბერნშტეინის ცნობილი უტოლობა ტრიგონომეტრიული პოლინომების წარმოებულების შესახებ.

აკად.წევრ-კორ. ვ.კოკილაშვილი 2012 წელს პლენარული მოხსენებით გამოვიდა X საერთაშორისო კონფერენციაზე „ფუნქციათა სივრცეები“ (პოზნანი, პოლონეთი); როგორც მიწვეულმა მომხსენებელმა, მონაწილეობა მიიღო პროფესორ მირეკ კრბეცის მემორიალური საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში (პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა).

აკად.წევრ-კორ. ვ.კოკილაშვილი იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის GNSF/STO9-23-3-100 გრანტით დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელი, იგი, აგრეთვე, ხელმძღვანელობდა ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო პრო-

გრამით გათვალისწინებულ დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით თემას.

იგი ასრულებდა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებასთან არსებული მათემატიკის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. წლის განმავლობაში კომისიამ განიხილა და შეაფასა საქართველოს საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობა მათემატიკის დარგში.

წლის განმავლობაში შეასრულა შესაბამისი სამუშაო, როგორც შვიდი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ასოცირებულმა გამომცემელმა თუ მთავარმა რედაქტორმა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელიზბარ ნადარაია

სტატიები

1) „ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის შესახებ“ („Теория вероятностей и ее применения“, გ. 57, 2, 2012, 322-336, რუსულ ენაზე).

ბერნულის რეგრესიის ფუნქციის („წარმატების“ ალბათობა, რომელიც დამოკიდებულია ცვლად სიდიდეზე) შესაფასებლად განხილულია რეგრესიის ფუნქციის ავტორისა და ვატსონის გულოვანი ტიპის არაპარამეტრულ შეფასებათა ანალოგი. გადაწყვეტილია ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების მოძებნის პრობლემა (ეს პრობლემა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან არსებობდა). დადგენილია პირობები ინტეგრალური კვადრატული გადახრის განაწილების ასიმპტოტურად ნორმალურობისათვის, ამასთან შესწავლილია მანორმირებელი სიდიდე-

ების ასიმპტოტიკა. მიღებული შედეგები გამოყენებულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციაზე სტატისტიკური ნულოვანი პიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმის ასაგებად. ნაჩვენებია აგებული კრიტერიუმის გადაუადგილებლობა და ძალდებულობა. გარდა ამისა, გამოკვლეულია შემოთავაზებული კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრის ასიმპტოტიკა პიტმენის ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

2) „რაო-კრამერის უტოლობის შესახებ უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში“ (თანაავტორობით; ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, გ.160, 2012, 121-134, ინგლისურ ენაზე).

მიღებულია რაო-კრამერის უტოლობის ანალოგი უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში. ჩამოყალიბებულია რეგულარობის პირობები და ამ პირობებში შემოთავაზებულია მაქსიმალური დასაჯერობის პრინციპის უსასრულოგანზომილებიანი ვარიანტი. დამტკიცებულია მაქსიმალური დასაჯერობის შეფასების ძალდებულობის თვისება.

3) „ბერნულის რეგრესიის ფუნქციის ერთი არაპარამეტრული შეფასების შესახებ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. 6, №2, 2012, 5-10, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ბერნულის რეგრესიის ფუნქციის გულვან შეფასებათა კლასი. შესწავლილია ამ შეფასებათა ალბათობით ერთი თანაბრად კრებადობის საკითხი.

იგივე თემატიკას ეძღვნება მოცულობითი სტატია „ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების შესახებ“ რომელიც გადაცემულია გამოსაქვეყნებლად უურნალში „Communications in Statistics Theory and Methods“.

აკად.წევრ-კორ. ე.ნადარაიამ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო და მოხსენებები წაიკითხა:

– „რაო-კრამერის უტოლობის შესახებ პილბერტის სივრცეში“ (საერთაშორისო კონფერენცია სტოქასტურ პროცესებში, კიევი, უკრაინა);

– „ბერნულის რეგრესიის ფუნქციაზე პიპოთეზის შემოწმების შესახებ“ (საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის III საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი);

– „მაქსიმალური დასაჯერობის შეფასება პილბერტის სივრცეში“ (თსუ-ის ი.ვაკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ტრადიციული ყოველწლიური 26-ე გაფართოებული სემინარი, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ჩაგელიშვილი

სტატიები

ურნალებში „Physics of Fluids“ და „Phys. Rev. E.“ გადაცემულია ორი სტატია აკად. ჯ.ლომინაძესთან თანაავტორობით.

1) „სპინისეული მიმართულების არეკვლითი სიმეტრიის დარღვევა და ტურბულენტობის კონტროლი ბრტყელ კუნტეს დინებაში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად J. Fluid Mechanics, 2012).

შესწავლითა ტურბულენტობის კონტროლის ახალი სტრატეგია. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ბრტყელი კუნტეს დინების კედლების მახლობლობაში განთავსებული მცირე გარეშე ძალით გამოწვეული შეშფოთებების მიერ ხდება ტურბულენტობის სპინისეული მიმართულებით სარკული სიმეტრიის დარღვევა და ამით განპირობებული ტურბულენტობის კონტროლი. მონახულია გარეშე ძალის ისეთი კონფიგურაცია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ტურბულენტობის სიძლიერეს. ტურბულენტობის კონტროლის ეს სტრატეგია მიესადაგება სხვა წანაცვლებით დინებებსაც.

2) „არადერმული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკის რევიზია სუსტად დამაგნიტებულ აკრეციულ დისკოებში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად J. Fluid Mechanics, 2012);

შესწავლილია არადერმული სიმეტრიის მქონე შეშფოთებების დინამიკა სუსტად დამაგნიტებულ კეპლერულ დისკოებში. შესასწავლად გამოყენებულია ჩვენს მიერ შემუშავებული მათემატიკური მიდგომა, რომელიც არამოდალურ ანალიზთან ერთად მოიცავს ფიზიკური ცვლადების შემოტანას და, შედეგად, ტალღების ევოლუციის აღწერას თითოეული ტალღისათვის ჩაწერილი დინამიკური განტოლებებით. ასეთი ანალიზი სრულფასოვნად აღწერს ტალღების ბმას და სრულ წარმოდგენას იძლევა წრფივი დინამიკის მიმდინარეობაზე. აგრეთვე აჩვენებს, რომ ყველაზე ენერგეტიკულები არიან გრძელტალღიანი შეშფოთებები, რომლებიც უმშვადობით ხასიათდებიან. ამდენად, დისკოების ტურბულენტობის სრულფასოვნად ასაწერად საჭიროა კუმშვადი გარემოს განხილვა.

3) „წრფივი ტრანზიენტული ზრდის ბაზური ფიზიკა ბრტყელ წანაცვლებით დინებებში“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად ინგლისის სამეცნ ასტრონომიული საზოგადოების – MNRAS ყოველთვიურ მაცნეში, 2012).

ბრტყელ წანაცვლებით დინებებში გაანალიზებულია წრფივი ტრანზიენტული ზრდის ბაზური ფიზიკა, რომელიც უნივერსალური და სამართლიანია როგორც ორგანზომილებიან, ასევე სამგანზომილებიან შემთხვევებში.

აკად.წევრ-კორ. გ.ჩაგელიშვილმა 2012 წ. მონაწილეობა მიიღო ტურბულენტობისა და უწყვეტი გარემოს მექანიკის საკითხებისადმი მიძღვნილი სამი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში:

- „აეროდინამიკური ბგერების გენერაცია ტურბულენტობით ბრტყელ წანაცვლებით დინებებში“ (დარმშტადტი, გერმანია);
- „ბგერების გენერაცია ტურბულენტობით ბრტყელ კუმტეს დინებებში: ლაიტპილის აკუსტიკური ანალოგის შეცდომები“ (რომი, იტალია);
- „არეკვლითი სიმეტრიის დარღვევის ინდუცირება და ტურბულენტობის კონტროლი ბრტყელ კუმტეს დინებაში“ (ბერტინორო, იტალია).

გერმანიის ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ტურბულენტობაზე ქვეპრიტიკული გადასვლა და მისი მიღება ბრტყელ კუმტეს დინებებში: არამოდალური და რიცხვითი ანალიზი“ – ფარგლებში აკად.წევრ-კორ. გ.ჩაგელიშვილმა, როგორც მიწვეულმა მკვლევარმა, 2012 წელს ოთხი თვე იმუშავა დარმშტადტის (გერმანია) ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამავე უნივერსიტეტში იგი იკვლევდა აკუსტიკური ტალღების გენერაციისა და წანაცვლებით დინებებში ტურბულენტობის კონტროლის საკითხებს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ხარაზიშვილი

მონოგრაფია

„სიმრავლეთა თეორიის საწყისები“, ნაწ. 2 (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012, 240 გვ.).

წიგნში მოცემულია სიმრავლეთა თეორიის ზოგიერთი ძეგლური თემისა და საკითხის მიმოხილვა. მასში თავმოყრილი მასალა მკითხველს საშუალებას აძლევს თანმიმდევრულად გაეცნოს აღნიშნული თეორიის ძირითად ფაქტებსა და დებულებებს, აქსიომატური მეთოდის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს (სინ-

ტაქსესა და სემანტიკას), ტიპურ სიმრავლურ-თეორიულ მსჯელობებსა და კონსტრუქციებს, თანამედროვე მათემატიკური ლოგიკისა და სიმრავლეთა თეორიის მთავარ მიმართულებებს, მათ ეფექტურ გამოყენებებს მათემატიკის მომიჯნავე დარგებში. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც დღემდე არ იყო სათანადოდ გაშუქებული ქართულენოვან მათემატიკურ ლიტერატურაში: ზოგადი სიმრავლურ-თეორიული განტოლებები და მათი ამოხსნის ალგორითმები, ამორჩევის აქსიომა და მისი სხვადასხვა ფორმა, არასტანდარტული ანალიზის ელემენტები, რამსეის თეორია და უსასრულო კომბინატორიკის მონათესავე დებულებები, დიდ კარდინალურ რიცხვებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, სასრული და უსასრულო თამაშები, სიმრავლეთა დესკრიფციული თეორიის ძირითადი ფაქტები, პარადოქსული თვისებების მქონე წერტილოვანი სიმრავლეები, მულტი-ფუნქციები და მათი უძრავი წერტილები.

წიგნი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტების მათემატიკური პროფილის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

სტატიები

1) „ერთგვაროვანი კვეთების მქონე ზომადი და არაზომადი სიმრავლეები“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 19, №2, 2012, 247-258, ინგლისურ ენაზე).

შემოტანილია ერთგვაროვანი კვეთების მქონე პრტყელი და სივრცული წერტილოვანი სიმრავლეების ცნება. გამოკვლეულია ამ სიმრავლეების ზომადობის თვისებები. დადგენილია, რომ ეს თვისებები მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე სიმრავლეთა თეორიის დამატებით აქსიომებთან (კონტინუუმის პიპოუზა, მარტინის აქსიომა და სხვ.).

2) „აბსოლუტურად არაზომადი ადიტიური ფუნქციების დიდი ჯგუფი“ (Real Analysis Exchange, ტ. 37, 2, 2012, 467-476, ინგლისურ ენაზე).

შესწავლითია ნამდვილმნიშვნელობიანი აბსოლუტურად არაზომადი ადიტიური ფუნქციების სტრუქტურა. კონტინუუმის პიპოთეზის გამოყენებით დამტკიცებულია, რომ არსებობს აბსოლუტურად არაზომად ადიტიურ ფუნქციათა ჯგუფი, რომლის სიმძლავრე მაქსიმალურ შესაძლო მნიშვნელობას ღებულობს.

3) „პილბერტის სივრცის at-სიმრავლეებისა და ისიმრავლეების ზოგიერთი თვისება“ (ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 159, 2012, 151-155, ინგლისურ ენაზე).

პილბერტის სივრცის at-ქვესიმრავლეებისა და იქვესიმრავლეების გეომეტრიული და ტოპოლოგიური სტრუქტურა შესწავლითია რამსეის ცნობილი კომბინატორული თეორემის უსასრულო გერსიის გამოყენებით. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ აღნიშნული სიმრავლეები ყოველთვის სეპარაბელურია.

4) „სამკუთხედის გარე ბისექტრისების ზოგიერთი ტოპოლოგიურ-გეომეტრიული თვისების შესახებ“ (საქართველოს მათემატიკური ჟურნალი, ტ. 19, №4, 2012, 697-704, ინგლისურ ენაზე).

ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის სისრულის აქსიომის გარკვეული შესუსტებული ფორმის გამოყენებით გამოკვლეულია შემდეგი გეომეტრიული საკითხი: სამკუთხედის გარე ბისექტრისების სიგრძეების ტოლობიდან რა შემთხვევებში გამომდინარეობს შესაბამისი გვერდების სიგრძეების ტოლობა? გაანალიზებულია ყველა ის შემთხვევა, როცა პასუხი ამ კითხვაზე არის დადგებითი.

5) „ერგოდული ზომები და ქვეჯგუფების განსაზღვრა ამ ზომების ნორმალური გაგრძელებების მეშ-

ვეობით“ (The Theory of Stochastic Processes, გ. 18(34), 1, 2012, 58-64, ინგლისურ ენაზე).

ერგოდული ინვარიანტული (კვაზი-ინვარიანტული) ზომები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დინამიკური სისტემების ზოგადი თეორიისა და მათემატიკური ანალიზის ბევრ საკითხში. დამტკიცებულია, რომ ყოველი ასეთი ზომისათვის მისი ყველა ნორმალურ გაგრძელებათა თჯახი ცალსახად განსაზღვრავს შესაბამის გარდაქმნათა ჯგუფს.

6 „რამსეის კომბინატორული თეორემის ზოგიერთი გეომეტრიული გამოყენება“ (მათემატიკისა და ინფორმატიკის თბილისის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი, გ. 16, №1, 2012, 34-42, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია რამსეის ცნობილი თეორემის სახული, თვლადი და არათვლადი ვერსიების გამოყენებები კომბინატორული და დისკრეტული გეომეტრიის ზოგიერთი საკითხისადმი. კერძოდ, კონტინუუმის პიპოთეზის დაშვებით სიბრტყეში აგებულია არათვლადი, ზოგადი მდებარეობის წერტილოვანი სიმრავლე, რომელიც არ შეიცავს არც ერთ არათვლად ამოზნექილად დამოუკიდებელ ქვესიმრავლებს.

აკად.წევრ-კორ. ა.ხარაზიშვილმა 2012 წელს მონაწილეობა მიიღო და გამოვიდა მოხსენებებით:

- „აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების ზოგიერთი თვისება“ (აბსტრაქტული ანალიზის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრადიციული ზამთრის სკოლა, კლენცი, ჩეხეთის რესპუბლიკა);

- „ნამდვილი დერძის ქვესიმრავლების სავსებით დალაგების შესახებ“ (თსუ-ის ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ტრადიციული ყოველწლიური 26-ე გაფართოებული სემინარი);

- „აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების ჯამების შესახებ“ (ს.ბანახის 120 წლისთავისადმი მიძღვნი-

ლი საერთაშორისო კონფერენცია, ლვოვი, უკრაინა). აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით №2012_tr_352.

იგი არის ოთხი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის რედაქორების წევრი: Georgian Mathematical Journal, Journal of Applied Analysis, Applied Mathematics, Informatics and Mechanics, Georgian International Journal of Science and Technology.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანზორ ხელაშვილი

წიგნი

„მომავალი იმისია, ვინც...“ (გამომცემლობა „ნეკერი“, 146 გვ. ილუსტრაციებით).

წიგნი ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეოთხე პრეზიდენტის აკადემიკოს ალბერტ (ალექო) თავხელიძის ხსოვნას. იგი შეიცავს ა.თავხელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალას, მოგონებებს.

სტატიები

1) „დელტასმაგვარი სინგულარობა რადიალურ ლაპლასის ოპერატორში და შრედინგერის რადიალური განტოლების სტატუსი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, № 1, 68-73, ინგლისურ ენაზე).

სფერულ კოორდინატებში ლაპლასის ოპერატორ-ში ცვლადების განცალების პროცედურის კორექტულად ჩატარების შედეგად მიღებულია დამატებითი დელტასმაგვარი სინგულარობა, რომლის გამორიცხვაც ზღუდავს ტალღურ ფუნქციას სათავეში. ამ შეზღუდვას სასაზღვრო პირობის სახე აქვს შრედინგერის განტოლებისათვის.

2) „თვითშეუდლებული გაფართოების პროცედურა არარელატივისტურ კვანტურ მექანიკაში“ (საქართველოს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, ფიზიკა, №2, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია შრედინგერის სრული რადიალური განტოლების სათანადო ჰამილტონიანის თვითშეუდლებული გაფართოების ამოცანები სინგულარული პოტენციალების შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ მანძილის კვადრატის უკუპროპორციული პოტენციალის შემთხვევაში გაფართოების დროს წარმოიქმნება ახალი ამონასსნები.

3) „დაკვანტული კირალური სოლიტონი, როგორც სკირმის მოდელის ალტერნატივა და $\gamma N\Delta$ წვერო“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, № 3, 30-36, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ კირალურად ინკარიანტული ლაგრანჯიანის დაკვანტვის შემდეგ ეფექტურ ჰამილტონიანში წარმოიქმნება დამატებითი წევრები, რომლებიც მოდიან ბრუნვითი და ვიბრაციული მოდების დაკვანტვიდან და უზრუნველყოფენ სტატიკური სოლიტონური ამონესნების სტაბილურობას. დამუშავებულია ნუკლონის და მისი რეზონანსების სტატიკური მახასიათებლების გამოთვლის სქემა და აღწერილია $\gamma N\Delta$ წვეროს თვისებების გამოკვლევის მეთოდიკა. შედეგები თანხმობაშია არსებულ ექსპერიმენტებთან.

4) „კულონური პოტენციალი, როგორც დირაკის განტოლების სუპერსიმეტრიის შედეგი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო ჟურნალი „Journal of Qafqaz University, Physics“, №33, ბაქო, აზერბაიჯანი, 2012, 34-65, ინგლისურ ენაზე).

განხილულია კეპლერ-კულონის პრობლემის დამატებითი სიმეტრია რელატივისტურ კვანტურ მექანიკაში. ნაჩვენებია, რომ თუ მოვითხოვთ დირაკის ჰამილ-

ტონიანისთვის ვიტენის სახის სუპერსიმეტრიას, ერთადერთი პოტენციალი, რომელიც ამ სიმეტრიას დააკმაყოფილებს არის კულონური პოტენციალი. მიღებულია სათანადო დამატებითი შენახვის კანონი და დორაკის ამოცანა სპექტრისათვის ამოხსნილია ალგებრულად.

აკად.წევრ-კორ. ა.ხელაშვილმა 2012 წელს მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორი გრანტი:

- ფუნდამენტური კვლევებისათვის – „კვანტური ქრომოდინამიკა მაღალ და დაბალ ენერგიებზე“ (№11/24, ხელმძღვანელი);
- „კვანტური ქრომოდინამიკის ეფექტური თეორიები და გამოთვლები მესერზე“ (№13/02, თანახელმძღვანელი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ჯაფარიძე

სტატიები

1) „კვანტური ფაზური გადასვლა სპინი $S=1/2$ დიმერიზებულ ჯაჭვში პექსამერული შემფოთების პირობებში (თანაავტორობით; Phys. Status Solidi B 245, 48101, 2012, ინგლისურ ენაზე).

თეორიულად შესწავლილია დიმერიზებული სპინი $S=1/2$ ჯაჭვის ძირითადი მდგომარეობის მაგნიტური ფაზური დიაგრამა სპინური გაცვლის დამატებითი პექსამერული (ექსის ტოლი ბიჯით) მოდულაციის შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ სისტემის დამაგნიტების წირი ხასიათდება ორი დამატებითი დამაგნიტებულობის პლატოს გაჩენით, შესაბამისად ნაჯერი დამაგნიტებულობის 1/3-ის და 2/3-ის ტოლი დამაგნიტებისას. გამოთვლილია ორივე პლატოს სიგანის დამოკიდებულება მოდულაციის ამპლიტუდაზე.

2) „სპინი $S=1/2$ ჰაიზენბერგის ჯაჭვის მაგნიტური თვისებები გაცვლის პექსამერული მოდულაციის შემთხვევაში“ (თანაავტორობით; Jour. Phys. C: Condens. Matt. v. 24, 116002, 2012, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია კვანტური ფაზური გადასვლა დიმერიზებული სპინი $S=1/2$ ჯაჭვის ძირითად მდგომარეობაში მესერის ერთი ბიჯის ტრანსლაციით წანაცვლებულ ორ დიმერიზებულ ძირითად მდგომარეობას შორის, რომელიც განპირობებულია სპინური გაცვლის პარამეტრის სისტემის მაფრუსტრირებელი პექსამერული მოდულაციით.

3) „ნახევრად შევსებული სპინ-ასიმეტრიული იონური ჰაბარდის მოდელის ეფექტური სპინური ჰამილტონიანი ძლიერი განზიდვის შემთხვევაში“ (თანაავტორობით; „Low Dimensional Physics and Gauge Principles“, World Scientific, 2012, ინგლისურ ენაზე).

თეორიულად შესწავლილია ერთგანზომილებიანი სპინ-ასიმეტრიული იონური ჰაბარდის მოდელი ნახევრად შევსებული ზონისა და ძლიერი განზიდვის შემთხვევაში. აგებულია ეფექტური სპინური ჰამილტონიანი. ნაჩვენებია, რომ ძლიერი განზიდვის ზღვარში სისტემის მაგნიტური თვისებები აღიწერება ალტერნირებულ მაგნიტურ ველში მოთავსებული სპინ $S=1/2$ ანიზოტროპიული ჰაიზენბერგის ჯაჭვის ჰამილტონიანით. ნაჩვენებია, რომ ალტერნირებული მაგნიტური ველის ამპლიტუდა ნულის ტოლია როგორც ერთგვაროვანი იონური პოტენციალის შემთხვევაში, ასევე სპინური სიმეტრიის აღდგენის (გადახტომათა ამპლიტუდების გატოლების) შემთხვევაშიც.

4) „კვანტური ჯგუფი, ჰარპერის განტოლებები და ბლოხისეული საკუთარი მდგომარეობების სტრუქტურა ფიჭის ტიპის მესერებისთვის“ (თანაავტორობით; Jour.

of Physics A: Math. Gen. v.45, 305305 (2012), ინგლისურ ენაზე).

5) „კვანტური ჯგუფი ორგანზომილებიანი ჰექსა-გონალური მესერებისთვის” (თანაავტორობით; ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 160, 79-92, 2012, ინგლისურ ენაზე).

4) და 5) სტატიებში მჭიდროდ ბმული ფერმიონების მოდელის ფარგლებში შესწავლილია ძლიერი მაგნიტური ველის გავლენა ორგანზომილებიან ჰექსა-გონალურ მესერზე განმარტებული ფერმიონული სისტემის სპექტრალურ თვისებებზე. ამოცანის ფიზიკური მოტივაცია დაკავშირებულია გრაფენის ზედაპირზე დაფენილი მაგნიტური ადატომების ფერომაგნიტური მოწესრიგებით გამოწვეული ამ კომპოზიტური სისტემის (გრაფენი-ადატომები) ელექტრულ თვისებებში ცვლილებების კვლევასთან. განხილულია ძლიერი ერთგვაროვანი მაგნიტური ველის შემთხვევა, როცა მესერის ყოველ ექსკუთხა ელემენტარულ უჯრედში გამავალი მაგნიტური ნაკადი ელემენტარული ფლაქსის რაციონალური ნაწილის ტოლია. ამ ზღვარში მოდელის ჰამილტონიანი გადაწერილია $U_q(sl_2)$ კვანტური ჯგუფის გენერატორების ტერმინებში და მიღებულია ე.წ. ჰარპერის განტოლება, რომელიც ამ შემთხვევაში მოცემულია კომპლექსურ სიბრტყეში განმარტებული ორი გადაბმული ფუნქციონალური განტოლების სახით. ნაჩვენებია, რომ კვაზი-იმპულსის გარკვეული მნიშვნელობებისთვის გადაბმული სისტემის ამონასნი მოცემულია პოლინომების სახით. ამ კერძო შემთხვევებში ნაპოვნია როგორც ჰამილტონიანის საკუთარი მდგომარეობები, ასევე საკუთარი მნიშვნელობები და გამოვლენილია ის სიმეტრია, რომელიც უზრუნველყოფს მისი საკუთარი მდგომარეობების პოლინომიალურ სტრუქტურას.

6) „სპინი $S=1/2$ ანტიფერომაგნიტური კიბის მაგნიტური ფაზური დიაგრამა შემადგენელი ჯაჭვებისა და საფეხურის გასწვრივი გაცვლის დიმერული მოდულაციის შემთხვევაში” (თანაავტორობით; Nano Studies v.6, 2012, 85-92, ინგლისურ ენაზე).

თეორიულად შესწავლილია სპინი $S=1/2$ ორჯაჭვიანი „კიბის” სტრუქტურის მქონე იზოტროპიული სისტემის მაგნიტური ფაზური დიაგრამა კიბის შემადგენელი ჯაჭვების დიმერიზაციისა და ჯაჭვებსშორისი „საფეხურის” გასწვრივი გაცვლის დიმერული და ტრიმერული მოდულაციის შემთხვევაში. სისტემის მაგნიტური ფაზური დიაგრამა აგებულია ძლიერი „საფეხუროვანი” გაცვლის ზღვარში და ერთგვაროვანი გარე მაგნიტური გელის შემთხვევაში.

7) „მაგნიტური გელით მართული მეტალი-იზოლატორი გადასვლა კვაზი-ჯელიკურ გამტარში” (თანაავტორობით; გადაცემულია დასაბეჭდად Phys. Rev. Lett.-ში, ინგლისურ ენაზე).

აკად.წევრ-კორ. გ.ჯაფარიძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში:

- საერთაშორისო კონფერენცია „ტოპოლოგიური იზოლატორები და ძლიერი სპინ-ორბიტული ურთიერთქმედება“ (ლოზანა, შვეიცარია);

- საერთაშორისო კონფერენცია „ძლიერ კორელირებული ელექტრონები“ (მარმარისი, თურქეთი);

- მე-2 საერთაშორისო კონფერენცია „ნანოტექნოლოგიები“, ნანო-2012 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი);

- საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის III საერთაშორისო კონფერენცია (ბათუმი).

აკად.წევრ-კორ. გ.ჯაფარიძემ წაიკითხა ლექციები ფრიბურგის (შვეიცარია), რიო-გრანდე დუ ნორტეს (ბრა-

ზილია) და უტრეხტის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტების სემინარებზე.

იგი 2010-2012 წწ. მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2 საგრანტო პროექტისა და ფრიბურგის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ოეორიული ფიზიკის ინსტიტუტთან ერთად SCOPES პროგრამით დაფინანსებული საგრანტო პროექტის შესრულებაში.

საანგარიშო წელს მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებამ ჩაატარა საერთო კრების 8 და ბიუროს 3 სხდომა, რომლებზეც განხილული იყო 23 საკითხი.

განყოფილებამ რამდენჯერმე იმსჯელა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და შეიმუშავა განცხადება საჯარო პუბლიკაციისთვის და ინტერნეტში განთავსებისთვის.

განყოფილებამ იმსჯელა აკადემიის ქოფილი ინსტიტუტების ირგვლივ შექმნილ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით, გამოითქვა საერთო მოსაზრება, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ვალდებულია გამოხატოს საკუთარი პოზიცია ამ მდგრამარეობის გამო; განყოფილების მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ (ნ.ცინცაძე – თავმჯდომარე, თ.ქადეიშვილი, გ.ჩაგელიშვილი, ა.ხარაზიშვილი, გ.ჯაფარიძე) მოამზადა წერილი აკადემიის საერთო კრებაზე გასატანად.

განყოფილებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრებად ასარჩევად რეკომენდაცია გაუწია აკად. ქალფიოროვს (რუსეთი), პროფ. ა.რუხაძეს (რუსეთი), სომხეთის მეცნ. აკადემიის ნამდვილ წევრს ს.ამბარცუმიანს, აკად.წევრ-კორ. ა.მიხაილოვსკის (რუსეთი). მათგან პირველი ორი აკადემიის საერთო კრებამ უკვე დაამტკიცა უცხოელ წევრებად.

ნაყოფიერად იმუშავეს საანგარიშო წელს განყოფილებასთან არსებულმა მათემატიკის (თავმჯ. აკად. წევრ-კორ. გ.კოკილაშვილი) და ფიზიკისა და ასტრონომიის (თავმჯ. აკად. წევრ-კორ. ა.ხელაშვილი) დარგობრივმა კომისიებმა. დარგობრივი კომისიების ოეცენზიებისა და დასკვნების საფუძველზე, განყოფილებამ განიხილა და შეაფასა საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების მიერ მათემატიკისა და ფიზიკის დარგებში 2011 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობა. განყოფილების გადაწყვეტილებით უარყოფითი შეფასება მიეცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ანგარიშს.

განყოფილებამ საერთო კრების გაფართოებულ სხდომებზე მოისმინა აკად. ნ.ცინცაძის, მეცნ. დოქტორების ი.თავესელიძის, ა.მესხის, თ.ჯიბლაძის სამეცნიერო მოხსენებები.

განყოფილების აქტიური ხელშეწყობით მომზადდა და ჩატარდა აკადემიურ საბჭოსთან არსებული ატომური ენერგიის პრობლემების კომისიის ორი გაფართოებული სესია, რომელთაგან ერთი მიეძღვნა რადიაციული დაცვის აქტუალურ სამედიცინო საკითხებს, ხოლო მეორე შავი ზღვის გოგირდ-წყალბადის გამოყენების პრობლემებს.

ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „არაკომპაქტურობის ზომა ინტეგრალური ოპერატორებისათვის ლებეგის წონიან სივრცეში“ (Nova Science Publishers, ნიუ-ორკი, აშშ, 2009) მიენიჭა მეცნ. დოქტ. ალექსანდრე მესხს.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 7 წევრი, მათ შორის 1 აკადემიკოსი და 6 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს 2 რუკა, 3 სახელმძღვანელო და 17 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე

სტატია

აკად.წევრ-კორ. დ.შენგელიასთან თანაავტორობით. „კავკასიის ალპურისწინა გეოდინამიკა, მრავალსტადიური რეგიონული მეტამორფიზმი და გრანიტოიდული მაგმატიზმი“ (საერთაშორისო კონგრესის – „თანამედროვე ცივილიზაციის ბუნებრივი კატაკლიზმები და გლობალური პრობლემები“ შრომათა კრებული, სტამბოლი, თურქეთი, 2012, 208-217, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მონაცემები კავკასიის ალპურისწინა კრისტალური სუბსტრატის ამგები ქანების ურთიერთდამოკიდებულების, ასაკისა და ფორმირების პირობების შესახებ. ნაჩვენებია, რომ რეგიონული მეტამორფიზმისა და გრანიტწარმოშობის ძირითადი ეტაპები დაკავშირებული იყო გრენვილურ, ბაიკალურ, გვიან-ბაიკალურ და ვარისკულ ოროგენეტულ ეპოქებთან. ტექტონიკური სის ეს ეტაპები და შესაბამისი ენდოგენური აქტიურობა, რომლებიც ადრე დადგენილი იყო ავტორების მიერ მოპოვებული გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, მთლიანად დასტურდება ახალი U-Pb LA YCP MS დათარიღებით. შესრულებული კვლევები არსებითად ავსებს კავკასიის კრისტალური სუბსტრატის იზოტოპურ-გეოქრონოლოგიურ მონაცემებში

არსებულ ხარვეზებს და მნიშვნელოვნად აზუსტებს აღპურისწინა ენდოგენური პროცესების ასაკსა და კონტინენტური ქერქის ფორმირების ძირითად ეტაპებს.

რუკები

1) „საქართველოს გეოლოგიური რუკა (1:1000000, ციფრული ვერსია) და მისი განმარტებითი ტექსტი“ (საქართველოს ეროვნული ატლასი, თბილისი 2012).

რუკაზე გამოსახულია დანალექი, დანალექ-გულ-კანოგენური, ვულკანური, ინტრუზიული და სუბვულ-კანურ-ინტრუზიული ქანების გამოსავლები პროტეროზოურიდან მეოთხეულის ჩათვლით. ნაჩვენებია მათი ასაკი და ყველა ძირითადი ლითოსტრატიგრაფიული ერთეულის, ინტრუზიული და ეფუზიური წარმონაქ-მნების პეტროგრაფიული დახასიათება და შედგენილობა. სპეციალური კრაპით გარჩეულია ვულკანური და ვულკანოგენური ქანების პეტროქიმიური ტიპები. რუკაზე დატანილია, აგრეთვე, ვულკანური აპარატები (ცენტრები). აღნიშნულია ტექტონიკური რღვევები და გარჩეულია მათი სხვადასხვა კინემატიკური ტიპები: ტექტონიკური ზეწრები (შარიაჟები), შეცოცებები, შესხლებები, ნასხლებები და ნაწევები.

2) „საქართველოს ტექტონიკური რუკა (1:1000000, ციფრული ვერსია) და მისი განმარტებითი ტექსტი“ (საქართველოს ეროვნული ატლასი, თბილისი 2012).

რუკაზე სპეციალური ფერითა და ინდექსით ნაჩვენებია სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის ნაოჭა კომპლექსები, რომელთა ჩამოყალიბება მთავრდება ამა თუ იმ დანაოჭების ფაზისით (ანუ ოროფაზისით). იურულამდელ ნაოჭა კომპლექსებში გამოყოფილია სხვადასხვა მეტამორფული ნაოჭა კომპლექსები. აღპურ ნაოჭა კომპლექსებში გარჩეულია: ოროგენულამდელი, ადრეოროგენული და გვიანოროგენული (კოლიზიური) ნაოჭა კომპლექსები, რომლებშიც გამოყოფილია სხვადასხვა დანაოჭების ფაზისები. სპეციალური ნიშნით

აღნიშნულია სხვადასხვა დანალექი ქანების გეოდინამიკური კომპლექსები. სპეციალური კრაპით ნაჩვენებია გულკანოგენური კომპლექსების გეოდინამიკური ტიპები (სუბდუქციური, ფილებსშიგა, კოლიზიური და ოკეანური). ფერადი პირობითი ნიშნებით გარჩეულია სუპრა-სუბდუქციური რეგიონული მეტამორფიზმის ფაციესები. გამოსახულია სხვადასხვა სახის ტექტონიკური სტრუქტურები (ნაოჭები, რღვევები) მათი ჩასახვისა და ფორმირების ძირითადი დროის მითითებით. რუკაზე გავლებულია კრისტალური ფუნდამენტის ზედაპირის, ზედა ცარცულის სახურავისა და აქჩაგილურის საგების სტარატოიზმისები, რომლებიც გვიჩვენებს ამ ჰორიზონტების ჩაწოლის სიღრმეს.

აკად. გეგმვრელი ხელმძღვანელობს შვეიცარიის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის SCOPES -ის გრანტით დაფინანსებულ პროექტს „კავკასიის ტექტონიკა“.

იგი არის კალიფორნიის უნივერსიტეტან (აშშ) არსებული (ლონგ-ბიზი) საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის (IPA), საერთაშორისო გეოლოგიური რუკის კომისიის, საერთაშორისო კომიტეტის გლობალური გეოლოგიური და გარემოს ცვლილების (GEOCHANGE, მიუნხენი, გფრ) და რუსეთის საუწყებათაშორისო ტექტონიკური კომიტეტის წევრი, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეგაზ გაჩეჩილაძე

სახელმძღვანელოები

1) ისტორია. სახელმძღვანელო მერვე კლასისათვის (თანაავტორობით; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 336 გვ.);

2) ისტორია. სახელმძღვანელო მეთერთმეტე კლასისათვის (თანააგზორობით; ბაქურ სულაკაურის გამოცემლობა, თბილისი, 2012, 317 გვ.);

3) ისტორია. სახელმძღვანელო მეთორმეტე კლასისათვის (თანააგზორობით; ბაქურ სულაკაურის გამოცემლობა, თბილისი, 2012, 520 გვ.).

სტატიები

1) „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების გამოწვევები“ (კრებულში „საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი“, თბილისი, 2012, 27-35).

ნაჩვენებია საქართველოს მოსახლეობის დინამიკის მახასიათებლები, კერძოდ, ბუნებრივი ნამატის შემცირებისა და ემიგრაციის ზრდის ტენდენციები, რაც საქართველოს მომავლისათვის შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს.

2) „ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის გამოწვევები“ (კრებულში „საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევი“, თბილისი, 2012, 55-65).

მოცემულია საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების გეოგრაფია, მათი დინამიკა, მიგრაციული განწყობები, აგრეთვე, მათი ინტერგაციის საკითხი და პოტენციური საფრთხე, რაც შეიძლება შეექმნას ქართულ სახელმწიფო ორგანიზაციების. განსაკუთრებული ყერადღება გამახვილებულია აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობების საკითხებზე.

3) „არაბული გაზაფხული“: რამ მოიტანა და რას მოიტანს რევოლუცია?“ (ქ. „უფლისციებები“, №2, 2012, 138-150).

გაანალიზებულია 2011 წელს დაწყებული სახალხო რევოლუციები არაბულ ქვეყნებში, მათი კავშირი ისლამისტურ მოძრაობებთან და შესაძლო პოლიტიკური ძვრების საკითხი. გაკუთებულია სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედარება.

4) „იმპერიის დეზინტეგრაციისა და აღდგენის კონფლიქტობენური პოტენციალი: პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიღვომა (რუსეთის მიერკავკასიის მაგალითზე, 1917-1923)“ (The Caucasus & Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Published by CA&CC Press® Sweden Volume 6, Issue 3, 2012, pp.134-146).

განხილულია სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური განვითარების ტენდენციები იმ პერიოდში როდესაც დაიშალა და ახალი სახელით აღდგა რუსეთის იმპერია – 1917-1922 წლებში. 1923 წელი აღებულია როგორც დროითი ზღვარი, რადგან იმ წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა შიდა ადმინისტრაციული საზღვრები, რომელთაც თითქმის 70 წელი იარსებულია.

აკად.წევრ-კორ. რ.გაჩეჩილაძე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის – „საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ინტერაქტიური ისტორიულ-გეოგრაფიული რუკის და საცნობარო-საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა“ ხელმძღვანელი; თსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის – „შეუძლიათ თუ არა იძულებით გადაადგილებულ პირებს მოახდინონ ინტეგრაცია ქალაქის მოსახლეობაში საქართველოში“ (დამფინანსებული შეკიცარიულ-კავკასიური აკადემიური ასოციაცია ASCN; 2011-2013) უფროსი მქალევარი.

აკად.წევრ-კორ. რ.გაჩეჩილაძე 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „შეა აღმოსავლეთი „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ; პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიღვომა“ (ამერიკის გეოგრაფთა ასოციაცია, ნიუ-იორკი, აშშ);

– საერთაშორისო კონფერენციის – „უსაფრთხოება, დემოკრატია და განვითარება სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის რეგიონში“ – სექციის თავმჯდომარე, სტამბოლი, თურქეთი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მირიან თოფჩიშვილი

სტატია

„კავკასიის ადრეიურულ-ბაიოსური დროის ზღვიური აუზების პალეობიოგეოგრაფიული დარაიონება ამონიტების მიხედვით” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №1, 2012, 103-108, ინგლისურ ენაზე).

კავკასიის ადრეიურულ-ბაიოსური ამონიტების ეკოლოგიისა და ევოლუციური განვითარების შესწავლის საფუძველზე დადგენილია ამ ცხოველთა მიგრაციის გზები და განსახლების ადგილები. დაზუსტებულია პალეობიოგეოგრაფიული საზღვრები და დადგენილია ადრეიურულ-აალენურ დროს კავკასიის ტერიტორიაზე 4 პალეობიოგეოგრაფიული რაიონის არსებობა: მცირე კავკასიონის, სამხრეთ კავკასიის მთათაშუა არის, კავკასიონის სამხრეთ ფერდობისა და ჩრდილოეთ კავკასიის. ბაიოსური საუკუნის ბოლოს მოხდა ამონიტური ფაუნის საგრძნობი დიფერენციაცია და ახალი ოჯახებისა და გვარების წარმოშობა. დასაბუთებულია არსებული პალეოგეოგრაფიული რაიონების უფრო მაღალ, ქვეპროვინციის რანგში აყვანა და ნახიჩევანის ქვეპროვინციის არსებობა.

აკად. წევრ-კორ. მ. თოფჩიშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი „კოლხეთის დეპრესიის დამდებარე შავი ზღვის აკვატორიის ალპური დროის გეოლოგიური განვითარების ისტორია მეზო-კაინოზოური ნალექების ნაფთობგაზიანობის პერსპექტიულობის შეფასების მიზნით”.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ კაგაბაძე სტატია

„საქართველოსა და მოსაზღვრე კავკასიის რეგიონების ქვედა- და შუაპატური (ცარცული) სედიმებზური სექვენსების ურთიერთდამოკიდებულება” (თანაავტორობით; Revue de Paléobiologie, Genève, v. spec. 11, ჟენევა, შვეიცარია, 2012, 103-111, ინგლისურ ენაზე).

მოცემულ აპტური ნალექების სექვენს-სტრატიგრაფიულ ანალიზს საფუძვლად დაედო მდიდარი პალეონტოლოგიური და ლითოლოგიური მასალა, რომელიც, ძირითადად, მოპოვებულია ავტორების მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებული საველე სამუშაოების დროს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის რეგიონებში. საქართველოს ტერიტორიაზე დეტალურად არის შესწავლილი აპტური ნალექები და დადგენილია, რომ შუაპატური სექვენსის ტრანსგრესიული ტრაქტი უკავშირდება *Epicheloniceras subnodosocostatum*-ის ქრონს და ყველაზე ნათლად მუდავნდება რაჭა-ლეჩხეუმის, ლორეშა-ხარაგოულისა და მოლითის სინკლინებში. შუაპატური სექვენსი მთელ რიგ ჭრილებში გამოხატულია შესატყვისი ნალექების უთანხმო განლაგებით (რეცხვის ნიშნებით) ქვედა აპტურის სხვადასხვა პორიზონებზე ან ფაციესური ცვლილებებით სრულ ჭრილებში. საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამიერკავკასიაში როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის რეგიონებში ქვედა აპტურის, ზოგან კი ბარემული ნალექების ეროზიულ ზედაპირზე, უთანხმოდ არის განლაგებული შუაპატური ნალექები. მსგავსი უთანხმო განლაგება შუაპატური (*Epicheloniceras subnodosocostatum*-ის ქრონის შესატყვისი) ნალექებისა ქვედაპტურ და ზოგჯერ, უფრო ძველი ასაკის ნალექებზე გაიდევნება ჩრდილო კავკასიის (ყაბარდო-ბალკარეთის, ინგუშეთის, ჩეჩენეთისა და

დაღესტნის) მრავალ ჭრილში. ამ ნალექების სექვენს-სტრატიგრაფიული ანალიზით დადგენილია, რომ აღნიშნული სტრატიგრაფიული უთანხმოების ძირითად გამომწვევ მიზეზს ევსტაზია უნდა წარმოადგენდეს. საყურადღებოა, რომ კავკასიის მასშტაბში ქვედაცარცული ნალექების სექვენს-სტრატიგრაფიული გამოკვლევა დღე-მდე საერთოდ არ ჩატარებულა. მომავალში სექვენს-სტრატიგრაფიული ტიპის კვლევებმა ამ რეგიონში უნდა მოიცვას მთელი ფანეროზოური ნალექები.

აკად.წევრ-კორ. მ.კაკაბაძეს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო პრემია გეოლოგიის დარგში ნაშრომთა ციკლისათვის „ადრეცარცული ამონიტების სისტემატიკა და სტრატიგიული მნიშვნელობა“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ფერანდო მაისაძე სტატიები:

1) „მეზოზოური ოროგენული ფაზისების ხანგრძლივობა (საქართველოს მაგალითზე)” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, 2012, 100-110, ინგლისურ ენაზე).

ოროგენული (დანაოჭების) ფაზისების დროს წარმოქმნილი ნალექების ლითო-ფაციისური ანალიზის საფუძველზე განხილულია მეზოზოურ პერიოდში მიმდინარე სედიმენტაციური პროცესები, პალეოგეოგრაფიული და სტრუქტურული ცვლილებები. დანაოჭების ყველა ფაზისს თან ახლდა სინოროგენული რეგრესიული წარმონაქმნები, რომლებიც ტექტონიკური მოძრაობების გააქტიურების პირდაპირ შედეგს და დროში მათი ხანგრძლივობის საზომს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილ მეზოზოურ ოროგენულ ფაზისებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩეგე-

მური დანაოჭება იყო. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ის ძირითადი მორფო-სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვნად განაპირობეს რეგიონის თანამედროვე გეოლოგიური აგებულების ბუნება. რეგრესიული ნალექების ასაკის და გეოქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით აღნიშნულ სტატიაში პირველად განისაზღვრა მეზოზოური ოროგენული ფაზისების სავარაუდო ხანგრძლივობა.

2) „გეოლოგიური კატასტროფები და მოვლენათა ნალექები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონგრესი „თანამედროვე ცივილიზაციის ბუნებრივი კატაკლიზმები და გლობალური პრობლემები“, სტამბოლი, თურქეთი, 2012, 217-224, ინგლისურ ენაზე).

გეოლოგიურ წარსულში მომხდარი კატასტროფული მოვლენების ერთ-ერთ ინდიკატორს მოვლენათა ნალექები წარმოადგენს. მათი საშუალებით შესაძლებელია ძველი კატასტროფული პროცესების დადგენა და იმდროინდელი პალეოგეოგრაფიული და ტექტონიკური პირობების აღდგენა. კავკასიაში მოვლენათა ნალექების კარგ მაგალითს ზედაეოცენური ასაკის ქაოსური აგებულების ოლისტოსტრომები წარმოადგენს, რომლებიც ვიწრო ზოლის სახით კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გაგრცელებული ფლიშური ნალექების ფრონტალური შეცოცების ხაზის გასწვრივ.

ალპურ ნაოჭა სისტემაში არსებულ (შვეიცარიისა და საფრანგეთის ალპები, დინარიდები) ანალოგიურ ქაოსური აგებულების ნალექებთან (ოლისტოსტრომები, ველური ფლიში) შედარების შედეგად ირკვევა, რომ კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე გაგრცელებულ მოვლენათა ნალექები სინქრონულ წარმონაქმნებს წარმოადგენს და მათი გენეზისი მთელ ალპურ სისტემაში განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ კატასტროფული პროცესებით (მიწისძვრები, მეწყრული მოვლენები და

სხვ.), რომლებიც თან ახლდა პირენეულ ოროფაზისს გვიან ეოცენურის მეორე ნახევარში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით შენგელია სტატიები

1) „ახალი მონაცემები ძირულის კრისტალური მასივის (საქართველო) ორთოკლაზიანი გაბროს ფორმირებისა და ასაკის შესახებ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №3, 2012, 75-82, ინგლისურ ენაზე).

ძირულის კრისტალური მასივის ორთოკლაზიანი გაბრო (რიკოთიტი) აერთიანებს სხვადასხვა გენეტური ჯგუფის ქანს: გაბროული ინტრუზივის პროტოლითს, ჰიბრიდულ ქანს – კალიშპატიან გაბროს და ლეიკოკრატულ კვარც-მინდვრის შპატიან წარმონაქმნებს. სამივე გენეტური ჯგუფის ქანი დათარიდებულია ცირკონების U-Pb, LA, ICP, MS მეთოდით. გაბროული ინტრუზივის პროტოლითში და ჰიბრიდულ კალიშპატიან გაბროში განვითარებული ცირკონების ასაკი, შესაბამისად 221.4 ± 1.9 Ma და 221.9 ± 2.2 Ma, აფიქსირებს ინტრუზივის კრისტალიზაციის დროს, ხოლო ლეიკოკრატული კვარც-მინდვრის შპატიანი წარმონაქმნების – ცირკონების ასაკი 323 ± 2.9 Ma, ასევე კალიშპატიანი გაბროს ცირკონების მემვიდრეობითი გვიანვარისკული ასაკი 323 ± 9 , 329 ± 8.3 , 332 ± 10 და 335 ± 11 Ma პასუხობს ძირულის კრისტალურ მასივში ფართოდ წარმოდგენილი გვიანვარისკული გრანიტოიდების ფორმირების ასაკს.

2) აკად. ეგამყრელიძესთან თანაავტორობით. „პატკასიის ალპურისწინა გეოდინამიკა, მრავალსტადიური რეგიონული მეტამორფიზმი და გრანიტოიდული მაგმატიზმი“ (საერთაშორისო კონგრესის – „თანამედროვე ცივილიზაციის ბუნებრივი კატაკლიზმები და გლობალური პრობლემები“ შრომათა კრებული, სტამბოლი,

თურქეთი, 2012, 208-217, ინგლისურ ენაზე) (ანობაცია იხ. გვ. 55).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ ჭელიძე
სტატიის

1) „სეისმური ხმაურის სკეილინგის პარამეტრები დოკუმენტური სეისმური აქტივობის სხვადასხვა დონის პირობებში: ონის სეისმური სადგურის მაგალითი“ (თანაავტორობით; Acta Geophysica. v. 60, №3, 2012, 809-832, ინგლისურ ენაზე).

სოციალური და სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი გამოწვევაა სეისმური ხმაურის დინა-
მიკური თვისებების შესწავლა. ონის სეისმურ სად-
გურში ჩაწერილია სეისმური ხმაურის სკეილინგის
დეტალები. ამისთვის გამოყენებულია ტრენდმოცილე-
ბული ფლუქტუაციებისა და მულტიფრაქტალური ტრე-
ნდმოცილებული ფლუქტუაციების ანალიზის მეთოდე-
ბი. მონაცემები ისე იქნა შერჩეული, რომ ისინი შეე-
საბამებოდა ლოკალური სეისმური აქტივობის სხვადა-
სხვა დონეს. ნაჩვენებია, რომ ლოკალური სეისმური
ხმაურის სკეილინგის პარამეტრები შესამჩნევად გან-
სხვავებულია სეისმურად აქტიურ და შედარებით
წყნარ პერიოდებში.

2) „სამხრეთ კავკასია-თურქეთის ენერგეტიკული დერეფნის სეისმური საშიშროების შეფასება“ (თანა-ავტორობით; In: NATO Science for Peace and Security Series - E: Human and Societal Dynamics. „Correlation Between Human Factors and the Prevention of Disasters“, v. 94, 2012, 96 – 111).

ნატო-ს პროექტი მიზნად ისახავს მიღსადენების სეისმური საშიშროებისა და რისკის შეფასების სრულყოფას. პროექტის ძირითადი მიზნებია: 1) სეისმური საშიშროების შეფასება აზერბაიჯანში, საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში; 2) მიღსადენების

ბის სეისმური უსაფრთხოების შეფასება; 3) სეისმური რისკის მონიტორინგისა და მიზიგაციის ეფექტური სტრატეგიების განვითარება; 4) მსოფლიოს ამ რეგიონში გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესება.

3) „1960-2010 წლებში დროითი სეისმური რყევების შესწავლა კავკასიაში“ (თანაავტორობით; Investigation of the temporal fluctuations of the 1960-2010 seismicity of Caucasus. Nat. Hazards Earth Syst. Sci., 12, 2012, 1905–1909, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია 1960-2010 წლებში კავკასიის სეისმურობის კლასტერიზაცია დროში. ანალიზი გაკეთდა ალან-ფაქტორის მეთოდით სრულ და აფტერშოკებიდან გაწმენდილ კატალოგებზე, რაც საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ და რაოდენობრივად შევაფასოთ დროითი კლასტერიზაცია წერტილობრივ პროცესებში. მიღებული შედეგები შემოწმებულია ორი სუროგატული მეთოდის გამოყენებით: შემთხვევითი შაფლინგისა და პუასონური მწკვრივების მიმდევრობის გენერაციით.

4) „არქეოგეოფიზიკა – ახალი პერსპექტივები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 2012, 50-61).

მოყვანილია არქეოგეფიზიკის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა მსოფლიოსა და საქართველოში.

მოცემულია მთავარი არქეოგეფიზიკური მეთოდების: გეორადარის, მაგნიტური და ელექტროძიების საფუძვლები. გაანალიზებულია არქეოგეფიზიკური ძიების შედეგები შირაქსა (გეორადარი) და არმაზციხე-ბაგინეთში (ელექტროძიება).

5) „შეცდომები და სინამდვილე კატასტროფების რისკების გლობალურ და რეგიონულ შეფასებებში (Journal of Georgian Geophysical Society, 15 A, 2011-2012).

ბოლო წლებში ბუნებრივი კატასტოფების გამო მსოფლიოში უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი და ასიათასობით მსხვერპლი დაფიქსირდა. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი კატასტოფების რისკების სწორი შეფასება, რათა გამოვლინდეს „ცხელი წერტილები“, ანუ ამა თუ იმ საშიშროებისათვის ყველაზე მოწყვლადი უბნები. სამწუხაროდ, ავტორები ხშირად მცდარ შეფასებებს აკეთებენ, რაც აიხსნება მომხდარი კატასტოფების შესახებ არასრული ან არასწორი ლოკალური ინფორმაციის გამოყენებით. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ზოგიერთი შეცდომა, რომელიც დაშვებულია კატასტოფების რისკების გლობალურ და რეგიონულ შეფასებებში, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში. საშიშროებები და რისკები საქართველოსთვის დათვლილია ხელახლა წარმომადგენლობითი ლოკალური მონაცემების გამოყენებით.

6) „კლიმატის ცვლილება საქართველოში; სტატისტიკური და არატრაფივი დინამიკის პროგნოზები“ (თანაავტორობით; Journal of Georgian Geophysical Society, 15 A, 2011-2012).

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს, ისე, როგორც მთელს კავკასიას, ემუქრება მრავალი უარყოფითი ეფექტი. მიუხედავად იმისა, რომ ადრე ჩატარდა კლიმატის ცვლილების გარკვეული კვლევა, შედეგები მაინც სადაც რჩება. წარსულში, აწმუოსა და მომავალში კლიმატის ცვლილების სანდო შეფასებებისათვის გამოყენებულია მონაცემთა ანალიზის თანამედროვე სტატისტიკური და არატრაფივი დინამიკის მეთოდები.

7) „დიდი კაშხლების რეალურ დროში მონიტორინგის სისტემა და კაშხლის დინამიკის ანალიზის ახალი მეთოდები“ (თანაავტორობით; Journal of Georgian Geophysical Society, 15 A, 2011-2012).

შექმნილია ადრეული შეტყობინების ტელემეტრიული სისტემა კაშხლების დიაგნოსტიკისათვის (DAM-WATCH). იგი შედგება სენსორებისაგან (დახრისმზომებისაგან), ტერმინალური და ცენტრალური კონტროლერებისგან, რომელიც შეერთებულია GSM/GPRS მოდემით დიაგნოსტიკურ ცენტრთან. კაშხლის დახრების გაზომვები შედარებულია სასრული ელემენტების მეთოდით მიღებულ თეორიულ დეფორმაციებთან. გარდა ამისა, თანამედროვე არაწრფივი ანალიზის მეთოდების დახმარებით, რაოდენობრივად შესწავლილია კაშხლების დინამიკის დეტალები კაშხლის ვიბრაციების ჩანაწერების გამოყენებით. შემნილია შესაბამისი პროგრამების პაკეტი (DAMTOOL). დაკვირვებითი და თეორიული მონაცემების განსხვავება შეიძლება გამოწვეული იქნას ობიექტის არამდგრადობით. სისტემის ექსპლუატაციის დროს მიღებულია კაშხლის დახრების გრძელ- და მოკლევადიანი საინტერესო პატერნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაშხლების დიაგნოსტიკისათვის.

აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე მონაწილეობდა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში:

– „სეისმური საშიშროების შეფასება სამხრეთ კავკასია-თურქეთის ენერგეტიკული დერეფნისთვის“ (NATO – SFP 983038, 2009-2012);

– „მიწისძვრების წინასწარმეტყველების შესაძლებლობები. სეისმურობისა და კლიმატის ცვლილების კორელაციები“ (BlackSeaHazNet, FP-7. Marie Curie Actions-International Research Staff Exchange Scheme (IRSES) PEO- PLE- 2009-IRSES #246874, 2009-2013).

აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე 2012 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „მიწისძვრების რისკის მოდელი ახლო აღმოსავალეთის რეგიონში“ (ამანი, იორდანია);

– ორი მოხსენება – „პავკასიის ღრმა სტრუქტურა და 3D თერმოგეოდინამიკა გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით“ და „დიდ რეზივუარებში წყლის დონის ვარიაციების გავლენის ანალიზი ლოკალურ სეისმურ აქტივობაზე რეკურენტობის რაოდენობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით“ (ევროპის გეომეცნიერთა კავშირის გენერალური ასამბლეა, ვენა, ავსტრია);

– „საქართველოს ცენტრის პროექტების წარდგენა 2012-2013 წლებისათვის“ (სპეციალიზებული ცენტრის დირექტორების ყოველწლიური შეხვედრა, რაგელო, იტალია);

– „საქართველოს ცენტრის მიერ 5 პროექტის ხაზით შესრულებული სამუშაოების წლიური ანგარიშის წარდგენა“ (სპეციალიზებული ცენტრის დირექტორების ყოველწლიური შეხვედრა, პარიზი, საფრანგეთი).

აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე არის: ამერიკის გეოფიზიკური კავშირის (AGU), საბიუბო გეოფიზიკის საზოგადოების (SEG), უკრაინის „გეოფიზიკური ურნალის“ რედკოლეგიის, საერთაშორისო ურნალის „Disaster Advances“ რედკოლეგიის წევრი, ევროპული ცენტრის „მაღლივი კაშლების გეოდინამიკური რისკი“-ს დირექტორი, კატასტროფების რისკის შემცირების საქართველოს ეროვნული კომიტეტის და გეოდეზისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის (IUGG) საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებამ საანგარიშო წელს ჩატარა განყოფილების 7 სხდომა, რომლებზეც განხილული იყო სხვადასხვა საკითხები, მათ შორის, მოსმენილი იყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებები.

2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოაცხადა გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები. განყოფილების მიერ მიხეილ ნოდიას სახელობის პრემიაზე გეოფიზიკის დარგში წარდგენილი იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები ავთანდილ კორძაძე და დემურ დემეტრა-შვილი, ხოლო ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემიაზე გეოლოგიის დარგში – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ კაკაბაძე.

განყოფილებაში შემოვიდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 2011 წლის სამეცნიერო ანგარიშები, რომლებსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა. შეფასება არ მიეცა გორისა და ქუთაისის უნივერსიტეტების ანგარიშებს, აგრეთვე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოფიზიკისა და იონოსფეროს ლაბორატორიის ანგარიშს, ხოლო თსუ-ის გეოლოგიის დეპარტამენტის ანგარიში არ შეფასდა, ვინაიდან ყველა თემა იყო გარდამავალი. დანარჩენმა ანგარიშებმა დადგითი შეფასება მიიღო.

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 12 წევრი, მათ შორის 3 აკადემიკოსი და 9 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს 2 სახელმძღვანელო და 33 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე

სტატიები

1) „არააუცილებლად ამოზნექილ სიმრავლეთა განცალებადობა“ (თანაავტორობით; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2012, №16, 7-30).

ფუნქციონალური ანალიზიდან ფართოდ არის ცნობილი ხანი-ბანახის თეორემა მოცემული სივრცის ქვესიმრავლებები განსაზღვრული წრფივი ფუნქციონალის მთელ სივრცეზე განვრცობის შესახებ. აღნიშნული თეორემიდან გამომდინარეობს ფუნდამენტური დებულებები წრფივ სივრცეში ამოზნექილ სიმრავლეთა განცალებადობის შესახებ. თვით აღნიშნული თეორემა და მისგან გამომდინარე გეომეტრიული შედეგები უდიდეს როლს თამაშობს მათემატიკის მრავალ დარგში, კერძოდ, ოპტიმიზაციის თეორიაში. ერთიანი პოზიციიდანაა განხილული ხანი-ბანახის თეორემის გეომეტრიული ფორმის შესაძლო გაფართოება არააუცილებლად ამოზნექილი სიმრავლეების განცალებადობის შესახებ არააუცილებლად წრფივი ფუნქციონალის საშუალებით. აღნიშნული არაწრფივი ფუნქციონალი აგებულია კონსტრუქციულად. შედეგების გამოყენება შეიძლება ვექტორული და არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების სკალარიზაციისა და სხვა საკითხების შესწავლისათვის.

2) „არაწრფივი სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაცია ბლოკურად ორიენტირებული მოდელების გამოყენებით“ (თანაავტორობით; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2012, №16, 31-36, ინგლისულ ენაზე).

განხილულია არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა უწყვეტი ბლოკურად ორიენტირებული მოდელების, ადრე განხილულთან შედარებით უფრო „დიდ“ სიმრავლეზე სისტემის შესავალი პერიოდული ზემოქმედებების დროს. შემუშავებულია მოდელის სტრუქტურის განსაზღვრის კრიტერიუმი.

3) „ჩაკეტილციკლიანი არაწრფივი დინამიკური სისტემების იდენტიფიკაცია“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვეყნებლად უურნალში „Information Technology and Decision Making“, აშშ, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ჩაკეტილციკლიანი არაწრფივი უწყვეტი დინამიკური სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაცია უწყვეტ ბლოკურად ორიენტირებულ მოდელებზე უკუკავშირით. შემოთავაზებულია სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდი მყარ მდგომარეობაში, რომელიც დაფუძნებულია სისტემაში შემავალი პერიოდული ზეგავლენებისას შემავალი და გამომავალი ცვლადების განხილვაზე. სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ალგორითმები გამოკვლეულია როგორც თეორიული ანალიზის, ასევე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

აკად. მ.სალუქვაძის მონაწილეობით სრულდებოდა სტუ-ის ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო თემა – „ოპტიმიზაციის ზოგადი ამოცანებისა და რიცხვითი დიალოგური მეთოდების დამუშავება“.

აკად. მ.სალუქვაძის ხელმძღვანელობით საქართველოს მცხოვრებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა პროფ. გიორგი ჩიკოძის მონოგრაფიის – „Систематизация значений некоторых классов языковых единиц“ განხილვა-პრეზენტაცია.

აკად. მ.სალუქვაძის მთავარი რედაქტორობით გამოიცა სტუ-ის ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული: „მართვის თეორია, მართვის სისტემები, ინფორმატიკა“, №16. კრებული შეიცავს 41 სამეცნიერო სტატიას ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე.

აკად. მ.სალუქვაძე არის საერთაშორისო ჟურნალის „Information Technology and Decision Making“ (გამოიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში World Scientific-ის მიერ) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

იგი ასრულებდა ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერინგებული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მთავარი რედაქტორის მოვალეობას.

აკადემიკოსი ვახტანგ ჭიჭინაძე

სტატია

„მდინარე ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების აუცილებლობა და მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების შესახებ“ (თანაავტორობით; სტუ-ის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2012, №16, 106-110).

განხილულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების დღევანდებული დონე. ნაჩვენებია, რომ ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ საქართველო მკვეთრად ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. აღნიშნულია, რომ ელექტროენერგეტიკის განვითარება საქართველოში უნდა მოხდეს, ძირითადად, ჰიდროენერგეტიკის ათვისების ხარჯზე.

გაანალიზებულია მდინარე ენგურის პიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების არსებული სქემა

და ამ სქემის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ნაჩვენებია, რომ ენგურის ჰიდროენერგოპოტენციალის ათვისებას წყალსაცავიანი ჰესებით აღტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ ამასთან ერთად, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ გაბრიჩიძე სტატია

„ნაგებობის რეალური სეისმური რესურსის შესაფასებლად სუსტი რყევების გამოყენების ერთი მათემატიკური მოდელი და ალგორითმი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, 2012, ინგლისურ ენაზე).

სუსტი რყევებისას ნაგებობის ქცევის შესწავლა მისი რეალური ტექნიკური მდგომარეობის შესაფასებლად, ან მისი დინამიკური მახასიათებლების დასადგენად, ფართოდ გავრცელებული მეთოდია მთელ მსოფლიოში. იგი გამოირჩევა თავისი სიიაფით, მობილურობით, თუმცა გააჩნია გარკვეული შეზღუდვებიც. საქმე ისაა, რომ სუსტიდან რეალურზე გადასვლის პროცედურა არ არის ცალსახად განპირობებული და გარკვეულ დაშვებებს ემყარება. ამის გამო, რომ პრაქტიკაში ამ მიღების გამოყენებისას, სუსტი რყევების დროს ნაგებობაზე ექსპერიმენტული დაკავირვებისას მოპოვებული მასალის გადამუშავების სხვადასხვა ალგორითმებსა და ტექნოლოგიებს გვთავაზობენ, რაც ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის, კერძოდ, მისი სეისმომედეგობის განსხვავებული შეფასების ალბათობას ქმნის. შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ალგორითმი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს, თუ რო-

გორ უნდა გადამუშავდეს სუსტი ზემოქმედების დროს ჩაწერილი გადაადგილებები, რომ დასაბუთებულად ვიმსჯელოთ შენობის ქცევაზე მის ფუძეში რეალური სეისმური ტალღის (სეისმოგრამის) გავლისას.

აკად.წევრ.კორ. გ.გაბრიჩიძე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მესამე ყოველწლიურ კონფერენციაზე (თბილისი).

მან აკადემიურ საბჭოზე გააკეთა მოხსენება „ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების „Trans Electricas"-ის მიერ დამუშავებული დოკუმენტის განხილვა”.

აკად.წევრ.კორ. გ.გაბრიჩიძემ მოამზადა სამშენებლო დარგთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამა და მეცნიერების განვითარების კონცეფცია, რომელიც გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი გოგიაშვილი

სტატიები

1) „მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები” (ჟურნალი „ინტელექტი”, №3(44), თბილისი, 2012, 64-65, რუსულ ენაზე).

განხილულია მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარების მართვის სისტემისა და განაწილებული მონაცემთა ბაზის საგნობრივი არის ორგანიზაციის საკითხები და არასანქცირებული შეღწევისაგან დაცვის სისტემების დამუშავების ძირითადი ამოცანები.

2) „უსადენო ქსელების ნაირსახეობები და გამოყენების მეთოდები” (ჟურნალი „ინტელექტუალი” №19, თბილისი, 2012, 256-261).

წარმოდგენილია ძირითადი ცნებები უსადენო კომპიუტერული ქსელების ტექნოლოგიებისა და კომპონენტების შესახებ. აღწერილია მათი სტრუქტურის თავისებურებები და გამოყენების მეთოდები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით თავხელიძე

სტატიები

1) „ორი თავისუფლების ხარისხის ხუთრგოლა მექანიზმის გეომეტრია“ (თანაავტორობით; Journal of mathematical Sciences-Springer, №186, issue-5, Nov. 2012, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი ეძღვნება ორი თავისუფლების ხარისხის ხუთრგოლა მექანიზმის პირდაპირი და ინვერსიული გეომეტრიული ამოცანების ამოხსნას. ამოცანის ამოხსნა დაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განსაზღვრულია მოცემული მექანიზმის მიმყოლი რგოლის კოორდინატები, ხოლო მეორე მხრივ ამოხსნილია ამოცანა, სადაც განსაზღვრულია მიმყოლი რგოლის მდებარეობა, როდესაც მოცემულია შემავალ რგოლთა მობრუნების კუთხის მნიშვნელობები. განხილული ამოცანების გადაწყვეტა დაფუძნებულია ერთგვაროვანი კოორდინატების გამოყენებაზე. მიღებული მოძრაობის განტოლების საფუძველზე შეიძლება გამოვითვალოთ როგორც მიმყოლი რგოლის მოძრაობის ტრაექტორიები, ასევე ამძრავის ბრუნვის კუთხეები, თუ გავითვალისწინებთ მექანიზმის წინასწარ მოცემულ კინემატიკურ პარამეტრებს. გაანგარიშებულია განხილული მექანიზმის რგოლების სიჩქარისა და აჩქარების მნიშვნელობები. გამოთვლები განსხვავდება ცნობილი მეთოდებისგან სიმარტივით და მაღალი ეფექტურობით, რაც გამოიყენება რგოლების შეუღლებებში განლაგებულ ამძრავთა პროგრამირებისთვის.

2) „ხუთორგოლა ბრტყელი ბერკეტული მექანიზმის კინეტისტატიკა“ (თანაავტორობით; სტუ-ის 90 წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ შრომები, ტ. I, 2012).

განხილულია მოძრაობის ორი თავისუფლების ხარისხის მქონე ხუთორგოლა მექანიზმის კინეტისტატიკური ამოცანის ამოხსნის მეთოდოლოგია რგოლებზე დაყვანილი ინერციის მომენტების განსაზღვრის საფუძველზე. აღნიშვნული ამოცანის ამოხსნისას გამოყენებული იქნა ხუთორგოლა მექანიზმის კინემატიკური ანალიზისა და სინთეზის პრობლემების გადაჭრის შედეგები და ენერგეტიკული მეთოდი, რომელთა საფუძველზეც მიღებული მარტივი გამოსახულებები ამოხსნილი იქნენ რიცხვითი მეთოდებით კომპიუტერის საშუალებით.

3) „მთის ქანების პლაზმამექანიკური ბურდვის მოწყობილობა“ (თანაავტორობით; სტუ-ის 90 წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ შრომები, ტ. I, 2012, ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია მთის მყარი ქანების თერმომექანიკური ბურდვის დანადგარი, რომელიც ადჭურვილია მუშაობის გაზრდილი რესურსის მქონე ირიბი მოქმედების პლაზმატრონით და სპეციალური მოწყობილობით, რომელიც მიერთებულია პლაზმაწარმომქმნელი გარემოსა და გამაცივებელი წყლის მიმწოდებელ სისტემასთან. სპეციალური მოწყობილობის საშუალებით პლაზმური რკალის გარშემო წარმოიქმნება მთის ქანების გამაცივებელი წყლის ფარი. ქანების მყისერი გაცივება განაპირობებს მათში ბზარების გაჩენასა და შემდგომ ნგრევას. პლაზმატრონის კონ-

სტრუქტიდა უზრუნველყოფს ელექტროდის გადაადგი-
ლებას ვერტიკალური მიმართულებით და რკალის სა-
იმედო აღგზებას ელექტროდის საქმენთან შეხებისას.

4) „მოძრაობის ორი თავისუფლების ხარისხის
ხუთრგოლა ბერკეტული მექანიზმის კომპიუტერული
ვიზუალიზაცია (თანაავტორობით; სტუ-ის 90 წლის-
თავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის – „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და
ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმე-
ბი“ შრომები, ტ. I, 2012, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მოძრაობის ორი თავისუფლების
ხარისხის ხუთრგოლა მექანიზმების ვიზუალიზაციის
ამოცანის ამოხსნის საკითხები, რომლის საფუძველს
წარმოადგენს MATLAB-ის პროგრამული უზრუნველ-
ყოფა, სადაც რგოლების დისკრეტიზაციის საშუალე-
ბით წარმოებს სხვადასხვა კონფიგურაციის მქონე
მექანიზმის რგოლების ვიზუალური მოდელირება. ად-
ნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია მექანიზმების
მოძრაობის თავისებურებების თვალსაჩინოდ დანახვა
და, ასევე, გამაგალი რგოლის მოძრაობის დაგეგმილი
ტრაექტორის ცდომილების შეფასება.

5) „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რო-
გორც ქვეყნის საინჟინრო შემოქმედების ძირითადი
ცენტრი“ (სტუ-ის სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნა-
ლი „პარალელი“, №4, თბილისი, 2012).

აკად.წევრ-კორ. დ.თავესელიძეს თანაავტორებთან
ერთად გაკეთებული აქვს ორი განაცხადი გამოგონე-
ბაზე:

– „სპეციალური საჭიროების მქონე პირების გა-
დასაადგილებელი კიბეზე მავალი სატრანსპორტო სა-
შუალება“ (12/70081/01, 2012);

– „მყარ საწვავზე მომუშავე წყალგამაცხელებე-
ლი პიროლიზური ქვები“ (12/732/01, 2012).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა მექმარიაშვილი

სტატიები

1) „მექანიკური ძალოვან რგოლიანი რეფლექტორის კონსტრუირების ლოგიკა“ (ქ. „მექანიკის პრობლემები“, №4(49), ობილისი, 2012, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ახალი ტიპის მექანიკური ძალოვანრგოლიანი რეფლექტორების კონსტრუირების ლოგიკა. საუკეთესო ვარიანტის შექმნის მიზნით ჩატარებულია ურთიერთგამომდინარე ეტაპობრივი ანალიზი. ძირითადი კრიტერიუმების მեრივ გათვალისწინებულია სიმსუბუქე, კონსტრუქციის მაღალი სიხისტე და სიმარტივე.

2) „ჩასატებლეროებიანი, გასაშლელი, კონუსური რეფლექტორის კონსტრუქცია“ (თანაავტორობით; ქ. „მექანიკის პრობლემები“, №4(49), ობილისი, 2012, ინგლისურ ენაზე).

დასაბუთებულია რომ კონუსური ფორმის ჩასატებლეროებიანი რეფლექტორის შესრულება ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით რეალურია. იგი იხსნება. აღწევს საპროექტო ფორმას. არის მსუბუქი. გააჩნია სიზუსტე. არის მდგრადი და საკმარისი სიხისტეს მქონე.

3) „გასაშლელი ხიდის ტრანსფორმირებადი სისტემის კინემატიკური ანალიზი“ (თანაავტორობით; ქ. „მშენებლობა“, №3(26), ობილისი, 2012, 6-14, ინგლისურ ენაზე).

განხილულია გასაშლელი ხიდის გეომეტრია და ტრანსფორმირებადი სისტემის ძირითადი მექანიზმის ბერკეტული ჯაჭვის კინემატიკური ანალიზი, კერძოდ, განსაზღვრულია მექანიზმის მდებარეობათა ფუნქცია და განმბრჯენი ძალა ხიდის ტრანსფორმაციის ბოლოს. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა აიგოს

სისტემის ტრანსფორმირების სურათი და ვიმსჯელოთ ხიდის გაშლის დინამიკაზე.

4) „რეფლექტორული ანტენის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა“ (თანაავტორობით; ჟ. „მექანიკის პრობლემები“, №4(49), თბილისი, 2012, 71-83, ინგლისურ ენაზე).

მოყვანილია 4 მ აპერტურის მქონე რეფლექტორის თეორიული გაანგარიშების შედეგები და მისი ექსპერიმენტული გამოკვლევა. ექსპერიმენტული კვლევები მოიცავს რეფლექტორზე სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებებს, მისი მდგრადობის შესწავლას და საკუთარი რხევების განსაზღვრას. ექსპერიმენტულ ნაწილში მოყვანილია ზედაპირის სიზუსტისა და მრავალგზის გაშლისას ფორმის განმეორებადობის შედეგები.

სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში, აკად. წევრ-კორ. ემედმარიაშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით დამთავრდა სამუშაოები, რომლებიც შეეხებოდა: ახალი თაობის დიდ გასაშლელ, ჩასატეხდეროებიან კოსმოსურ რეფლექტორებს და ახალი ტიპის, გაზრდილმალიან საიერო ხიდს.

აკად.წევრ-კორ. ემედმარიაშვილი მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

— ეგროპული კოსმოსური სააგენტოს დიდი გასაშლელი ანტენების კონფერენციაზე წარადგინა 6 მოხსენება (თანაავტორობით; ნორდვილი, ნიდერლანდები);

1) „ორმაგ პანტოგრაფიანი გამშლელი ძალოვანი რგოლით შექმნილი რეფლექტორის კონსტრუირების ლოგიკა“;

2) „კონუსური ჩასატებ დეროებიანი რგოლის გაშლის შესაძლო ვარიანტები მოქნილ წინასწარ დაბაზულ ცენტრთან ერთად“;

3) „კონუსური, ჩასატებ დეროებიანი, გამშლელ რგოლიანი რეფლექტორის კონსტრუქცია“;

4) „ორმაგ პანტოგრაფიანი და მოქნილი ცენტრის მქონე რეფლექტორის კონსტრუირება“;

5) „მექანიკური ძალოვანი რგოლის კონსტრუქცია“;

6) „ორმაგი პანტოგრაფის პრინციპით შექმნილი გამშლელი ძალოვანი რგოლისა და მოქნილი ცენტრის მქონე რეფლექტორის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა“.

ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ ევროპა-ტენიზე წარდგენილია აკად.წევრ-კორ. ე.მექმარიაშვილის (თანაავტორებთან ერთად) გამოგონება გასაშლელი რეფლექტორისა და გასაშლელი რგოლის კარგასზე (კლ. H01Q15/20).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა აკად.წევრ-კორ. ე.მექმარიაშვილის მოხსენება „სამხედრო მეცნიერების აქტუალური პრობლემები საქართველოში“, რომელიც წარედგინა საქართველოს თავდაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი არჩილ ფრანგიშვილი

სახელმძღვანელოები

1) „დაპროგრამება ჰასკელზე“ (საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 290 გვ.).

განხილულია ჰასკელი როგორც, ერთ-ერთი წამყვანი ენა ფუნქციონალური დაპროგრამების შესასწავლად. იგი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს წეროს კოდი მარტივად და გასაგებად, დაუუფლოს პროგრამათა დასაბუთებას და სტრუქტურირებას. მოცემული წიგნი ამ ენის პირველი და საყოველთაოდ მისაწვდომი შესავალია ქართულ ენაზე.

2) „დაპროგრამება Haskell ენაზე (მულტიმედიური პრეზენტაცია)“, ელექტრონული სახელმძღვანელო, <http://gtu.ge/learningStu/elBooks.php>, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, 150 გგ).

განხილულია „ჰასკელი“, რომელიც წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების დაპროგრამების წმინდა ფუნქციონალურ ენას და შეიცავს მრავალ უკანასკნელ ინოვაციასა და პროგრამების ენათა დამუშავების სფეროს. ჰასკელი უზრუნველყოფს მაღალი რიგის ფუნქციებს, არამკაცრ სემანტიკას, სტატიკურ პოლიმორფულ ტიპიზაციას, მონაცემთა ალგებრულ ტიპებს, რომლებსაც მომხმარებელი განსაზღვრავს, ნიმუშთან შედარებას, სიების აღწერას, მოდულურ სისტემას, შეტანისა და გამოტანის მონადურ მექანიზმს და მონაცემთა პრიმიტიული ტიპების მდიდარ ნაკრებს სიების, მასივების ნებისმიერი და ფიქსირებული სიზუსტის მთელი რიცხვების, ასევე მცურავწერტილიანი რიცხვების ჩათვლით. ამ ენის ასათვისებლად, სალექციო კურსთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სათანადო ლაბორატორიულ სამუშაოთა პრაქტიკუმს „ფუნქციონალური დაპროგრამების ენა ჰასკელი“.

სტატიები

1) „ძაბვის დამყოფის პარამეტრთა ოპტიმიზაცია სერიული ვარგისიანობის კრიტერიუმით“ (თანაავტორობით; სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამუშაოთა პრაქტიკუმს „ფუნქციონალური დაპროგრამების ენა ჰასკელი“.

– „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ძირითადი პარადიგმები“ შრომები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, ტ. II, გვ.13, რუსულ ენაზე).

აღწერილია ელექტრონული წრედების ელექტრონული პარამეტრების გაანგარიშების ანალიზური მეთოდი ერთ-ერთ კონკრეტულ მაგალითზე. მეთოდს საფუძვლად უდევს მიზნის ფუნქციის მინიმიზაცია. ამ ფუნქციად გამოყენებულია წრედის მასობრივი წარმოებისას მისი გამომავალი მახასიათებლის ცდომილების კვადრატის საშუალო მნიშვნელობა.

2) „მათემატიკური მოდელი ელექტრონული სქემის სერიული ვარგისიანობის მაჩვენებლისათვის“ (თანაავტორობით; სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ძირითადი პარადიგმები“ შრომები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012, ტ. II, გვ. 11, რუსულ ენაზე).

ელექტრონული სქემების სერიული ვარგისიანობის შეფასების აღწერისას, მაშინაც კი, როცა სამუშაო რეჟიმი ფიქსირებულია, არსებობს სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია ამ სქემათა შინაგანი შემაგალი მახასიათებლების სტატისტიკურ დამოკიდებულებასთან. სამწუხაროდ, ეს სიძნელეები არ არის საკმარისად კარგად ცნობილი და ამიტომ წარმოადგენს სპეციალური შესწავლის საგანს მოცემულ ნაშრომში. კვლევა ამომწურავად ჩატარებულია ერთი მარტივი ობიექტის – ძაბვის დამყოფის შემაგალი იმპედანსის – მაგალითზე.

3) „ექსპერიმენტების დაგეგმვა კონსტრუქციებისა და მასალების სტოქასტიკურ მექანიკაში ვეიბულის განაწილების დროს“ (თანაავტორობით; მათემატიკური

მეცნიერების ჟურნალი, გამომცემლობა Springer, გ. 186, №6, 2012, გვ. 8, რუსულ ენაზე).

გამოთვლილია გამოსაცდელად დაყენებული ობიექტების მინიმალური რიცხვი, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ სტატისტიკურ სიზუსტეს შემთხვევითი სიდიდის განაწილებისას ორპარამეტრიანი ვეიბულის განაწილების კანონით. სიზუსტის კრიტერიუმად აღებულია ფარდობითი ცდომილება რისკისა და განაწილების ფორმის პარამეტრის მოცემული მნიშვნელობებისათვის. მანქანურ ექსპერიმენტში შედარებულია განაწილების ფორმის პარამეტრის ორი მეთოდი – უმცირეს კვადრატთა და მაქსიმალური დამაჯერებლობის. ჩამოყალიბებულია პრაქტიკული რეკომენდაციები მათი რაციონალური გამოყენებისათვის, მაგალითად, სტრუქტურულად არაერთგვაროვან კონსტრუქციათა რდვევის (დაშლის, ნგრევის) სტრუქტიკურ მექანიკაში.

4) „ფორმალური ნეირონი და მისი ადაპტაციის მოდელები დარეზერვების თეორიაში“ (თანაავტორობით; სამეცნიერო კონფერენციის – „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა – 2010“ შრომები, ნიუ-იორკი, აშშ, გამომცემლობა: „Nova Science Publishers“, 2012, ISBN: 978-1-61324-870-6. გვ. 9, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ზღურბლური ტიპის გადამწყვეტი ორგანოს ადაპტაციის საკითხი, მისი წონების მართვის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ამ წონების მოყვანასთან შესაბამისობაში თრგანოში შემავალი საინფორმაციო არხების შეცდომათა ალბათობებთან. ადაპტაციის ხასიათი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წონათა არჩევის სტრატეგიაზე, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც ციკლურად შედარებათა გარკვეული რაოდენობის შემდეგ, ასევე დროის ყოველ სატაქტო მომენტში წონებისათვის სათანადო ნაზრდის მინიჭებით. გარდა ამისა, აწყობას

შეიძლება ადგილი პქონდეს დროის შემთხვევით მო-
მენტებში, როცა ზღურბლური ელემენტის შემავალი
საინფორმაციო არხები გარკვეულ, წინასწარ დათ-
ქმულ, კრიტიკულ მდგომარეობას მიაღწევს. მეორე
მნიშვნელოვანი ნიშნის როლს უკუკავშირი ასრულებს.

5) „ხმის მიცემის ბიომეტრიული სისტემა” (თანა-
ავტორობით; სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების
განვითარების ძირითადი პარადიგმები” შრომები, ტ. II,
თბილისი, 2012, გვ. 11).

წარმოდგენილია ხმის მიცემის პროცესის ბიომეტ-
რიულად წარმართვის მოდელი. მოყვანილია ხმის მი-
ცემის ბიომეტრიული სისტემის ორი არქიტექტურა და
მოცემულია მათი შედარებითი ანალიზი. შემოთავაზე-
ბულია ლოკალური დანიშნულების საარჩევნო სის-
ტემა, რომელიც ამომრჩევლის ბიომეტრიულ იდენ-
ტიფიცირებას იყენებს რეგისტრირების ეტაპზე, ხოლო
ხმის მიცემა თავისუფალია და ხორციელდება ელექ-
ტრონული ბიულეტენის გამოყენებით. განხილულია
სისტემის ფუნქციონირების ზოგიერთი ალგორითმი.

6) „მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონუ-
ლი სისტემა უმაღლესი განათლების ინსტიტუციებში”
(თანაავტორობით; Nova Science Publishers. Part 2. Control
Theory Series: Computer Science, Technology and Applications
Nova Science Publishers, ნიუ-იორკი, აშშ, 2012, გვ. 9, ინგ-
ლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია სისტემის აგების „დია რეგის-
ტრაციის” და „დახურული რეგისტრაციის“ ალტერნა-
ტიული არქიტექტურები და მოცემულია მათი შე-
დარებითი ანალიზი. „დახურული რეგისტრაცია“ გუ-
ლისხმობს პედაგოგის მიერ მეცადინეობის ჩატარების
კონფიდენციალურ აღრიცხვას. უმუალოდ რეგისტრა-
ციის პროცესი ხორციელდება პედაგოგის მიერ სა-

ჯარო კონტროლის გარეშე „დია რეგისტრაცია” გულისხმობს პედაგოგის მიერ რეგისტრაციის პროცესის გავლის საჯაროობას, რაც ხორციელდება სხვა პედაგოგის (ან საზოგადოების) მეთვალყურეობით.

7) „ბიზნეს-პროცესების მოდელირების თანამედროვე კონცეფციები: მეტამოდელირება, ინტეგრაცია, იმპლემენტაცია” (თანაავტორობით; სტუ-ის შრომები „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(11), თბილისი, 2012, გვ. 7, [http://gtu.ge/jurnalebi/mas/Referat/2011\(2-11\)/15-21.pdf](http://gtu.ge/jurnalebi/mas/Referat/2011(2-11)/15-21.pdf)).

გადმოცემულია ბიზნეს-პროცესების მოდელირების, მეტამოდელირების, მოდელების ინტეგრაციისა და იმპლემენტაციის არსებული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის თანამედროვე კონცეფციები. განხილულია მეტამოდელირების პრინციპების, სერვისორიენტირებული და პროცესზე ორიენტირებული ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა. ყურადღება ექცევა ასევე ბიზნეს-პროცესების მოდელირების ინსტრუმენტული საშუალებების ხარისხის სრულყოფის საკითხებს.

8) „ექსპერტების ფაზი შეფასებების აგრეგირების ერთი მიღგომის შესახებ“ (თანაავტორობით; მსოფლიო მეცნიერთა და ინჟინერთა ასოციაციის მესამე საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებით ინფორმატიკასა და კომპიუტერულ თეორიაში, ბარსელონა, ესპანეთი, 2012, გვ. 5, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ექსპერტთა შეფასებების აგრეგირების ახალი მეთოდი, როდესაც ეს შეფასებები წარმოდგენილია ტრაპეციული ფაზი რიცხვების სახით. შემოთავაზებული მიღგომა ეყრდნობა მეტრიკულ საფუძველს და კონსენსუსის მიღწევის საშუალებას იძლევა. შემოთავაზებულია ექსპერტთა მნიშვნელობის (წონის) ხარისხის დადგენის ახალი მეთოდი. წარმოდგენილი მიღგომა მართებულია ტრაპეციული ფაზი

რიცხვების სიმრავლეზე მოცემული მეტრიკების მთელი კლასისათვის. აღნიშნული მიდგომის ჩარჩოებში შემოთავაზებულია აგრეგირების სპეციალური ოპერატორი.

9) „ელექტრული წრედების ტენზორულ-გეომეტრული მოდელის დასაბუთება: ალგებრულ-ტოპოლოგიური მიდგომა” (თანაავტორობით; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, „გამომცემლობა Nova”, 2012, ISBN 978-1-61324-870-6, თავი 48, 441-450, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია, რომ ნებისმიერ ელექტრულ წრედს შეესაბამება შეუდლებული წრფივი ვექტორული სივრცის ორი წყვილი. ერთ-ერთი ამ წყვილებიდან გენერირებულია აპომოლოგიური ჯგუფის მიერ, იმ დროს, როცა მეორე – კოპომოლოგიური ჯგუფის მიერ. პომოლოგიური წყვილის განზომილება უდრის პომოლოგიურად დამოუკიდებელი ციკლების რაოდენობას – k, ხოლო კოპომოლოგიური წყვილის განზომილება – წვეროების წყვილების მინიმალურ რაოდენობას – m-1. დამტკიცებულია, აგრეთვე, რომ წრედის შემავალი სიმძლავრე წარმოადგენს ინგარიანტს შეუდლებული წრფივი ვექტორული სივრცეების გარდაქმნის მიმართ. სიმძლავრის ინგარიანტობა საშუალებას გვაძლევს ავაგოთ ორთოგონალური წრედების ტენზორული მოდელი.

10) „მრავალგანზომილებიანი წრედების საკუთარი მნიშვნელობების გენერალიზირებული პრობლემის ამონენის მეთოდი, II” (მათემატიკური მეცნიერების უურნალი, გამომცემლობა Springer, გ. 186, №5, 2012, 4 გვ., ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი ეძღვნება მსხვილმასშტაბიანი ელექტრული წრედების ახალი ტენზორულ-გეომეტრიული თეორიის დამუშავებას და დასაბუთებას. აგრეთვე, შემოთავაზებულია ზემოაღნიშნული წრედების საკუთარი

მნიშვნელობების სრული ამოცანის ამოხსნის ახალი მეთოდი. ელექტრული წრედები წარმოადგენენ კონცენტრირებული პარამეტრების მქონე რხევითი სისტემების მაგალითს. მათი საკუთარი მნიშვნელობების და საკუთარი გაქტორების ამოცანა, ერთი მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მათემატიკურ ფიზიკაში და რხევების თეორიაში, მეორე მხრივ, უნივერსალურია იმის გამო, რომ მას გააჩნია მრავალი სხვადასხვა გამოყენება.

11) „ახალი ტიპის პლაზმური რეაქტორი ძრავა-პლაზმური რეაქტორი“ (თანაავგორობით; სტუ-ის და-არსებიდან 90 წლისთვისადმი მიღლვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ შრომები, თბილისი, 2012, გვ. 3, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ახალი ტიპის პლაზმური რეაქტორული ძრავა-პლაზმური რეაქტორი, რომლის მოქმედების პრინციპი დამყარებულია ელექტრული ენერგიის კონცენტრირებით ენერგიის გარდაქმნაზე. ცნობილია, რომ ორბიტაზე მყოფი კოსმოსური ხომალდი პერიოდულად საჭიროებს ტრაექტორიის კორექტირებას. ტრაექტორიის კორექტირებისათვის კი საჭიროა რეაქტიული წევის ძალა, რომლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ საწვავის დაწვის ხარჯზე. საწვავის მარაგის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ დედამიწიდან წაღლებული მასალით, რაც დიდ ტექნიკურ პრობლემას ქმნის. მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია მზის ენეგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიაში და გრძელი ელექტრული რკალით ხომალდში უკვე გამოყენებული დეტალებისა და კოსმონავტების ცხოველქმედების ნარჩენების გახურება, გადნობა, აორთქლება და გადაყვანა პლაზმურ მდგომარეობაში. პლაზმური რეაქტორიდან გამოტყორცნილი პლაზმა კი ქმნის რეაქტიულ

წევის ძალას. ნაშრომში განხილულია 2 კვტ სიმძლავრის ასეთი პლაზმური რეაქტორული ძრავას კონსტრუქცია.

12) „მეცნიერებისწინეთის“ მდგომარეობა და განვითარებული მეცნიერება ვერბალური კომუნიკაციის კონტექსტში“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – 3“ მასალები, თბილისი, 2012, გვ. 4).

ნაშრომი ეხება სამეცნიერო ცოდნის სხვადასხვა ასპექტებს, რომელიც გამოხატავს ვერბალურ კომუნიკაციას.

აკად.წევრ-კორ. ა.ფრანგიშვილი მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

1) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“;

2) სტუ-ის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;

3) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები“;

4) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე სენსორები ბირთვულ-რადიაციული გაზომებისათვის“;

5) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის საერთაშორისო პრობლემები“;

6) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“.

მას მიღებული აქვს პატენტი „პედაგოგთა ბიომეტრიული იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემა“ (№P 2012 5620 B. საქპატენტის ბიულეტენი №16, 2012 წ.).

გამოგონება განეკუთვნება ადამიანის ბიომეტრიულ იდენტიფიკაციას და შეიძლება გამოყენებული იქ-

ნეს სასწავლო დაწესებულების პედაგოგთა ბიომეტრიული იდენტიფიკაციისა და პედაგოგის მიერ მეცადინეობის ჩატარების რეგისტრაციისათვის და აღრიცხვისთვის. გამოგონების ფორმულა გამოქვეყნებულია ქართულ ენაზე.

იგი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№ GNSF/ST08/8-367) შესრულებაში: „საგანგებო სიტუაციებში მართვითი გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერი კომპიუტერული მეთოდების და მოდელების დამუშავება“ (თანაავტორებთან ერთად).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რამაზ ხუროძე სტატია

„ამოცნობის პროცესებისათვის ნეირონების რაოდენობის განსაზღვრა კლასტერირების მეთოდების გამოყენებით“ (თანაავტორობით; სტუ-ის 90 წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“ შრომები, 2012).

განიხილება ნეირონული ქსელით ამოცნობის პროცესი, სადაც თითოეული სახისათვის უნდა განისაზღვროს, იმ ნეირონების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო ნაკრების უშეცდომო ამოცნობას. ცნობილია, რომ თანამედროვე ნეირონულ ქსელებში, სადაც ხორციელდება ამოცნობის პროცესი, შრეებში ნეირონების რაოდენობა დგინდება თეორიული დასაბუთების გარეშე, გარკვეული პროცედურების საფუძველზე პრაქტიკული ეკრისტიკული მოსაზრებების მიხედვით. შემოთავაზებულია შრეებში ნეირონების რაოდენობის განსაზღვრის პროცედურა, რომელიც ემყარება კლასტერირების პროცესს. მსგავსების

ზომად გამოყენებულია ფორმალური ნეირონის ამომცნობი ფუნქცია „სკალარული ნამრავლი”, რაც უზრუნველყოფს კლასტერირებისა და ამოცნობის პროცესის იდენტურობის მაღალ დონეს. პირველ ეტაპზე ნეირონების რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ ერთი სახის მიმართ; მეორე ეტაპზე ხდება ნეირონების რაოდენობის დირექტირება აღწერების (ეტალონების) პროცედურების გათვალისწინებით.

აკად.წევრ-კორ. რ.ხუროძე თანაავტორობით მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ინფორმუნიკაციური ქსელების სამეცნიერო დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მოდელები“ შესრულებაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ჯაფარიძე სტატიები:

1) „პოლიოლეფინების სტაბილიზაცია და გამტკიება“ (თანაავტორობით; Procedings of 12 Int. Multidisciplinary scientific Geoconference, ალბენა, ბულგარეთი, 2012, ინგლისურ ენაზე).

შემოთავაზებულია პოლიოლეფინების სტაბილიზაციისა და გამტკიცების ხერხები. სტაბილიზაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, აგმოსფერული ზემოქმედების მიმართ მედეგობის ასამაღლებლად გამოყენებულია სილიკონურგანული ნაერთები, ხოლო გამტკიცებისათვის დისკრეტული ბოჭკოები.

2) „ნახშირბადისა და ბაზალტის პიბრიდული ბოჭკოებით გამტკიცებული კომპოზიტური მასალები“ (Int. Conf. „Modern Technologies and Methods of Inor. Mat. Sci.“ Procedinds. თბილისი, 2012, 323-337, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია იმ კვლევათა შედეგები, რომლებიც მიმართულია პოლიმერული მატრიცისა და პიბრი-

დული (ნახშირბაძი, ბაზალტი) ბოჭკოების საფუძველზე კომპოზიტური მასალების შესაქმნელად. პროტლეგმა მდგომარეობს მასალაში – ძვირადღირებული ნახშირბაძის ბოჭკოს ბაზალტის ბოჭკოთი ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვლაში. ჰიბრიდული მაარმირებელი ბოჭკოს გამოყენება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ კომპოზიტიდან დამზადებული ნაკეთობის დირებულება მასალის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუარესების გარეშე.

3) „ბაზალტ-პლასტიკის ბადის თვისებები სხვადასხვა კომპოზიტებში“ (თანაავტორობით; თავი წიგნისა „კომპოზიტები და მათი გამოყენება“ რედაქტორი Ning Hu, In Tech, 221-246, 2012, ინგლისურ ენაზე).

უსპერიმენტულად და თეორიულად განსაზღვრულია ბაზალტ-პლასტიკების აგრესიულ გარემოში (წყალი, მაღალი ტემპერატურა, ქიმიურად აქტიური ნივთიერებები და სხვ) მუშაობის პირობების კოეფიციენტები, რომლებიც საჭიროა კონსტრუქციის სიმტკიცესა და დეფორმაციაზე გაანგარიშებისათვის.

4) „გვირაბმშენებლობის ორი მთავარი მეთოდის ანალიზი“ (თანაავტორობით; სამთო ჟურნალი №2(29), თბილისი, 2012, 24-28).

სამთო-გეოლოგიური პირობების ცვალებადობის გამო დღეს მსოფლიოში დამუშავებულია და გამოიყენება გვირაბმშენებლობის შესაბამისი მეთოდები. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ე.წ. „ახალი ავსტრიული მეთოდი (NATM)“, რომელიც შეიქმნა ნახევარი საუკუნის წინ და უფრო ხშირად გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. უფრო ძველი და მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ე.წ. „დაპვირვებითი“ მეთოდი „Observational method“. მოცემულია ამ მეთოდების ძირითადი თავისებურებებისა და გამოყენების არეაბის

შედარებითი ანალიზი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია აშშ ნორმატიული დოკუმენტებიდან.

აკად.წევრ-კორ. ლ.ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაცილეობით სრულდებოდა საბიუჯეტო დაფინანსების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო „დრეპად-ცოცვადი ქანის მასივში გაყვანილი გვირაბის ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშებისა და ოპტიმალური კონსტრუქციული გადაწყვეტის კომპიუტერული პროგრამის შექმნა“.

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და მართვის ოეორიის კომისიის წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ქვეკომისიამ ჩაატარა სამი სხდომა, რომელზეც განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის 2011 წლის სამეცნიერო და საორგანიზაციო სამუშაოების ანგარიში;

- ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოს უსაფრთხო დამუშავებასთან, მოპოვებული ნახშირის რაციონალურად გამოყენების პრობლემებთან დაკავშირებული ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური საკითხები ;

- წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავებისა და მიწისქვეშა ნაგებობების დაპროექტება-მშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური პრობლემები;

- ახალგაზრდა, კვალიფიციური სამეცნიერო-საინჟინრო კადრების მომზადების გაუმჯობესების საკითხები.

2012 წელს გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში ჩატარდა 5 საერთო კრება. მოსმენილი და განხილული იქნა შესაბამისი პროფილის სამეცნიერო

კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები, აგრეთვე, განყოფილების მიერ, ამ სამეცნიერო დაწესებულებების ანგარიშების შესაფასებლად წინასწარ გამოყოფილი რეცენზენტების მოხსენებები (სულ განხილული იქნა 21 ასეთი ანგარიში). განყოფილებამ მოისმინა აკად.წევრ-კორ. ემედმარიაშვილის მოხსენება „საქართველოში დიდმალიანი, 38-48 მეტრი სიგრძის, გასაშლელი საიერიშო ხიდის და სატანკო ხიდგამდების შექმნისა და გამოყენების ახალი სამხედრო-საინჟინრო კონცეფცია“ და ტექნ.მეცნ.დოქტ., პროფ. ლ.მახვილაძის მოხსენების „დიდმალიანი გუმბათოვანი გადახურვების ახალი ტექნოლოგია“. განხილულ მოხსენებს რეკომენდაცია გაეწია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოსასმენად. განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართულენოვანი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და კულტურა“ (აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის რედაქტორობით) დაფუძნებაში.

2012 წელს განყოფილებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოს აკადემიის უცხოელ წევრად ასარჩევად წარუდგინა რუსეთში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბესარიონ მესხის კანდიდატურა.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 9 წევრი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და 4 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს 5 მონოგრაფია და წიგნი, და 43 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი თეიმურაზ ანდრონიკაშვილი

სტატიები

1) „ბუნებრივი ცეოლითები – ქიმიური აგრონომიიდან ბიოლოგიურზე გადასვლის ერთ-ერთი შესაძლებლობა” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, 2012, 111-117, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ქიმიური აგრონომიიდან ბიოლოგიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ზოგიერთი ასპექტი. დიდი ყურადღება ეთმობა მემცენარეობის პრაქტიკაში სედიმენტაციური წარმოშობის ბუნებრივი ცეოლითების გამოყენებას. ჩატარებული პვლევების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ბუნებრივი ცეოლითების დადებითი ზეგავლენა მცენარის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ბიოლოგიურ აქტივობასა და პროდუქტიულობაზე.

2) „აირ-თხევად ქრომატოგრაფიაში უძრავი თხევადი სითხეებისა და ქრომატოგრაფირებადი ნაერთების პოლარობის როლი აბსორბციული წვლილის განაწილებისა და ადსორბციული ურთიერთქმედების პროცესში” (თანაავტორობით; Журнал Химические Проблемы, №2, 2012, 179-185, აზერბაიჯანი, რუსულ ენაზე).

ადრეულ სამუშაოებში ითვლებოდა, რომ აირ-თხევ-
გადი ქრომატოგრაფიის მეთოდით საანალიზო ნარჩევე-
ბის დაყოფა ხორციელდებოდა მყარი სარჩელის ზედა-
პირზე დაფენილი უძრავი თხევადი ფაზის თხელ ფე-
ნაში ქრომატოგრაფირებადი ცალკეული კომპონენტების
ხსნადობებს შორის სხვაობის ხარჯზე. დღეი-
სათვის დადგენილია, რომ აირ-თხევად ქრომატოგრა-
ფიაში დაყოფა მიმდინარეობს არა მარტო ხსნადობის,
არამედ სორბატსა და მყარი სარჩელის ზედაპირს
შორის ადსორბციული ურთიერთქმედების შედეგადაც,
რომლის წვლილი დაყოფის პორცენტში რიგ შემთხვე-
ვებში 85%-ს აღწევს. პირველადაა გათვლილი აბსორ-
ბციული (გახსნის) და ადსორბციული ურთიერთ-
ქმედების წვლილი უძრავი სითხისა და ნარევის და-
საყოფი კომპონენტების პოლარობაზე დამოკიდებუ-
ლებით. ნაპოვნია, რომ ქრომატოგრაფირებადი ორგა-
ნული ნაერთების შეკავებაში ადსორბციული ურთი-
ერთქმედების წვლილი მნიშვნელოვნადაა გამოვლენი-
ლი არაპოლარული უძრავი სითხეების გამოყენების
დროს. ამასთან, მათი ურთიერთქმედების ეფექტი გა-
ცილებით მატულობს სორბატის პოლარობის ზრდას-
თან ერთად. მაღალპოლარული უძრავი სითხეების
დაყოფა ძირითადად ხორციელდება მყარ სარჩელზე
დაფენილი თხევად ფაზაში ქრომატოგრაფირებადი
ნაერთების ხსნადობებს შორის სხვაობის ხარჯზე.

3) „ბუნებრივი ცეოლითისა და მურა ნახშირის
საფუძველზე მომზადებული ეფექტური სუბსტრატები
მემცენარეობაში“ (თანავტორობით; IV საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია „სორბენტები, როგორც
ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ხარისხის ფაქტორი“,
ბელგორიდი, რფ, 2012, 309-315, რუსულ ენაზე).

შემუშავებულია ამონიუმისა და კალიუმის კათი-
ონებით მოდიფიცირებული საქართველოს ჰეილანდიტ-
კლინოპტილოლითის შემცველი ტუფისა და მურა ნახ-

შირის საფუძველზე მომზადებული ახალი უნიადაგო სასუქი. ეს სუბსტრატი ხასიათდება მასზე აღმოცენებული მცენარეების უფრო მაღალი ბიოპროდუქტიულობით ნიადაგზე აღმოცენებულ მცენარეებთან შედარებით. დადგენილია, რომ ასეთი სუბსტრატები უფრო მეტად მდგრადები არიან მონოკულტურის ვარიანტში აღმოცენებული მცენარეების უარყოფითი ზემოქმედების ეფექტის მიმართ, ვიდრე ნიადაგი. ამ სუბსტრატების ექსპლუატაციის ვადა შეიძლება გაიზარდოს მათზე მცენარეების აღმოცენების მონაცვლეობითი ბრუნვის დროს.

4) „მცენარის განვითარებაზე ორგანო-ცეოლითური სასუქების ზემოქმედების ზოგიერთი თავისებურება“ (თანაავტორობით; Annals of Agrarian Science, ტ. 10, №3, 22-28, 2012, ინგლისურ ენაზე).

1981-2010 წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია ორგანო-ცეოლითური სასუქების გამოყენების უპირატესობა ქიმიურ სასუქებთან შედარებით. ორგანო-ცეოლითური სასუქები უფრო ეფექტურად ზრდიან სასოფლო-სამუშაოების კულტურების მოსავლიანობას, ხასიათდებიან შემდგომი ქმედების ეფექტით (მინიმუმ 2-3 წელი), ეკოლოგიური უსაფრთხოებით და უფრო დაბალი ლირებულებით ქიმიურ სასუქებთან შედარებით. მათი ნიადაგში შეტანა ხელს უწყობს როგორც სტრუქტურირებას, ასევე დაბინძურებული ნიადაგების რეპულტივაციას. დადგენილია, რომ ამ სასუქების დადებითი ზემოქმედებით მიმდინარეობს ორსქესიანი მცენარეების მდედრობითი ყვავილების (პატისონები) ფორმირების მიმართულებით გადახრა, ყურძნის მტევნებისა და სიმინდის ტაროების (3-მდე) რიცხვის ზრდა.

5) „M41S ტიპის მეზოფორული სორბენტების გამოყენება აირად ქომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით;

Aparatura badawcza i dydaktyczna, პოლონეთი, ტ. XYII, №3, 2012, 7-12, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია აღნიშნულ სორბენტზე ორგანული ნაერთების მრავალკომპონენტიანი ნარევების დაყოფის შესაძლებლობა. ამ სორბენტის სტრუქტურაში კათო-ონური მოდიფიკაციის გზით კადმიუმისა და, განსაკუ-თრებით, თაღიუმის იონის შევანა მნიშვნელოვნად ზრდის მის დაყოფის უნარს.

აკად. თ.ანდრონიკაშვილი 2012 წელს შეუვანილია პოლონური უურნალის „Aparatura badawcza i dydaktyczna“ რედკოლეგიის შემადგენლობაში.

აკადემიკოსი ირაკლი უორდანია

მონოგრაფია

„თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, თბილისი, 2012, 380 გვ.).

განხილულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის და მისი შემოგარენის ბუნებრივი რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, ბუნებრივ-რეკრეაციული და ტურისტული, აგრეთვე, ადამიანური რესურსების თანამედროვე მდგრმარეობა, ეკოლოგიური პრობლემები და განსაზღვრულია ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების პერსპექტივული მიმართულებები. წიგნი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის, მ.შ. მეცნიერების, სტუდენტების, მაგისტრანტების, ბიზნესმენების და თბილისის მერიის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის.

სტატიები

1) „უსხმულო გლინვის აგრეგატის კრისტალიზაციის ჩამკეტი ფილების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება“ (თანაავტორობით; გადაცემულია გამოსაქვენებლად ჟურნალში „მეცნიერება და კულტურა“).

შესწავლილია უსხმულო გლინვის აგრეგატის კრისტალიზაციის ჩამკეტი ფილების დამზადების ტექნოლოგიური საკითხები.

2) „უსხმულო გლინვის პროცესის ტექნოლოგიური და კონსტრუქციული პარამეტრების ურთიერთკავშირის განსაზღვრა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №3, 69-74, თბილისი, 2012, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია უსხმულო გლინვის პროცესის ტექნოლოგიური და კონსტრუქციული პარამეტრები და მათი ურთიერთკავშირი, რაც მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესის კვლევისათვის.

აკად. ი. უორდანიას სამეცნიერო საქმიანობა საანგარიშო წელს მიმდინარეობდა ორი მიმართულებით:

როგორც აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების წევრი, მონაწილეობდა ლითონების უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიისა და მოწყობილობის სრულყოფის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათ-მცოდნეობის ინსტიტუტში და შედეგების პროცესების სრულყოფის სამუშაოებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. როგორც სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თაგმჯდომარე, ხელმძღვანელობდა ცენტრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

საანგარიშო წელს მისი ხელმძღვანელობით დამთავრებულია კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო თემაზე „თბილისის ბუნებრივი რესურსები და

მათი გამოყენების პერსპექტივები”, რომლითაც დასრულდა სამუშაოთა ციკლი საქართველოს რეგიონების ბუნებრივი რესურსებისა და მათი გამოყენების პრობლემებზე (ბოლო წლებში მომზადებული და გამოქვეყნებულია 13 მონოგრაფია).

აკად. ი. ჟორდანიას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული საქართველოში შავი მეტალურგიის განვითარების კონცეფციის საჯარო განხილვა. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სტუ-ის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოზე გააკეთა მოხსენება აღნიშნულ თემაზე. კონცეფცია განიხილა საქართველოს პარლამენტის კონსოლიდირების დარგობრივმა კომიტეტმა, შეფასებულია დადებითად და გადაეგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემდგომი რეაგირებისათვის.

აკად. ი. ჟორდანია არის მთავარი სამეცნიერო რედაქტორი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ჟურნალისა „შედევრების, მეტალურგიისა და მონათესავე ტექნოლოგიების პრობლემები”, ჟურნალების – „სამთო ჟურნალი”, „ჯორჯიან ინჯინიორინგიუსი“ სამეცნიერო რედკოლეგიების წევრი. მონაწილეობს რესეტისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობაში, როგორც ამ აკადემიების წევრი. იგი არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს შემდევებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებას-

თან არსებული მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ეთერ ქემიკური მუზეუმი

წიგნები

1) „საქართველოს ფარმაკოქიმიის მეცნიერების ზოგიერთი მონაპოვარი წარმოებას“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 91 გვ., რუსულ ენაზე).

წიგნში მოკლედაა განხილული იქნეთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ბოლო პერიოდში მიღებული მეცნიერული კალევის მნიშვნელოვანი შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკული გამოყენებისათვის ნებადართულ სხვადასხვა დანიშნულების მქონე მაღალეფებში მრიგინალურ პრეპარატებზე. დასაბუთებულია მათი ფართო მასშტაბით წარმოების მიზანშეწონილობა. დასახულია ფარმაკოქიმიური მეცნიერებისა და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების პერსპექტივები ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე.

2) „აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი 110 წ.“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 34 გვ.)

ბროშურაში აღწერილია ძირითადი მონაცემები მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის, საქართველოში ბიოქიმიური ფარმაკოლოგიისა და ანალიზური ბიოქიმიის ფუძემდებლის, 1964-1972 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იქნეთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სტატიები

1) „Digitalis ciliata-ს ანტიპროლიფერაციული სტარტოდული გლიკოზიდები“ (თანაავტორობით; Fitoterapia, 2012, 83, 554-562, ინგლისურ ენაზე).

Digitalis ciliata – წამწამოვანი სათითურას თესლებიდან გამოყოფილი და დახასიათებულია 10 ნივთიერება. მათგან 2 ახალი ფუროსტანოლური და პრეგნანული გლიკოზიდი; 2 ოთხ- და ხუთშაქრიანი სპიროსტანოლური გლიკოზიდი; 3 დიგინიგენინიდან წარმოებული პრეგნანული გლიკოზიდი; ხოლო ცნობილი კარდინოლიდები – დიგიტალინუმ გერუმ, გლუკოგიტოროზიდი, სტროსპეზიდი. 7 ნივთიერება ციტოსტატიკურ მოქმედებას ამჟღავნებს სხვადასხვა სახის კარცინომების მიმართ. გამოვლენილია მათი აშკარად გამოხატული ანტიპროლიფერაციული ეფექტურობა.

2) „სატურინი – მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო ეფექტური მცენარეული საშუალება“ (თანაავტორობით; „Медицинские новости Грузии“, 2012, 2, 47-52, რუსულ ენაზე).

მცენარე Satureja hortensis – ბაღის ქონდარში დადგენილია ფლავონოიდების და ფენილკარბონმჟავების მდიდარი შემცველობა. ინდივიდუალური სახით გამოყოფილი და დახასიათებულია 8 მათგანი. მცენარის ფოთლებისა და ყვავილებიდან შემუშავებულია ნატურალური პრეპარატი „სატურინის“ სახელწოდებით. ფარმაკოლოგიური გამოკვლევებით ნაჩვენებია სატურინის მაღალი ჰიპოგლიკემიური ეფექტურობა. იგი მნიშვნელოვნად აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში და სრულიად უკნებელია. კლინიკური გამოკვლევებით დადასტურებულია სატურინის სტატისტიკურად სარწმუნო ანტიდიაბეტური მოქმედება 2-ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს. სატურინი ნებადართულია ფართო გამოყენებისათვის და წარმატებით იხმარება მედიცინაში.

3) „რობინინის და კემფეროლის ერთდროული რაოდენობრივი ანალიზის მაღალეუქტჩური სითხოვანი ქრომატოგრაფიის ოპტიმალური პარამეტრები“ (თანაავტორობით; „Химико-фармацевтический журнал“, 2012, 1, 49-52, რუსულ ენაზე)

შერჩეულია მცენარე *Astragalus falcatus*-დან ურემინის საწინააღმდეგოდ ჩვენს მიერ მოწოდებული პრეპარატის ფლარონინის აქტიური სუბსტანციის ფლავონოიდურ გლიკოზიდ რობინინის და მისი აგლიკონის კემფეროლის ბიოლოგიურ სითხეებში ერთდროული რაოდენობრივი განსაზღვრის მაღალეუქტჩური სითხოვანი ქრომატოგრაფირების ოპტიმალური პარამეტრები. მეთოდი მაღალმარტნობიარეა და გამოიყენება პრეპარატ ფლარონინის ორგანიზმში გარდაქმნისა და ბიოშეღწევადობის ხარისხის დასადგენად.

4) „*Yucca gloriosa*-ს დეროების სტეროიდული ნივთიერებები“ (თანაავტორობით; „Химия природных соединений“, 2012, 3, 464-465, რუსულ ენაზე).

Yucca gloriosa – იუკა დიდებულის დიდი მასის დეროები მცენარის მთლიანი წონის 35%-ს შეადგენს. დადგენილია დეროებში სტეროიდების მაღალი შემცველობა, რომლებიც არანაკლებ 15 სპირო- და ფურო-სტანოლური გლიკოზიდითაა წარმოდგენილი. გამოყოფილია მათი ძირითადი კომპონენტი იუკალოიზიდი A და გლიკოზიდთა აგლიკონები: სმილაგენინი, ტიგოგენინი, გეკოგენინი, ნეოგიტოგენინი. ფოთლებისა და ყვავილებისგან განსხვავებით დეროებში უმეტესწილად არა 5α, არამედ 5β რიგის სტეროიდები ბიოსინთეზირდება.

5) „ანტიგირუსული პრეპარატი როდოპესი: ჭრილობის შემახორცებელი თვისებების შესწავლა“ (თანაავტორობით; Georgian Medical News, 3(204), 2012, 84-87, ინგლისურ ენაზე).

მცენარე Rhododendron ungernii-ს ფოთლების ფენოლური ნივთიერებებისგან შემუშავებული პრეპარატი როდოპესი (მალამოს სახით) მაღალეფექტური საშუალებაა ყველა სახის ჰერპესული დაავადების სამკურნალოდ და წარმატებით გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში. ფარმაკოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ როდოპესის მოქმედებით სწრაფად მიმდინარეობს ჭრილობის შეხორცება, დაზიანებული ქსოვილების რეგენერაცია, ჩქარდება ფუფხის მოცილება და ჭრილობის სრული ეპითელიზაცია. ჰერპესული ინფექციების გარდა როდოპესის გამოყენება შესაძლებელია ისეთი ჭრილობების სამკურნალოდ, რომლებიც ეპითელიუმის სწრაფ აღდგენას მოითხოვენ.

6) „Ruscus colchicus P. F. Yeo – ფოთლების ქიმიური შედგენილობა და ფარმაკოლოგიური ეფექტურობა“ (თანავტორობით; „Химико-фармацевтический журнал“, 6, 2012, 84-87, რუსულ ენაზე)

დადგენილია Ruscus colchicus – ძმერხლის ფოთლებში 40 სტერიოდის არსებობა. გამოყოფილი და დახასიათებულია 22: 1 ქოლესტრანოლური, 17 ფუროსტანოლური, 4 სპიროსტანოლური გლიკოზიდი. 16 ახალი ორგანული ნივთიერებაა. გლიკოზიდთა სტრუქტურები დადგენილია კლასიკური ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით, ერთ- და ორგანზომილებიანი ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის ექსპერიმენტებით და მას-სპექტრული ანალიზით. ფარმაკოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია ძმერხლის ფოთლებიდან მომზადებული ნატურალური პრეპარატის მაღალი ლაქტომასტიმულირებელი ეფექტურობა.

7) „Digitalis ciliata, Tribulus terrestris, Yucca gloriosa-ს ბიოლოგიურად აქტიური სტეროიდები“ (თანავტორობით; Planta Medica, 2012, 78, 11, PCL 10, ინგლისურ ენაზე).

სტატია მოკლე შეტყობინების სახითაა წარმოდგენილი და მიმოხილვითი ხასიათისაა. მოცემულია ცნობები კავკასიის ენდემური სახეობის *Digitalis ciliata*-ს, ფართოდ გავრცელებული სახეობის *Tribulus terrestris*, საქართველოში სამრეწველო მასშტაბით კულტივირებული *Yucca gloriosa*-ს კარდენოლიდების, სპირო- და ფუროსტანოლური საპონინების, პრეგნანჯული და ქოლესტანოლური გლიკოზიდების, იშვიათი სპირო-სტრუქტურის მქონე სტილბენების და მათი სხვადასხვაგვარი ფარმაკოლოგიური ეფექტურობის შესახებ. აღწერილია ამ მცენარიდან შემუშავებული, პრაქტიკაში გამოყენებული ორიგინალური პრეპარატები.

8 „თვალსაჩინო მეცნიერის პრინციპული თანადგომა“ (აკადემიკოს ლ. მელიქაძის ბიობიბლიოგრაფიაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 2012, გვ. 61).

აკად. ე.ქემერტელიძე ხელმძღვანელობდა იქუთა-თელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით 2010-2013 წწ. შესასრულებელ თემას „სტეროიდული ნივთიერებების შემცველი მცენარეების შესწავლა: კავლევები სავარაუდო სამკურნალო პრეპარატების შექმნისათვის.“

მიღებული აქვს „საქართვენტი“-ის 4 პატენტი გამოგონებაზე და სასარგებლო მოდელზე.

2012 წ. მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. გამოქვეყნდა მოხსენებათა თეზისები.

– „*Digitalis ciliata*, *Tribulus terrestris*, *Yucca gloriosa*-ს ბიოლოგიურად აქტიური სტეროიდები“ (თანაავტორობით; International Congress on Natural Products Research. ICNPR, Abstracts CL10, ნიუ-იორკი, აშშ);

– „საქართველოს მცენარეთა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და სამკურნალო პრეპარატები“

(საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია პირველ-წოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“, თბილისი).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარადგინა საქართველოში ფარმაკოქიმიური მეცნიერების განვითარების კონცეფცია.

საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია პირველ-წოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა სამაგისტრო პროგრამას „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე

წიგნი

„K₂[Zn(NCS)₄]·3H₂O კრისტალების რენტგენოსტრუქტურული გამოკვლევა“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 48 გვ., რუსულ ენაზე).

წიგნში მოცემულია თუთიასთან და კობალტთან წრფივი თიოციანატოჯგუფების აზოტის ატომით კოორდინირებისას წარმოქმნილი კუთხე. MNC არის არა 106^0 და 10^0 (გ.ჟდანოვი, ზ.ზვონკოვა), არამედ 160^0 - 180^0 -თან ახლოს, ისევე, როგორც დანარჩენ თიოციანატოჯგუფების შემცველ ნაერთებში. აღნიშნულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს კრისტალოქიმიაში მათი აღნაგობისა და სტერეოქიმიური ინტერპრეტაციისათვის.

სტატიები

1) „ციანატმჟავას ელექტრონულ სტრუქტურაზე გამხსნელის გავლენის კვანტურ-ქიმიური გამოკვლევა“

(თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, გ.12, №2, 2012, 144-149).

კვანტურ-ქიმიური ნახევრადემპირიული AM1 მე-
თოდით გამოთვლილია ციანატმჟავას (HNCO) ელექტ-
რონული სტრუქტურა, გამოკვლეულია მოლეკულის
ენერგეტიკული და გეომეტრიული მახასიათებლები და
დასახელებული მეთოდით განსაზღვრულია ამ სიდი-
დებზე სხვადასხვა გამხსნელის გავლენა.

2) „ზოგიერთ ამიდთან თუთიის კომპლექსნაერთე-
ბის წარმოქმნის უნარის კვანტურ-ქიმიური შესწავლა”
(თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი,
გ.12, №2, 2012, 131-132, რუსულ ენაზე).

სიმკვრივის ფუნქციონალის თეორიის კვანტურ-
ქიმიური მეთოდით გამოთვლილია ფორმ- და აცეტ-
ამიდების წარმოქმნის სითბოს, დიპოლური მომენტე-
ბის, ატომებზე მუხტების, ბმის რიგების, ატომთშო-
რისი მანძილების და საგალენტო და ტორსიონული
კუთხების მნიშვნელობები. გაკეთებულია დასკვნა, რომ
მეთილის ჯგუფები, როგორც ელექტრონულ-დონორუ-
ლი ჩამნაცვლებლები ხელს უწყობენ თუთიის განხი-
ლულ ამიდებთან კომპლექსნაერთების წარმოქმნას.

3) „სპილენძის(II) კონცენტრირება თიოსემიკარბა-
ზიდის ფრაგმენტების შემცველი ხელატწარმომქმნელი
სორბენტით ჩამდინარე წყლების ანალიზში” (თანაავ-
ტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, გ. 12, №2,
2012, 141-144).

აღწერილია ბუნებრივ წყლებში სპილენძის(II) ატო-
მურ-აბსორბციული განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც
დაფუძნებულია ელემენტის წინასწარ კონცენტრირე-
ბაზე თიოსემიკარბაზიდის ფრაგმენტების შემცველი პო-
ლიმერული ხელატური სორბენტით. შერჩეულია სორ-
ბციის ოპტიმალური პირობები და განსაზღვრებები.
ელემენტის რაოდენობრივი ამოღება ხდება სტატიკურ

პირობებში, როცა pH=5. მეთოდიკის სისწორე შემოწმებულია დანამატების მეთოდით.

აკად. გ.ცინცაძე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

აკადემიკოსი კოხტა ჯაფარიძე

აკად. კ.ჯაფარიძე საანგარიშო წელს ხელმძღვანელობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს „გაზრდილი ფოტომგრამბიარობის სპიროპირანების სინთეზი და კვლევა ნანოტექნოლოგიებისთვის“.

მიღებული აქვს ერთი პატენტი.

მოპოვებული აქვს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორი გრანტი:

– „ფოტოქრომული სპიროპირანეული სისტემების ფოტომგრამბიარობის გაზრდის ახალი მეთოდი“ (№11/12, 2012-2014, ხელმძღვანელი);

– „ქაღალდის საფუძველზე დამზადებული ქოლესტერული თხევადკრისტალური ინტერფერენციული სარკე ახალი სახეობის ამრეკლავი დისპლეებისათვის“ (№10/09, 2012-2014, ძირითადი შემსრულებელი).

აკად. კ.ჯაფარიძე 2012 წ. მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „სპიროპირანის შემცველ სისტემებში ფოტომგრამბიარობის გაზრდის ახალი მეთოდი“ (მე-2 საერთაშორისო კონფერენცია „ნანოტექნოლოგიები“, „ნანო-2012“), თბილისი);

– „სპიროპირანით დოპირებული თხევადი კრისტალების ფოტომგრამბიარობა“ (აკადემიკოს ა.ნ.ტერენინის სახელობის მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი „მოლეკულური ფოტონიკა“ (სანკტ-პეტერბურგი, რფ).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი თავაძე წიგნი

„სპეციალური მასალების მიღება თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდებით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 205 გვ., რუსულ ენაზე).

მონოგრაფიაში განხილულია თანამედროვეობის ერთ-ერთი პოპულარული ტექნოლოგიის – თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) გამოყენებით მსურვალმტკიცე, მხურვალმედეგი, ზესალი, კოროზიამედეგი და სხვა სპეციალური მასალების მიღების საკითხები. მასალათმცოდნეობის ამ მიმართულებამ ფართო აღიარება მოიპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (რუსეთი, იაპონია, შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია და სხვ.), მათ შორის საქართველოშიც.

წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები:

– ელემენტური ბორისა და ბორისშემცველი მხურვალმტკიცე ნაერთების მიღება ომს ტექნოლოგიით წინასწარი ლითონოთერმული აღდგენის პირობებში. თერმოდინამიკური გათვლების საფუძველზე დადგენილია მოსალოდნელ ქიმიურ რეაქციათა პარამეტრები, რაც საფუძვლად დაედო კალიუმის ტეტრაბორფეტორატიდან და ბორის ჟანგეულებიდან კრისტალური ბორის, ბორის კარბიდისა და ბორის ნიტრიდის მიღებას;

– ომს-ის ტექნოლოგიით ტიტანისა და ცირკონიუმის ბორიდების ფუძეზე სალი შენადნობების მიღება და მიღებული მასალების თვისებების კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტიტანის დიბორიდის მიღების შესაძლებლობას საწყის კაზმში ფხვნილების გრანულომეტრიული თანაფარდობის ცვლის პირობებში;

– თმს-ის პროცესები, მცირე გამონაკლისის გარდა, მიმდინარეობს აირწარმოქმნის პირობებში. ჩვეულებრივ წვის დროს აირწარმოქმნა ხელს უწყობს რეაქციაში მონაწილე კომპონენტების „თვითგაწმენდას”, რის შედეგად მიღებული პროდუქტი უფრო სუფთაა საწყისთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში აირწარმოქმნა, პირიქით, ხელს უშლის სინთეზის წარმატებულად შესრულებას და საჭიროებს ფილტრაციის პროცესების გათვალისწინებას;

– ფილტრაციის მაკროკინეტიკური პარამეტრების დადგენამ შესაძლებელი გახადა თმს-ის მეთოდების მართვა, კერძოდ, თმს-ისა და სინთეზირებული პროდუქტის კომპაქტირება ერთ ციკლში და თმს-ით მიღებული მასალის ბანდაჟირება. ეს შესაძლებელი გახდა ტექნოლოგიური ელემენტების – მორეაგირე კომპონენტების მასათა თანაფარდობის, კონსტრუქციის გეომეტრიული პარმეტრების, კონსტრუქციაში აღძრული ძაბვებისა და სხვა საინჟინრო ამოცანების კორექტულად ამოხსნის შედეგად.

სტატიური

1) „ერთფაზიანი ინტერმეტალიდების სინთეზი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“ შრომათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 58-65, რუსულ ენაზე).

შესწავლილია ერთფაზიანი ნაერთების მიღების შესაძლებლობა ტიტანალუმინის სისტემაში თმს-ის თბური აფეთქების რეჟიმში. შემუშავებულია ტექნოლოგია და დადგენილია ტექნოლოგიური პარამეტრები ერთფაზიანი მასალების მისაღებად. გადმოცემულია ტიტან-ალუმინის სისტემაში ნანოსტრუქტურული მასალების მიღების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. შესწავლილია მიღებული მასალების ფიზიკურ-

მექანიკური თვისებები და მიკროსტრუქტურა. აღნიშნულია, რომ თმს-ით, თბური აფეთქებით მიღებული ერთფაზიანი, ნანოსტრუქტურული მასალების თვისებები ყოველთვის ადემატება მათი სამრეწველო გზით მიღებული ანალოგების თვისებებს.

2) „ვოლფრამის შემცველი მასალებიდან შემადგენელ ლითონთა ქლორიდების მიღების პროცესის კვლევა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, 2012, 94-99, ინგლისურ ენაზე).

ვოლფრამშემცველი ნარჩენების ქლორირების პროცესის ძირითადი კინეტიკური მახასითებლების კვლევით დადგენილია სუფთა ვოლფრამის ჰექსაქლორიდისა (WCl_6) და კომპლექსური მარილის ($NiFtCl_4$) ერთდროული მიღების ტექნოლოგიური პარამეტრები. ქლორირების პროცესის წარმართვა შესაძლებელია ავტოთერმულ რეაქტორში

3) „ბორის ნიტრიდის ნანოფენილების ხედობითი ზედაპირის განსაზღვრა ნაწილაკის საშუალო ზომის მიხედვით“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „Порошковая металлургия, ее сегодня и завтра“ შრომათა კრებული, კიევი, უკრაინა, 2012, გვ. 240, რუსულ ენაზე).

სამუშაოში ჰექსაგონალური ბორის ნიტრიდის მაგალითზე ბადროსმაგვარი ნაწილაკის საშუალო რადიუსის მიხედვით, გეომეტრიული მოდელირებით, განსაზღვრულია ფენილის ხედობითი ზედაპირის მნიშვნელობა. თეორიული და ექსპერიმენტული შედეგების შედარებით ანალიზით ცოორმილება არ აჭარბებს 5%-ს. დამუშავებული მოდელით შეფასებულია ნანოკრისტალურ მდგომარეობაში სინთეზირებული ჰექსაგონალური ბორის ნიტრიდის ხედობითი ზედაპირის მნიშვნელობა. თუ მარცვლის საშუალო რადიუსი $r \approx 50$ ნმ, მა-

შინ ჰექსაგონალური ბორის ნიტრიდის ხვედრითი ზედაპირი $\approx 111 \text{ } \mu\text{m}^2/\text{g}$.

4) „სამთო-მეტალურგიული მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის ინოვაციური ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები“ (თანაავტორობით; Engineering, 4, 2012, <http://www.SciRP.org/journal/eng>, ინგლისურ ენაზე).

განხილულია სამთო-მეტალურგიულ მრეწველობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკები, გაანალიზებულია პაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრობლემები და მათი გადაჭრის ახალი შესაძლებლობები. დასაბუთებულია ისეთი ინოვაციური და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა, როგორიცაა ფიტორემედიაცია და ლითონების მყარფაზური აღდგენის ეგზოთერმული თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი. შერჩეული მეთოდების მაღალეფექტურობა დასაბუთებულია ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე.

5) „ომს კომპაქტირების ხარისხის მართვის პრობლემები“ (თანაავტორობით; შრომათა კრებული „Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий“, კაციველი, უკრაინა, 2012, გვ. 314, რუსულ ენაზე).

განხილულია თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზ-კომპაქტირების პროცესზე ელექტროკონტაქტური და ინდუქციური ელექტრო-მაგნიტური ველით ზემოქმედების ძირითადი პრინციპები. წარმოდგენილია პროცესის ტექნოლოგიური რეჟიმების რეგულირებისა და რეაქციის მიზნობრივი პროდუქტის ხარისხის მართვის სქემაზური მოდელი.

6) „დისპერსიული სამრეწველო ნარჩენებიდან რკინის თხევადფაზური აღდგენის ტექნოლოგიის დამუშავება“

ვება“ (თანაავტორობით; შრომათა კრებული „Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий“, გაციველი, უკრაინა, 2012, გვ. 312, რუსულ ენაზე).

სამუშაო ეძღვნება რკინის შემცველი წვრილფრაქციული, დაუნაჭროვნებელი საწარმოო ნარჩენებიდან (ხენჯი, შლამი) რკინის თხევადფაზური აღდგენის ტექნოლოგიის დამუშავებასა და კვლევას. შემოთავაზებულია ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ორსაფეხურეობრივ, ელექტროკაბონთერმულ და ალუმინოთერმულ დნობას. ლაბორატორიულ პირობებში დადგენილია, რომ ნარჩენებიდან რკინის აღდგენის მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 85%-ს. საკაზმე მასალის წინასწარი დანაჭროვნების აუცილებლობის გამორიცხვის გამო შემოთავაზებული პროცესი ენერგოეკონომიკური და რესურსდამზოგავია.

7) „მყარი და თხევადი არაორგანული საწარმოო ნარჩენების რეგენერაციისა და გაუვნებელყოფის ტექნოლოგიები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“ – მოხსენებათა კრებული, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 303-318, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მეტალურგიულ მრეწველობასთან დაკავშირებული მყარი და თხევადი არაორგანული საწარმოო ნარჩენების რეგენერაცია-რეციკლირებისა და გარემოზე მავნე ანთოროპოგენული ზემოქმედების პრობლემების თანამედროვე მდგომარეობა. ლითონურმცველი დისპერსიული მტკერისა და შლამიდან ფასეული ელემენტების რეგენერაციის მიზნით შემოთავაზებულია ლითონთა მყარფაზური აღდგენის მაღალმწარმოებლური პირო- და თმს მეტალურგიის ახალი მეთოდები. ხსნარებში გადასული ნარჩენების გაუვნე-

ბელყოფისათვის დამუშავებულია ისეთი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები, რომორიცაა ფიტორემფილიაცია და ლითონთა მიკრობიოლოგიური გამოტუტვა. მოყვანილია ლაბორატორიული კვლევების შედეგები, დასაბუთებულია მათი პრაქტიკული რეალიზაციის ეკოლოგიური და ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

8 „ჰეტეროფაზური მეტალოკერამიკული კომპოზიტების თმს-კომპაქტირება“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „არაორგანული მასალათ-მცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“ მოხსენებათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 136-148, რუსულ ენაზე).

მიღებულია პრაქტიკულად უფორო მაღალი მოდულის, ნანოკაზმის თმს-კომპაქტირებით კონსოლიდირებული TiB-Ti, Cu-TiB₂, Fe-TiB₂/TiB-Ti კომპოზიტები. მათ აქვთ გაზრდილი მექანიკური სიმტკიცე და ბზარმედეგობა. რენდგენოსტრუქტურული და მეტალოგრაფიული ანალიზის მეთოდებით შესწავლილია TiB-Ti+B₄C დანაფარის გარდამავალი ფენის ფაზური შედგენილობა TiAl და TiB-Ti ფუძე-შრეებზე. TiAl ფუძე-შრეზე, Al-ის ატომების მაღალი დიფუზიური ძვრადობის გამო, ჩნდება გარდამავალი ფენა. ჩატარდა თმს-ტექნოლოგიით კომპაქტირებული ნანომასალების (რომელიც სამფენიანი კომპოზიტის სახით იქნა მიღებული) მექანიკური თვისებებისა და სტრუქტურის გამოკვლევა. ჩატარდა, აგრეთვე, TiB-Ti და TiAl ფუძე-შრეებზე TiB-Ti+7% B₄C თმს-დანაფარის სისალის HV ტემპერატურული დამოკიდებულების კვლევა 20-800°C-ის ტემპერატურულ ინტერვალში. TiB-Ti+7% B₄C დანაფარის მიკროსისალე (დამოუკიდებლად იმისა, რომელ ფუძე-შრეზეა დატანილი) 20-600°C ტემპერატურულ ინტერვალში პრაქტიკულად ერთნაირად კლებულობს. როცა დანაფარი და-

ტანილია TiB-Ti ფუძე-შრეზე, სისალე 800°C-ზე რჩება მაღალი (V≈5 გპა).

9) „ომს-ის მეთოდით, ზოგიერთი ძნელდნობადი ნაერთის მიღება მინერალური მადნის კონცენტრატებიდან“ (თანამდებობით; საერთაშორისო კონფერენციის – „Порошковая металлургия, ее сегодня и завтра“ შრომათა კრებული, კიევი, უკრაინა, 2012, გვ. 164, რუსულენაზე).

ნაჩვენებია თერმოდინამიკური ანალიზის საშუალებით, ომს-ის მეთოდით ძნელდნობადი ნაერთების ფხვნილების მიღებისას მინერალური ნედლეულის გამოყენების შესაძლებლობა. შესწავლილ სისტემებში ციფრული ექსპერიმენტის მეთოდით გათვლილია კონდენსირებული აირისებრი წვის პროდუქტების კონცენტრაციები. თერმოდინამიკის საშუალებით განსაზღვრულია მინერალური ნედლეულიდან სილიციუმის კარბიდისა და ნიტრიდის, მოლიბდენის კარბიდისა და სილიციდის სინთეზის პირობები. გამოკვლეულია აღნიშნული ნაერთების სინთეზის კანონზომიერებანი. სილიციუმ- და მოლიბდენშემცველი მინერალური მადნებიდან და მათი კონცენტრატებიდან ომს-ის აღდგენითი სტადიის მქონე მეთოდით, პირველად არის მიღებული სილიციუმისა და მოლიბდენის ზოგიერთი ძნელდნობადი ნაერთების ფხვნილები.

აკად.წევრ-კორ. გ.თავაძე 2012 წ. მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში:

- საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“ (თბილისი);

- საერთაშორისო კონფერენცია „Порошковая металлургия, ее сегодня и завтра“ (კიევი, უკრაინა);

— საერთაშორისო კონფერენცია „Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий“ (ვაკიზადვი, უკრაინა).

იგი სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა ფ.თა-
ვაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტი-
ტუტის 2 თემას: 1) „კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე
ახალი მაღალეფების ური ლითონნერამიკული მასალე-
ბის ტექნოლოგიების შემუშავება“, 2) „საჯავშნე ფო-
ლადის შექმნა“.

აკად.წევრ-კორ. გ.თავაძეს მოპოვებული აქვს გრან-ტი:

— „სამთო წარმოების ლითონებით დაბინძურებული რეგიონების შეფასება, რისკ-ფაქტორები, განახლებისა და გაწმენდის ტექნილოგიები უკრაინასა და საქართველოში” (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ცონდისა და STCU-ს პარტნიორობით, №332).

აკად.წევრ-კორ. გ.თავაძის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“, დაიბეჭდა მოხსენებათა კრებული.

იგი არის სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგი-ისა და მასალაომცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, მისი თაოსნობით აღდგა გაწყვეტილი სამეცნიერო კავშირები უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან, დამყარდა საქმიანი ურთიერთობები შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის სამეცნიერო ცენტრებთან. ამჟამად, ინსტიტუტს პარტნიორული ურთიერთობები გააჩნია უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ე.პატონის სახელობის შედევების ინსტიტუტთან, ი.ფრანცევიჩის სახელობის მასლათმცოდნეობის პრობლემების ინსტიტუტთან, დნეპ-

როპეტროვსკის მეტალურგიის აკადემიასთან, ისრაელის ხაიფას ტექნიკურ უნივერსიტეტთან (ტექნიონი), ამერიკის შეერთებული შტატების ბერკლის საინჟინრო ქიმიისა და მასალათმცოდნეობის ცენტრთან და სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათმცოდნეობისა და წარმოების ტექნოლოგიების კვლევით ცენტრთან.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა სამსონია სტატია

„5-არილ-, 2,5-დიარილ- და 2-ეთოქსიკარბონილ-5-არილ-ინდოლების ზოგიერთი ახალი წარმოებულები” (თანაავტორობით; Arkivoc, ფლორიდა, აშშ, 2012, 143-154, www.arkat-usa.org, ინგლისურ ენაზე).

სინთეზირებულია 5-არილ-ინდოლი, 2,5-დიარილ-ინდოლის 4'-მეთოქსი, ნიტრო, ბენზილ ნაწარმები; 2-ეთოქსიკარბონილ-5-არილ-ინდოლის ფორმილ, დიმეთილამინომეთილ, იზონიტროზო, N-ალკილ წარმოებულები. მიღებული 3-ფორმილ წარმოებულის პიდრაზონი და მისი შიგამოლექულური ციკლოკონდენსაციის პროდუქტი – 8-ფენილ-4-ოქსო-3H,5H-პირიდაზინ[4,5-b]ინდოლი. მიღებული ნივთიერებების სტრუქტურა დადგენილია ინფრაწითელი, ულტრააიისფერი, ^1H და ^{13}C ბირთვული მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპითა და მაღალი გარჩევადობის მას-სპექტრომეტრით.

აკად.წევრ-კორ. შ.სამსონიამ 2012 წ. მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პეტრე მელიქიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია.

აკად. წევრ-კორ. შ.სამსონიამ 2012 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „Second International Conference of Young Chemists,

ICYC-2012“ თანაავტორობით გააკეთა 6 მოხსენება (თბილისი):

- 1) „იზოციანიდების საფუძველზე უგის რეაქციით ზოგიერთი დიპეპტიდის სინთეზი“;
- 2) „4-ოქსო-3H,5-პირიდაზინო[4,5-b]ინდოლის 3- და 8-წარმოებულების მიღების მიზნით ახალი პიდრაზონების სინთეზი“;
- 3) „ზოგიერთი ადამანტან-შემცველი ამიდების სინთეზი“;
- 4) „2,9-დი(ნიტროიზომეთილიდენ)ინდოლო[4,5-e]ინდოლების სინთეზი“;
- 5) „ადამანტანის შემცველი ამინო მჟავეების სინთეზი“;
- 6) „ზოგიერთი 2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლების ბმრ გამოკვლევა“;

— საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – Вторая Всероссийская научная конференция с международным участием „Успехи синтеза и комплексообразования“, посвященная 95-летию со дня рождения профессора Н.С. Простакова, часть 1, www.galachem.ru, თანაავტორობით გააკეთა 2 მოხსენება (მოსკოვი, რფ):

- 1) „ახალი ინდოლინური ბის-სპირიპირანების ფოტოქრომული თვისებები“;

2) „უგის რეაქციით მიღებული ზოგიერთი ბიოაქტიური ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ახალი პეპტიდი“.

— „ადამანტილბენზიმიდაზოლების წარმოებულების სინთეზი“ (თანაავტორობით; 7th Eurasian Meeting on Heterocyclic Chemistry (EAMHC-2012), www.eamhc2012.org, სტამბოლი, თურქეთი);

— „ზოგიერთი ახალი ინდოლის ბირთვის შემცველი პიდრაზიდო-პიდრაზონების სინთეზი“ (თანაავტორობით;

14th French American Chemical Society Symposium, www.galachem.ru, ბოსტონი, აშშ).

— სომხეთის ქიმიური საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენციაზე „ორგანული და ფარმაცევტული ქიმიის მიღწევები“, რომელიც მიეძღვნა სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ს.გართანიანის დაბადებიდან 95 და აკადემიკოს შ.ბადალიანის 80 წლისთავს, თანაავტორობით გააკეთა 4 მოხსენება (ერევანი, სომხეთი):

1) „ცნობილი ბიოლოგიურად აქტიური ინდოლური ნივთიერებების პროცესის სინთეზი“ (პლენარული);

2) „2-ჩანაცვლებული ინდოლის სინთეზი და ზოგიერთი თავისებურებანი“;

3) „ამინომექნზონის მჟავათა ესტერების N-გლიკოზილირება“;

4) „ადამანტანის ზოგიერთი წარმოებულის ბიოციდური აქტიურობა“.

— „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა სინთეზის ძირითადი მიმართულებები“ (სამეცნიერო კონფერენცია „ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმია და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი).

აკად.წევრ-კორ. შ.სამსონიას მონაწილეობით მუშავდებოდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი – „სტაბილური ^{13}C იზოტოპით მარკირებული ზოგიერთი ფარმპრეპარატის მიღების მეთოდების შემუშავება“ (2012 წლის გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი AR/311/6-420/11, 2012-2014).

აკად.წევრ-კორ. შ.სამსონია იქო 2012 წელს შესრულებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-

მეტყველი მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საკვლევი თემის – „პრაქტიკული თვისებების მქონე ბუნებრივი და სინ-თეზური არომატული, ჰეტეროციკლური და ალიციკლური ნაერთები: სინთეზი, გამოკვლევა“ – მეცნიერ-ხელ-მძღვანელი.

აკად.წევრ.-კორ. შ.სამსონია არის საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარების კონცეფციის თანაავტორი; ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ქიმიის დარგში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ ციციშვილი

სტატიები

1) „ნანო-ნაწილაკების შემცველი სტატისტიკური სისტემის ალბათური მოდელი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, გ. 38, №1, 2012, 57-61, რუსულ ენაზე).

განხილულია ნანო-ნაწილაკების შემცველი სტატისტიკური სისტემა მაკროსკოპული ანსამბლის კონფიგურაციის სტოქასტიკური ცვლილებების ალბათობის კუთხით. მარტივი, ერთგვაროვანი სისტემებისათვის დამახასიათებელი „მარკოვის ჯაჭვის“ ალბათური მოდელი შედარებულია „არამარკოვისებრი“ პროცესის მოდელთან, რომელიც წარმოდგენილია წილადური ინტეგრალური და დიფერენციალური ოპერატორების გამოყენებით. შედგენილია ბალანსის განტოლებები და განხილულია წილადური ინტეგრალური და დიფერენციალური ოპერატორების საკუთარი ფუნქციების („წილადური ექსპონენტების“) მახასიათებელი თვისებები.

2) „საქართველოს ადგილმდებარეობის ვულკანური წარმოშობის წილების საფუძველზე მომზადებული

ადსორბენტები“ (თანავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 38, №1, 2012, 97-100, რუსულ ენაზე).

საქართველოს ადგილმდებარეობის ვულკანური წარმოშობის წილების საფუძველზე შემუშავებულია ადსორბენტის მიღების მეთოდიკა; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიღებული ადსორბენტი გამოყენებული იქნება როგორც ქრომატოგრაფიული სვეტების საცმი, ფრეონის ზეთების (გამოიყენება სამაცივრო ტექნიკაში) დაბინძურების ხარისხის საკონტროლოდ. მიღებული ადსორბენტის სიიაფე განპირობებულია მისი ძირითადი კომპონენტის, მინერალური ნედლეულის ვულკანური წარმოშობის წილით, რომლის ულევი მარაგებია საქართველოში.

3) „1 -პიროლო[3,2-ჰ]ფტალაზინ-6,9-დიონის სინთეზი“ (თანავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 38, №2-3, 2012, 141-142, ინგლისურ ენაზე).

5-ნიტროფტალაზ-1,4-დიონის ქლორირებით მიღებულ 5-ამინოფტალაზ-1,4-დიონის პიდროქლორიდის დიაზოტირებით და გამოყოფილი დიაზონიუმის მარილის აღდგენით მიღებულია პიდრაზონი, ხოლო მისი ციკლიზაციით – შესაბამისი 1 -პიროლო[3,2-ჰ]ფტალაზინ-6,9-დიონი.

4) „ბუნებრივი მინერალური ნედლეულიდან ახალი წვრილდისპერსიული ცეოლითური მასალის მიღება“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 38, № 2-3, 2012, 165-167).

შესწავლილია წვრილდისპერსიული ცეოლითური მასალის პიდროთერმალური კრისტალიზაციის გზით მიღების პროცესი. დადგენილია, ალუმინისილიკატურ რეაგენტად, წინასწარ მარილმჟავას 20%-იანი სსნარით დამუშავებული ბუნებრივი ანალციმშემცველი ქანის ამ მიზნით გამოყენების შესაძლებლობა. რენტგენულ-დიფ-

რაქტომეტრიული მეთოდით გამოკვლევის შედეგად, მასალა იდენტიფიცირებულია, როგორც ფოსაზიტის (NaX) ტიპის წვრილდისპერსიული ცეოლითი, მისი სორბციული ტევადობა შეადგენს 11,5 მმოლ/გ, რაც უახლოვდება სინთეზური ეტალონური ნიმუშის სორბციულ ტევადობას (12,2 მმოლ/გ).

აკად.წევრ-კორ. კ.ციციშვილი 2012 წ. მონაშილეობდა კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (ქუთაისი) „ინოვაციური ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ თანაავტორობით გააკეთა 2 მოხსენება:

1) „ადსორბენტ-იონმიმომცვლელების სახის ნანოცეოლითური მასალები“;

2) „4-ჯიდროქსიკუმარინის კონდენსაციის რეაქციები ზოგიერთ არომატულ ალდეჰიდებთან“.

– VIII საერთაშორისო მამედალიევის კონფერენციაზე ნავთობქიმიაში თანაავტორობით გააკეთა 2 მოხსენება (ბაქო, აზერბაიჯანი):

1) „ნავთობის საშუალო და მაღალმდუღარე ფრაქციებში ნახშირწყალბადებისა და გოგირდოვანი ნაერთების დაყოფა“;

2) „ბრიკეტული საწვავის მიღება საქართველოს სანედლეულო რესურსების ნახშირბადშემცველი ნარჩენებიდან“.

– აკადგენიკოს ლეონიდე მელიქაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ნავთობქიმიაში თანაავტორობით გააკეთა 4 მოხსენება (თბილისი):

1) „დეკათონირებული ცეოლითების აქტიური ცენტრების შესწავლა მეთანოლის უანგვით გარდაქმნაში“;

2) „ნავთობის საშუალო და მაღალმდუღარე ფრაქციებში ნახშირწყალბადებისა და გოგირდოვანი ნაერთების დაყოფა“;

3) „საქართველოს საბადოების ნავთობების გამოკვლევა“;

4) „ნარჩენებით დაბინძურებულ ნიადაგზე ბუნებრივი ანალიტიკის ზემოქმედების დადებითი ეფექტი“.

აკად.წევრ.-კორ. ვ.ციციშვილი არის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ურნალ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ქიმიის სერიის რედაქტორი, განყოფილებასთან არსებული ქიმიური ეკოლოგიის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბეჟან ჭანკვეტაძე სტატიები

1) „ქირალური მუავა ბუნების ნივთიერებების ენანტიომერების დაყოფის ოპტიმიზაცია სითხურ ქრომატოგრაფიაში ცელულოზა ტრის(3-ქლორ-4-მეთილფენილკარბამატის) და პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1234, 2012, 56-63, ინგლისურ ენაზე)

ჩვენს ადრინდელ გამოკვლევებში შესწავლილი იყო ფუძე ბუნების მქონე ქირალური ნივთიერებების ენანტიომერების დაყოფა ცელულოზა ტრის(3-ქლორ-4-მეთილფენილკარბამატის) და პოლარული ორგანული მოძრავი ფაზების გამოყენებით. წინამდებარე ნაშრომში განხორციელდა ანალოგიური გამოკვლევა მუავა ბუნების მქონე ქირალური ნივთიერებებისათვის. დაყოფის პირობების ოპტიმიზაციის მიზნით გამოყენებულია ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ოპტიმიზაციის სტატისტიკური მეთოდები.

2) „ახალი ტიპის ქირალური სტაციონარული ფაზების Sepapak-2 და Sepapak-4-ის შეფასება ქირალური პესტიციდების ენანტიომერების დასყოფად ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრა-

ფიაში“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1234, 2012, 22-31, ინგლისურ ენაზე).

პირველადაა შესწავლილი ახალი ტიპის ქირალური სტაციონარული ფაზების Sepapak-2 და Sepapak-4-ის გამოყენების შესაძლებლობა ქირალური პესტიციდების ენანტიომერების დასაყოფად ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში.

3 „ზედაპირულად და მთლიანად ფოროვან სილიკაგელებზე დაფენით მომზადებული პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების შედარებითი დახასიათება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად მაღალეფექტურ სითხეურ ქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1234, 2012, 50-55, ინგლისურ ენაზე).

პირველადაა მომზადებული ქირალური სტაციონარული ფაზა ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხეურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სელექტორის დაფენით ზედაპირულად ფოროვან სილიკაგელზე და ნაჩვენებია მისი უპირატესობა მთლიანად ფოროვან სილიკაგელზე დაფენით მომზადებულ მასალებთან შედარებით.

4 „ნორეფედრინის ენანტიომერების დაყოფა კაპილარულ ელექტროფორეზში ციკლოდექსტრინების გამოყენებით ქირალურ სელექტორებად: შედარებითი გამოკვლევა კაპილარული ელექტროფორეზის და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მეთოდით“ (თანაავტორობით; J. Electrophoresis, 33, 2012, 1637-1647, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია ნორეფედრინის ენანტიომერების აფინობის რიგი სხვადასხვა ნატივური და დამუხსტული ციკლოდექსტრინების მიმართ და შესწავლილია ქირალური გამოცნობის მექანიზმები ბირთვულ-მაგნიტური

რეზონანსის სპექტროსკოპიის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

5) „ზოგიერთი ქირალური ეპოქსიდის ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული სვეტების გამოყენებით“ (თანაავტორობით; J. Chromatographia, 75, 2012, 839-845, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ზოგიერთი კომერციული, ისევე როგორც ჩვენს ადრინდედ გამოკვლევებში, ახლად დასინთებული ქირალური ეპოქსიდის ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ქირალური ადსორბენტების გამოყენებით. პირველადაა აღწერილი ქრომატოგრაფიული პიკების ენანტიოსელექტრიური ფოკუსირების ეფექტი.

6) „ქირალური დიპიდროპირიდინების ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით განსაკუთრებული აქცენტით ენანტიომერების ელექტრიურების რიგზე“ (თანაავტორობით; J. Sep. Sci., 35, 2012, 2529-2537, ინგლისურ ენაზე).

ჩვენს ადრეულ გამოკვლევაში სითხურ ქრომატოგრაფიაში პირველად იქნა დადგენილი ენანტიომერების ელექტრიურების რიგის შებრუნვება ქირალური დიპიდროპირიდინის, ამლოდიპინის მაგალითზე ჭიანჭველმჟავას კონცენტრაციის ცვლილებით მოძრავ ფაზაში (აცეტონიტრილი) ძალის ვიწრო დიაპაზონში. წინამდებარე გამოკვლევაში შესწავლილია სხვა ქირალური დიპიდროპირიდინებიც, ისევე როგორც ნორმალურ- და შებრუნვებულფაზიანი ქრომატოგრაფიული მოძრავი ფაზებიც.

7) „ამილოზასა და ცელულოზას საფუძველზე მოზადებული ახალი ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენება ფლავანონების ენანტიომერების დასა-

ეოფად ნანოქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; Anal. Chim. Acta, 738, 2012, 85-94, ინგლისურ ენაზე).

პირველადაა ჩატარებული ამილოზასა და ცელუ-ლოზას საფუძველზე მომზადებული ახალი ქირალური სტაციონარული ფაზების სისტემატიკური გამოკვლევა ბუნებრივი და სინთეზური ქირალური ნივთიერებების მნიშვნელოვანი კლასის, ფლავანონების ენანტიომერების დასაყოფად ნანოქრომატოგრაფიაში.

8) „ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების ენანტიომერების დაყოფის შედარებითი შესწავლა ქლორინებულ და არაქლორინებულ პოლისაქარიდულ ქირალურ სტაციონარულ ფაზებზე კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; AgBioForum, 15, 2012, 3207-3216, ინგლისურ ენაზე).

რამდენიმე ათეული ფუძე-, მჟავა- და ნეიტრალური ბუნების ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების მაგალითზე შედარებულია ახალი, ქლორინებული და უფრო ტრადიციული, არაქლორინებული ქირალური სტაციონარული ფაზების ენანტიომერების დაყოფის უნარი კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში და ნაჩვენებია როგორც ამ მასალების კომპლემენტარობა, ასევე ქლორინებული მასალების მიერ ენანტიომერული ნარევების დაყოფის შედარებით მაღალი უნარი.

9) „ენანტიომერული ნარევების დაყოფის შედარებითი შესწავლა მთლიანად ფოროვანი და ზედაპირულად ფოროვანი სილიკაგელების საფუძველზე მომზადებული პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1269, 2012, 136-142, ინგლისურ ენაზე).

საყოველთაოდ მიღებულია, რომ კაპილარული ელექტროქრომატოგრაფიის ძირითადი უპირატესობა ნა-

ნანოქრომატოგრაფიასთან შედარებით (თეორიული თევზ-შების უფრო მაღალი რიცხვი) განპირობებულია პერ-ფუზიური ტრანსპორტით ნაწილაკის ფორმებში ელექტროქრომატოგრაფიულ ექსპერიმენტში, მაშინ როდესაც ანალოგიური გადაადგილება ნანოქრომატოგრაფიაში ხდება დიფუზიური მექანიზმით. გამომდინარე ზედაპირულად ფორმვანი სილიკაგელის მორფოლოგიიდან ასეთ ნაწილაკებში თითქოს არ უნდა არსებობდეს გამჭოლი (დიამეტრალური) პერფუზიური ნაკადი და, ამდენად, ასეთი მასალების შემთხვევაში ელექტროქრომატოგრაფიულ ექსპერიმენტში არ უნდა მიიღებოდეს თეორიული თევზების უფრო მაღალი რიცხვი ნანოქრომატოგრაფიულ ექსპერიმენტთან შედარებით. ამ თეორიული მოსაზრების საწინააღმდეგოდ ასეთი უპირატესობა ექსპერიმენტულად მაინც დასტურდება, რაც აისხნა (სავარაუდო) ზედაპირული ტანგენციალური პერფუზიური ნაკადების არსებობით ზედაპირულად ფორმვან ადსორბენტებში ელექტროქრომატოგრაფიული ექსპერიმენტის დროს.

10) „ტალინოლოლის ენანტიომერების დაყოფის შედარებითი გამოკვლევა წყალსნარებსა და არა-წყალსნარებში კაპილარული ელექტროფორეზის მეთოდით და სელექტორ-სელექტანდის ურთიერთქმედების გამოკვლევა ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მეთოდით“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1267, 2012, 206-216, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია ნატიფი განსხვავებები ქირალური სამკურნალწამლო საშუალების – ტალინოლოლის ენანტიომერული ნარევების დაყოფის მექანიზმებს შორის წყალსნარებსა და უწყლო ელექტროლიტებში კაპილარული ელექტროფორეზის მეთოდით. ჩატარებულია ტალინოლოლის ენანტიომერებისა და სხვადასხვა ციკლოდექსტრინების მოლეკულათშორისი ურთიერთქმე-

დების გამოკვლევა ბირთვულ-მაგნიტური ოვერპაუზე-რის ეფექტის გამოყენებით.

11) „ახალი გამოკვლევები პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების შესახებ ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხურ ფაზაში“ (თანაავტორობით; J. Chromatogr. A, 1269, 2012, 26-51, ინგლისურ ენაზე).

მიმოხილვაში შეჯამებულია პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების 30-წლიანი ისტორია ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში და მიმოხილულია უახლესი მიღწევები ამ დარგში.

აკად.წევრ-კორ. ბ.ჭანკვეტაძემ 2012 წ. მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ახალი გამოკვლევები ენანტიომერული ნარევების დაყოფის მექანიზმების შესახებ კაპილარულ ულექტროფორეზში წყალსნარებისა და არაწყალსნარების გამოყენებით“ (Chirality-2012, ტეხასი, აშშ);

– „Lux ქლორინებული ქირალური სტაციონარული ფაზები: უახლესი მიღწევები ენანტიომერების დასაყოფად სითხურ ქრომატოგრაფიაში“ (Chirality-2012, ტეხასი, აშშ);

– „უახლესი მიღწევები ენანტიოსელექტრულ ანალიზი“ (XXIII Congresso Nazionale della Divisione di Chimica Analitica, იტალია);

– „ზოგიერთი ახალი ეფექტი ენანტიომერების დაყოფაში სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით“ (29th International Symposium on Chromatography & 18th International Symposium on Separation Sciences, ტორუნი, პოლონეთი).

- „ზოგიერთი ახალი მიღწევა ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების ენანტიოსელექტრიურ ანალიზში” (10-th International Symposium on Pharmaceutical Sciences, ანკარა, თურქეთი);
- „უახლესი გამოკვლევები ენანტიომერების დაყოფის მექანიზმების შესახებ კაპილარულ ელექტროფორეზში” (19th International Symposium on Electro- and Liquid Phase-separation Techniques (ITP 2012), ბალტიმორი, აშშ);
- „ზედაპირულად ფორმვან სილიკაგელზე მოდიფიცირებული პოლისაქარიდის დაფენით მიღებული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენება ქირალური დაყოფებისათვის ნანოქრომატოგრაფიასა და კაპილარულ ელექტროქრომატოგრაფიაში” (თანაავტორობით; 19th International Symposium on Electro- and Liquid Phase-separation Techniques (ITP 2012), ბალტიმორი, აშშ);
- „ქირალური სამკურნალწამლო საშუალებების – ენანტიომერების დაყოფა სხვადასხვა ციკლოდექტრინებით წყალსნარებიან და არაწყალსნარებიან კაპილარულ ელექტროფორეზში და შესაბამისი სელექტორ-სელექტრანდ ურთიერთქმედებების პლატფორმაზე ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მეთოდით” (თანაავტორობით; 19th International Symposium on Electro- and Liquid Phase-separation Techniques (ITP 2012), ბალტიმორი, აშშ).

აკა.წევრ-კორ. ბჭანკვეტაძემ 2012 წ. ჩატარა სემინარები:

„Lux-ის სერიის ახალი ქირალური სტაციონარული ფაზები ენანტიომერული ნარევების დასაყოფად სითხერ ქრომატოგრაფიაში” (სემინარი კომპანია Phenomenex-ის იტალიის განყოფილებაში, ბოლონია, იტალია; სემინარი ფარმაცევტულ კომპანია Sicor-ში, მილანი, იტალია; სემინარი კომპანია Uptuit-ში, ვერონა, იტალია; სემინარი კომპანია Rotapharm-ში, მონცა, იტალია; სემინარი კომპანია Chirosis-ში, უერენცანო, იტალია; სე-

მინარი კომპანია Industriale Chimica-ში, სარონო, იტალია; ერთდღიანი სემინარი, ბაზელი შვეიცარია; ერთდღიანი სემინარი კომპანია Phenomenex-ის გერმანულ განყოფილებაში, გერმანია).

მას ჰქონდა სტენდური მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე:

1) „ზოგიერთი ქირალური ბეტა-ბლოკატორის ენანტიომერების დაყოფა პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების და ნორმალურფაზიანი სითხეური ქრომატოგრაფიის გამოყენებით” (თანაავტორობით; 29th International Symposium on Chromatography & 18th International Symposium on Separation Sciences, ტორუნი, პოლონეთი);

2) „ქირალური დიპიდროპირიდინების ენანტიომერების დაყოფა სითხეურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით აქცენტით ენანტიომერების ელექტრების რიგზე” (თანაავტორობით; 29th International Symposium on Chromatography & 18th International Symposium on Separation Sciences, ტორუნი, პოლონეთი);

3) „ტალინოლოლის ენანტიომერების დაყოფის შედარებითი გამოკვლევა წყალხსნარებსა და არაწყალხსნარებში კაპილარული ელექტროფორეზის მეთოდით და სელექტორ-სელექტანდის ურთიერთქმედების გამოკვლევა ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მეთოდით” (თანაავტორობით; 19th International Symposium on Electro- and Liquid Phase-separation Techniques (ITP 2012), ბალტიმორი, აშშ);

4) „პეტოპროფენის ენანტიომერების დაყოფა კაპილარულ ელექტროფორეზში ტრიმეთილინებული α -, β -, და γ -ციკლოდექსტრინების გამოყენებით და შესაბამისი სელექტორ-სელექტანდ ურთიერთქმედების გამოკვლევა ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიის

გამოყენებით” (თანაავტორობით; 18-th Latin American Symposium on Biotechnology, Biomedical, Biopharmaceutical and Industrial Application of Capillary Electrophoresis and Microchip Technologies, ბუენოს-აირესი, არგენტინა).

აკად.წევრ-კორ. ბ.ჭანავეგაძე 2004 წლიდან მუშაობს საერთაშორისო ჟურნალის Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis (გამომცემლობა Elsevier, ამსტერდამი. პოლანდია) მთავარ რედაქტორად. გარდა ამისა, იგი მიწვევლია შემდეგი საერთაშორისო ჟურნალების რედაკოლეგიების წევრად: Journal of Chromatography A, Chirality, Electrophoresis, Journal of Separation Science, Current Analytical Chemistry, Current Pharmaceutical Analysis, Current Chromatography.

საანგარიშო პერიოდში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაშ ჩაატარა თორმეტი საერთო კრება და ერთი ბიუროს სხდომა, რომელზეც განხილული იქნა ოცდარვა სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხი.

განყოფილებაშ მოისმინა და განიხილა ივ-ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის, ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტების 2011 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები, შეაფასა ისინი და სათანადო დასკვნები რეცენზიებთან ერთად გადასცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

განიხილა და შეაფასა ივ-ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსი-

ტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის და პოლიმერული კომპოზიციური მასალების განყოფილებების, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიისა და ფარმაციის მიმართულებების 2012 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშები. დასკვნები რეცენზიებთან ერთად გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

განყოფილებამ განიხილა:

– პეტრე მელიქიშვილის სახელობის 2012 წლის აკადემიური პრემიის მინიჭების საკითხი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის სახელობის 2012 წლის აკადემიური პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი იქნენ ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ.სამსონია, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორები ი.ჩიკვაიძე და მ.ტრაპაიძე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატები ნ.ჩიკვაიძე (თარგამაძე), დ.ფაჯრიშვილი და დ.ზურაბიშვილი ნაშრომთა ციკლისათვის „აზოტშემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი არომატული პეტეროციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი“.

– ეურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიის“ სარედაქციო კოლეგიისა და რედაქტორის დამტკიცებისა და უფრნალში სამეცნიერო სტატიების დაბეჭდვის პირობები;

– საქართველოში ქიმიის მეცნიერების განვითარების კონცეფცია, რომელიც დამტკიცებულია 16 ნოემბერს აკადემიური საბჭოს მიერ და გადაეგზავნა ზემდგომ ორგანოებს;

- საქართველოში ფარმაკოქიმიის მეცნიერების განვითარების კონცეფცია;
- აკადემიკოს გიორგი ციციშვილის სახელობითი პრემიის დაარსების საკითხი;
- 2011 წელს გამოსაცემად მომზადებული ნაშრომების გამოცემის საკითხი;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის აკადემიკოს აბელ მამედ ოდლი მაგისტრამოვის არჩევის საკითხი.

მოისმინა:

- განყოფილების წევრების 2011 წლის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ანგარიშები, მოხდა მათი სათანადო ფორმით გაერთიანება და გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს;
- ქიმ.მეცნ.დოქტ. ა.დოლიძის სამეცნიერო მოხსენება „საქართველოში მცირებონაუიანი ქიმიური მრეწველობის განვითარების შესაძლებლობები მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე“;

განყოფილებამ ქიმიის დარგობრივ კომისიასთან ერთად მოამზადა და ჩაატარა:

- საიუბილეო საერთაშორისო კონფერენცია ნავთობქიმიაში, რომელიც მიეღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ლეონიდე მელიქიძის დაბადების 100 წლისთავს;
- აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა;
- აკადემიკოს ჯონდო ჯაფარიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.
- განყოფილებამ მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგობრივ კომისიასთან ერთად მოამზადა და ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია „არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნო-

ლოგიები და მეთოდები“. გამოიცა კონფერენციის შრომათა კრებული;

– აკადემიკოს ფერდინანდ თავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა;

გამოვიდა უურნალ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიის სამი ნომერი (№1, №2-3).

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 12 წევრი, აქედან 4 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

2012 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 3 მონოგრაფია და 36 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი თენგიზ ბერიძე

სტატია

„პლასტიდური დნმ-ის თანმიმდევრობის ვარიაბელობა მსოფლიო ვაზის ჯიშებში (*Vitis vinifera* subsp. *sylvestris*) კავკასიის რეგიონიდან“ (თანაავტორობით; *Vitis*, 51(3), 119-124, ინგლისურ ენაზე).

კავკასიის რეგიონი ითვლება იმ ადგილად, სადაც ვაზის დომესტიკაციის პროცესი დაიწყო, შესაბამისად ამ რეგიონის გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა წარმოადგენს ზოგადად ვაზის დომესტიკაციის გარკვევის ერთ-ერთ აუცილებელ გასაღებს. 113 ნიმუშში აღმოჩენილია 4 პლასტიდური ჰაპლოტიპი, ისიც მხოლოდ ქართულ ნიმუშებში. ის ფაქტი, რომ ქართულ ჯიშებში ვლინდება როგორც უნიკალური, ასევე ყველა სხვა დანარჩენი ჰაპლოტიპი, კარგად ეთანადება ადრეულ დასკვნებს იმის თაობაზე, რომ კავკასიის რე-

გიონისთვის დამახასიათებელია ველური ვაზის (V. vinifera subsp. sylvestris) უნიკალური და მაღალი დონის გენეტიკური მრავალფეროვნება.

აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე

სტატიები

1) აკად.წევრ-კორ. თ.სადუნიშვილთან თანაავტორობით. „ორსაფეხურიანი ანაერობული პროცესი ბიო-დეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენებიდან ბიო-წყალბადისა და ბიო-მეთანის კომბინირებული წარმოებისათვის“ (Energy, v.37, №1, 2012, 97-102, <http://dx.doi.org/10.1016/j.energy.2011.08.039>, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია მუნიციპალური მყარი ნაგვის ორგანული ფრაქციიდან ბიო-წყალბადის და ბიო-მეთანის კომბინირებული წარმოქმნის ორსაფეხურიანი ანაერობული პროცესი. თერმოფილურ პირობებში, ანაერობული ფერმენტაციის პირველ ეტაპზე მიღწეულია მეთანოგენეზის ბლოკირება pH 9-ზე. წყალბადის კუმულაციური წარმოქმნა ტოლი იყო 82,5 ლ/კგ აქროლად მასაზე. ორგანული ფრაქციის წინასწარი დამუშავება და Clostridium sp. ანაერობული თერმოფილური, ცელულოიზური და საქართვლიზური ბაქტერიების გამოყენებამ განაპირობა წყალბადის კუმულაციური წარმოქმნა რაოდენობით 104 ლ/კგ მყარ მასაზე. მეთანის შემცველობა ბიო-წყალბადში არ აღემატებოდა 0,1%. კუმულაციური ბიო-მეთანის წარმოქმნა ტოლი იყო 520 ლ/კგ მყარ მასაზე. მეთანის შემცველობა წარმოქმნილ ბიოგაზში იყო 78,6%. ენერგეტიკული მონაცემების შედარება ორსაფეხურიანი ანაერობული პროცესის ცალკე მეთანის წარმოქმნასთან მიუთითებს ენერგიის გენერაციის გაზრდაზე ბიოდეგრადირებადი ფრაქციიდან. შედეგები მიუთითებს სარწმუნო ბაზაზე იაფი ტექნოლოგიური პროცესისათვის, რომლის დროსაც უზ-

რუნველყოფილია მუნიციპალური მყარი ნაგვის ორგანული ფრაქციიდან ბიო-წყალბადისა და ბიო-მეთანის კომბინირებული წარმოქმნა. შესაძლებელია ტექნოლოგიის მასშტაბირება სამრეწველო ბიოგაზის ქარხნის დონეზე, რაც მთელი პროცესის კონომიური და გაოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესების საშუალებას მოგვცემს.

2) „ქართული ეროვნული საკვების ბიოაქტიური კომპონენტები: ანტიოქსიდანტური აქტივობების განსაზღვრა“ (თანაავტორობით; Environmental and Food Safety and Security for South-East Europe and Ukraine. NATO Sciece for Peace and Security Series – C: Environmental Security. Springer. Chaper 3, 2012, 25-31, ინგლისურ ენაზე).

ქართული ეროვნული საკვების მრავალფეროვნება განპირობებულია ქვეყნის ბიომრავალფეროვნებით, რომელიც 14 განსხვავებული კლიმატური ზონისაგან შედგება. საქართველოში გავრცელებული მცენარეები მდიდარია ასეულობით სხვადასხვა სტრუქტურულად განსხვავებული მეორეული მეტაბოლიტებით, რომელთა უმრავლესობა ხასიათდება განსაზღვრული ფიზიოლოგიური აქტივობით. შესწავლილი მცენარეები, რომელთა ბაზაზე მზადდება სხვადასხვა კვების პროცესში, მდიდარია ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე ნაეროებით, ბიოფლავონოიდებით. საქართველოს მცენარეების საფუძველზე შეიქმნა ბიოკომპოზიტები, რომლებიც ბიოსაღებავებთან ერთად წარმატებით გამოიყენება კვების მრეწველობაში.

3) „სამსაფეხურიანი ბიოტექნოლოგია ამაფეთქებლებით დაბინძურებული ნიადაგების რეაბილიტაციისთვის“ (Environmental and Food Safety and Security for South-East Europe and Ukraine. NATO Sciece for Peace and Security Series – C: Environmental Security. Springer. Chaper 10, 2012, 101-115, ინგლისურ ენაზე).

ჩატარდა მცენარეებისა და მიკროორგანიზმების სკრინინგი ტნტ ასიმილაციის უნარის გამოსავლენად. შერჩეულია 3 მცენარე (სოია, იონჯა და რეიგრასი), 41 ბაქტერიული კულტურა, 14 მიკროსკოპული სოკოსა და საფუვრის 3 შტამი. წყლის გასუფთავების ექსპერიმენტების შედეგად გამოვლენილია, რომ სოიას 12-დღიანი აღმონაცენები ეფექტურად შთანთქავს [^{14}C]TNT-ს და ბინძურებული წყლიდან და 8 დღის შემდეგ მიიღწევა დაახლოებით 80%-იანი ეფექტი.

4) აკად წევრ-კორ. თ.სადუნიშვილთან თანაავტორობით. „ლობიოს მურალაქიანობისა და ფოთლის კუთხოვანი სილაქავის გამომწვევი *Xanthomonas phaseoli* და *Pseudomonas phaseolicola*-ის საეციფიკური ბაქტერიოფაგები“ (საერთაშორისო კონფერენციის – EuroPhages 2012: Bacteriophage in Medicine, Food and Biotechnology შრომათა კრებული, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი, 2012, 46-47, ინგლისურ ენაზე).

5) „წარმოებისთვის მნიშვნელოვანი მიკროორგანიზმების ფერმენტები“ (თანაავტორობით; Annals of Agrarian Science, v. 10, №2, 2012, 8-17, ინგლისურ ენაზე).

6) „სამედიცინო სოკოებიდან ბიოლოგიურად აქტიური მეტაბოლიტების წარმოქმნის ფიზიოლოგია“ (თანაავტორობით; Annals of Agrarian Science, v. 10, №2, 2012, 67-78, ინგლისურ ენაზე).

7) „საქართველოში გავრცელებული სალეპის (*Helianthus tuberosus L.*) ფოთლებისა და ტუბერებიდან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ხსნადი მშრალი ექსტრაქტები“ (თანაავტორობით; Annals of Agrarian Science, v. 10, №2, 2012, 109-110, ინგლისურ ენაზე).

აკად. გ.კვესიტაძე 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

- „ქართული ტრადიციული რძის პროდუქტებიდან მიღებული მიკრობული შტამები“ (საერთაშორისო კონფერენცია: „ბაქტერიოფაგები და პრობიოტიკები – ანტიბიოტიკების ალტერნატივა“, თბილისი);
 - „ბაქტერიოფაგი Xanthomonas vesicatoria პამიღვრის ბაქტერიული სილაქავის მკურნალობისთვის“ (საერთაშორისო კონფერენცია: „მიკრობების ვირუსები“, ბრიუსელი, ბელგია);
 - საერთაშორისო კონფერენციაზე: Environmental Engineering and Management Journal: Environmental Microbiology and Biotechnology in the frame of the KnowledgeBased Bio and Green Economy, ბოლონია, იტალია გააკვთა ორი მოხსენება:
 - 1) „ბიოსურფაქტანტების გამოყენება ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგის ფიტორემედიაციაში“;
 - 2) „საქართველოს ნიადაგებიდან გამოყოფილი ბიოსურფაქტანტების წარმომქმნელი ბაქტერიები“;
 - „მცენარეთა ეკოლოგიური პოტენციალი“ (საერთაშორისო კონფერენცია: NATO advanced research workshop „Advanced Bioactive Compounds Counteracting the Effects of Radiological, Chemical and Biological Agents“, იალტა, უკრაინა).
- იგი მონაწილეობდა ორი უცხოური გრანტის შესრულებაში:
- „რძის ოლიგოსაქარიდებზე შერჩევითად მზარდი პრობიოკების გამოყოფა და დახასიათება“ (STCU P509, 2011-2013);
 - „საკვებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები“ (FP7 Project # 293514 (BIOPARTNERS), 2012-2014).

აკად. გ.კვესიტაძე ხელმძღვანელობდა ს.დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში დამთავრებულ 1 სამეცნიერო-კვლევით ოქმას.

აკად. გ.კვესიტაძის მიერ ხელისუფლებაში წარდგენილია მოხსენება „საქართველოში ბიოტექნოლოგიის განვითარების პერსპექტივები“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოზე მან გააკვთა მოხსენებები: 1) „ბიოტექნოლოგია XXI საუკუნის კარიბჭეზე“, 2) „თურქმენეთის ტერიტორიაზე არსებული მიკროორგანიზმების კოლექციის შექმნა და შესწავლა“.

ქართულ პრესაში დაიბეჭდა გ.კვესიტაძის სტატია მეცნიერების განვითარების მნიშვნლობასა და პერსპექტივებზე საქართველოში.

აკადემიკოსი გივი სანაძე

სტატია

„ერთუჯრედიანი მწვანე წყალმცენარეების მიერ იზოპრენის გამოყოფის ბიოტექნოლოგიური მეთოდების შემუშავება“ (გადაცემულია დასაბეჭდად ჟურნალში „მეცნიერება და კულტურა“).

შესწავლილია ერთუჯრედიანი მწვანე წყალმცენარეების შტამები მათი სამრეწველო ბიოტექნოლოგიური მასშტაბით გამოყენებისათვის. გამოცდილია ოთხი სახეობის ინტენსიური კულტურა. დადგენილია მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური პარამეტრების სიდიდე და ამ პარამეტრების მქონე ერთუჯრედიან წყალმცენარეთა ბიოლოგიური მდგრადობა. საწარმოო-ბიოტექნოლოგიური სისტემის ბიოლოგიური კომპონენტის გამოსავლენად მიმდინარეობს სამუშაოები ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური და სხვა პარამეტრების დასადგენად.

აკად. გ.სანაძემ ბათუმის ბოტანიკური ბაღის „პატ-რიარქის სავანეში“ გააკეთა მოხსენება: „ბიოგენური იზოპრენის მნიშვნელობა“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნუგზარ ალექსიძე

სტატიები

1) „ეპოლოგია და მცენარეული ლექტინები“ (Annals of Agrarian science, გ. 10, №1, 2012, 17-22, ინგლისურ ენაზე).

2) „საქართველოს ენდემური მცენარე სვინტიდან (Polygonatum obtusifolium Miscz.) მანოზა-სპეციფიკური ლექტინის გამოყოფა და ბიოქიმიური დახასიათება“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. 6, №2, 2012, 119-124, ინგლისურ ენაზე).

საქართველოს ენდემური მცენარე Polygonatum obtusifolium Miscz.-დან პირველადაა გამოყოფილი და ბიოქიმიურად დახასიათებული მანოზა-სპეციფიკური ლექტინი SABA-1. SABA-1-ის მინიმალური ჰემაგლუტინაციური აქტივობაა 0,01 მგ/მლ; იგი თერმოსტაბილური ცილაა და ლექტინურ აქტივობას ინარჩუნებს 15 წუთის განმავლობაში 60°C -ზე თერმული დამუშავების პირობებში. SABA-1-ის ჰემაგლუტინაციური აქტივობა ინციბირდება მანოზათი, α-მეთილ-მანოპირანოზიდით და N-აცეტილ-D-გლუკოზამინით. დადგენილია, რომ SABA-1 განეკუთვნება მანოზა-სპეციფიკური ლექტინების კლასს.

3) „ადამიანი, მუსიკა და ეპოლოგია (მუსიკით თერაპია)“ (Horizons in Neuroscience Research, v. 9, 2012, ინგლისურ ენაზე).

4) „მედიცინა, გენეტიკური თერაპია და ღეროვანი უჯრედებით მკურნალობის პერსპექტივები“ (თანაავტო-

რობით; Annals of Agrarian science, გ. 10, №2, 2012, 93-99, ინგლისურ ენაზე).

5) „pH3(40) ლექტინის მონაწილეობა თავის ტვინის თერმორეგულაციაში“ („Нейрохимия“, т. 46, 2012, 283-286, რუსულ ენაზე).

6) „პიპოკამპის როლი მეხესიერების ფორმირებაში“ (Horizons in Neuroscience Research, v. 11, 2012, 111-114, ინგლისურ ენაზე).

7) „pH3(40) ლექტინის როლი თავის ტვინის თერმორეგულაციაში“ (Neurochemical Journal, v. 6, №4, 2012, 265-267, ინგლისურ ენაზე).

აკად.წევრ-კორ. ნ.ალექსიძემ 2012 წ. მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „პიპოკამპის მონაწილეობა მეხესიერების ფორმირებაში“ (ნეირომეცნიერებათა VIII საერთაშორისო ფორუმი, ბარსელონა, ესპანეთი, Abstract: A-471-0214-00093);

– „განწყობის თეორიის ფსიქობიოლოგიური საფუძვლები“ (წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, აკად. შოთა ნადირაშვილისადმი მიღებილი კონფერენცია „განწყობის თეორიის თანამედროვე მდგრადარეობა“, თბილისი).

მიღებული აქვს პატენტი „პლანეტა მარსზე არსებული გამოსხივების, ტემპერატურისა და ატმოსფეროს შედგენილობის სამიტაციო კლიმატო-კამერა“ (შპს „საქპატენტი“, №12522/01, 2012).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მარლენ გორდეზიანი

მონოგრაფია

„ფერმენტები. ჰემოპროტეინების კონფორმაციული ცვლილებები, ქიმიური მოდიფიკაცია და მოდელირება“ (გადაცემულია დასაბეჭდად თავისუფალი და აგრა-

რული უნივერსიტეტის გამომცემლობაში, თბილისი, 125 გვ.).

განხილულია ფერმენტთა აღნაგობა და მათი მოქმედების ზოგადი მექანიზმი. ნაწვენებია ფიზიოლოგიურ პირობებში მათი მოდიფიკაციის შესაძლებლობა და ამ ფენომენის ბიოქიმიური არსი. აღწერილია ჰემოპროტეინების, კერძოდ, ციტოქრომ P450-ისა და პეროქსიდაზას სადღეისოდ სინთეზურად შექმნილი მოდელები. დასაბუთებულია ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელების აუცილებლობა, აქტუალობა და პერსპექტივები.

სტატია:

„ქსენობიოტიკთა მეტაბოლიზმის მონოქსიგენაზური და პეროქსიდაზური მექანიზმები“ (აგრარულ მეცნიერებათა მოამბე, ტ. 10, 2, 2012, 79-85, რუსულ ენაზე).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი ელიავა

სტატიები

1) „მაღალმოანი რეგიონის (აღმოსავლეთ საქართველო) ეკოსისტემების ნემატოდების ფაუნის დინამიკის თავისებურებები“ (თანაავტორობით; World Academy of Science, Engineering and Technology, v. 68, 2012, 28-32, ინგლისურ ენაზე).

2) „საქართველოში რეგისტრირებული თავისუფლად მცხოვრები და მცენარეთა პარაზიტი ნემატოდების ნუსხა. I ნაწილი. რიგები: Monhysterida, Araeolaimida, Chromadorida, Enoplida, Alaimida და Mononchida“ (თანაავტორობით; International Journal of Nematology, v. 21, №2, 2012, 163-168, ინგლისურ ენაზე).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აბესალომ ვეკუა მონოგრაფია

„დმანისის ვილეფრანკული ხერხემლიანთა ფაუნა“
(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სტამბა, 259 გგ., რუსულ ენაზე).

მონოგრაფიაში მოცემულია დმანისის ხერხემლიანთა ფაუნის პალეონტოლოგიური, სტრატიგრაფიული და სისტემატიკური დახასიათება, გამოთქმულია სამხრეთ კავკასიის ხერხემლიანთა ფაუნის სტრატიგრაფიული დანაწევრების მოსაზრება. დმანისის ხერხემლიანთა ფაუნაში გაერთიანებულია ფრინველების, ამფიბიების, ქეჩწარმავლების, მღრღნელების, მტაცებლების, ხორთუმიანების, კენტჩლიქოსნებისა და წყვილჩლიქოსნების 39 წარმომადგენელი. განხილულია თითოეული მათგანის სტრატიგრაფიული მნიშვნელობა, სისტემატიკური ადგილი, გავრცელების არეალი და ფილოგენეზური კავშირები. შესწავლილი ფაუნის შემადგენლობაში გამოყოფილია მეცნიერებისათვის დღგმდე უცნობი ოთხი ახალი ელემენტი: პანტერა (*Panthera onca georgica*), გიგანტური ირემი (*Arvernoceros insolitus*), წყვილჩლიქოსანი (*Capra dali*) და ხეეულრქიანი ანტილოპა (*Pontoceros surprine*). ფაუნის და პალინოლოგიური ნაშთების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ სამხრეთ კავკასიაში პლიოცენის მეორე ნახევარში გაძარტონებული იყო საკმაოდ თბილი, ზომიერად ტენიანი ჰავა, რამაც ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიაში ადრეული პომინიდების დამკვიდრებასა და მრავალფეროვანი ფაუნის გავრცელებას.

სტატიები

1) „ახალი ანთროპოლოგიური აღმოჩენა საკაუიას მდგიმეში“ (ეროვნული მუზეუმის საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექციის მაცნე, №4, 2012, 20-30).

საკაჟიას მდგიმეში (დას. საქართველო) აღმოჩენილია მაქსტიგური ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტი, რომელიც ნეანდერტალელს უნდა ეკუთვნოდეს.

2) „ქვაბებში აღმოჩენილი კვერნას სამარხი“ (ეროვნული მუზეუმის საბუნებისმეტყველო და პრეიისტორიული სექციის მაცნე, №4, 2012, 64-70, რუსულ ენაზე).

მოცემულია ქვაბების აღწაგილური ფაუნისათვის დამახასიათებელი ახალი მტაცებლის *Perinium Kvabebicus* აღმოჩენა და კვლევა.

3) „გარეჯის უდაბნოს გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური დახასიათება“ (ეროვნული მუზეუმის საბუნებისმეტყველო და პრეიისტორიული სექციის მაცნე, №4, 2012, 85-94).

მოცემულია გარეჯის უდაბნოს მიოცენური ნალექების დახასიათება და მათში ფაუნისტური ნაშთების შესწავლის შედეგები.

4) „იმერეთის (დას. საქართველო) ზედა პალეოლითის პალეოგარემოს ცვლილებები მდგიმის პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით“ (თანაავტორობით; ეროვნული მუზეუმის საბუნებისმეტყველო და პრეიისტორიული სექციის მაცნე, №4, 2012, 37-48, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება ძუძუანას (დას. საქართველო) მდგიმის პალინოლოგიური ნაშთების კვლევას, რომლის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება ძვლის არქეოლოგიური ასაკისა და იმდროინდელი საარსებო გარემოს შესახებ.

5) „ხვეულრქიანი ანტილოპა დმანისის ფაუნაში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №3, 2012, 141-144, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია ხვეულრქიანი ანტილოპას ახალი სახე *Pontoceros surprise*.

6) აკად.წევრ-კორ. დ.ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით. „ნეოგენურ ხერხემლიანთა ფაუნის ახალი აღგილსაპოვებელი კასპის რაიონში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №1, 2012, 151-156, ინგლისურ ენაზე).

კასპის რაიონში აღმოჩენილია ზედა სარმატული ფაუნის შემცველი ნალექები. ფაუნა არაა მრავალფეროვანი, მაგრამ დამახასიათებელი ფორმები საინტერესოა და ზუსტად ათარიღებენ მას ზედა სარმატულად.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ზაალიშვილი

სტატიები

1) „სითბური შოკით დამუშავებული ვირთაგვას დვიძლიდან გამოყოფილ ბირთვულ მატრიქსში PARP-1-ის ზრდა“ (თანაავტორობით; Биохимия, ტ. 77, №1, მოსკოვი, 2012, 105-110, ინგლისურ ენაზე).

ქრომატინთან ასოცირებული ფერმენტი პოლი (ADP-რიბოზა) პოლიმერაზა-1 (PARP-1), რომელიც აკატალიზებს სხვადასხვა ბირთვული ცილების NAD⁺-დამოკიდებულ ADP-რიბოზილირებას, ლოკალიზებულია ბირთვულ მატრიქსშიც. ნაჩვენებია, რომ სითბური შოკის დროს PARP-1 ტრანსლოცირდება ქრომატინიდან ბირთვულ მატრიქსში. ამ მოვლენას თან სდევს ბირთვში PARP-ის აქტივობის ინჰიბირება, ხოლო მატრიქსში მისი ზრდა. მიღებული მონაცემების მიხედვით ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბირთვული მატრიქსის თერმული დესტაბილიზაცია განაპირობებდეს PARP-1-ის ტრანსლოცირებას.

2) „PARP-1-ის დონის განსაზღვრა სითბური შოკით დამუშავებული ვირთაგვას დვიძლიდან გამოყოფილ ბირთვულ მატრიქსში“ (თანაავტორობით; საერ-

თაშორისო კონფერენციის – „ორგანიზმის ფუნქციონირების რეგულაციის ფიზიოლოგიური მექანიზმები“ მასალები, ერევანი, სომხეთი, 2012, 155-160, ინგლისურ ენაზე).

3) „PARP-1-ის ავტომოდიფიკაცია, როგორც მისი ბირთვულ მატრიქსთან კავშირის მედიატორი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – „ორგანიზმის ფუნქციონირების რეგულაციის ფიზიოლოგიური მექანიზმები“ მასალები, ერევანი, სომხეთი, 2012, 160-163, ინგლისურ ენაზე).

აკად.წევრ-კორ. თ.ზაალიშვილის ხელმძღვანელობით ივ.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში დამთავრდა სამეცნიერო-კვლევითი ოქმა „დნმ-ის ტოპოლოგიის განმსაზღვრელი ფერმენტების შესწავლა ბირთვულ მატრიქსში“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე

სტატიები

1) „ბონდის გამოქვაბულისა და ორთვალა კლდის (ჩრდ.-დას. საქართველო) ობსიდიანების წარმოშობის მრავალფეროვნება და ტრანსკავკასიაში ადამიანთა გადადგილება შეა და ზედა პალეოლითში“ (თანაავტორობით; Journal of Archaeological Science, v. 39, Issue 5, 2012, 1317-1330, ინგლისურ ენაზე).

ობსიდიანების ანალიზი და მათი მრავალგვარობა გვიჩვენებს, რომ მათი წარმოშობის ადგილი სხვადასხვა რეგიონია. ბონდის მღვიმეში და ორთვალაში ობსიდიანებს მოკრძალებული ადგილი უჭირავთ.

2) „სამხრეთ კავკასიაში ნეანდერტალელთა ადრეული ამოწყდომა, როგორც შედეგი ამ რეგიონის შეა პალეოლითის ახალი ქრონოლოგიური კვლევებისა“ (თა-

ნაავტორობით; Journal of human evolution, 63(6):770-80, 2012, ინგლისურ ენაზე).

სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში ნეანდერტალელები ამოწყდნენ ზედა პლეიისტოცენში. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ დავადგინოთ თანაცხოვრობდნენ თუ არა ნეანდერტალელები და თანამედროვე ადამიანები. ავტორები ასკვნიან, რომ ნეანდერტალელები შედარებით ადრე ამოწყდნენ და მათ თანამედროვე ადამიანებთან შეხება არ ჰქონიათ.

3) აკად.წევრ-კორ. ავეკუასთან თანაავტორობით. „ნეოგენურ ხერხემლიანთა ფაუნის ახალი ადგილსაპოვებელი კასპის რაიონში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №1, 2012, 151-156, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 145).

აკად.წევრ-კორ. დ.ლორთქიფანიძე მონაწილეობდა უცხოური გრანტების შესრულებაში:

– „ზედა პლიოცენისა და ქვედა პლეიისტოცენის პალეოგარემოს აღდგენა და ადრეული პომო კავკასიაში (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო, დმანისის ადგილსაპოვებელი და ივრისპირეთი)“ (N:GNSF/ST 09_511_5-200. 2010-2012, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი);

– ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამობილების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდთან თანამშრომლობით, 2010-2012, პროექტის თანახელმძღვანელი ქართული შერიდან;

– „დიგიტალური დოკუმენტირება და ახალი მონაპოვრების ანალიზი დმანისის ადგილსაპოვებლიდან“ (SCOPES. პროექტის თანახელმძღვანელი ქართული მხრიდან;

– „დმანისის ტაფონომიური ანალიზი“ (დამფინანსებელი NSF. პროექტის თანამონაწილე).

აკად.წევრ-კორ. დ.ლორთქიფანიძე 2012 წ. მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება:

– „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს. წარსულის შენარჩუნება. მომავლის შექმნა“ (საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებისა და გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი).

მან 2012 წლის განმავლობაში წაიკითხა ლექციები მიუნპენის უნივერსიტეტში, იოპანებურგის უნივერსიტეტში, რომში, დორდგონსა (საფრანგეთი) და კიევში. ასევე, მონაწილეობა მიიღო TEDx-ის ლონისძიებაში, რომელიც გაიმართა თბილისში.

ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ქუვეითის კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის საბჭოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე საერთაშორისო გრძელვადიან პროექტს ქუვეითის სახელმწიფოში. პროექტი გულისხმობს ქართველი არქეოლოგების მიერ ფაილაკას კუნძულის არქეოლოგიურ შესწავლასა და გათხრას.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნახუცრიშვილი

მონოგრაფია:

1) „საქართველოს (კავკასია) მცენარეულობა“ (Springer-Verlag, Heidelberg, ნიუ-იორკი, აშშ, Dordrecht London, 2012, 235 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოს მცენარეულობის (ნახევრადუდაბნოს, სტეპის, ტყის, მაღალმთის და სხვ.) ძირითადი ფორმაციები. მათი გავრცელების კანონზომიერებები და ხშირ შემთხვევაში სახეობრივი შემად-

გენლობა. მოცემულია საქართველოს მცენარეულობისა და დაცული ტერიტორიების რუკები.

სტატიები

1) „კავკასიის რეგიონის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხა“ (თანაავტორობით; Missouri Botanical Garden Press, Saint Louis. Schatz, G., Shulkina, T., Solomon, J. (eds.) გადაცემულია დასაბეჭდად, ინგლისურ ენაზე).

შედგენილია კავკასიის ენდემურ მცენარეთა წითელი ნუსხა. თითოეულ სახეობას მინიჭებული აქვს საერთაშორისო სტატუსი (კატეგორია) მათი გავრცელებისა და მომავალში არსებობის მდგომარეობის შესახებ.

2) „ჰავის მიმდინარე ცვლილებაზე კონტინენტური მასშტაბის საპასუხო პროცესების შესახებ გამაფრთხილებელი ადრეული სიგნალი“ (თანაავტორობით; Nature Climate Change, 2012, 2, 111–115. DOI: 10.1038/NCLIMATE1329, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ევროპის სხვადასხვა მაღალმოიანეთში კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან დაკავშირებით მცენარეებზე 10 წლიანი მონიტორინგის შედეგები. გმოვლენილია ძირითადი გადახრები, გამოწვეული კლიმატის ცვლილებით.

3) „ევროპის ვაზის ჯიშების მონაცემთა ბაზა (www.eu-vitis.de) – ტექნიკური ინოვაცია ინტერნეტში განთავსებისა და ინტერაქტიური მოდიფიკაციის სისტემის საშუალებით“ (თანაავტორობით; Vitis 51 (2), 2012, 79-85, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ევროპის ვაზის, მათ შორის საქართველოში გავრცელებული ველური ვაზისა და კულტურული ჯიშების შესახებ არსებული ზოგიერთი მონაცემი.

აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილმა 2012 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში და გააკეთა მოხსენებები:

- „ბუნების კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN) სახეობათა გადარჩენის კომისიის თავმჯდომარეთა შეხვედრა (აბუ დაბი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები);
- ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ სამეცნიერო სესიაზე წარადგინა 8 მოხსენება (თანაავტორობით; DIVERSITAS/GMBA-ის კონფერენცია „ალპურ სახეობათა გავრცელება, მათი მომავლის პროგნოზირება და კონსერვაცია ცენტრალურ კავკასიონზე“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფან-შმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი).

1) „ცენტრალური კავკასიონის მცენარეულობის მრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა“;

2) „წითელი ზღვრის სპექტრული ზოლისა და ტოპოკლიმატური ცვლადების გამოყენება მცენარეთა დომინანტური თანასაზოგადოებების დარუკებისათვის მაღალმთან ყაზბეგის რეგიონში (კავკასია)“;

3) „ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნება ეროზირებულ ციცაბო ფერდობებზე ყაზბეგის რეგიონში (ცენტრალური კავკასიონი)“;

4) „მცენარეთა სახეობები და ფესვების ტიპების მრავალფეროვნება – მთის ფერდობის მდგრადობის ორი საკვანძო ფაქტორი ცენტრალურ კავკასიონზე“;

5) „სიმშრალე ეროზირებულ უბანთა კიდეებზე განაპირობებს „ფარული“ საკვანძო სახეობების გადარჩევას“;

6) „ყაზბეგის რეგიონის (ცენტრალური კავკასიონი) სუბალპური ბალახოვანი ცენტრულის სახეობრივი შემადგენლობის მთავარი დეტერმინანტების რაოდენობითი ანალიზი“;

7) „პავის ცვლილების გავლენა ჭურჭლოვან მცენარეთა მრავალფეროვნებაზე ცენტრალური კავკასიონის GLORIA-ს მწვერვალებზე“;

8) „ფიტოსოციოლოგიური სიები ცენტრალური კავკასიონიდან საქართველოს მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაციისათვის“.

ყაზბეგის რეგიონში ჩატარებული ექსპედიციისას, რომლის მიზანი იყო მაღალმთის მცენარეულობის ზოგიერთი ფორმაციის შესწავლა მათი ევროპის ალპებთან შედარების მიზნით და რომელშიც, ქართველ კოლეგებთან (პროფ. გ.ნახუცრიშვილი და პროფ. ო.აბდალაძე) ერთად, მონაწილეობდნენ პროფ. ე.ჰიუბლი (ავსტრია) და პროფ. ზ.ბრეკლე (გერმანია), აღმოჩენილ იქნა კავკასიისთვის ახალი სახეობა – ლერომოხრილი მელაგუდა *Alopecurus geniculatus* L. (ოჯახი: ოაცეა) და საქართველოსათვის ახალი სახეობები – ხებალახა *Solanum dulcamara* L. (ოჯახი: Solanaceae) და ჭაობის კურდღლისფრჩხილა *Lotus pedunculatus* Cav. (= *Lotus uliginosus* Schkuhr) (ოჯახი: Leguminosae).

შეიქმნა მონაცემთა ბაზა ცენტრალური კავკასიონის მცენარეული საფარის დაახლოებით 50-60 წლის კვლევის შედეგად დაგროვილი ასეულობით ფიტოსოციოლოგიური აღწერისა, რომელთაგან თითოეული შეიცავს სახეობათა შესახებ გეოინფორმაციული მასალით აღჭურვილ სიებს. მონაცემთა ეს ბაზა აიტვირთა ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემთა GBIF (Global Biodiversity Information Facility; კოპენაგენი) საერთაშორისო პორტალში და ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის. აღნიშნული საქმიანობა განხორციელდა შვეიცარიის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (SCOPE - 2009-2012; Project no. IZ73Z0_128057; „Mountain biodiversity in the Caucasus and its functional significance“) ფარგლებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ინსპრუკტის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტს (აგსტრია) შორის არსებული კოოპერაციის ფარგლებში ბაქურიანში და ყაზბეგში ჩატარდა საველე ბოტანიკური პრაქტიკა, რომელშიც ბოტანიკით დაინტერესებულ ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა 15 აგსტრიელი, გერმანელი და სლოვენიელი სტუდენტი. პრაქტიკას ხელმძღვანელობდნენ: პროფ. ბრიგიტა ერშბამერი, პროფ. პეტერ შონესვეტერი (ინსპრუკტის უნივერსიტეტიდან) და ემერიტუს პროფ. გია ნახუცრიშვილი (ილიას უნივერსიტეტიდან).

აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილმა გარემოს დაცვის მინისტრის სახელზე წარადგინა წინადადებები საქართველოს ტყეების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადების შესახებ, გამომდინარე მათი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობიდან.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ სადუნიშვილი

სტატიები

1) აკად. გ.კვესიტაძესთან თანაავტორობით. „ორსაფეხურიანი ანაერობული პროცესი ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენებიდან ბიო-წყალბადის და ბიომეთანის კომბინირებული წარმოებისათვის“ (Energy, v. 37, №1, 2012, 97-102, <http://dx.doi.org/10.1016/j.energy.2011.08.39>, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 135).

2) „საქართველოში ფიტოპათოგენური ბაქტერიების ბიოლოგიური კონტროლის სტრატეგია“ (თანაავტორობით; Annals of Agrarian Science, v. 10, N2, 2012, 62-66, ინგლისურ ენაზე).

3) „ლობიოს ბაქტერიული დაავადებების და მათი გამომწვევების ზოგიერთი ბიოლოგიური თავისებურებანი“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-

პრაქტიკული კონფერენციის – „ინოვაციური ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ შრომების კრებული, ქუთაისი, 2012, 190-192).

4) „ბაქტერიოზებით გამოწვეული მავნეობა ლობიოს კულტურაზე“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „ინოვაციური ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ – შრომების კრებული, ქუთაისი, 2012, 123-125).

5) აკად. გ.კვესიტაძესთან თანაავტორობით. „ლობიოს მურალაქიანობისა და ფოთლის კუთხოვანი სილაქავის გამომწვევი Xanthomonas phaseoli და Pseudomonas phaseolicola-ის სპეციფიკური ბაქტერიოფაგები“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის – EuroPhages 2012: Bacteriophage in Medicine, Food and Biotechnology შრომათა კრებული, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი, 2012, 46-47, ინგლისურ ენაზე) (ანოტაცია იხ. გვ. 137).

აკად. წევრ-კორ. თ.სადუნიშვილი 2012 წ. მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ქართული ტრადიციული რძის პროდუქტებიდან მიღებული მიკრობული შემაგები“ (საერთაშორისო კონფერენცია „ბაქტერიოფაგები და პრობიოტიკები – ანტიბიოტიკების ალტერნატივა“, თბილისი);

– საერთაშორისო კონფერენციაზე „მიკრობების ვირუსები“, ბრიუსელი, ბელგია წარადგინა ორი მოხსენება:

1) „ბაქტერიოფაგი Xanthomonas vesicatoria პამიდვრის ბაქტერიული სილაქავის მკურნალობისთვის“;

2) „ბაქტერიოფაგი, როგორც ბოსტნეულის ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი“.

– „Xanthomonas phaseoli-ის სპეციფიკური პოლივალენტური ფაგის ეფექტურობის შესწავლა საქართვე-

ლოში ლობიოს მურა ლაქიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (საერთაშორისო კონფერენცია „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა, პრობლემები და თანამედროვე მიღწევები“, თბილისი).

– „ლობიოს ბაქტერიული დაავადებები საქართველოში“ (საერთაშორისო კონფერენცია „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა, პრობლემები და თანამედროვე მიღწევები“, თბილისი);

– საერთაშორისო კონფერენციაზე „Environmental Engineering and Management Journal: Environmental Microbiology and Biotechnology in the frame of the KnowledgeBased Bio and Green Economy“, S40, ბოლონია, იტალია წარადგინა ორი მოხსენება:

1) „ბიოსურფაქტანტების გამოყენება ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგის ფიტორემედიაციაში”;

2) „საქართველოს ნიადაგებიდან გამოყოფილი ბიოსურფაქტანტების წარმომქმნელი ბაქტერიები”.

– „მცენარეთა ეკოლოგიური პოტენციალი“ (საერთაშორისო კონფერენცია: NATO advanced research workshop “Advanced Bioactive Compounds Counteracting the Effects of Radiological, Chemical and Biological Agents”. იალტა, უკრაინა).

აკად. წევრ-კორ. თ.სადუნიშვილი მონაწილეობდა 2 საზღვარგარეთული გრანტის შესრულებაში:

– „რძის ოლიგოსაქარიდებზე შერჩევითად მზარდი პრობიოტიკების გამოყოფა და დახასიათება“ (STCU P509, 2011-2013).

– „საკვებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები“ (FP7 Project №293514, BIOPARTNERS, 2012-2014).

იგი ხელმძღვანელობდა ს.დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში დამთავრებულ 1 სამეცნიერო-კვლევით თემას.

აკად. წევრ-კორ. თ.სადუნიშვილმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოზე გააპეთა მოხსენება „მცენარეთა ბაქტერიული და გადებების ბიოლოგიური კონტროლი”.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებამ 2012 წელს ჩაატარა 5 საერთო კრება და ბიუროს 3 სხდომა. განყოფილებამ განიხილა და შეფასება მისცა 8 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამეცნიერო დაწესებულების 2011 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის 12 ანგარიშს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უცხოელ წევრად ასარჩევად განყოფილების მიერ წარდგენილ იქნებ: ა) ისრაელის ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურიატი აარონ ჩეხანოვერი და ბ) ვეინის (მიჩიგანი, აშშ) უნივერსიტეტის ნანობიომეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბანუ ჯენა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებასა და თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ აკადემიურ საბჭოზე მოხსენებით „თურქმენეთის ტერიტორიაზე არსებული მიკროორგანიზმების კოლექციის შექმნა და შესწავლა“ წარსდგა აკად. გ.კვესიტაძე.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებამ ჩაატარა აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის დაბადების 70 წლისთვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია „საქართველოს მიკრობული მრავალფეროვნება ახალი ბიოტექნოლოგიებისათვის“.

განყოფილების წარდგინებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში გამოიცა ორი მონოგრაფია: 1) საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების: ი.შატილოვას, ლ.რუხაძისა და ე.ყვავაძის ნაშრომი „საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის ისტორია“ და 2) აკად.წევრ-კორ. ა.ვეკუას ნაშრომი „დმანისის ვილეფრანკულ ხერხემლიანთა ფაუნა“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ავსტრიის აკადემიას შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი პროექტის – „ალპები-კავკასია“ – განხორციელების შესახებ. საქართველოს მხრიდან პროექტზე პასუხისმებელია აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილი, რომელმაც აკადემიური საბჭოს სხდომაზე ავსტრიის მაღალი რანგის დელეგაციის წინაშე გააკეთა მოხსენება ამ პროექტის მნიშვნელობის შესახებ.

მედიცინის განყოფილება

მედიცინის განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 5 წევრი, მათ შორის 2 აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს 2 სახელმძღვანელო და 20 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა

სტატიები

1) „ცერებრული სისხლის მიმოქცევა და სისხლძარღვოვანი რისკ ფაქტორები ლეიკოარაიზიან პაციენტებთან“ („Медицинская визуализация“, №2, მოსკოვი, რვ, 2012, 10-17, რუსულ ენაზე).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ძირითადი სისხლძარღვოვანი პათოლოგიების განვითარების რისკ-ფაქ-

ტორების და ლეიკოარაიოზით დაავადებულ პაციენტებში ცერებრალური სისხლის მიმოქცევის შესწავლა. ლეიკოარაიოზი გამოვლენილია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის საშუალებით. გამოკვლეულია ლეიკოარაიოზით დაავადებული 102 პაციენტი. პაციენტთა საშუალო ასაკი იყო 68 წელი. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ლეიკოარაიოზის ძირითად რისკ ფაქტორს წარმოადგენს ხანდაზმული ასაკი და ძირითადი რისკ ფაქტორი არის არტერიული ჰიპერტენზია. აღინიშნება როგორც მაგისტრალურ ექსტრაკრანიულ, ისე ვილიზის წრის სიხლძარღვებში ნაკადის ინგენსივობის გამოხატული დაქვეითება. ამასთანავე ვლინდება ვასკულური რეზისტიულობის გამოხატული მატება, რაც მიუთითებს ცერებრული სისხლძარღვების ტონუსის მატებაზე.

2 „ცერებრული ვენური ჰემოდინამიკის თავისებურებები თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქრონიკული მოშლისას“ („Медицинская визуализация“, №4, მოსკოვი, რფ, 2012, 104-112, რუსულ ენაზე).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პაციენტებში ცერებრული სისხლის მიმოქცევის ქრონიკული დარღვევებით ვენური ჰემოდინამიკის შეფასება. გაანალიზებულია 136 პაციენტის, რომლებსაც აღენიშნებოდათ დისცირკულაციური ენცეფალოპათია, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. გამოვლინდა, რომ ექსტრაკრანიული სისხლძარღვების ათეროსკლეროზული დაზიანება და არტერიული ჰიპერტენზია იწვევს ფიზიოლოგიური (არტერიო-ვენური პომპის) მუშაობის შეფერხებას და იწვევს შეგუბებას ვენურ სისტემაში. პროცესის პროგრესირების პირობებში ხდება კომპენსატორული შესაძლებლობების ამოწურვა, რასაც ხელს უწყობს თანდაყოლილი ვენური ანომალიები. ვენური დისცირკულაციის გაღრმავება დაკავშირებულია ლიქ-

ვორის პულსური წნევის მატებასთან და კეთილთვისებიან ქალასშიდა პიპერტენზიასთან, რაც შემდგომ იწვევს ჰიდროცეფალიას და თავის ტვინის ქერქულ ატროფიას.

3) „დიფუზურ-ტენიორული გამოსახვა და ტრაქტოგრაფია პრექიორულგიულ პრაქტიკაში“ (ქ. „რენტგენოლოგიის მაცნე“, 1-2 (38-39), 2012, 8-16).

მაგნიტურ-რეზონანსული დიფუზურ-შეწონილი გამოსახვა წარმოადგენს თანამედროვე ნეიროვიზუალიზაციის უნიკალურ მეთოდს და საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ბიოლოგიურ ქსოვილში წყლის მოლეკულების დიფუზიის პროცესი. გაანალიზებილია აღნიშნული მეთოდის შესაძლებლობები. დიფუზურ-ტენიორულ გამოსახულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაავადებათა დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში. ქირურგიულ ნეიროონკოლოგიაში ინტრააქსიალური ნეოპლაზმების რეზექციის დროს პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ნეოპლაზმის ქსოვილის მაქსიმალური რეზექციისას ტვინის ჯანმრთელი ქსოვილის დაზოგვა და შესაბამისად პოსტოპერაციული ნეკროლოგიური დეფიციტის მინიმიზაცია. დიფუზურის პროცესის მახასიათებლების შესწავლით შეიძლება მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია სიმსივნის პრექიორულგიული მორფოლოგიური კლასიფიკაციისათვის.

4) „მრავალშრიანი კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის მნიშვნელობა მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმების დიაგნოსტიკაში, თანამედროვე მართვა და გამოსავალი“ (ქ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, 1-2 (38-39), 2012, 32-38).

მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმა სისხლძარღვთა დაავადებებს შორის საქმაოდ იშვიათ პათოლოგიას წარმოადგენს. მუხლქვეშა არტერიის ანევრიზმების დი-

აგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა ჯერ კიდევ შემდგომი განხილვისა და შესწავლის საგნად რჩება. განხილულია კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის შესაძლებლობები მუხლქვეშა არტერიის ანგორიზმების დიაგნოსტიკაში და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრაში.

5) „რენტგენოლოგიური ასპექტები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დივერტიკულების დიაგნოსტიკაში“ (ქ. „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, 1-2 (38-39), 2012, 60-69, რუსულ ენაზე).

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დივერტიკულები წარმოადგენს შეძენილ და თანდაყოლილ ნოზოლოგიებს. შეფასებულია რენტგენოლოგიური კვლევის შესაძლებლობები. გაანალიზებულია 112 პაციენტის კვლევის მონაცემები. გაკეთებულია დასკვნა, რომ ციფრული რენტგენოლოგიური კვლევა შეუცვლელი მეთოდია დივერტიკულების დიაგნოსტიკაში.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

- „საფეთქლის წილის ეპილეფსიისას ნეირონული ბოჭკოების სიმკვრივის ასიმეტრია“ (ევროპის ეპილეპტოლოგთა მე-10 კონგრესი, ლონდონი, ინგლისი);

- „გულის ექინოკოკოზის და ღვიძლის თანდართული დაზიანების რადიოლოგიური დიაგნოსტიკა“ (ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა ასოციაციის კონგრესი, ჩიკაგო, ამერიკა);

- „მულტიფორალური ათეროსკლეროზი პაციენტებში გვირგვინოვანი არტერიების დაავადებებით – მრავალშრიანი კტ ანგიოგრაფიისა და ფერადი დოპლერგრაფიული კვლევის შესაძლებლობები“ (ევროპის კარდიო-რადიოლოგთა ასოციაციის კონგრესი, ბარსელონა, ესპანეთი).

აკადემიის წევრ-კორელაციუნდენტი ლავრენტი მანაგაძე

სტატიები

1) „მიტოქონდრიული დეფექტები და მათი როლი პროსტატის კიბოს განვითარებაში” (თანაავტორობით; European Medical Health and Pharmaceutical Journal, vol.3, 2012, 17-20, ინგლისურ ენაზე).

კვლევა ეხება მიტოქონდრიული დეფექტების მნიშვნელობას პროსტატის კიბოს განვითარებაში. ამ მიზნით შესწავლილია მიტოქონდრიების ელექტრომატრანსპორტირებელი ჯაჭვის ფერმენტების – სუქცინატდეპიდროგენაზასა და ციტოქრომოქსიდაზას რაოდენობა სისხლში. კვლევა ჩატარდა პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის (BPH), BPH PIN-თან (პროსტატის ინტრაეპითელური ნეოპლაზია) ერთად პროსტატის ადგნოკარცინომის მქონე პაციენტებზე. მათი ასაკი შეადგენდა 60-75 წელს. საკონტროლო ჯგუფში პრაქტიკულად ჯანმრთელი ჰირები გაერთიანდნენ. კვლევა წარმოებდა საექტროფოტომეტრიული მეთოდის გამოყენებით. შესწავლილია, აგრეთვე, სისხლის პლაზმის ძირითადი ანტიოქსიდანტის – ცერულოპლაზმინის (C_p) რაოდენობა. პაციენტთა აღნიშნულ კონტინგენტზე ჩატარებულია რეპტალური, ჰისტოლოგიური და ექოგრაფიული გამოკვლეული. გამოვლინდა სუქცინატდეპიდროგენაზას მკვეთრი და ციტოქრომოქსიდაზას ზომიერი ცვლილება პროსტატის კიბოთი დაგავადებული მამაკაცების სიმსივნეზე ქსოვილის ეპითელიუმის უჯრედების მიტოქონდრიებში პროსტატის კეთილთვისებიან სიმსივნეებთან შედარებით. აღინიშნა, აგრეთვე, C_p გამოხატული ცვლილებები ავთვისებიან ეპითელურ უჯრედში და ეს შესაძლებელია ეფექტურად გამოყენებულ იქნეს კეთილ- და ავთვისებიანი სიმსივნის დიფერენცირებისათვის საკმაოდ მაღალი ალბათობით.

პროსტატის ავთვისებიანი ტრანსფორმაციის დროს ეპითელიუმის უჯრედებში ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ცვლილება (გლიკოლიზიდან ოქსიდაციურ ფოსფორილირებაზე გადასვლა) სიმსივნური ქსოვილის უჯრედების მიტოქონდრიებში გარკვეულ დარღვევებს და შესაბამისად მიტოქონდრიული ფერმენტული აქტივობის ცვლილებას იწვევს.

2) „სიცოცხლის ხარისხის შეფასება რადიკალური ნეფრექტომიისა და თირკმლის დონაციის შემდეგ” (თანაავტორობით; Ed. R.J.Amato, In Tech, რიეკა, ხორვატია, 2012, 299-311, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილი და შედარებულია ცხოვრების ხარისხის პარამეტრები: ა) პაციენტებში რადიკალური ნეფროქტომის შემდეგ; ბ) თირკმლის დონორებსა და გ) ჯანმრთელ, არანაოპერაციებ პირებში. ცხოვრების ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული SF-36, GBB-24 და Bf-S კიოთხვარები. SF-36 კიოთხვარის 8-დან 3 პარამეტრში („სიციალური ფუნქცია”, „სხეულის ტკივილი” და „სიცოცხლისუნარიანობა”) დონორებმა აჩვენეს სტატისტიკურად სარწმუნოდ უკეთესი მაჩვენებლები პაციენტებთან და საკონტროლო ჯგუფის პირებთან შედარებით. SF-36 კიოთხვარის ყველა პარამეტრში დონორთა მაჩვენებლები აღემატებოდა პაციენტებისა და საკონტროლო პირების მაჩვენებლებს. Bf-S-ის პარამეტრები სარწმუნოდ განსხვავდებოდა ჯგუფებს შორის დონორთა სასარგებლოდ. თირკმლის დონორთა ცხოვრების ხარისხი არ განსხვავდება ჯანმრთელ, არანაოპერაციებ პირთა მაჩვენებლისგან და სარწმუნოდ აღემატება თირკმლის სიმსივნის გამო ნაოპერაციებ პაციენტთა ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებს. მიზანშეწონილია გალეგების გაგრძელება დონორებისა და პაციენტის

ტექნიკური ცხოვრების ხარისხზე მოქმედი პარამეტრების შესწავლისა და ანალიზისთვის.

3) „სიმულტანური სიმსივნის ენუკლეორეზექცია და საკეისრო კვეთა თირკმლის კიბოს სამკურნალოდ ორსულებში” (თანაავტორობით; Ed. R.J.Amato, In Tech, რიეპა, ხორვატია, 2012, 435-442, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია თირკმლის კიბოს შემთხვევა 33 წლის ქალში, დიაგნოსტიკურებული ორსულობის 24-ე კვირას. პაციენტი მართული იქნა მეან-გინეკოლოგებთან ერთად კონსერვატიულად, ორსულობის 33-ე კვირამდე. ნაყოფის ამ ასაგში გაკეთდა ერთდროულად საკეისრო კვეთა და თირკმლის სიმსივნის ენუკლეორეზექცია. ოპერაციას გართულება არ მოჰყოლია. ლიტერატურაში აღწერილია ორსულ ქალებში თირკმლის სიმსივნის ოპერაციული მკურნალობის რამდენიმე შემთხვევა, თუმცა ეს არის პირველი შემთხვევა როდესაც სიმსივნის ენუკლეაცია და საკეისრო კვეთა ერთდროულად იქნა ჩატარებული. მკურნალობის ეს ტაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრში.

აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება:

– „პაროქსეტინის დოზირების ოპტიმიზაცია ნაადრევი ეაკულაციის მკურნალობაში” (თანაავტორობით; ევროპის უროლოგთა ასოციაციის ყოველწლიური 27-ე კონგრესი, პარიზი, საფრანგეთი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქეთევან ნემსაძე სახელმძღვანელოები

1) „ახალ შობილთა ინტენსიური თერაპია“ (USAID, უკრაინა, 100 გვ.).

განკუთვნილია ექიმებისა და რეზიდენტებისათვის. მასში მოცემულია ახალ შობილთა ინტენსიური

თერაპიის პროტოკოლები და ფაქტებზე დამყარებული მედიცინის გამოყენება პრაქტიკაში.

2) „ახალ შობილთა ინტენსიური თერაპია” (USAID, უკრაინა, 80 გვ.).

განკუთვნილია პროფესორ-მასწავლებლებისათვის და წარმოადგენს ახალ შობილთა ინტენსიური თერაპიის მართვის პროტოკოლების შედგენისა და მათი იმ-პლემენტაციის მეთოდოლოგიას.

სტატია

„ახალ შობილთა სეფსისი” (INTECH, რიეკა, ხორვატია, www.intechopen.com).

განხილულია სეფსისის მკურნალობისა და პრე-ვენციის აქტუალური საკითხები.

აკად.წევრ-კორ. ქ.ნემსაძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

აკად.წევრ-კორ. ქ.ნემსაძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

- „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების გავრცელება მწეველთა შორის პირველადი ჯანდაცვის სისტემაში საქართველოში” (ევროპის რესპირაციული საზოგადოების კონგრესი, ვენა, ავსტრია);

- „სამედიცინო შეცდომა” (საქართველოს ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა VII კონგრესი, ბათუმი);

- „როტავირუსის ვაქცინაცია” (ტრენინგი პნევმოკოკური და როტავირუსის ვაქცინაციის ღირებულებითი ეფექტურობის შეფასებაზე, დუბროვნიკი, ხორვატია).

აკად.წევრ-კორ. ქ.ნემსაძემ მიერ შედგენილია ლექციების კურსი ახალ შობილთა ინტერსიურ თერაპიაში უკრაინის საპრეზიდენტო ინიციატივის – „ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში, USAID (სიმფეროპოლის პერინა-

ტალურ-ნეონატოლოგიური ცენტრი, ხარჯოვისა და კი-ევის პერინატალურ-ნეონატოლოგიური უნივერსიტეტი).

მან მონაწილეობა მიიღო ამერიკის ძუძუთი კვების აკადემიიაში (ABM) NPO NNPOPO პროტოკოლის რე-ცენტრირებაში პიარ-რევაიურად (რეცენზენტად).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ორმან შაქარიშვილი

სტატიები

1) „ენდოგენური ანტირადიკალური დაცვის სისტემა გაფანტული სკლეროზის პირობებში” (თანაავტორობით; Georgia Medical News, 205, 2012, 11-19, ინგლისურ ენაზე).

განიხილება თავისუფალი რადიკალების მეტაბოლიზმის მარკერების ცვლილებები გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტთა სისხლსა და ცერებროსკონიურ სითხეში. ნაჩვენებია ბუნებრივი ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის შემცირება და ოქსიდანტური სტრესის მარკერების ზრდის დისოციაცია ცერებროსკონური სითხის მარკერების სასარგებლოდ.

2) „თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგია – პოპულაციური კვლევის პირველი წლის მონაცემები” (თანაავტორობით; ჟ. „რენდგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, 1-2 (38-39), 2012, 23-32).

ჩატარდა ნეიროონკოლოგიური, ეპიდემიოლოგიური კვლევის პირველი ცდა ამიერკავკასიაში. ნაჩვენებია მაღალი ავთვისებიანობის ონკოგენების შეფარდების ზრდა მენინგო-სისხლძარღვოვანი სტრუქტურის სიმსივნეებთან შედარებით. განვითარებული ქვეყნების ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგების საპირისპიროდ არაქირურგიული მენეჯმენტი გლიური რიგის თავის ტვინის სიმსივნეების მიმართ საქართველოში არ ხასიათდება სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებით,

ხოლო ინვაზიური ქიმიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის შედეგები არ გაისხვავდება რემისიული პერიოდის ხანგრძლივობით.

3) „მიასთენიასთან ასოცირებული მოტორული ერთეულების პოტენციალები და კუნთოვანი ბოჭკოვების სპონტანური აქტივობა“ (თანაავტორობით; ქ. „რენდგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, 1-2 (38-39), 2012, 16-22).

ნაჩვენებია, რომ მიასთენიასთან თანაარსებული მაღალი აგრესიულობის იმუნოპათოლოგიური აქტივაცია განაპირობებს სპინალური მოტონეირონის დაზიანებას, რომელიც თავისთავად განაპირობებს მიასთენის ამიოტროფიული ფენოტიპის ჩამოყალიბებას.

4) „ანევრიზმული სუბარაქნოიდული პემორაგიით განპირობებული მიოკარდიუმის კუმშვადობის დისფუნქცია“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, 38, №3-4, 2012, 83-90).

პირველად სამედიცინო ლიტერატურაში დასაბუთებულია მიოკარდის ნეიროგენული სტანინგის არასპეციფიკური ხასიათი, მის განვითარებაში პიპოტალამუსში ტვინის ნატრიურებული ფაქტორის ჭარბი პროდუქციის მნიშვნელობა.

5) „გენდერული დიფერენციაცია თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების მქონე პაციენტებში: პროსპექტული პოპულაციური კლევის შედეგები“ (თანაავტორობით, *Europ. J. Neurol.*, 2012, 19, ინგლისურ ენაზე).

გამოვლენილია მენინგო-სისხლძარღვოვანი და გლიური სტრუქტურების თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების დამოკიდებულება სქესზე. შედარებით ახალგაზრდა ასაკის (60 წლამდე) ქალებში სარწმუნო სიჭარბით დიაგნოსტირდება მენინგო-სისხლძარღვოვანი სიმსივნეები, ხოლო 60 წელს გადაცილებულ ასაკში

ადინიშნება გლიომების სიჭარბე და მულტიდერმული პისტოსტრუქტურის სიმსივნეები მამაკაცებში.

6) „გაფანტული სკლეროზით განპირობებული დაღლილობის სინდრომი და დამის ძილის აშლილობები” (თანაავტორობით; Europ. J. Neurol., 2012, 712, ინგლისურ ენაზე).

გამოვლინდა დამის ძილის დეზორგანიზების ხარისხის კორელაცია დაავადების პროგრესირების სიმძიმესთან. სწრაფი ძილის რედუცირება უფრო მკვეთრია ანთებით დიგრიფიული კერების პერიდიენცეფალური სტრუქტურების არეში ლოკალიზაციისას.

7) „მატრიქს-ტალოპროტეინაზებისა და პეროქსიდაციის ურთიერთდამოკიდებულება სისხლის პლაზმაში მწვავე ცერებრული იშემის პირობებში” (თანაავტორობით; Europ. J. Neurol., 2012, 409, ინგლისურ ენაზე).

დემონსტრირებულია პარალელიზმი თავის ტვინის ქსოვილში მემბრანულ-ლიპიდური პეროქსიდაციისა და მატრიქს-მეტალოპროტეინაზების კონცენტრაციას შორის პლაზმასა და ლუმბალურ ლიქვორში. MMR-ს ზრდის დინამიკა განსაკუთრებით გამოკვეთილია იშემიური ნევროზების უბნებში მეორადი ჰემორაგიის განვითარების პირობებში.

8) „ლაქვინომიდის პერორალური გამოყენება პლაცებო-კონტროლირებადი კვლევის შედეგების მიხედვით” (თანაავტორობით; Lancet, 2012, 366(11) 1000-1009, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია ახალ ინტერფერონთა მოქმედების მაღალი ოერაპიული ეფექტი რემისიულ-რეციდიული მიმდინარეობის გაფანტული სკლეროზის შემთხვევებში. საკვლევი მედიკამენტური ნაწარმი ავლენს დაავადების მოდიფიცირების მოქმედებას და განაპირობებს სტაბილიზების ეფექტს 60%-ში ორი წლის რანდომიული დაკვირვების პირობებში.

9) „CPAAP-თერაპიის ეფექტი ძილის სტრუქტურაზე ძილის აპნოეს მქონე პაციენტებში” (თანაავტორობით; Journ. of Prevention and research in medisine, 2, 3, suppl. 2, 2012, 32, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია CPAP ოქსითერაპიის დადებითი ეფექტი არა მხოლოდ დამის ძილის არქიტექტონიკაზე, არამედ ძილის აპნოესთვის დამახასიათებელ ტვინის მცირე სისხლძარღვთა ნეიროფიზიოლოგიურ, სონოსკოპიურ და ჰემორეოლოგიურ მარკერებზე. აღნიშნული კვლევები პირველად მიუთითებენ ძილის აპნოეზე, როგორც ტვინის თეთრი ნივთიერების პათოლოგიის რისკ ფაქტორზე.

10) „თავის ტვინის პირველადი სიმსიგნების ეპიდემიოლოგია საქართველოში: ორწლიანი პროსპექტული პოპულაციური კვლევის შედეგები” (თანაავტორობით; Neuroepidemiology, 39, 2012, 201, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია საქართველოში თავის ტვინის პირველადი სიმსიგნების გავრცელებისა და განვითარების სიხშირის ორწლიანი შესწავლის მასალები. მოცემულია მათი კლინიკურ-რადიოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური შესწავლის შედეგების კორელაციური ანალიზი.

11) „დამის ძილის სტრუქტურა ძილსუნთქვითი დარღვევების მქონე ავადმყოფებში CPAP-თერაპიის პირობებში” (თანაავტორობით; In: 21st Congress of the European Sleep Research Sosieti, პარიზი, საფრანგეთი, 2012, 257, ინგლისურ ენაზე).

დემონსტრირებულია სუნთქვის ავტომატური მონიტორინგ-კონტროლირებული კორექციის გავლენა პოლისომნოგრაფიულ კორელანტებზე გულის ობსტრუქციული აპნოეს პირობებში.

აკად.წევრ-კორ. რშაქარიშვილს 2012 წელს მიღებული აქვს მონაწილეობა შემდეგი სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში:

- ნევროლოგთა სამეცნიერო ფედერაციის მე-18 კონგრესი, (სტოკოლმი, შვეცია);
- ნევროლოგთა ევროპის ასოციაციის კონგრესი (ბრატისლავა, სლოვაკეთი);
- ევროპის 21-ე ინსულტის კონფერენცია (ლონდონი, ინგლისი);
- მე-5 რეგიონალური კონფერენცია: ინსულტის პრევენცია, დიაგნოზი და მკურნალობა (თბილისი);
- ცერებრულ დაზიანებათა ნეიროპროტექცია: კოლიზია? ოპტიმიზმი? (თბილისი).

აკად.წევრ-კორ. რ.შაქარიშვილმა პასუხისმგებელი შემსრულებლისა და პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით მონაწილეობა მიიღო შემდეგ საერთაშორისო კვლევებში:

- Allegro extension (სპონსორი „Teva“ ისრაელი);
- Bravo (სპონსორი „Teva“ ისრაელი);
- Gala MS-GA301 (სპონსორი „Teva“ ისრაელი);
- Nuron CP-NU 100-01 (სპონსორი „Nurin Biotech“ აშშ);
- Advance 105MS301 (სპონსორი „Biogen“ აშშ);
- Gate GTR001 (სპონსორი „Smiton“ პოლანდია);
- Glow MS-GA302 (სპონსორი „Teva“ ისრაელი).

პოსპიტალური ზედამხედველობა საქართველოში მწვავე მენინგიტისა ენცეფალიტის ეტიოლოგიურ ფაქტორებზე (გრანტის წყარო აშშ-ს სამედიცინო კვლევის ცენტრი NAMRU-3).

თავის ტვინის სიმსივნეები საქართველოში: პროსპექტული პოპულაციური კვლევა (გრანტის გამცემი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი).

2012 წელს მედიცინის განყოფილებაში ჩატარდა 7 საერთო კრება (მათ შორის ერთი ფიზიოლოგიის განყოფილებასთან ერთად) და 2 ბიუროს სხდომა. განყოფილებამ განიხილა და მიიღო დადგენილებები რიგ აქტუალურ საკითხებზე განყოფილების წევრების მიერ წარმოდგენილი საექსპერტო შეფასების დასკვნების საფუძველზე, ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრების ასარჩევად კანდიდატურების წამოყენების შესახებ.

მედიცინის განყოფილების მიერ აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილია 2 საკითხი, ისეთი აქტუალური მნიშვნელობის, როგორიცაა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია – გლობალური ჯანმრთელობის ტენდენციები (მომხს. პროფ. ა.გამყრელიძე) და ნარკომანიის ფენომენი (მომხს. პროფ. გ.ლეგავა).

ფიზიოლოგიის განყოფილება

ფიზიოლოგიის განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 4 წევრი, მათ შორის 2 აკადემიკოსი და 2 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს 5 სამეცნიერო სტატია.

22 ივნისს აკადემიის რიგებს გამოაკლდა ფიზიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ონიანი.

აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი

სტატია

„ნორმასა და პათოლოგიას შორის გარდამავალი მდგომარეობის თეორია“ („Патофизиология и экспериментальная терапия“, 2012, 3-12, რუსულ ენაზე).

პირველად დასრულებული თეორიის სახით, გადმოცემულია ორგინალურ წარმოდგენათა ერთობა ნორმასა და პათოლოგიას შორის მიმდინარე მოვლენების შესახებ ორგანიზმზე პათოგენური გამღიზიანებლის მოქმედების კვალდაკვალ. თეორიის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ცხოველებზე ჩატარებული ექსპრიმენტები და ადამიანზე შესრულებული დაკვირვებები. ცხოველებზე გარდამავალი მდგომარეობის მოდელირების იდეურ საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე, ორგინალური კონცეფცია ინფორმაციული დაავადების და ინფორმაციული სტრუქტის შესახებ.

გარდამავალი მდგომარეობა ნორმასა და პათოლოგიას შორის (გარდამავალი მდგომარეობა) ფსიქობიოლოგიური მოვლენების ერთობაა, რომელიც აღმოცენდება ნორმალურ ორგანიზმში პათოგენური ფაქტორის მოქმედების საპასუხოდ და შედგება, როგორც პროცესებისგან, რომლებიც „გადადიან“ პათოლოგიურ მდგომარეობაში (ანუ თავისი ბუნებით და მოქმედების საბოლოო შედეგით არიან პათოგენური), ასევე სხვა ბუნების პროცესებისგან, რომლებიც დამცველ როლს ასრულებენ: ამაღლებენ თრგანიზმის მდგრადობას პათოგენური გამღიზიანებლის მიმართ, ასუსტებენ გამღიზიანებლის პათოგენურ ძალას, ეწინააღმდეგებიან პათოგენური პროცესის განვითარებას, მეტიც, „აბრუნებები“ ორგანიზმს პირვანდელ – ნორმალურ მდგომარეობაში და ა.შ. ამრიგად, იგულისხმება, რომ პათოგენური გამღიზიანებლის საპასუხოდ პათოლოგიური მდგომარეობის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს ბიოლოგიურად განსხვავებული ორი მოვლენის განვითარება: უარყოფითის – პათოგენურის და დადებითის – დამცველის. დადგენილია გარდამავალი მდგომარეობის ორივე კომპონენტის ნეირობიოლოგიური (ნეიროფიზიოლოგიური, ულტრასტრუქტურული და ნეიროქიმიური) მექანიზმები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარდამავალი მდგომარეობის ბიოლოგიურად დაღებით კომპონენტს, როგორც გარემოსთან ადაპტაციის ერთ-ერთ ცენტრალურ მექანიზმს. აღსანიშნავია, რომ ეს მექანიზმი ახასიათებს უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ყველა სახეობას და მისი მნიშვნელობა აღმავალ ევოლუციურ რიგში იზრდება. იგი განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი პრიმატებში. გარდამავალი მდგომარეობა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის კლასიკურად ცნობილ ციკლში (ნორმა – პათოლოგია – კლინიკური სიკვდილი) განიხილება, როგორც მისი მეოთხე ძირითადი მდგომარეობა (ნორმა – გარდამავალი მდგომარეობა – პათოლოგია – კლინიკური სიკვდილი).

იმ მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, გარდამავალი მდგომარეობა ასრულებს ცოცხალი ორგანიზმის ფუნდამენტური ხასიათის მოვლენათა ორგანიზაციაში და რეგულაციაში, რაც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრინციპულად ახალი მიდგომებისა და მეთოდების შექმნის კონცეპტუალური საფუძველია, თეორია გარდამავალი მდგომარეობის შესახებ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარდვევა თანამედროვე ცოდნაში ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის შესახებ.

აკად. მ.ხანანაშვილი არის რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

აკად. მ.ხანანაშვილი იყო ჟურნალების – „Бюллетень экспериментальной биологии и медицины“ და „Журнал Высшей нервной деятельности им. Павлова“ სარედაქციო სამეცნიერო საბჭოების წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ ყიფშიძე

აკად.წევრ-კორ. ნ.ყიფშიძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

— კონფერენციაზე „ტრანსკარეტერული კარდიოგასკულური თერაპია“ (TCT Mediterranean – ხმელთაშუაზღვისპირეთი, 2012, ლიმასოლი, კვიპროსი) წაიკითხა 7 მოხსენება:

1) „კორონარული ინტერვენცია რთული შემთხვევების დროს“;

2) „გაფანტული სკლეროზის პერკუტანული მკურნალობის შორეული შედეგები“;

3) „მანუალური თრომბასპირაცია ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის პირობებში ჩატარებული გადაუდებელი კორონარული ინტერვენციის დროს“;

4) „ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე ინფარქტის ახლო და შორეული შედეგები ახალგაზრდა პაციენტებში“;

5) „თირკმლის ენდოვასკულური ქიმიური დენერვაცია“;

6) „გადაუდებელი კორონარული ინტერვენცია ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე ინფარქტის დროს“;

7) „თებოს არტერიების რთული რეკონსტრუქცია“.

— „გადაუდებელი კორონარული ინტერვენცია ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე ინფარქტის მქონე პაციენტებში: დრო კუნთია“ (თანაავტორობით; Acute Cardiac Care 2012 – მწვავე კარდიალური თერაპია, 2012, სტამბოლი, თურქეთი, ინგლისურ ენაზე).

— „თებოს არტერიების რთული რეკონსტრუქცია“ (TCT 2012 – ტრანსკარეტერული კარდიოგასკულური თერაპია, 2012, მაიამი, ფლორიდა, აშშ).

აკად.წევრ-კორ. ნ.ყიფშიძე თანაავტორებთან ერთად მონაწილეობდა უცხოური გრანტით დაფინანსებული თემის „შესრულებაში „დეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციისა და ქსოვილოვანი ინჟინერიის ტექნოლოგიების დანერგვა კლინიკურ პრაქტიკაში“.

ხელმძღვანელობდა სამეცნიერო კვლევას „კუჭის მარცხენა არტერიის ემბოლიზაცია სიმსუქნის მკურნალობის მიზნით“.

აკად.წევრ-კორ. ნ.ყიფშიძეს მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია ნაშრომისათვის „გადაუდებელი მედიცინა“.

არჩეული იქნა ანგიოლოგიის მსოფლიო ასოციაციისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ასოციაციის საპატიო წევრად.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზურაბ ქევანიშვილი

სტატიები

1), „ციტომეგალოვირუსის მატარებლობა სენსონევრალური ტიპის სმენადაქვეითებულ ბავშვებში“ (თანაავტორობით; Georg. Med. News, 206(5): 2012, 33-37, ინგლისურ ენაზე).

ციტომეგალოვირუსის მატარებლობა შეისწავლებოდა თანდაციოლი ან ადრეული ასაკიდანვე სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებში. კვლევის ძირითადი კონტრინგენტი იყო 3-6 წლის ასაკის მმიმე და უმდიმესი ხარისხის სენსონევრალური ტიპის სმენადაქვეითებული ბავშვები. საკონტროლო ჯგუფი შეირჩა, შემთხვევითობის პრინციპით, იმავე ასაკის ნორმალური სმენის მქონე ბავშვებისგან. ბავშვების ორივე ჯგუფში ELISA-ს იმუნოსორბენტული მეთოდით სისხლში განისაზღვრებოდა ციტომეგალოვირუსის სპეციფიკური IgG ანტისხეულების ტიპი. ანტისხეულთა მომატე-

ბული ტიტრი ძირითადი ჯგუფის 15 ბავშვიდან 14-ში და საკონტროლო ჯგუფის 30 ბავშვიდან 14-ში ანუ, შესაბამისად, 93,3%-ში და 46,7%-ში აღინიშნა. ჯგუფ-თაშორისი განსხვავება მაღალი ალბათობით სტატისტიკურად სარწმუნო იყო ($p=0,007$). ამგვარად, გაირკვა, რომ IgG ანტისხეულის არსებობით დადასტურებული ციტომეგალოვირუსის მატარებლობა ორჯერ უფრო ხშირია სენსონევრალური ტიპის სმენადაქვეითებულ, ვიდრე ნორმალური სმენის ბავშვებში. გაკეთებულია დასკვნა, რომ სმენის დაქვეითების ადრეული დიაგნოსტიკა და ციტომეგალოვირუსის მატარებლობის დროული დადგენა მნიშვნელოვანია სათანადო საპრევენციო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო დონისძიების დაუყოვნებელი დაწყებისათვის და, ამდენად, დადებითი შედეგების მიღწევისათვის.

2) „დისოციაცია სმენის კლასიფიცირებულ დონეზე სა და არაინდოევროპული თანხმოვნების აღქმას შორის: ქართული მასალა“ (თანაავტორობით; In: Proc XXXI World Congr Audiol.მოსკოვი, რფ, 2012, გვ. 202, ინგლისურ ენაზე).

როგორც ცნობილია, არაინდოევროპულ ენებში, ინდოევროპულებთან შედარებით, თანხმოვანთა მომეტებული რაოდენობაა. 40-49, 50-59, 60-69 და 70-79 ასაკის ინდივიდებში ჩატარებულ კვლევაში სმენის ზღურბლები, სტანდარტული სპექტრალური ზოლის გარდა (0,125-8 კჰც), მაღალ სიხშირეებზეც (10, 12 და 16 კჰც) განისაზღვრებოდა. პარალელურად, შეფასებულია თითოეულ ინდივიდში ქართული თანხმოვნების დიფერენციაციის უნარიც. დადგენილია, რომ მაღალსიხშირული თანხმოვნების აღქმა, ძირითადი სამეტყველო სიხშირეების ზღურბლებთან შედარებით, უფრო ადრეულ ასაკში ქვეითდება. დადასტურებულია, რომ ასაკოვან ინდივიდებში სმენის ზღურბლთა ნორმალუ-

რი სტატუსი ტრადიციულ სამეტყველო სიხშირებზე არ გულისხმობს მაღალსიხშიროვანი სპექტრის თანხმოვანთა ნორმალურ მიღებლობას. შესაბამისად, არაინდოვნოპულ ენებზე მოლაპარაკებში, კერძოდ, ქართველებში, სმენის ფუნქციის შეფასებისას, შესაბამის საპრევენციო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო აუდიოლოგიურ დონისძიებათა ჩატარების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას, აგრეთვე, სასმენი აპარატების სელექციისას და მორგება-რეგულაციისას, რეკომენდებულია სმენის არა მარტო ტრადიციული ცენტრალურსიხშირული (0,5, 1 და 2 კჰც), არამედ მაღალსიხშირული (4, 6 და 8 კჰც) მაჩვენებლებიც იქნეს გათვალისწინებული.

3) ციტომეგალოვირუსული ინფექცია: სენსონევრალური სმენაჩლუნგობის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, 38(3-4), 2012, 143-151).

დადგენილია, რომ ციტომეგალოვირუსის მატარებლობა ორჯერ უფრო ხშირია სმენადაჭვეითებულ, ვიდრე ნორმალური სმენის მქონე ბავშვებში. შესაბამისად, გაირკვა, რომ ციტომეგალოვირუსული ინფექცია სენსონევრალური სმენაჩლუნგობის მნიშვნელოვან ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სმენის ფუნქციის განსაზღვრა აუდიოსკრინინგის და/ან კომპიუტერული აუდიომეტრიის ობიექტური მეთოდებით ადრეულ ასაკშივე არის რეკომენდებული. სმენის დაჭვეითების გამოვლინებისას, სმენაჩლუნგობის მიზეზის გარკვევის მიზნით, მიზანშეწონილად არის მიჩნეული ციტომეგალოვირუსის მატარებლობის დროული დადგენა. მატარებლობის დადასტურებისას დროულად უნდა გატარდეს სპეციფიკური ლონისძიებები. სათანადო სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური მანიპულაციების დაუყოვნებლივ ჩატარების შემთხვევა-

ში პათოლოგიის ნეგატიური დინამიკის ბლოკირებისა და მკურნალობის პოზიტიური შედეგის მიღწევის შანსები იზრდება.

4) „სმენის დაქვეითება და მისი კორექციის მეთოდები“ (ქ. „ოჯახის მკურნალი“, 5(274): 44, 2012, 18-20).

აღწერილია ასაკობრივი სმენაჩლუნგობის, presbyacusis-ის გენდერული თავისებურებები. მითითებულია, რომ presbyacusis-ი მამაკაცებში უფრო ადრე იწყება, თუმცა ნელა პროგრესირებს, ქალებში – მოგვიანებით, მაგრამ უფრო სწრაფი დინამიზმით ხასიათდება. ამდენად, მოზრდილებში თავდაპირებელად სმენის მაჩვენებლები უკეთესი აქვთ ქალებს, ჭარმაგ ასაკში აუდიომეტრიულად გენდერული თანაფარდობა ყალიბდება, ხანდაზმულებში კი უფრო დაბალი ანუ უკეთესი სმენის ზღურბლები უკვე მამაკაცებს აღენიშნებათ და არა ქალებს. წარმოდგენილია საკუთარი კვლევის შედეგები, რომლებიც ნიკოტინის ოტოტოქსიკურ მოქმედებას ადასტურებს. დეტალიზებულია ბგერითი ტრაგმა, ჩამოთვლილია ვირუსული ინფექციების, ანტიბიოტიკოთერაპიის თანმდევი სმენის დაქვეითებები. შეჯამებულია საკუთარი გამოცდილება უეცარი სმენაჩლუნგობის (sudden hearing loss) მკურნალობის შესახებ. შეჯამებულია სმენის მასობრივი სკრინინგის დადებითი მომენტები. გაანალიზებულია სმენაჩლუნგობის საკორექციო მიღვომები. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია სასმენი აპარატებისა და კოხლეარული იმპლანტების მოქმედების პრინციპების შესახებ.

აკად.წევრ-კორ. ზ.ქევანიშვილი 2012 წელს ასრულებდა აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორის, სიმოხ ხეხინაშვილის სახელობის საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აუდიოლოგია/ოტოლო-

გიაში ექსპერტის ფუნქციებს, ინტენსიურად თანამ-შრომლობდა საზღვარგარეთის, კერძოდ, გერმანიის აუდიოლოგებთან, ოტოლოგებთან და ოტორინოლარინ-გოლოგებთან. პოლონეთის სამ დაწესებულებასთან ხელშეკრულებები გააფორმა აუდიოლოგიის, სმენის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სფეროში სამეცნიე-რო-პრაქტიკული თანამშრომლობის შესახებ.

აკად.წევრ-კორ. ზ.ქევანიშვილი განაგრძობდა მჭი-დრო პროფესიულ ურთიერთობას გერმანელ კოლე-გებთან. კოხლეარულ იმპლანტთა მწარმოებელმა ცნო-ბილმა გერმანულმა/საერთაშორისო კონცერნმა MedEl-მა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად, ზ.ქევანიშვი-ლის შუამავლობით, პარტნიორული კაგშირი დაამყარა თბილისის აუდიოლოგებთან და ოტოლოგებთან.

აკად.წევრ-კორ. ზ.ქევანიშვილი ხელმძღვანელობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-ლური დაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე სა-ხელმწიფო პროგრამას „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა“.

აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის ბაზაზე და-ფუნქცია „კინდ-სმენა“ – Kind-Hörgeräte-ს თბილისის ფი-ლიალი, რომელიც ცენტრთან ერთიან სტრუქტურულ და ფუნქციურ ერთეულს ქმნის და ზრუნვას სასმენი აპარატების ინსტიტუტის დამკვიდრებაზე ჩვენს ქვეყანაში.

გერმანელი და პოლანდიელი კოლეგების მიერ ნაჩუქარი ძვირადღირებული აპარატურის მეშვეობით კვლავაც გრძელდება 2006 წელს დაწყებული პროექტი სახელწოდებით „ახალ შობილთა და პირველკლასელთა სმენის გამოკვლევა“. გამოკვლეულია 130000-ზე მეტი ახალ შობილი.

2012 წელს აკად.წევრ-კორ. ზ.ქევანიშვილს თანა-ავტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს ეროვნული

პრემია მედიცინის სფეროში ნაშრომთა ციკლისათვის „კოხლეარული იმპლანტაცია საქართველოში: ბაზისური კვლევები, აპრობაცია პრაქტიკაში“.

საანგარიშო წელს ჩატარდა ფიზიოლოგიის განყოფილების 4 საერთო კრება, რომლებზეც მოსმენილი იქნა განყოფილების წევრების სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ანგარიშები, აგრეთვე, სიიპ – სამეცნიერო დაწესებულებების 2010 წლის სამეცნიერო ანგარიშების შეფასება.

განყოფილების სხდომაზე მოსმენილი იქნა ი.ბერი-გაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ოავმჯდომარის, მეცნ. დოქტორის, ნ.მითაგვარიას სამეცნიერო მოხსენება „კლინიკური პიაპერთერმიის ფიზიოლოგიური მექანიზმები“.

2012 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე განხილული იქნა დარგის პრიორიტეტული მიმართულებები 2013-2017 წლებისათვის და გადაეცა დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

ჩატარდა ერთი გაერთიანებული კრება მედიცინის განყოფილებასთან ერთად, რომელზეც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს, კიოლნის (გერმანია) უნივერსიტეტის ოტოლარინგოლოგიური კლინიკის დირექტორს პროფესორ კარლ-ბერნდ ჰუტენბრინკს გადაეცა უცხოელი წევრების დამადასტურებელი დიპლომი. ამავე სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „კოხლეარული იმპლანტაცია: თეორია და კლინიკური პრაქტიკა“.

განყოფილების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 2012 წლის 10 იანვარს აკად. ი.ბერიტაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ფიზიოლოგთა საზოგადოების სხდომაში სახელწოდებით „ბერი-გაშვილისეული კითხვანი“.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 6 წევრი, მათ შორის 1 აკადემიკოსი და 5 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2012 წელს გამოაქვეყნეს (ან წარადგინეს გამოსაქვეყნებლად) 1 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო და 24 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი

მონოგრაფია

„ერთგანზომილებიანი მონატანდატვირთული კალაპოტური ნაკადები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა ООО „Научтехлитиздат“, მოსკოვი, 2012, 191 გვ., რუსულ ენაზე).

პოლიტიკიანი ნაკადებისთვის განკუთვნილი ჰიდროდინამიკის განტოლებათა ბაზაზე მიღებულია ერთგანზომილებიანი მონატანდატვირთული ნაკადებისთვის ძირითად დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ნაკადის დაუმყარებელი მოძრაობის შეფასებისათვის. მიღებული განტოლებების გამოყენებით შემუშავებულია სპეციფიკური კრიტერიუმები, რომლებიც ახასიათებენ წყნარ, კრიტიკულ და მძაფრი მოძრაობის რეჟიმებს ნაკადში მყარი ფაზის კონცენტრაციის გათვალისწინებით.

მიღებული ერთგანზომილებიანი მოძრაობის ძირითადი დიფერენციალური განტოლებები ადაპტირებულია ნაკადის ცვლადი მასით მოძრაობის საკითხების გადასაწყვეტად, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ცალკეული ფაზის ცვლილება მოძრაობის მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოძრაობის

მიმართულებით მყარი ფაზის ცვლილების დადგენა. იგი საშუალებას იძლევა სრულიად ახლებურად შესრულდეს ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობების ჰიდრაგლიკური გაანგარიშება, როგორიც ირიგაციული და დერივაციული დანიშნულების სალექტრების დაპროექტება.

განხილულია დიდი ქანობის მქონე კალაპოტებში მონატანდატვირთული ნაკადების თანაბარი რეჟიმით მოძრაობის მდგრადობის საკითხები, გადაწყვეტილია ამ ტიპის ნაკადების თავისუფალ ზედაპირზე სხვადასხვა ტიპის ტალღების შესაძლო წარმოქმნის მექანიზმი და ამ ტალღების პარამეტრების გასაანგარიშებელი დამოკიდებულებანი.

მიღებულია დამოკიდებულება, რომელიც იძლევა საშუალებას ნაკადის მონატანით კონცენტრაციის გაზრდისას (მაგ. კალაპოტის დეფორმაციის გამო) შეფასდეს ნიუტონური სითხის არანიუტონურ სითხეში გადაზრდის შესაძლებლობა. ეს თავის მხრივ მოითხოვს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გაანგარიშებისას სრულიად ახლებურ მიდგომას გარემოს ეკოლოგიური მდგრადების შესანარჩუნებლად.

სტატიები

1 „მონატანით ჰიპერკონცენტრირებული დვარცოფის ზვავისებურად მოძრაობის თეორიის ელემენტები“ (თანაავტორობით; „Метеорология и гидрология“, №2, მოსკოვი, 2012, 98-102, რუსულ ენაზე).

ეროზიულ კერებში დაგროვილი დვარცოფის მასა, როდესაც იგი დაძვრისადმი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება მიწისძვრის, წვიმისა და სხვა სახის წონასწორობის დამრღვევი პირობების ზეგავლენით, შესაძლებელია მოწყდეს ეროზიული კერიდან ზვავის მსგავსად და დაიძრას მდინარის კალაპოტისკენ. ეს უაღრესად საშიში მოვლენაა, რადგან აღნიშნული დიდი მოცულობის მასას მაღალი სიჩქარისა და დიდ

მოცულობით წონასთან ერთად, გააჩნია ძლიერი და-
მანგრეველი ძალა.

„ტოლობის ფორმით შემოთავაზებულია ეროზიის
კერიდან დვარცოფის მასის შესაძლო მოწყვეტის კრი-
ტერიუმი და ოქამენდებულია ე.წ. „დვარცოფული ზვა-
ვის“ პიდრავლიკური პარამეტრების დადგენის მეთო-
დიკა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია დვა-
რცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების დაპროექტებისას.

2) „მილსადენებში არანიუტონური სითხის დაწ-
ნევიანი მოძრაობის დროს დარსის კოეფიციენტის გან-
საზღვრა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერე-
ბათა ეროვნული აკადემიის მოამბე ტ. 6, №1; 2012, 121-
124, ინგლისურ ენაზე).

მონატანით პიპერკონცენტრირებული დვარცოფუ-
ლი ნაკადი მიმმართველ კედლებთან შეხებისას წი-
ნააღმდეგობის გადასალახავად კარგავს შინაგანი ენე-
რგიის გარკვეულ ნაწილს. წრიული კვეთის გვირა-
ბებში დვარცოფის მოძრაობისას დარსის კოეფიციენ-
ტის დასადგენად შემოთავაზებულია პიდრავლიკური გა-
ანგარიშების მეთოდიკა ნაკადში გულის (სტრუქტურუ-
ლი ნაწილის) წარმოქმნისას, რომელიც თავის მხრივ
მყარი ტანის მსგავსად გადაადგილდება.

3) „არაპრიზმულ კალაპოტებში მონატანით პიპერ-
კონცენტრირებული დვარცოფული ნაკადების არათანა-
ბარი მოძრაობა“ (თანაავტორობით; საქართველოს ტექ-
ნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტი-
ტუტის შრომათა კრებული, ტ. №67, 2012, 159-161, რუ-
სულ ენაზე).

მონატანით პიპერკონცენტრირებული დვარცოფუ-
ლი ნაკადების ძირითადი დიფერენციალური განტო-
ლების გამოყენების ბაზაზე შემოთავაზებულია პიდ-
რავლიკური გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც სა-
შუალებას იძლევა, მითითებული ნაკადებისთვის, რო-
დესაც მათი გადაადგილება ხდება ბუნებრივ არაპრიზ-

მატულ კალაპოტებში (კალაპოტის ფსკერის ქანობის ცვლილების მხედველობაში მიღებით) აიგოს ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირი.

4) „მონატანით ჰიპერკონცენტრირებულ ნაკადებში ერთგანზომილებიანი გრძელი უწყვეტი ტალღების მდგრდობის გამოკვლევა“ (თანაავტორობით; პროფ. ს.მ. ფლეიშმანის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მეორე კონფერენციის – „დგარცოფული ნაკადები: კატასტროფები, რისკი, პროგნოზი, დაცვა“ სამეცნიერო შრომათა კრებული, 2012, რუსულ ენაზე. მ.ვ.ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კრებულის გამოცემა დაგეგმილია 2013 წლის აპრილში).

მონატანით ჰიპერკონცენტრირებული დგარცოფული ნაკადი მდგრად თანაბარ მოძრაობას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ ნაკადის თავისუფალ ზედაპირზე წარმოქმნილი უწყვეტი გრძელი ტალღის სიჩქარე აჭარბებს ნაკადის ცოცხალი კვეთის საშუალო V სიჩქარეს.

რეკომენდებული კრიტერიუმი საშუალებას იძლევა დადგინდეს თანაბრადმოძრავი ნაკადის თავისუფალ ზედაპირზე გრძელი ტალღის წარმოქმნის შესაძლებლობა.

აკად. ო.ნათოშვილი პროფ. ვ.თევზაძესთან ერთად ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბიუჯეტო თემას „დგარცოფების ტალღის ფორმით გადაადგილების გამოკვლევა და მათთან კომპლექსური ბრძოლის მეთოდების შემუშავება“.

აკად. ო.ნათოშვილი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და ითავსებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამდებობას. ამასთანავე ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებულ ”ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელ კომისიას“.

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ალექსანდრე დიდებულიძე**

სახელმძღვანელო

„გამოყენებითი ბიომეცნიერებები: ინტელექტუალური საკუთრება, კანონმდებლობა და კომერციალიზაცია“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 120 გვ., ქართულ ენაზე).

ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს უნივერსიტეტების ზუსტ და საბუნებისმეტყველო, აგრეთვე, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, ასევე ბიოლოგით დაინტერესებულ პირთათვის. გამოქვეყნებულია მისი ელექტრონული ვერსიაც.

თანამედროვე მსოფლიო შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, რომელიც ხასიათდება პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობების მრავალმხრივობით. ჩვენი ცივილიზაციის ასეთ რთულ კომპლექსურ სისტემად ჩამოყალიბებას, ძირითადად, ხელი შეუწყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ბოლოდროინდელმა რევოლუციურმა მიღწევებმა, რომელთა მოსალოდნელი ნახტომისებური განვითარება კიდევ უფრო დააჩქარებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ახალ პირობებში ყალიბდება მულტიდისციპლინარული მეცნიერება და ტექნოლოგიები, სხვადასხვა დარგის მიღწევებზე დაფუძნებული მრეწველობა.

სახელმძღვანელოში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების არსი და თავისებურებანი, ობიექტებზე მისი უფლებების მოპოვებისა და განხორციელების მექანიზმები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე, ადგილი ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ საერთაშორისო კონვენციებსა

და შეთანხმებებს, ამ დარგში სახელმწიფოთაშორისო კოოპერაციის სრულყოფის პერსპექტივებსა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

სპეციალური თავი მიეძღვნა ბიზნეს-გეგმის მომზადების საკითხს. განხილულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიური ობიექტების შესაქმნელად საჭირო სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების მოპოვების პროცედურები.

აკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძე იყო ერთი საბიუჯეტო დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი თემის: „ელექტროიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების ენერგეტიკული, ეკოლოგიური და კონომიკური შეფასება და მათი ენერგოტევადობის შემცირება“ ხელმძღვანელი.

აკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძის თანაავტორობით შეტანილია ერთი განაცხადი საქართველოს პატენტის მისაღებად: „კომბინირებული მაგნიტური ძრავა“. განაცხადის საიდენტიფიკაციო №12207/01, 27 აპრილი 2011, დამთავრებულია უქსპერტიზა. გამოგონება განეკუთვნება მოწყობილობებს, რომლებიც კომბინირებულად გარდაქმნიან მუდმივი მაგნიტებისა და ელექტრომაგნიტების ენერგიას ბრუნვითი მოძრაობის მექანიკურ ენერგიაში და შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკოლოგიურად სუფთა, კინემატიკურად მარტივი და კარგი წევითი მახასიათებლების მქონე ამძრავისათვის.

აკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძე მონაწილეობს ერთი საზღვარგარეთული საგრანტო ტემპუსის პროექტის – „სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიოტექნოლოგიაში“ (საქართველო, სომხეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, 2011-2013 წწ.) შესრულებაში.

აკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს

დავალებით მონაწილეობდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო სამეცნიერო გრანტების კომისიის მუშაობაში. აკადემიური საბჭოს დავალებით ასევე მოამზადა მოკლე მომხილვა „მეცნიერებათა აკადემიები ევროპავშირის ზოგიერთ ქვეყანაში“ (აგსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, შვედეთი, ფინეთი) და შენიშვნები ენციკლოპედია „საქართველოს“ მესამე ტომის მასალებთან დაკავშირებით.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ კორახაშვილი

სახელმძღვანელოები

1) „პრაქტიკული მებოსტნეობა“ („ლომთა“, თბილისი, 2012, 386 გვ.).

მოცემულია კომერციული მებოსტნეობის აგროტექნიკური და აგროტექნოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი დია და დახურული გრუნტის პირობებში. დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოსათვის ტრადიციული ბოსტნეული კულტურების წარმოების პრაქტიკულ მეთოდებს, უახლეს ბიო- და ნანოტექნოლოგიებს, გარემო პირობების შექმნის ოპტიმიზაციას, ბიოტური და აბიოტური ფაქტორების ზემოქმედების მართვას კონკურენტუნარიანი და რენტაბელური პროდუქციის წარმოებისათვის. სახელმძღვანელო განკუთვნილია სოფლის მეურნეობის ამ დარგის სპეციალისტებისათვის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისა და ფერმერებისათვის.

2) „აგრობიოტექნოლოგია“ (თანაავტორობით; ევროკავშირის TEMPUS-ის JEP-159340-ის პროექტი, თბილისი, 2012, 159 გვ.).

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, აგრეთვე, სი-

ცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, აგრეთვე, ბიოლოგიით დაინტერესებული პირებისათვის.

3) „აგროტექნოლოგიური ნორმატივების ცნობარი“ (თანაავტორობით; „ლომთა“, თბილისი, 2012, 212 გვ.).

ცნობარი შეიცავს პრაქტიკულ ნორმატივს მონაცემებს აგრარულ სფეროში გამოყენებული აგროტექნოლოგიური სამუშაოების ჩატარების ნორმირებისათვის და განკუთვნილია სოფლის მეურნეობაში და სხვა კონომიკურ სექტორებში დასაქმებული ფერმერებისათვის, ბიზნესმენებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებისათვის, რომლებსაც შეხება აქვთ აგრარულ პირველად წარმოებასთან და გადამუშავებასთან, სანორმატივო, საფინანსო და საანგარიშსწორებო საქმიანობასთან.

4) „აგრარული ბიოტექნოლოგია“ („ლომთა“, თბილისი, 2012, 142 გვ.).

სახელმძღვანელოში მოცემულია აგრარული ბიოტექნოლოგის არსი, ბიოტექნოლოგის მნიშვნელობა თანამედროვე სოფლის მეურნეობაში, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წარმოება, მცენარეთა და ცხოველთა კლონირება, მცენარეთა ბიოტექნოლოგია, ცხოველთა ბიოტექნოლოგიური რეპროდუქცია, მცენარეთა ზრდის მასტიმულირებელი ბაქტერიების გამოყენება, ცილების სამრეწველო სინთეზი რეკომბინანტული მიკროორგანიზმების მონაწილეობით, სამრეწველო ანარჩენების ბიოტექნოლოგიურად გადამუშავება, მეცხოველეობაში გამოყენებული ქიმიური და მიკრობიოლოგიური მრეწველობის პროდუქტები.

სტატიები

1) „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების გაუმჯობესება და მდგრადი გამოყენება“ (საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტაშქენტი, უზ-ბექეთი, 2012, 108-114, ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოს ძირითადი სამრეწველო მრავალწლოვანი კულტურების აგრობიომრავალ-ფეროვნების გენპლაზმის მდგრადი გამოყენებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობები, რომელიც წარმოადგენს კომერციული პროდუქციის წარმოების საფუძველს და შეფასებულია სახეობების მიხედვით საქართველოს 22 ნიადაგურ-კლიმატურ აგროზონებში გამოსაყენებლად.

2) „საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად უურნალში „მეცნიერება და კულტურა“).

გააჩაღიზებულია საქართველოს აგრარული სექტორის მდგომარეობა 2003-2010 წლებში, წარმოების მოცულობები, ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები, მისია, სტრატეგიული გეგმები, აქცენტები, პრიორიტეტები, რუბრიკა, ხედვა, სამთავრობო სტრატეგია, დაფინანსების რესურსები, ტექნოლოგიური განვითარება, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვ.

3) აკად. თ.ანდრონიკაშვილთან და აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძესთან თანაავტორობით. „განვითარებული სოფლის მეურნეობა როგორც ქავნის სახელმწიფო ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად უურნალში „აგრარული მეცნიერებების ქრონიკა“, ინგლისურ ენაზე).

განხილულია საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის ძირითადი საკითხები და განვითარების შესაძლებლობები, მათი მიღწევის გზები. დასახულია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ფუნქციები ამ მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებების გატარების აუცილებლობა, მოცემულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება

და მისი ადაპტაციის შესაძლებლობები საქართველოში.

აკად.წევრ-კორ. ა.კორახაშვილი ხელმძღვანელობდა ევროპის გენეტიკური რესურსების საკვები და პარკოსანი კულტურების სამუშაო ჯგუფის პროექტს (ECP/GR) – „საქართველოს პარკოსანი კულტურების გენპლაზმის შეგროვება, რეგენერაცია და გაუმჯობესება“. პროექტის დასრულებისთანავე (2012 წლის ნოემბერი) სველბორდის (შვეცია) მსოფლიო გენეტიკური რესურსების ცენტრალურ საცავში ხანგრძლივი დროით შესანახად გაიგზავნა 2011-2012 წლებში რეგუნერირებული და განახლებული საქართველოს სამარცვლე პარკოსანი კულტურების გენპლაზმა.

აკად. წევრ-კორ. ა.კორახაშვილი მონაწილეობდა ევროკავშირის TEMPUS-ის JEP-159340-ის საგრანტო პროექტის განხორციელებაში.

იგი მონაწილეობდა საქართველოს აგრარული მეცნიერების განვითარების 2013-2017 წლების სტრატეგიის შემუშავებაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პეტრე ნასყიდაშვილი

სახელმძღვანელოები

1) „სელექციისა და ოქსლმცოდნეობის საფუძვლები“ (თანაავტორობით; „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 228 გვ.).

ნაჩვენებია სელექციის განვითარების ისტორია გაუთვითცნობიერებელი სელექციიდან გათვითცნობიერებული სელექციის ჩათვლით. ყურადღება გამახვილებულია სელექციური მეცნიერების განვითარებაზე საქართველოში, მახლობელი და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. განხილულია: ოქსლმის განვითარების აგრონომიული და ბიოლოგიური საფუძვლები,

თესლის ხარისხზე წაყენებული მოთხოვნები, თესლის ფორმირება – განვითარების ფაზები, ყვავილობის, დამტკერიანებისა და განაყოფიერების თავისებურებანი, თესლის შევსებისა და მომწიფების ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესები, სათესლე ნათესების აღების აგრონომიული საფუძვლები და სხვ.

2) „სამახსოვრო ფერმერებისათვის და მიწათმოსარგებლეთათვის, ვისაც სურს მიიღოს პიბრიდული სიმინდის მაღალი და ხარისხიანი მოსავალი“ (თანაავტორობით; „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 63 გვ.).

ნაჩვენებია, რომ პიბრიდული სიმინდი რენტაბულური კულტურაა. ამიტომ, ამ ახალი კულტურის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად საჭიროა: დასათესი ფართობის სწორი შერჩევა, ძირითადი ხვნის ჩატარება შემოდგომით, ძირითადი ხვნის წინ ორგანული და შესაბამისი მინერალური სასუქების შეტანა, თესვის წინ ნიადაგის საგაზაფხულო მომზადება (აოშვა, კულტივაცია), თესვის წინ ან თესვასთან ერთად შესაბამისი მინერალური სასუქების შეტანა, თესლის სათანადო სიღრმეზე ჩათესვა, ოპტიმალურ გადაში თესვა და ნათესის მოვლის შესაბამისი აგროდონისძიებების დროული და მაღალხარისხოვანი შესრულება.

სტატიები

1) „რაჭის მინდვრის კულტურების გენეტიკური, სელექციური და სამეურნეო ღირებულება“ (თანაავტორობით; კრებულში „რაჭა წარსული, აწმყო და მომავალი“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 196-228).

ნაჩვენებია, რომ რაჭა, ლეჩხუმთან ერთად, არის ხორბლის ენდემური უნიკალური კულტურული სახეობების წარმოშობის სამშობლო. გარდა ამისა, ნაჩვენებია, რომ ხორბლის ამ სახეობებს ახასიათებს დაგვადებებისადმი და მავნებლებისადმი გამძლეობა, და მარცვლის მაღალი ხარისხი, რის გამოც საქართველო

ადიარებულია იმუნური და მაღალი ხარისხის ხორბლის სამშობლოდ. ხორბლის კულტურის გარდა ნაჩვენებია რაჭის მინდვრის სხვა კულტურების სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშობრივი შედგენილობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის გენეტიკურ, სელექციურ და სამეურნეო ღირსებაზე, მათი შედგომი თევა-მოყვანის გაფართოების აუცილებლობაზე და მისი, როგორც ძვირფასი სახელექციო საწყისი მასალის ფართოდ გამოყენების აუცილებლობაზე.

2) „მცხეთა-მთიანეთის მხარის მინდვრის კულტურების გენეტიკური, სელექციური და სამეურნეო მნიშვნელობა“ (თანაავტორობით, კრებულში „მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 88-119).

ნაჩვენებია, რომ მცხეთა-მთიანეთის მხარე არის საგაზაფხულო ხორბლის ენდემური, უფრო მეტად „კოსმოპოლიტური“ დაავადებებისადმი გამძლე და მაღლხარისხვანი სახეობის – ღიკას წარმოშობის სამშობლო. ღიკა საქართველოს ხორბლის სხვა ენდემური სახეობებისაგან განსხვავებით გამოირჩევა ფართო გაგრცელებით. გასული საუკუნის 50-იან წლებში ღიკას ჯიშებით საქართველოში ითესებოდა 150 ათას ჰა-ზე მეტი. გარდა ამ სახეობისა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონი ხასიათდება რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშპოპულაციების სიმრავლით. ნაჩვენებია, რომ მცხეთა-მთიანეთის მხარეში გაგრცელებულია მინდვრის სხვა კულტურები. მოცემულია მათი გენეტიკური, სელექციური და სამეურნეო მნიშვნელობა. ამავე დროს, გამოთქმულია შეშფოთება იმის თაობაზე, რომ გადაშენების პირას არის მისული ამ მხარის ძვირფასი გენეტიკური ფონდი.

3) „საქართველოს რბილი ხორბლის ჯიშების ენდემურ და სხვა სახეობებთან შეჯვარებადობა, პირველი თაობის ჰიბრიდების სიცოცხლისუნარიანობა და ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობა“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 30, თბილისი, 2012, 130-135).

ნაჩვენებია, რომ საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული ჯიშ-პოპულაციებისა და სელექციური ჯიშების ენდემურ და სხვა სახეობებთან შეჯვარება არ საჭიროებს სხვა რაიმე დამატებითი ღონისძიების ჩატარებას. მიიღება სიცოცხლისუნარიანი ჰიბრიდული მარცვლები. ჰიბრიდული მარცვლების გამონასკვის უნარიანობა მერყეობს 26,5-60,5%-ის ფარგლებში. მაღალია აღმოცენების უანრიანობა, რომელიც ცვალებადობს 40,5-70%-ის ფარგლებში, ასევე დამაკმაყოფილებელია გამოზამთრების და გადარჩენის უნარიანობა. გადარჩენილი ყველა მცენარე ნახევრად ფერტილურია. პირველ თაობაში დომინირებს უფხოობა და ფერადფეიანობა, მარცვლის წითელი შეფერვა და მარცვლის რქისებრი კონსისტენცია.

4) „საქართველოს რბილი ხორბლის ჯიშების ენდემურ და სხვა სახეობებთან შეჯვარებით მიღებულ მეორე თაობის ჰიბრიდებში ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობის თავისებურებანი“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 30, თბილისი, 2012, 136-141).

დადგენილია, რომ საქართველოს რბილი ხორბლის სახეობათა შორის ჰიბრიდიზაციით მიღებულ მეორე თაობაში მიმდინარეობს დათიშვა და ადგილი აქვს ფართო ფორმათა წარმოქმნის პროცესს, სადაც მშობლიური ფორმების მსგავსი და, მათ შორის, გარდამავალ ფორმათა რაოდენობა წარმოდგენილია დაახლოებით 1:1 შეფარდებით, ე.ი. მეორე თაობის ჰიბრიდულ პოპულაციაში მშობლიური ფორმები და მათი

მსგავსი და გარდამავალი მცენარეები, თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. გარდა ამისა, მეორე თაობაში გამოითიშებიან ისეთი ფორმებიც, რომლებიც ბოტანიკური თვალსაზრისით სცილდებიან საწყის ფორმებს და წარმოადგენენ ახალ წარმონაქმნებს. გამოთიშულ ფორმებში გვხვდება სტერილური მცენარეებიც.

5) „საქართველოს რბილი ხორბლის ჯიშების მაგარ ხორბალთან შეჯვარებით მიღებული პიბრიდების მეორე და შემდგომ თაობებში ფორმათა წარმოქმნის პროცესი და საინტერესო ფორმათა გამორჩევა“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 30, თბილისი, 2012, 142-149).

დადგენილია, რომ რბილი და მაგარი ხორბლის შეჯვარებით მიღებულ მეორე თაობაში ადგილი აქვს ფორმათა წარმოქმნის ფართო პროცესს. მეორე თაობაში გამოთიშული მშობლიური ტიპის მცენარეები შემდგომ თაობაში არ ითიშებიან, ხოლო მშობლიური ფორმების მსგავსი, მათ შორის გარდამავალი და შუალედური ტიპის ფორმები, შემდგომ, მესამე თაობაში განიცდიან დათიშვას, მეორე თაობის მსგავსი კანონზომიერებით. გარდამავალი და შუალედური ფორმების დათიშვა წყდება მეოთხე თაობაში და ამ თაობაში გამოთიშული ფორმები შემდგომ თაობაში განიცდიან გამოთანაბრებას. მესამე, მეოთხე და მეხუთე თაობაში შესაძლებელი ხდება საგვარეომო მცენარეთა გამორჩევა შემდგომი სელექციისათვის.

6) „მარცვლეული კულტურების პროდუქტიულობის კომპონენტების და მათი ფაზების განვითარების თავისებურებანი და კლასიფიკაცია – მეორე პრინციპი“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 30, თბილისი, 2012, 150-155).

ნაჩვენებია, რომ თავთავიან კულტურებში, პრო-დუქტიულობის განმაპირობებელი ძირითადი კომპონენტების განვითარების რეგულირებით შესაძლებელია, მიღებული იქნეს მარცვლის მაღალი და ხარისხიანი მოსავალი. ამასთან ერთად, ნაჩვენებია მცენარეთა განვითარების ფაზების კლასიფიკაციის შეკალები.

7 „საქართველოს ხორბლის გენეტიკა და სელექცია“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 30, თბილისი, 2012, 163-167).

დასაბუთებულია, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა ხორბლის მრავალფეროვნებით და ენდემიზმის მაღალი დონით. გარდა ამისა, ნაჩვენებია, რომ მათ გენოტიპშია ისეთი გენები, რომლებიც განმაპირობებენ დაავადებებისადმი – მავნებლებისადმი გამძლეობას და მარცვლის მაღალ ხარისხს, რის გამოც საქართველო აღიარებულია იმუნური და მარცვლის მაღალი ხარისხის ხორბლის სამშობლოდ. გარდა სამეურნეოდ ძვირფასი ნიშან-თვის ებების განმაპირობებლი გენებისა, საქართველოს ხორბლის გენოტიპში მსოფლიოში პირველად აღმოჩენილია ისეთი გენები, რომლებიც იწვევენ ევოლუციური ოვალსაზრისით უარყოფით გენეტიკურ მოვლენას, კერძოდ, ნეკროზს, რის გამოც საქართველო აღიარებულია ჰიბრიდული ნეკროზის განმაპირობებელი დომინანტური და რეცესიული გენების აღმოჩენის სამშობლოდ. გარდა ამისა, პირველად იქნა შეჯამებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული საქართველოს ხორბლის გენეტიკური და სელექციური მუშაობის 60 წლის კვლევის შედეგები.

8) „საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების აბორიგენულ ჯიშებთან შეჯვარებადობა და ნიშან-თვისებები F1-ში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №1, თბილისი, 2012, 137-142, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ საქართველოს ხორბლის ენდემურმა სახეობებმა უდიდესი როლი შეასრულეს ხორბლის გვარის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში. მათ საფუძველზე მიღებულია ახალი სახეობები, გვარები, კულტურები და ჯიშები. მათ გენოტიპია ისეთი გენები, რომლებიც განაპირობებენ ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის, მაღალ- და მყარმოსავალიან, მაღალსარისხოვან, მაღალი ადაპტაციის უნარის მქონე ჯიშების მიღებას. განხილულია საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების სხვა სახეობებთან და რბილი ხორბლის ჯიშებთან შეჯვარებადობის უნარიანობა, ჰიბრიდული მარცვლებისა და პირველი თაობის მცენარეთა სიცოცხლისუნარიანობა, F1-ში მშობლიური ფორმების მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობის თავისებურებანი.

9) „რბილი ხორბლის (*T. aestivum* L.) ინდუცირებული მუტაგენეზით მიღებული მოკლედეროიანი ახალი ბოტანიკური და გენეტიკური ფორმა „გორდა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, თბილისი, 2012, 134-137, ინგლისურ ენაზე).

საქართველოში გასავრცელებლად დაშვებულ ფრანგული სელექციის რბილი ხორბლის ჯიშ დუკატის ოქსლზე ქიმიური მუტაგენის NMU 0,01%-იანი სხნარის ზემოქმედებით მიღებულია მოკლედეროიანი სუპერჯუჯა სრულიად ახალი გენეტიკური ფორმა „გორდა“-ს სახელწოდებით. „გორდა“ არის სრულიად ახალი მემკვიდრეობის მქონე სასელექციო საწყისი

მასალა 2-3-გენიანი მოკლედეროიანი ჯიშების გამოსაყვანად. „გორდა“ საშემოდგომო რბილი ხორბლის მუტანტური ფორმაა, რომლის მცენარის სიმაღლეა 26-27 სმ, ფოთლები ფართო და ვერტიკალურად მდგომია. ღერო მტკიცე, ძნელად იღუნება, თავთავი უფხო, მოკლე (4-5 სმ), ბრტყელი, მკვეთრად მკვრივი. მარცვალში ნედლი პროტეინის შემცველობა შეადგენს 27-28%-ს.

10) „აკადემიკოსი ნ.ი.ვავილოვი საქართველოში“ (თანაავტორობით; ნ.ი.ვავილოვის III საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, სანკტ-პეტერბურგი, რფ, 2012, გვ. 8, რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ მსოფლიო დონის გენეტიკოსი, სელექციონერი, ბოტანიკოსი, სისტემატიკოსი, იმუნოლოგი, ეპოლუციონისტი, მემცენარე, აგრონომი, ექსპრიმენტატორი მკვლევარი, ეთნოგრაფი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, მოგზაური, პუბლიცისტი, ინგროდუქტორი, ინტერნაციონალისტი და ამ მეცნიერებათა კორიფე, აკადემიკოსი ნ.ი. ვავილოვი პირველი უცხოელი მეცნიერი იყო, რომელმაც მთელი საქართველო შემოიარა, გამოავლინა მისი მდიდარი გენეტიკური ფონდი და მათი მეცნიერული და სამეცნეო დირსება მსოფლიო სარბილზე გაიტანა და წარმოაჩინა.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასეყიდაშვილი 2012 წელს მონაწილეობდა შემდეგ სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ დონისძიებებში:

- „ელგანას“ მიერ, ქთბილისში მოწყობილი სამცხე-ჯავახეთის გზამკვლევის პრეზენტაცია;

- წიგნის - „რაჭა წარსული, აწყო და მომავალი“ - პრეზენტაცია და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „რაჭის დღევანდელობა, პრობლემები და მოგვარების გზები“, ორგანიზებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიის მიერ;

- „ხორბლის სელექციის საერთაშორისო სემინარი“, ორგანიზებული ფირმა ლომთაგორასა და აგრარული უნივერსიტეტის მიერ;
- ნ.ი.ვავილოვის მესამე საერთაშორისო კონფერენცია (სანკტ-პეტერბურგი, რფ).

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თხოვნით მონაწილეობს ხორბლისა და სიმინდის წარმოების პროგრამის შემუშავებაში, აგრეთვე, ხორბლისა და სიმინდის ნათესების მონიტორინგში და საცნობარო მასალის შედგენაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი განო პაპუნიძე სახელმძღვანელო

„რჩევა-დარიგება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები (ქართული სოფლების აღორძინებით დაინტერესებულთა და დამწყებ ფერმერთა დასახმარებლად“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 369 გვ.).

განხილულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიების სამუშაო კალენდარი. შემოთავაზებულია რეკომენდაციები აღებული მოსავლის შენახვა-გადამუშავების პირობების, შესაძირიკიატების (ნიტრატების, პეტიციდების და სხვ.) გამოყენების, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მეფრინეველეობისა და სხვა დარგების აღორძინებით დაინტერესებულთა და დამწყებ ფერმერთა დასახმარებლად. გაანალიზებულია ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები გლეხურ-ფერმერულ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო დარგთაშორის შეთანაწყობის, საქართველოს სუბტროპიკული

რეგიონის გლეხურ-ფერმერული მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო საგარეულების განაშენიანების სანიმუშო სქემა, ბადის კულტურების (კურკოვნების, კენკროვნების, კაპლოვნების და სხვ.), სუბტროპიკული, ბოსტნეული, ბალჩული, მინდვრის, ტექნიკური და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანის, დამზადებისა და სხვა საკითხები.

სტატიური

1) „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შრომითი რესურსებისა და საწარმოო ფაქტორების გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებები საბაზო ურთიერთობების პირობებში“ (შრომათა კრებულში „საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, თბილისი, 2012, 14-35).

ვების, შენახვისა და რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, აგროსერვისულ, საფინანსო, სამეცნიერო და სხვა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2) „საქართველო-თურქეთის ტრანსსასაზღვრო ეკო-ლოგიური პრობლემები“ (შრომათა კრებულში „დედამიწა – გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები“, ბათუმი, 2012, 18-31).

განხილულია მთის ეკოსისტემების გამოკვლევის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. აქედან გამომდინარე, მოტანილია აჭარა-თურქეთის ტრანსსასაზღვრო მთის ტყეების ცალკეული ფორმაციები, ბუნებრივი განახლების საერთო შეფასებები და მისი განმაპირობებელი მიზეზები, ბუნებრივ კომპლექსებზე ანთროპოგენური დატვირთვების გაზრდასთან დაკავშირებით მეტყევეობითი მდგომარეობის ცვლილებების ტენდენციები. შემუშავებულია ტყის აღდგენის, მისი დაცვის და ტყის რესურსების რაციონალური, გონივრული, კომპლექსური გამოყენების დონისძიებათა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები, ტყის დაცვითი და ბუნებრივი გარემოს მარეგულირებელი ფუნქციების გაუმჯობესების, მისი საკურორტო და რეკრეაციული დანიშნულების საკითხები.

3) „დაცვითი ფუნქციების ცვალებადობა წყალშემკრებ აუზებში ტყიანობისა და რეგიონთა ფონური დატენიანების შუქზე“ (თანააგტორობით; შრომათა კრებულში „დედამიწა – გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები“, ბათუმი, 2012, 100-105).

განხილულია საქართველოსა და თურქეთის ტრანსსასაზღვრო ზონის ტენიანი მაღალმთიანეთისა და ზღვისპირეთის ტყის ეკოსისტემების, დეგრადაციისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებით გამოწეული შედეგები; აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი, არასაკმარისი ტენიანობის (გორის რაიონი, მდ.

ტანას აუზი), დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიანი (ქობულეთის რაიონი, მდ. კინტრიშის აუზი) და შიდამთიანი აჭარის (ქედის რაიონი, მდ. ლატავრას წყლის აუზი) პირობებში მოწყობილი მუდმივი დაკვირვების ობიექტებზე ჩატარებული მრავალწლიანი კვლევის საფუძველზე შესწავლილია ტყის ეკოსისტემების ეროზიის საკითხები, ჩამონადენის დინამიკა, მოსული ნალექების განაწილება-გადანაწილება და წყლის ბალანსი ტყიანობის პროცენტსა და რეგიონის ფონურ დატვირთვებთან დაკავშირებით. შედარებითი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაშუქებულია შემდეგი საკითხები: აუზის ტყიანობის გავლენა მყარი ნატანის სტრუქტურის ფორმირებაზე; მყარი ნატანის სტრუქტურის ფორმირების დამოკიდებულება ატმოსფერული ნალექების ინტენსივობასა და ოდენობაზე; მთის ტყების ნიადაგდაცვითი ფუნქციების კონკრეტული მაჩვენებლები; კორომთა ტაქსაციური და მეტყველებითი პარამეტრები; ფსკერული ნატანის ფორმირება მყარი ნატანის სტრუქტურაში; წყალშემკრებ აუზებში მყარი ნატანის სტრუქტურის ფორმირების პროცესების განვითარება ხეთა დგომის სიმჰიდროვესა და ფონურ დატენიანებასთან კავშირში და სხვ.

აგად.წევრ-კორ.გ.პაპუნიძე 2012 წელს მონაწილეობდა შემდეგ სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში და წაიკითხა მოხსენებები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს აჭარის სატყეო საგენტოსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია;

- აჭარის მწერალთა კავშირში გამართული ბათუმელი აფხაზი ქალბატონის, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დამსახურებული პრო-

ფესორის, ფერიდე აცამბას დაბადებიდან 90-ე წლის საიუბილეო საღამო;

— ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პრობლემებზე;

— „აჭარის ბუნებრივ-ისტორიული პირობები, ეკოლოგიური მდგრადობა და მისი პიდროელექტროსადგურების კასკადების მშენებლობასთან შესაბამისობის საკითხები“ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებული საეციალური კონფერენცია, მიძღვნილი აჭარისწყლის და მდ. ჭოროხის პიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხებისადმი);

— აჭარის სატყეო სააგენტოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა დასავლეთ საქართველოს მთის ტყეებში გავრცელებული ძმერხლის (*Ruscus hypophyllum*) მოპოვებისა და მისი კომერციული მიზნით რეალიზაციის საკითხების (შპს „ძმერხლის“ წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი წინადაღების) განხილვას.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძის ხელმძღვანელობით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამუშავდა თემა — „ძმენებელ-დავადებებით და ხანძრებისაგან განადგურებული ტყეების ბუნებრივი განახლების საკითხების შესწავლისათვის აჭარაში“.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძე იყო აჭარაში ყოველწლიურად ტურისტული გამოფენა-გაყიდვის ღონისძიებების მოწყობის ორგანიზატორი, რაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული ცენტრის პარტნიორმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან;

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძემ საქართველოს საპატრიარქოს აბუსერიძე ტბელის სახელობის უნივერსი-

ტეტის (ხიჭაური, შუახევის რაიონი) რექტორის, სხალ-თის ეპისკოპოსის სპირიდონის თხოვნით, განახორცი-ელა და შეადგინა უნივერსიტეტისათვის აგრარული მეცნიერების მიმართულების საგანმანათლებლო პროგ-რამა, რომელიც წარმოადგენს 5 პროფილურ მიმართუ-ლებას – აგრონომიას, სატყეოს, ზოოტექნიკას, ზოოგე-ტერინარიასა და სასურსათოს.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძე აფხაზეთის მეცნიერება-თა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გა-მოვიდა მოხსენებით ლიმონის ევკალიპტის (*Eucalyptus citriodora*) საქართველოში გაშენების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძის მიერ მომზადდა და აჭარის სადირექტივო ორგანოებს, „ქართული ოცნების“ შესაბამის თემატურ ჯგუფებს დაეგზავნა აგრარული სფეროს განვითარების კონკრეტულ კანონზომიერე-ბათა გამოკვლევის, საბაზრო ურთიერთობის გარდამა-ვალ პერიოდში აგრარული სექტორის ფორმირების, ამ სფეროში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების მეცნიე-რულად დასაბუთებული წინადადებები და რეკომენ-დაციები; ტყის რესურსების რაციონალური სარგებლო-ბისა და მათი დაცვის, რეგიონში ეკოლოგიური საკი-თხების, კერძოდ, ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეუ-ლი უარყოფითი შედეგების შესწავლის, ბუნებრივი კომპლექსების ოპტიმალური მდგრადობის, ეკოლოგიუ-რი თანამდებობის ბალანსირების უზრუნველყოფისა და გარემოსათვის აუცილებელი სტაბილიზაციის შე-ნარჩუნება-გაუმჯობესებისათვის შემუშავებული ღონის-ძიებები და წინადადებები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ურუშაძე სტატიები

1) „მცენარეების განვითარების ხასიათზე ორგანო-ცეოლითური სასუქების ზემოქმედების ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ (თანაავტორობით; აგრარულ მეცნიერებათა მაცნე, ტ.10, №3, 2012, 22-29, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მცენარეთა განვითარების ხასიათზე ორგანულ-ცეოლიტური სასუქების ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი.

2) „აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კამბისოლების თავისებურებანი“ (თანაავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 30, 2012, 177-182).

მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კამბისოლების თავისებურებანი.

3) „აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკების ნიადაგების თავისებურებანი“ (თანაავტორობით; აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა განყოფილება. აზერბაიჯანის ნიადაგმცოდნეთა საზოგადოება, ტომი XII, ნაწილი 11, 2012, 619-622; რუსულ ენაზე).

განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკების ნიადაგების თავისებურებანი.

4) აკად. თ.ანდრონიკაშვილთან და აკად. წევრ-კორ. ა.კორახაშვილთან თანაავტორობით. „განვითარებული სოფლის მეურნეობა როგორც ქვეყნის სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის გარანტი“ (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად უურნალში „აგრარული მეცნიერებების ქრონიკა“, ინგლისურ ენაზე) (სტატიის ანოტაცია იხ. გვ. 187).

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე 2012 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ლონისძიებებში და გააკეთა მოხსენებები:

– ევროპის ნიადაგმცოდნეთა კონგრესზე გააკეთა 4 მოხსენება (თანაავტორობით; ბარი, იტალია):

1) „კასტანოზემების თვისებები და მათი პოტენციალი მძიმე ლითონების ფიქსაციაში მაშავერას ველზე, თბილისის სამხრეთით“;

2) „ნიადაგების მსოფლიო რესურსების (ნმრ) გამოყენების გამოცდილება საქართველოში (ტენიანი სუბტროპიკული ნიადაგების მაგალითზე)“;

3) „სამხრეთ საქართველოს ირიგაციულ რეგიონში მძიმე ლითონებით დაბინძურებული ნიადაგების აღდგენის გამოცდილება“;

4) „საქართველოში მაშავერას ველზე, ნიადაგიდან საკვებ კულტურებში Cd, Cu და Zn გადაადგილების თავისებურებანი“.

– „მთის ტერიტორიების ნიადაგურ-ეკოლოგიური პრობლემები (მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მაგალითზე)“ (თანაავტორობით; აკადემიკოს გასან ალიევის დაბადებიდან 105 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, ბაქო, აზერბაიჯანი).

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის პროექტის – „თბილისის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათების შესწავლა“ ერთ-ერთი განაკვეთის დამუშავებას. კოლექტიური ნაშრომი გადაცემულია გამოსაცემად.

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის – „საქართველოს ნიადაგების გამოკვლევა/სისტემატიზაცია ნიადაგების რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის საფუძველზე“ (2010-2012) ხელმძღვანელი და

საზღვარგარეთის გრანტის – „მძიმე ლითონების გადაადგილება საკვებ კულტურებში მძიმე ლითონებით დაბინძურებულ ნიადაგებზე ირიგაციულ რეგიონში სამხრეთ საქართველოში“ (2009-2012) სამეცნიერო პარტნიორი.

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შექმნილ „საქართველოში მეცნიერების განვითარების კომისიას“.

2012 წელს ჩატარდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 8 საერთო კრება. განხილულ იქნა 11 საკითხი, მათ შორის ძირითადი იქმ სოფლის მეურნეობის დარგის სისი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის სამეცნიერო ანგარიშების შეფასება, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორის უ.აბაშიძის ნაშრომის „ფერმერის წიგნი (ცნობარი)“ პრეზენტაცია, განყოფილების უშავალო მონაწილეობით მომზადებული „საქართველოს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის კონცეფციის (2012-2020 წწ.)“ საბოლოო ვარიანტის განხილვა.

განყოფილებაში მომზადდა და განხილული იქნა „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო განყოფილების დებულება“, მოსმენილი იქნა განყოფილების წევრთა პირადი ანგარიშები. აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილის ნაშრომი „საქართველოს ხორბლის სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაცია“. განხილული იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბების საკითხი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა აკადემიის 16 წევრი, მათ შორის 6 აკადემიკოსი და 10 წევრ-კორესპონდენტი.

2012 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეშნეს 18 მონოგრაფია და წიგნი და 69 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი ლევან ალექსიძე

საანგარიშო წელს აკად. ლ.ალექსიძე მუშაობდა საერთაშორისო სამართლის 800-გვერდიანი კურსის მომზადებაზე, რომლის საბოლოო ვარიანტი წარდგენილი იქნება 2013 წელს.

მან დაამთავრა „საერთაშორისო სამართლის ჟურნალის“ მორიგი ნომრის რედაქტირება, რომელიც გადაცემულია დასაბუჭიდად.

აკად. ლ.ალექსიძის თაოსნობით ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა მოიპოვა რამდენიმე გრანტი.

აკად. ლ.ალექსიძემ დაამთავრა 1500-გვერდიანი წიგნის – „საერთაშორისო სამართალი: ნორმები, მოქმედი სუბიექტები, პროცესი: პრობლემებზე ორიენტირებული მიდგომა“ (ავტორები: ჯეფრი დაპონი, სტივენ რ.რატნერი, დევიდ კიპმანი) მესამე გამოცემის თარგმნა და რედაქტირება;

მონაწილეობდა მიგრაციის სამართლისა და მიგრაციის მართვის სახწავლო პროგრამების დანერგვაში საქართველოსა და მოლდოვას საჯარო სამსახურებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(მიგრაციის მართვის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი), რომლის ფარგლებშიც აკად. ლ.ალექსიძის თაოსნობით მომზადდა უნივერსიტეტისათვის ინტერდისციპლინური სასწავლო კურიკულუმის სამუშაო ვარიანტი;

მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა Tempus-ის გრანტის ფარგლებში: „მიგრაცია და უმაღლესი განათლება უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის“, რომელიც ითვალისწინებს 2013 წლისათვის მიგრაციის სფეროში სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას.

აკადემიკოსი გურამ თევზაძე

წიგნი

„ახალი ფილოსოფიის ისტორია. იმანუელ კანტიდან ფრიდრიხ ნიცშემდე“, ნაწილი II („ნეკერი“, თბილისი, 2012, 428 გვ.).

წიგნი წარმოადგენს ნაწილს ავტორის მრავალწლიანი გეგმისა – „დასავლური ფილოსოფიის ისტორია“. გეგმა შესრულებულია და ასეთი სახე აქვს: „ანტიკური ფილოსოფიის ისტორია“ (1995), „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“ (1996), „ალორძინების ეპოქის ფილოსოფია“ (2008), „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, ნაწ. 1. (2009), ნაწილი II (2012), „XX ს. ფილოსოფია“ (2002). ამ ნარკვევებში, ისევე როგორც ავტორის სხვა შრომებში, საორიენტაციო საყრდენებს წარმოადგენს 2 პრინციპი: I. მისტიკისა და ორაციონალურის ობიექტური კვლევა არსებითად არის გონიერის მიერ საკუთარი თავის კრიტიკა; II. ადამიანისათვის, როგორც გონიერი სასრულო არსებისათვის, ცოდნა და რწმენა ტოლპირველადია. ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, ავტორის აზრით, ცოდნისა და რწმენის მიმართებაა, ხოლო ფილოსოფიური კვლევის ამოცანას

წარმოადგენს დასაბუთებული მსოფლმხედველობის აგების მცდელობა. ამ პრინციპებისაგან გადახვევამ შეიძლება მიგვიყვანოს არა მარტო გადაულახავ თეორიულ წინააღმდეგობებამდე, არამედ სოციალური ცხოვრების სახიფათო მანიპულირების გამართლებამდეც.

ნაშრომი განხილული იქნა: ა) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ს.წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე „სამართლიანობა, ზნეობა, თავისუფლება”. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ბონის (გერმანია) უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელმა წევრმა, პროფ. თ.კობუშა; ბ) გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ინსტიტუტისა და იოანე პეტრიშვილის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების გაერთიანებულ კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო კასელის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორმა, უურნალ „ჰეგელის კვლევის წელიწდეული“-ს გამომცემელმა პ.შნაიდერმა.

სტატია

„ეროვნული იდენტობა, როგორც არჩევანის შედეგი“ (პროფ. ლ.მჭედლიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში „შემეცნება და ზნეობა“, „ნეკერი“, თბილისი, 2012, 146-154).

განხილულია თანამედროვე მსოფლიოში არსებული ტექნიკისა და კომუნიკაციის მაღალი დონის პირობებში წარმოჩენილი ახალი შესაძლებლობანი პიროვნების მიერ საკუთარი ეროვნული იდენტობის არჩევისას.

აკად. გ.ოვეზაძე რედაქტორი და შესავალი წერილის თანაავტორია წიგნისა „ანსელმ კენტერბერიელი,

„ჭეშმარიტებისათვის“, რომელიც თარგმნა ნ.ჭავჭავაძემ (Carpe diem, თბილისი, 2012, 116 გვ.).

მან დაასრულა ორწლიანი სამეცნიერო-კვლევითი თემის – „ანტიკური ფილოსოფია: წარმოშობა და განვითარება“ პირველი ნაწილი: „ანტიკური ფილოსოფიის წარმოშობა და განვითარება ნეოპლატონიზმაში“. მან დაასრულა ორწლიანი სამეცნიერო-კვლევითი თემის – „ანტიკური ფილოსოფია: წარმოშობა და განვითარება“ პირველი ნაწილი: „ანტიკური ფილოსოფიის წარმოშობა და განვითარება ნეოპლატონიზმაში“.

აკად. გ.თევზაძემ წაიკითხა მოხსენებები თანამედროვე ქართული ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე:

– „პროფ. უ.რ.იეკი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება“ (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და იოანე პეტრიშვილის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიემდვნა ცნობილი გერმანელი მკვლევარის, პროფ. უ.რ.იეკის დაბადების 60 წლისთავს (მცხეთა);

– „ზურაბ კაკაბაძე და XX ს. II ნახევრის ქართული ფილოსოფია“ (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე, რომელიც მიემდვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2012 წელს პროფ. ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიური ნაშრომების გამოცემას – „რჩეული ფილოსოფიური შრომები“-ს ერთგომეული და „ფილოსოფია და ცხოვრება“).

საანგარიშო წელს აკად. გ.თევზაძე ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემათა კომისიას და 2012 წელს აღდგენილ „იოანე პეტრიშვილის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოებას“.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

წიგნები

1) „საქართველოს ისტორია“, ოთხ ტომად (ოთხ-ტომეულის მთავარი რედაქტორი და თანაავტორი; „პალიტრა L“, თბილისი, 2012).

მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XXI-ე საუკუნეები.

2) „აფხაზები და აფხაზეთი“ (მეორე შევსებული გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 125 გვ.).

ნარკვევი მიზნად არ ისახავს აფხაზეთისა და აფხაზების ისტორიის გადმოცემას. მისი ამოცანა უფრო ვიწრო და კონკრეტულია, სახელდობრ, ცნებების „აფხაზეთი“ და „აფხაზები“-ს მნიშვნელობის წარმოჩენა სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვაენოვან წერილობით წყაროებში და მათი თანამედროვე მნიშვნელობა.

სტატიები

1) „ისლამი საქართველოში“ (კრებულში „კავკასიის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ეძღვნება აკად.წევრ-კორ. ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 54-62).

2) „ტყუილად არ მიშრომია“ („ახალი თაობა“, 2012 წლის 1-2 დეკემბერი).

3) „ქართველ ისტორიკოსებს საინფორმაციო ომი არ წაგვიგია“ („საქართველოს რასპუბლიკა“, 2012 წლის 28 დეკემბერი).

საანგარიშო წელს აღინიშნა აკად. მ.ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავი.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

წიგნები

1) „საქართველოს ისტორია“, ოთხ ტომად (II ტომის „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე“ თანაავტორი და რედაქტორი; „პალიტრა L“, თბილისი, 2012).

2) „დიდი ქართველები. წმინდა თამარ მეფე“ („საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბილისი, 2011, 248 გვ.).

სხვადასხვა ტიპის ქართული და სხვაენოვანი წყაროების შესწავლა-შეჯერებისა და პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე, იმდროინდელი მსოფლიო-ისტორიული პროცესების ფონზე, მოცემულია მეფე თამარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადმოცემის ცდა.

3) „დიდი ქართველები. ივანე ჯავახიშვილი“ („საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბილისი, 2012, 208 გვ.).

წიგნის მიზანია მკითხველს გააცნოს ივანე ჯავახიშვილის პიროვნული პორტრეტი, მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა (უნივერსიტეტში, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, მუზეუმში და სხვ), მისი ურთიერთობა კულტურის ზოგიერთ მოღვაწესთან. ნაშრომში გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული ლიტერატურა, საქართველოს სხვადასხვა არქივებში დაცული უხვი მასალა, თანამედროვეთა მოგონებები და სხვ.

4) „ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო“ („ნეკერი“, თბილისი, 2012, 92 გვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე).

მოცემულია XI საუკუნის მიწურულისა და XII-XIV საუკუნეების საქართველოს სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია. ყურადღება გამახვილებულია ჯვაროსნულ ომებთან ქართველი მე-

ფეხბის დამოკიდებულებაზე. ხაზგასმულია ჯვაროსნულ ომებში ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამეცნიეროს მზადყოფნა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპთან, ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, ეგვიპტის მამლუქთა სახანოსთან. ქართველი მეფები ხევადასხვა ეპისტოლარულ წერილებში მოიხსენებიან, როგორც „იერუსალიმის წმიდა ადგილების განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი“.

5) „საქართველო ისტორიის გზაჯვარედინზე“ (საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, სერია: ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა. თბილისი, 2012, 34 გვ.).

6) „მარიამ ლორთქიფანიძე – 90“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2012, 69 გვ.).

წიგნი გადმოგვცემს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აქევა დაბეჭდილი მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ნუსხა.

სტატიები

1) „მწყემსი საქართველოსი“ (კრებულის „მწყემსი საქართველოსი“ ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი, „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 63-90).

ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის დაბადებიდან 80, მდვდელმთავრობის 50 და პატრიარქად აღსაყდრებიდან 35 წლისთავს.

2) „ექვთიმე თაყაიშვილი – 150“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, თბილისი, 2012, 17-26).

3) „შეიქნა დიდი მტერობა“ (საიუბილეო კრებულში „მშვენიერების ძიებაში. რევაზ სირაძე – 75“, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 7-26).

ეძღვნება საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, აკად.წევრ-კორ. რ.სირაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

4) „დიალოგი ძველ საქართველოში. XII საუკუნის პირველი მეოთხედი“ (კრებულში „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ეძღვნება აკად.წევრ-კორ. ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 67-74).

5) „პოეტური სულის მეცნიერი“ (სამეცნიერო კრებულის მთავარი რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი, „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 7-21).

ეძღვნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ნადირაძის 80 წლისთავს.

აკად. რ.მეტრეველი არის რედაქტორი და წინათქმის ავტორი წიგნებისა:

- „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ („მერიდიანი“, თბილისი, 2011);

- „ქართველები სეფიანთა ირანში“ (პიროტაკე მაკედა, იაპონელი ქართველოლოგი; „არტანუჯი“, თბილისი, 2011).

- „ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან“ (ა.ტუღუში; „არტანუჯი“, თბილისი, 2012).

აკად. რ.მეტრეველმა 2012 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „გამოჩენილი ქართველოლოგები სანკტ-პეტერბურგის განათლების სისტემაში“ (ილია ჭავჭავაძის დაბადების 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-კულტურული ფორუმი „ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში“, სანკტ-პეტერბურგი, რფ);

– ბაქოს II საერთაშორისო ჰუმანიტარული ფორუმი „ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები გლობალიზაციის პროცესებისადმი XXI საუკუნეში“ (ბაქო, აზერბაიჯანი);

– „ღრმა აზროვნების“ სწავლება ზნეობრივი აღზრდის საფუძველი“ (სამეცნიერო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ“, მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ადსაყდრების 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს, თბილისი);

– „კირიონ კათოლიკოსის მოდვაწეობის შეფასებისათვის“ (საქართველოს საპატრიარქოს, სამთავისისა და გორის ეპარქიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II-ეს, გორი);

– „სიტყვა ივანე ჯავახიშვილზე“ (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს);

– წიგნის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ პრეზენტაცია-განხილვა;

– აკად.წევრ-კორ. რევაზ სირაძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის წარდგინება.

საანგარიშო წელს აკად. რ.მეტრეველს მიენიჭა შოთა მესხიას სახელობის პრემია საქართველოს ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომების ციკ-

ლისათვის: „პატრიარქი – ერის სულიერი მამა“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2008) და „მეფები და პატრიარქები“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010).

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

წიგნები

1) „საქართველოს ისტორია“, ოთხ ტომად (I-II ტომების – „საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეებდე“; „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნეებდე“ – თანაავტორი და I ტომის რედაქტორი; „პალიტრა L“, თბილისი, 2012).

2) „საქართველის ისტორია“, ერთტომეული (თანაავტორი და რედაქტორი; „გუმბათი“, თბილისი, 2012, 545 გვ.).

3) „საქართველის ისტორია“, ერთტომეული (თანაავტორი და რედაქტორი; Nova publishers, ნიუ-იორკი, აშშ, 2012, 573 გვ., ინგლისურ ენაზე).

სტატიები

1) „გეოგრაფიული ფაქტორი და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა“ (კრებულში „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ეძღვნება აკად.წევრ-კორ. ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 79-96).

2) „აღმოსავლურ-ქართველ ტომთა გაერთიანებანი ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, თბილისი, 2012, 28-36).

ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე, ძვ.წ. XII-VI საუკუნეებში, ძველაღმოსავლური წყაროების მიხედვით, სამჯერ ფიქსირდება აღმოსავლურ-ქართველ ტომ-

თა მიერ სახელმწიფო ებრივი გაერთიანებების შექმნის მცდელობა, რომლებიც საბოლოოდ ძველაღმოსავლურ იმპერიებთან ბრძოლებს შეეწირა.

3) „ქვემო ქართლის პოლიტიკური ისტორიიდან. ლორე-ტაშირის მხარე“ (ქ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 2012).

ლორე-ტაშირის მხარე ძველი ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე მისი განუყოფელი ნაწილი იყო და ასეთი ვითარება გრძელდებოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. XIX საუკუნეშიც ეს ტერიტორია თბილისის გუბერნიას მიეკუთვნებოდა.

4) „აკად. დავით მუსხელიშვილის შესავალი სიტყვა“ (საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე; ქ. „ანალები“, №8, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 5-11).

5) „მეცნიერის არქივიდან“ (ქ. „ანალები“, №8, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 402-406).

აკად. დ.მუსხელიშვილმა 2012 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ქართულ-დაღესტნური კულტურულ-ისტორიული კავშირები“ (ახალციხე);

- საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი);

- ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავს, თბილისი).

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე

წიგნი

„საქართველოს ისტორია“, ოთხ ტომად (I ტომის „საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეებდე“ თანაავტორი; „პალიტრა L“, თბილისი, 2012).

სტატიური

1) „კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის“ (ჟ. „მიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, №20, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2011, 178-196).

ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა ახლებურად წარმოაჩინა კავკასიის წინა აზიასთან დამოკიდებულების საკითხი. როგორც ჩანს, მესოპოტამიის (წინა აზიის) ჩრდილო, პერიფერიული ნაწილისადმი ინტერესი ძვ.წ. V ათასწლეულში პალაფის კულტურის ხანაში იღვიძებს. ამ დროს საგრძნობლად იმატა მოთხოვნილებამ ლითონზე და იწყება საკმაოდ ინტენსიური ექსპანსია დასავლეთით. ძლიერდება ურთიერთობა მესოპოტამიასთან მომდევნო ურუკის ხანაში. ურუკის გავლენა ჩრდილოეთით სპილენძით მდიდარ მურღულის რეგიონს აღწევს და ჭოროხის აუზის ჩრდილოეთითაც გადადის კოლხეთში რიონ-უკირილას ორმდინარეთში. ურუკის გავლენის ქვეშ ექცევა თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია და ჩრდილოეთით ყუბანისპირეთს აღწევს, სადაც მაიოპის კულტურას ეყრება საფუძველი. კავკასიიდან, ძირითადად, ლითონი, სპილენძი და ოქრო გაპქონდათ. როგორც ჩანს, ამ პროცესებმა დამხვდური მოსახლეობის ენაზეც იმოქმედა. არაერთგზის აღინიშნა ქართველური ენების შუმერულთან დამოკიდებულება.

2) „იორ-ალაზნის ორმდინარეთი გვიანბრინჯაოს ხანაში“ (კრებულში „საქართველოს და კავკასიის ის-

ტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, ილიას სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 29-35).

გვიანბრინჯაოს ხანაში იორ-ალაზნის ორმდინა-
რეთში საგრძნობლად დაწინაურდა ბრინჯაოს მეტა-
ლურგია. ამ დროს სამარხეული ძეგლების ინვენტარში
გვხვდება სრულიად ახალი ტიპის საბრძოლო იარა-
ღები. როგორც ჩანს, უბრალო მეთემჯ ამავე დროს
მეომარიც იყო. ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს იორ-
ალაზნის კულტურის მატარებელი ტომები შიდა ქარ-
თლში ვრცელდებიან. აქ ამ დროის ძეგლებზე კარ-
გადაა წარმოდგენილი იორ-ალაზნის კულტურისათვის
დამახასიათებელი ნივთიერი მასალები, განსაკუთრე-
ბით, საბრძოლო ხასიათის იარაღები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზაზა ალექსიძე

წიგნი

„ადრექტისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმა-
ნისიდან“ (თანაავტორობით; „ნეკერი“, თბილისი, 2012,
172 გვ.).

ამოკითხული და შესწავლილია დმანისის საეკ-
ლესიო კომპლექსში აღმოჩენილი სხვადასხვა დროის
ქართული (14) და სომხური (2) წარწერები. ქრონოლო-
გიურად წარწერები თავსდება V-X საუკუნეებს შორის.

სტატიები

1) „გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის
ანდერძები“ (ჟ. „ანალები“, №8, „უნივერსალი“, თბილი-
სი, 2012, 162-180).

შესწავლილია გიორგი მთაწმიდლისეულ ქართულ
ოთხთავებზე (ვულგატა) დართული უველა ანდერძი;
გაკეთებულია დასკვნა, რომ გიორგი ათონელი თავის
ნაშრომს მიიჩნევდა ქართული სახარების ახალ თარ-
გმანად.

2) „აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის” უძველესი პალიმფსესტური ტექსტი ეროვნული ცენტრის საგანძურში“ (თანავებით; კრებულში „აღმოსავლეთმცოდნეობა“, I, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2012, 11-25).

ამოკითხულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში აღმოჩენილი ქართულ-სომხური პალიმფსესტის ქვედა ტექსტი, რომელიც წარმოადგენს აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის” ბოლო ნაწილის დღემდე ცნობილთაგან უძველეს (IX ს.) ხელნაწერს.

3) „ბიზანტიის მიერ სირიის ხელახლა დაპყრობა: ბალატუნუსის გამო“ (თანავებით; *Revue des études byzantines*, t.70, 2012, პარიზი, საფრანგეთი, გვ. 175-208, ფრანგულ ენაზე).

სირიის ძველ ციხე-ქალაქ ბალატუნუსში აღმოჩენილი ორენოვანი (ბერძნულ-ქართული) წარწერის შესწავლის საფუძველზე დეტალურად და ახლებურად არის განხილული 1031 წლის ახლოს ჩრდილოეთ სირიაში ბერძნებსა და არაბებს შორის სამხედრო კონფლიქტის შედეგები.

4) „პალიმფსესტური ფურცლები თბილისის ქართულ ხელნაწერში, H-2123“ (თანავებით; *Codices Manuscripti*, heft 84, 2012, Purkersdorf, 7-11, ინგლისურ ენაზე).

კომპლექსურად არის შესწავლილი ჭილ-ეტრატის „იადგარის” სახელით ცნობილი პალიმფსესტური ხელნაწერის ქვედა, V საუკუნის, ბერძნული ტექსტი და გამოვლენილია კიდევ ერთი ახალი ფურცელი.

5) „პულტურათა გზაჯვარედინზე. ქართულ-სომხური კოდიკოლოგიური შეხვედრები“ (კრებულში „მუშაკი სულიერისა ვენახისაი“, მიემდვნა პროფ. მიხეილ ქავთარიას დაბადების 80 წლისთავს, „არტანუჯი“, თბილისი, 2012, 33-60).

აკად.წევრ-კორ. 2012 წ. ზ.ალექსიძემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

- საერთაშორისო სემინარი „კავკასია და ბიზანტია გვიანანტიკურობიდან შუასაუკუნეებამდე“ (ერევანი, სომხეთი);
- „ქართული დიპლომატიკური კორპუსი (X-XI სს.)“ (საერთაშორისო კონფერენცია „დამწერლობის ფორმები და სტატუსი შუასაუკუნეების ეპოქაში“, პარიზი, საფრანგეთი);
- „საქართველოს ადგილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებში ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისით“ (საერთაშორისო კონფერენცია „ევროპა და კავკასია“, მონპელიე, საფრანგეთი).

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძემ წაიკითხა საჯარო ლექციები:

- ოქსფორდის უნივერსიტეტში – „ალბანური ხელნაწერების აღმოჩენა, გაშიფრვა და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“ და „ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სომხურ ხელნაწერთა კოლექცია და მისი მნიშვნელობა კავკასიისმცოდნეობისათვის“;
- ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში – „ქართული დამწერლობა, წარმოშობა და განვითარების გზები“;
- საერთაშორისო კონფერენციაზე „ევროპა და კავკასია“ (მონპელიეში, საფრანგეთი) – „თანამედროვე კავკასიისმცოდნეობის მთავარი პრობლემები“.

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტს „ქართული დამწერლობა – პალეოგრაფიული ალბომი და მონაცემთა ბაზა“ (2012-2014).

იგი არჩეულა საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებასთან არსებული მუდმივოქმედი

გამოცემის *Monumenta Palaeographica Medii Aevi*-ს (შექმნა-
უკუნების პალეოგრაფიის ძეგლები) სამეცნიერო საბ-
ჭოს წევრად და სერია *Ibero-Caucasica*-ს გამომცემლად.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი იმედაძე სტატიური

1) „ინტერაქციონიზმი და განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია“ („Психологический журнал“, №3, მოსკოვი, რვ, 2012, 33-44, რუსულ ენაზე).

განხილულია მოთხოვნები, რომელთაც უნდა პასუხობდეს ჭეშმარიტად ინტერაქციული ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია. ესენია: ურთიერთობაში მყოფი ქცევის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების სრული სიის შედგენა; ამ ფაქტორების ფსიქიკური რეპრეზენტაციის სახეობათა გარკვევა; ინდივიდი-გარემოს განცალკევებულობის პრინციპიდან გადასვლა მათი იმპლიციტური ერთიანობის პრინციპზე; ისეთი რეალობის მონახვა და შესწავლა, რომელშიც ეს ერთიანობა არის განხორციელებული. ამ პოზიციებიდან გაანალიზიბულია განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია.

2) „ტრანსფორმაციულ საზოგადოებაში ადამიანის ქვევის თეორიისათვის“ (თანაავტორობით; „Проблемы педагогики и психологии“, №2, ერევანი, կոմեյտი, 2012, 63-67, რუსულ ენაზე).

მოცემულია საბჭოთა კავშირის უკანასკნელი პერიოდისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების ანალიზი განწყობის თეორიაზე დაყრდნობით. გამოყენებულია ფიქსირებული განწყობის ადაპტაციურ ქცევასთან მიმართების კონსტრუქტი. რაც უფრო ძლიერ არის ტრანსფორმირებული სიტუაცია, მით უფრო დიდია ადრე შექმნილი განწყობის გავლენა. მეორე მხრივ, სოციალური გარემოს წესის შესუსტება გზას უსსნის ფიქსირებული

ლი სოციალური განწყობების რეალიზაციის (ფუნქციონის) ტენდენციას. ამ განწყობების გავლენით ზოგან მოხდა საზოგადოების მკეთრი რეალუციური ტრანსფორმაცია, ზოგან – ევოლუციური. ამ პროცესების რაგვარობას განაპირობებს ფიქსირებულ განწყობათა შინაარსის სხვადასხვაობა.

3) „განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელი და ადქმის პარადოქსი“ (დიმიტრი უზნაძის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2012).

განწყობის სტრუქტურის დინამიკური მოდელის მიხედვით დ.უზნაძის მიერ ფორმულირებული ე.წ. „ადქმის პარადოქსი“ ცრუ პრობლემა. მისი საფუძველია სტატიკური მოდელის დებულება, რომ ეველა ფსიქიკურ პროცესს თავისი განწყობა ასაზრდოებს. სინამდვილეში, საკუთარი განწყობა მხოლოდ ქცევას აქვს, ხოლო ფსიქიკური პროცესები, მათ შორის ადქმა, მხოლოდ ქცევის სტრუქტურის ელემენტია. „ახალი ქცევის“ ფაქტორები მიმდინარე ქცევის განწყობის მოქმედების ფონზე აღმოცენდება. მაშასადამე, სიტუაციის ადქმა საკუთარ განწყობას არ საჭიროებს და, ამდენად, ადქმის პარადოქსიც იხსნება.

აკად.წევრ-კორ. ი.იმედაძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში და დღევანდელობა“ (სამეცნიერო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ“ – მიემდგნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნგტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლის იუბილე);

– „განწყობის ზოგადფსიქოლოგიური და ანთროპული თეორიები“ (აკად. შ.ნადირაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია „განწყობის თეორიის თანა-

მედროვე მდგომარეობა“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი);

– „ფსიქოლოგია საქართველოს განათლების სისტემაში“ (საქართველოს განათლების აკადემიის კონფერენცია „ინოვაციური სისტემები და უმაღლესი სკოლა“).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძე

მონოგრაფია

„ბიბლიური არქეოლოგია“ (თანაავტორობით; თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 284 გვ., 69 ფერადი ჩანართით).

განხილულია XIX-XX ს. ე.წ. ბიბლიურ ქვეყნებში (ეგვიპტე, ფინიკია, პალესტინა, შუამდინარეთი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები. დახასიათებულია „საღვთო წიგნში“ წარმოჩენილი კულტურულ-ისტორიული გარემო, მისი ფორმირების ძირითადი ეტაპები ძვ.წ. XII-II ს. „ძველი ადქმის“, ხუმაშისა, ანუ „მოსეს ხუთწიგნეულის“ სტრუქტურის საკითხები და სხვ. მათ შორის ებრაელი ერის ეთნოგენეზისი და ძველი ისტორია. წიგნი ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაფრების 35 წლისთავს.

სტატიები

1) „მიღები და ფასისი ძვ.წ. VI-V ს. მეტობოლია და აპოიკია“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბილისი, 2012, 5-17).

შესწავლით ქალაქ-სახელმწიფო მიღებისა და აღმოსაგლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიულ კოლხეთში მისი ყველაზე მნიშვნელოვანი კოლონიის (აპოიკიის) კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტები ძვ.წ. VI-V სს. დასტურდება ერთიანი სამონეტო ტიპის არსებობა.

2) „ოქროს ზოდები – კოლხური ფულის მონეტამდელი ფორმა“ (კრებულში „ლინგვო-კულტუროლოგიური ძიებანი, I, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2011, 243-248).

განხილულია საქართველოში აღმოჩენილი სტანდარტიზებული ოქროს ზოდები, რომლებიც მონეტამდელი ფულის ერთეულს წარმოადგენდა ძვ.წ. V-III სს. კოლხეთსა და იბერიაში. მათი მეშვეობით ხდებოდა დიდი სავაჭრო გარიგებები ანტიკურ საქართველოში.

3) „ადრექრისტიანული სამარხები ბიჭვინთაში“ (კრებულში „ჩვენი სულიერების ბალავარი, IV“, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 173-177).

შესწავლით ახ.წ. III-IV სს. ორმოსამარხები ბიჭვინთის სამაროვნიდან, რომლებიც ქალაქის ადრექრისტიანულ თემს უკავშირდება. მათი უმეტესობა უინვენტაროა.

4) „ადრექრისტიანული ვერცხლის ბარძიმი უშგულიდან“ (თანაავტორობით; თსუ-ის ისრაელის ცენტრის კრებულში „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, ნაკვეთი XXVII, „მწიგნობარი“, თბილისი, 2012, 97-102).

ვერცხლის ბარძიმზე გაშიფრული არამეული წარწერა – „თვალისათვის“ ადასტურებს, რომ მას სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა. ბარძიმი V-VI სს. თარიღდება და ანტიოქიაში უნდა იყოს დამზადებული.

5) „სომხურწარწერიანი ფაიფურის ჭურჭლის ფრაგმენტები ყულევიდან“ (კრებულში „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ეძღვნება აკად. წევრ-კორ. ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 63-66, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ყულევის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი XIX საუკუნის ფაიფურის სომხურწარწერიანი, ევროპაში დამზადებული ფაიფურის ჭურჭელი.

6) „არქეოლოგიური მონაცემები ბიჭვინთის აღრექრისტიანული თემის შესახებ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, თბილისი, 2012, 69-75).

7) აკად. წევრ-კორ. ლ. მელიქიშვილთან თანაავტორობით. „შემობრუნება სულიერებისაკენ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, თბილისი, 2012, 207-210).

აკად. წევრ-კორ. გ. ლორთქიფანიძე არის: თსუ-ის ისრაელის ცენტრის ყოველწლიური კრებულის „პულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, ნაგეგთი XXVII, მთავარი რედაქტორი; წიგნების – „ქალაქი როდოპოლისი“ (გ. ყიფიანი) და „ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები“ (მ. მშვილდაძე) რედაქტორი.

აკად. წევრ-კორ. გ. ლორთქიფანიძემ 2012 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოსსენებები:

– „რომის მოქალაქე-ქართველები“ (ბაქოს II საერთაშორისო პუმანიტარული ფორუმი „ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები გლობალიზაციის პროცესებისადმი XXI საუკუნეში“, ბაქო, აზერბაიჯანი);

– „პიტიუნგისა და სებასტოპოლის ადრექტის-გიანული ძეგლები“ (გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ბიჭვინთის კომპლექსური შესწავლისადმი).

აკად.წევრ-კორ. გ.ლორთქიფანიძეს მიღებული აქვს ამერიკის ებრაელთა მსოფლიო სააგენტოს „ჯოინთის“ გრანტი კვლევისათვის იუდაიკაში.

იგი მონაწილეა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიანი (2012-2014) გრანტისა – „ლაზეთი – სამეცნიერო-კვლევის ობიექტი თანამედროვე თურქეთში“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლიანა მელიქიშვილი

სტატიები

1) „კონფლიქტოლოგიის ეთნოსოციოლოგიურ სათავეებთან“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბილისი, 2012, 65-76).

ძალადობისა და აგრესიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ეთნოლოგიას, განსაკუთრებით ამერიკელ ანთროპოლოგს ლესლი უაიტს, რომელიც აგრესის ინსტინქტის თეორიისა და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით, ომი წარმოებს საზოგადოებებს და არა ინდივიდებს შორის. ამიტომ ამ საკითხს მხოლოდ კულტუროლოგიის თვალსაზრისით განიხილავდა. 1950-იან-1960-იან წლებში ომის ანთროპოლოგიის ყველაზე აქტუალური საკითხი იყო ეთნიკური კონცეფციები. ეთნოლოგებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ სხვადასხვა პრიმიტიული საზოგადოება ერთმანეთი-

საგან ომისმოყვარეობის სხვადასხვა ხარისხით განსხვავდება. ზოგი მათგანი საერთოდ ერიდება ნებისმიერ ძალადობას, რაც გამოიხატება მათ კულტურულ ღირებულებებსა და ორიენტაციაში. საზოგადოებისათვის კონფლიქტი არის სავსებით კანონზომიერი, ბუნებრივი მოვლენა. ამიტომ საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა განიხილება არა როგორც პარმონია ან წონასწორობა, არამედ როგორც დისკარმონია – კონფლიქტი. კლასებს შორის დაპირისპირებამ გასული საუკუნის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, განაპირობა კონფლიქტის თეორიის ჩამოყალიბება.

2) „თავისუფლება ტყვეობაში“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და გენდერი“ სპეციალური ნომერი (№1), თბილისი, 2012, 215-218).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქალს შეეძლო საქმრო დაეწუნებინა, რის გამოც ის ისჯებოდა, რაც გულისხმობდა ვაჟის მიერ მწუნებარე ქალის სხვაზე, ან სხვაგან, ან რამდენიმე წლით გათხოვების უფლების ადგენთას. ამას „კვეთილში ჩასმა“ ეწოდებოდა. ქალის მიერ დანიშნულის დაწუნება სხვა პირის სიყვარულის გამო ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში დაწუნება უმიზეზოდ ითვლებოდა და ქალი ჯარიმდებოდა. უფრო ხშირად კი ვაჟი გვევლინება მწუნებარედ. ზოგჯერ ქალი თვითონ „კვეთილში ჩაისვამდა“ თავს. ქალისა და ვაჟის მიერ დაწუნების პრობლემა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პატრიარქალური სამყაროსათვის, ძირითადად მაინც, სიყვარულის ფენომენს უკავშირდება. ამით ქალი იმას ახერხებდა, რომ თავიდან აეცილებინა არასასურველი მთხოვნელი. იგი იყო ტყვეობაში სიყვარულის გამო, ანუ თვითშეწირული თავისუფლებისათვის.

3) „მზეს მიფიცხებული თაობა“ (ქ. „ანალები“, №8, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 530-542).

ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და უსპექტაკესი ადამიანის გიორგი – გოგი ფუთურიძის დაბადების 90 წლისთავს.

4) აკად.წევრ-კორ. გ.ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით. „შემობრუნება სულიერებისაკენ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, თბილისი, 2012, 207-210).

აკად.წევრ-კორ. ლ.მელიქიშვილმა მოამზადა აკად. მ.ლორთქიფანიძის შრომების ბიბლიოგრაფია წიგნისათვის „მარიამ ლორთქიფანიძე – 90“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2012, 21-69).

აკად.წევრ-კორ. ლ.მელიქიშვილმა 2012 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „თავისუფლება ტყვეობაში“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი“, თბილისი);

– „ტრადიციული მორალი და ინოვაციური სამართალი“ (კონფერენცია „ტრადიცია და ინოვაცია – ქართველოლოგიის 25-ე დღე“, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი).

აკად.წევრ-კორ. ლ.მელიქიშვილი იმყოფებოდა მივლინებით დიდ ბრიტანეთსა (ლონდონში) და, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით, ვარშავაში (მუშაობის ჩასატარებლად თემაზე „ქართული ემიგრაცია ევროპაში“). იგი შეხვდა ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, დაესწრო სხვადასხვა ლონისძიებებს, ჩაწერა ქართველ ემიგრანტთა ისტორიები, რამდენიმე ინტერვიუ ემიგრანტთა პრობლემებზე ქართველების, ინგლისელებისა და პოლონელებისაგან, მოინახულა სხვადასხვა დარგში წარმატებულ ემიგრანტთა წარმომადგენლები. პოლონეთის ლტოლვილთა ბანაკში „გრუპა“ მან შეისწავლა საქართველოდან არალეგა-

ლურ ლტოლვილთა პრობლემები და სხვადასხვა საკითხები.

აკად.წევრ-კორ. ლ.მელიქიშვილმა წაიკითხა ლექციები:

— „ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების კვლევის აქტუალური საკითხები — ახალი მიმართულება” (პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიაში); ნაჩვენები იქნა ეთნოგრაფიული ფილმი „დუხობორები დმანისში”;

— „სოციალური და კულტურული ცვლილებები პოსტსაბჭოთა საქართველოსა და კავკასიაში” (ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრაზე);

— „ეთნოპოლიტიკური სიტუაცია საქართველოში და მასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პრობლემები” (ვარშავის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრაზე). სტუდენტების თხოვნით ნაჩვენები იქნა ეთნოგრაფიული ფილმი „დუხობორები დმანისში”.

აკად. წევრ-კორ. ლ.მელიქიშვილმა გაუწია კონსულტაციები:

— პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერს, ფსიქოლოგიისა და ეთნოლოგიის დოქტორს კატარზინა კოშც-რიზკოს;

— ამერიკის შეერთებული შტატების „ომის არმიის კოლეჯის“ ეროვნული უსაფრთხოებისა და სტრატეგიის დეპარტამენტის პროფესორს ბობ ჰამილტონ კოლონელს თემაზე — „ქართული ემიგრაცია ევროპაში” (აფხაზეთის კონფლიქტის ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით);

— პოლონეთის ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიის ფაკულტეტის ასპირანტს ნატალია პოულოვიჩს საკითხზე: „საბჭოთა ქალი კომუნისტურ სისტემაში დაქართული ტრადიციული გარემო”;

სელმძღვანელობდა მონტანას უნივერსიტეტის ასპირანტს მილენა ოგანესიანს, რომელიც მუშაობს თე-

მაზე „ეთნიკური ურთიერთობა და ინტეგრაციული პროცესები კავკასიაში“.

აკად.წევრ-კორ. ლ.მელიქიშვილი არის უურნალის „Caucasus Survey – The journal of the Association for Caucasian Studies“ მიმომხილველი (პარიზი, სორბონის უნივერსიტეტი) და საერთაშორისო საბჭოს წევრი.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ პაპავა მონოგრაფიები

1) „ეკონომიკური რეფორმები პოსტკომუნისტურ საქართველოში: ოცი წლის შემდეგ“ (Nova Science Publishers, ნიუ-იორკი, აშშ, 2012, 152 გვ., ინგლისურ ენაზე).

განხილულია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში გატარებული რეფორმების არსი. ნაჩვენებია ის ძირითადი სირთულეები, რისი გადალახვაც მოუწია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. გაანალიზებულია ძირითადი მიღწევები და შეცდომები, დასახული ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები.

2) „ცენტრალური ეკონომიკა: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“ (თანაავტორი ელდარ ისმაილივი; „ინტელექტი“, თბილისი, 2012, 145 გვ.).

ჩამოყალიბებულია ცენტრალური ეკონომიკის მიმართ ახლებული გეოპოლიტიკური ხედვა, რომლის თანახმადაც ის შედგება ცენტრალური ეკონომიკის, ცენტრალური აზიისა და ცენტრალური კავკასიისაგან. ეკონომიკისა და ჰარტლენდის იმპერიალისტური თეორიების საპირისპიროდ, ცენტრალური კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ერთობლიობის აღსანიშნავად შემოდგებულია ტერმინი „ცენტრალური კავკაზია“, რაც საშუალებას იძლევა მოცემული რეგიონის გეოპოლიტიკური პრობლემები ახლებურად იქნეს გა-

აზრებული. მონოგრაფია 2010 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა აშშ-ში, ხოლო რუსულ ენაზე – შვედეთში.

სტატიები

1) „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თვისებრივი ეკონომიკური თავისებურებები: წარსული, აწმეო და მომავალი ევროპულ კონტექსტში“ (კრებულში „სამხრეთ კავკასია 2021: ნავთობი, დემოკრატია და გეოპოლიტიკა“, The Jamestown Foundation, ვაშინგტონი, აშშ, DC, 2012, 61-81, ინგლისურ ენაზე).

2) „საშუალო საგადასახადო განაპვეთის როლი აგრეგირებული მოთხოვნის ქეინზიანურ მოდელში“ (თანაავტორობით; j. „Problems of Economic Transition“, ტ. 54, №12, აშშ, 2012, 5-21, ინგლისურ ენაზე,)

3) „ლაფერ-ქეინზიანური სინთეზის მაკროეკონომიკური მოდელი“ (თანაავტორობით; j. „Problems of Economic Transition“, ტ. 54, №12, აშშ, 2012, 22-39, ინგლისურ ენაზე).

4) „გადასახადები, წარმოების ტექნოლოგია და ეკონომიკური ზრდა“ (თანაავტორობით; j. „Problems of Economic Transition“, ტ. 54, №12, აშშ, 2012, 71-91, ინგლისურ ენაზე).

5) „დემოკრატია: დასავლეთისათვის მიზანია თუ უბრალო ვალდებულება?“ (ელექტრონულ ჟურნალში „Open Democracy“ დიდი ბრიტანეთი, ინგლისურ ენაზე).

6) „საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ“ (თანაავტორობით; ჟ. „ეკონომიკისტი“, №1, 2012, 8-14).

7) „სავალუტო კრიზისის პირობებში „სავალუტო ფარის“ ქმედითობა პოლანდიური დაავადებით ინფიცირებულ ეკონომიკაში“ (კრებულში „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“, პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცი-

ის მასალები“, I, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 108-113).

8) „კრემლი და საქართველო – გარიგება ოუილუზია?“ (ელექტრონულ ჟურნალში „Open Democracy“, 2012, დიდი ბრიტანეთი, ინგლისურ ენაზე).

9) „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ეკონომიკური შემადგენელი“ (ქ. „Caucasus and Globalization“, „Кавказ и Глобализация“, ტ. 6, №1, შვედეთი, 2012, ინგლისურ, გვ. 61-71 და რუსულ, გვ. 70-81 ენებზე).

10) „საშუალო საგადასახადო განაკვეთის ზეგავლენა აგრეგირებულ მოთხოვნაზე. ქეინზიანური მოდელები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მომბეჭ, ტ. 6, №2, თბილისი, 2012, 162-169, ინგლისურ ენაზე).

11) „აშშ-ის არჩევნები: პოსტვარდისფერი საქართველოს იმედები და მოლოდინები დიდ ბრიტანეთში“ (ელექტრონულ ჟურნალში „Open Democracy“, 2012, დიდი ბრიტანეთი, ინგლისურ ენაზე).

12) „ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივი შედარება მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით“ (თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში, V, ეძღვნება აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადების 100 წლისთავს“, თბილისი, 2012, 30-37).

13) „ცენტრალური კავკაზიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ“ (კრებულში „კავკასია: აღმოსავლეთ-სა და დასავლეთს შორის“, ემდგნება აკად.წევრ-კორ. ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, 557-569).

14) „ეკონომიკური ზრდა ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებში მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით“ (ქ. „Central Asia and the Caucasus“, ტ. 13, №4, „Цен-

тральная Азия и Кавказ” № 16, №4, შვედეთი, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

დაასრულა მუშაობა „ბრიტიშ პეტროლიუმი”-ს გრანტზე „საქართველოს ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული სფეროების ანალიტიკური მიმოხილვა” (2011-2012).

საანგარიშო წელს აკად.წევრ-კორ. ვ.პაპავა მიიღვის:

- კასპიის რეგიონის შემსწავლელი ინსტიტუტის (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) მრჩეველთა საბჭოს წევრად;

- უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნირო ჟურნალ „უკრაინის ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგის წევრად.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპავამ 2012 წ. მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში:

- თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ ორგანიზებულ სემინარში „საარჩევნო კულტურა” (ბაკურიანი);

- პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში თემაზე „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია” (თბილისი);

- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების შესახებ გამართულ დისკუსიებში ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში, ამერიკულ უნივერსიტეტში, კარნეგის ფონდში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და კოლუმბიის უნივერსიტეტში (ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, აშშ);

- ბაქოს საერთაშორისო პუმანიტარულ ფორუმში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ეკონომიკური განვითარების პუმანიტარული ასპექტები” (ბაქო, აზერბაიჯანი);

- წიგნის – „ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“ (თანაავტორი ელდარ ის-მაილოვი) პრეზენტაციაში (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია);
- საერთაშორისო კონფერენციაში „საქართველო და რუსეთი: ურთიერთობათა აღდგენის შესაძლებლობები“ (სტამბოლი, ოურქეთი);
- საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე „საქართველო და თანამედროვე პოლიტიკური პროცესები“ (თბილისი);
- ქართულ-აფხაზურ დიალოგში (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ სილაგაძე

სტატიები

- 1) „მინერალური ნედლეულის კაპიტალიზაცია – მსოფლიო და ქართული გამოცდილება“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №2, თბილისი, 2012, 170-173, ინგლისურ ენაზე).
- 2) „საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივება და რეალობა“ (კრებულში „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2, თბილისი, 2012, 154-155).
- 3) „პრიორიტეტი ეროვნული რესურსების გამოყენებას“ (ჟ. „მეცნიერება და ცხოვრება“, 1(5), თბილისი, 2012, 17-23).
- 4) „პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტები მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონ-

ზე“ (ქ. „სოციალური ეკონომიკა“, №4, თბილისი, 2012, 60-68, რუსულ ენაზე).

5) „ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური დოქტრინა და თანამედროვეობა“ („Актуальные проблемы историко-экономических исследований“. М., ВЗФЭИ, 2012, 83-87, რუსულ ენაზე).

6) „აგრარული რეფორმის ზოგიერთი საკითხი საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში“ (Опыт экономического и социального обновления России в свете реформ П. А. Столыпина, М., Финансовый университет, ВЗФЭИ, 2012, 72-76, რუსულ ენაზე).

7) „უ.პეტი – „პოლიტეკონომიის კოლუმბი“ (თანაავტორობით; ჟ. „ეკონომიკა“, №9-10, თბილისი, 2012, 128-133).

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძე რედაქტორია მონოგრაფიისა „ინფლაციის ზიგზაგები საქართველოში“ (ს.პავლიაშვილი, აშშ, 2012).

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო კონფერენციების მუშაობაში:

- პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკური და გლობალიზაცია“ (თბილისი);

- საერთაშორისო სამცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ისტორიულ-ეკონომიკურ გამოკვლევათა აქტუალური პრობლემები“ (მოსკოვი, რფ);

- საერთაშორისო სამცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „რუსეთის ეკონომიკური და სოციალური განახლების გამოცდილება პ.სტოლიპინის რეფორმების შუქზე“ (მოსკოვი, რფ);

- საერთაშორისო სიმპოზიუმი „რეგიონული თანამშრომლობა და განვითარება“ (ერზურუმი, თურქეთი);

— საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „მინამეურნეობები წარსულსა და აწმოში“ (მოსკოვი, რფ).

სანგარიშო წელს აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძე არჩეულია:

— მეცნიერების, განათლების და ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემიის ჟურნალების დირექტორთა საბჭოს წევრად (აშშ);

— საერთაშორისო ჟურნალის „The Caucasus&Globalization“ სარედაქციო კოლეგიის წევრად (ზვედეთი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე ფიცხელაური

სტატიები

1) „ურუკელი მიგრანტები კავკასიაში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, № 2, 2012, 153-161, ინგლისურ ენაზე).

დასაბუთებულია ურუკელ მიგრანტთა გავლენის მნიშვნელობა კავკასიური ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის ჩამოყალიბებაში. ეს სიახლეა ამ დროის კავკასიური კულტურების კვლევაში.

2) „ერთი მითითება სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბილისი, 2012, 45-49).

ივრის ზეგნის ძვ.წ. II-I ათასწლეულთა არქეოლოგიური ძეგლების ტოპოგრაფიისა და ძველი პიდროსისტემის აღდგენის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ადგილობრივი ტომების ძველი სამეურნეო-ადმინისტრაციული ერთეულების გამოყოფა. სავარაუდოდ, ეს პირველი საზოგადოებრივი გაერთიანებებია, რომლებიც,

დასაშვებია, აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო უძრიგივი ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა.

3) „არქეოგეოფიზიკა – ახალი პერსპექტივები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბილისი, 2012, 50-60).

დასაბუთებულია ახალი მეცნიერული მიმართულების – არქეოგეოფიზიკის მნიშვნელობა არქეოლოგიური კვლევების დროს.

4) „სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ.წ. IV-I ათასწლეულების კულტურათა ეთნოკულტურული საკითხები“ (ჟ. „ქართველოლოგი“, თბილისი, 2012, 34-57, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

მოცემულია არქეოლოგიური მასალები, რომელთა განვრცობის საზღვრების დადგენა გარკვეულ წვლილს შეიტანს კავკასიის ძვ.წ. IV-I ათასწლეულების საზოგადოების ეთნოკულტურული საკითხების კვლევაში.

5) „კახეთის რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლის არქეომაგნიტური გამოკვლევის შედეგები“ (თანაავტორობით; კრებულში „საქართველოს და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 116-127).

არქეომაგნიტური კვლევების საფუძველზე გარკვეულია ივრისპირეთის რკინის გადამამუშავებელი ცენტრების თარიღი, რომელიც ძვ.წ. X-IX საუკუნეებით იფარგლება. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავით გარეჯის მთიანეთის ქალაქური ცივილიზაციის სამეურნეო ცხოვრების მიმართულებების დასადგენად.

6) „კავკასიის და წინა აზიის კულტურების ურთიერთობის პრობლემა ძვ.წ. IV ათასწლეულში“ (ჟ. „ანალები“, №8, „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 443-462).

განსაზღვრულია წინააზიური კულტურების ზე-გავლენის მნიშვნელობა ადგილობრივი კულტურების ჩამოყალიბების პროცესზე.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ჩარკვიანი სტატია

„ზნეობრივი მსჯელობის ფსიქიკური დეტერმინანტები” (სოხუმის უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების სერია, თბილისი, 2012, ტომი II).

მეცნიერული შესწავლის ზნეობრივი მხარე მკვლევართა განუყოფელი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამა თუ იმ მეცნიერების კონკრეტული დარგის წარმომადგენლებმა ადამიანის მიერ, ზოგადად, შემცნებისა და მისი რეალური ქცევის (მოღვაწეობის) ეთიკური მხარის ანალიტიკური კვლევა მეტათეორიულ დისციპლინად შეიძლება ჩათვალონ. ეთიკის ფილოსოფიურ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებმა, ზნეობრივი მსჯელობა (იგულისხმება მეცნიერულიც) შესაძლოა გამოყენებით დარგად მიიჩნიონ. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა გარკვეულ მეცნიერულ სპეციალიზაციას, არამედ თვით შესასწავლი საკითხების აქტუალობას ენიჭება. ამგვარ საკითხთა წრეს, საკუთრივ ზნეობრივი მსჯელობის არა მხოლოდ ანალიტიკური ანალიზი, არამედ მისი ფორმირებისა და განსხვავებულ ვითარებებში მისი ამოქმედების კანონზომიერებათა ემპირიული კვლევა წარმოადგენს. ამა თუ იმ ფორმის მსჯელობათა საფუძვლად მდებარე ზოგად კრიტერიუმებში არსებითი მნიშვნელობა, ჭეშმარიტების დამდგენი სტანდარტების გამოყოფასთან ერთად, ადამიანის რეალურ ქცევაში სათანადო ეთიკური მოქმედების შინაარსობრივი მხარის შესწავლას გააჩნია. სუბიექტის რეალური (და ნაკლებად წარმო-

სახული, „მოდელირებული“) მოქმედების სოციალურ შინაარსს სათანადო მორალური ღირებულებების მიმართ მისი განწყობები განაპირობებს. ზეობრივი ღირებულებების შემდეგი ძირითადი ბინარული მახასიათებლებია ხაზგასმული: უნივერსალური და რელატიური, ტელეოლოგიური და დეონტოლოგიური, რაციონალური და ემპირიული. ამის გათვალისწინებით ზნეობრივი მსჯელობის სათანადო ფორმებია გამოყოფილი. ამავე დროს, ნაჩვენებია, რომ ისტორიულად, ადორძინების და ახალ დროში მორალის შესახებ გაბატონებულ ზოგადთეორიულ მიდგომებში, ძირითადად, თანდაყოლილობის და ფარდობითობის ღირებულებათა კრიტერიუმებია გამოყენებული. ისიც აღსანიშნავია, რომ მეცნიერების სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები სწორედ ამ ხანაში მოხდა. ნიშანდობლივია, რომ ამან მორალის, როგორც სათანადო ფსიქიკური მოვლენის პროცესუალური განვითარების შესახებ შექმნილი კონცეფციების თავისებურება განსაზღვრა. გაანალიზებულია კოგნიტურ-სტადიური განვითარების, კოგნიტივისტურ-ბიკურილური, სოციოანალიტიკური და განწყობის ინტერაქციონისტური თეორიული მიდგომების ძირითადი პრინციპები.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა მონოგრაფია

„დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“ („უნივერსალი“, თბილისი, 2012, 340 გვ.).

მდიდარი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული გაანალიზება-განზოგადების საფუძველზე განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ფორმირება, სტრუქტურულ ცვლილებათა ტენდენციები და აქტიურობის დონე საქართველოში; დასაქმებისა და უმუშევრობის

მხრივ ქვეყანაში არსებული ვითარება; უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები; დასაქმების დონის ამაღლებისა და უმუშევრობის დონის შემცირების გზები და რეზერვები. ნაშრომი მნიშვნელოვანწილად პოლემიკურ ხასიათს ატარებს. გამოთქმულია მეთოდური და მეთოდოლოგიური ხასიათის რიგი მოსაზრებებისა, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული წვლილი შეიტანონ დასაქმებისა და უმუშევრობის თვალსაზრისით რეალურად არსებულ მდგომარეობასთან მიახლოებული მაჩვენებლების დადგენაში.

სტატიები

1) „მწვავე დემოგრაფიული ვითარება რაჭაში და მისი ნორმალიზების გზები“ (კრებულში „რაჭა: წარსული, აწყვო, მომავალი“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მთიანეთის პრობლემების კომპლექსური შესწავლის კომისია, თბილისი, 2012, 53-74, რედაქტორი აკად.წვერ-კორ. ლ.ჩიქავა).

როგორც ნაშრომში მოტანილი დიდალი ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზი ცხადყოფს, რაჭა დღეისთვის ერთადერთი რეგიონია საქართველოში, რომელიც განიცდის დრმა დემოგრაფიულ კრიზისს. ეს პროცესი ნათელ გამოხატულებას პოულობს შობადობის მკვეთრად დაცემასა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სწრაფი ტემპებით ზრდაში, რომლის გარდაუვალი შედეგია დეპოპულაცია (მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება). განხილულია ამის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები და დემოგრაფიული კრიზისის შენელების გზები: ეკონომიკის აღორძინება, მცირე ბიზნესისთვის ხელის შეწყობა, მრავალშვილიანობის მატერიალური სტიმულირება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაო ძალის მიგრაციის შეჩერება, ახალდაქორწინებულთა საცხოვრისით უზრუნველყოფა და სხვ.

2) „დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები“ (კრებულში „საქართველოს ეკონომიკა“, საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 93-101; რედაქტორი აკად. წევრ-კორ. ლ.ჩიქავა).

გამახვილებულია ყურადღება დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით უკანასკნელ ოცწლეულში საქართველოსთვის დამახსიათებელ ისეთ ნებატიურ ტენდენციებზე, როგორიცაა: შობადობის კლება, მოკვდაობის (განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის) მატება და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების თითქმის ნულოვან ზღვრამდე შემცირება, ასევე, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის უზვეულოდ მაღალ დონემდე გაზრდა და სხვ. ფაქტობრივი მონაცემების მოშველიებით, გაანალიზებულია ასეთი უარყოფითი ტენდენციების განმსაზღვრელი მიზეზები და რეკომენდებულია დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები.

3) „უმუშევრობის ნებატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში“ (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო რეგიონებადი ჟურნალი „მოამბე“, VI-VII, თბილისი, 2012, 6-15).

უმუშევრობის ნებატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის განხილულია: მატერიალური (და არა მარტო მატერიალური) დოვლათის დიდხალი დანაკარგები, ანუ უწარმოებელი პროდუქცია; მასობრივი სიღარიბე; მოსახლეობის ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია; ინფლაციის ზრდა; მუშაკთა დეპვალიფიკაცია; ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა; ფარული (დაუკვირვებადი) ეკონომი-

კისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა; დამ-
ნაშავეობის ფართო მასშტაბები.

4) „ადამიანური (შრომითი) რესურსები და მათი
გამოყენების გზები“ (კრებულში „თბილისის ბუნებრი-
ვი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო
ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრი, თბილისი, 2012).

შრომითი რესურსების, როგორც ქვეყნის ეკონო-
მიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი ელემენტის,
ფორმირება-გამოყენების საკითხები (თბილისის მაგა-
ლითზე), განხილულია ასეთი თანმიმდევრობით: ეკო-
ნომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის)
ფორმირება, დინამიკა და სტრუქტურა ასაკობრივ, სქე-
სობრივ და ტერიტორიულ (ქალაქი და სოფელი)
ჭრილში; ეკონომიკური აქტიურობის დონე; დასაქმება
(მ.შ. დაქირავებით დასაქმება და თვითდასაქმება), და-
საქმების დონე; უმუშევრობა, უმუშევრობის დონე;
უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები; უმუ-
შევრობის დაძლევის ძირითადი გზები და რეზერვები.

5) „საარსებო მინიმუმი და რაციონალური სამომ-
ხმარებლო კალათა“ („საქართველოს ეკონომიკურ მეც-
ნიერებათა აკადემიის შრომები“, ტომი X, თბილისი,
2012, 5-14; რედაქტორი აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავა).

მოცემულია საარსებო მინიმუმის განსაზღვრა,
როგორც შემოსავლის მინიმალური ოდენობა, რომე-
ლიც აუცილებელია ამა თუ იმ ქვეყანაში ადამიანთა
არსებობისა და ცხოვრების განსაზღვრული (მინიმა-
ლური) დონის უზრუნველსაყოფად. იგი დგინდება
მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე, რო-
მელიც მოიცავს შრომისუნარიანი მამაკაცის სასიცო-
ცხლო და შრომისუნარიანობისთვის ფიზიოლოგიურად
აუცილებელი სასურსათო პროდუქტების რაოდენობას.
დასაბუთებულია, რომ ამჟამად საქართველოში დადგე-

ნილი საარსებო მინიმუმი ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს.

6) „დემოგრაფიული ვითარება მცხეთა-მთიანეთში და მისი სრულყოფის გზები“ (კრებულში „მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია, თბილისი, 2012, 42-63; რედაქტორი აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავა).

ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, კითხვაზე – როგორი დემოგრაფიული ვითარებაა მცხეთა-მთიანეთში? – ავტორისეული პასუხი ასეთია: ჯერჯერობით არა მთლად საგანგაშო, მაგრამ არც სახარბიელო, რამდენადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი სულ უფრო უახლოვდება ნულოვან ზღვარს. ასეთი რადიკალური დასკვნის შემდეგ, მთელი ყურადღება გადატანილია საკვლევ რეგიონში დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზების დონისძიებათა სისტემაზე.

აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს – „თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება“ შესრულებაში.

საანგარიშო წელს აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავას მიენიჭა ფილიპე გოგიაშვილის სახელობის პრემია ნაშრომისათვის „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008).

აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავამ 2012 წ. წაიკითხა სამეცნიერო მოსსენებები:

- „სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და მისი გამოთანაბრების გზები“ (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სადისკუსიო კლუბში);
- „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ (საქართველოს საპატიორქოს წმიდა ანდრია პირველ-წოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში);
- „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები და თანამედროვეობა“ (საპატიორქოს ახალგაზრდულ კლუბში);
- „შემოსავლის განაწილებაში უთანასწორობის ნეგატიური შედეგები“ (საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში).

როგორც სარედაქციო კოლეგიების წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური პროფილის ურნალების („ეკონომიკა“, „ეკონომისტი“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, „ახალი ეკონომისტი“, „საქართველოს ეკონომიკა“) საქმიანობაში. საპატიო რექტორის სტატუსით დებულობდა მონაწილეობას პაატა გუგუშვილის სახელობის კერძო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯონი ხეცურიანი სტატია

,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლი“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, ობილისი, 2012, 16-36).

გაანალიზებულია საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები. დაზუსტებულია მისი ადგილი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში

და მისი, როგორც ნორმატიული აქტის ერთ-ერთი სახეობის, სპეციფიკური ბუნება, მოქმედებისა და გაუქმდების თავისებურებები. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოკვლეულია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის დადგენაში. კრიტიკულადაა შეფასებული „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მთელი რიგი დებულებები. გამოვლენილია საქართველოს კონსტიტუციისთან მათი შეუსაბამობის შემთხვევები. გამოთქმულია კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები მათი აღმოფხვრის მიზნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების არაკონსტიტუციურობის დადგენის შემთხვევაში, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, გამოთქმულია მოსაზრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონსა და კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს ენციკლოპედიისათვის მომზადდა და გამოსაქვეყნებლად გადაეცა სტატია „ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში“.

სანგარიშო წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებულმა დარგობრივმა კომისიებმა. კომისიების წევრებმა გამოაქვეყნეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა 2011 წლის საქმიანობის ანგარიშების განხილვა-შეფასებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილები-

სათვის დასკვნების წარდგენაში. კომისიების თაოსნობით ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ჩატარდა **ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის**, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ხელშემწყობი ფონდის, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიმდგნა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთვავს.

გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრისა და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია – „ეკლესია და ოჯახი“.

ფილოსოფიის, ფიქულოგიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემათა კომისიის სხდომაზე დამტკიცდა „მემორანდუმი საქართველოს პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების“ და ირანის „სიბრძნისმეტყველებისა და ფილოსოფიის კვლევით ინსტიტუტს“ შორის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ“. მოწონებულია წინადადება ქართული ფილოსოფიის ისტორიისა და, შესაბამისად, ირანული ფილოსოფიის ისტორიის გამოცემის თაობაზე. პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების სტუმარი, ირანის რესპუბლიკის ფერეიდან შაჰრის უნივერსიტეტის პროფესორი, საიდ მულიანი (გიორგი მოლაშვილი) არჩეული იქნა საზოგადოების უცხოელ წევრად. კომისიის სტუმარს, ბონის (გერმანია) უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს, ევროპული ფილოსოფიის თვალსაჩინო მოღვაწეს თვო კობუშს აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. თბამყრელიძემ გადასცა აკადემიის უცხოელი წევრის დიპლომი. კომი-

სიისა და საფილოსოფიო საზოგადოების ერთობლივ სხდომებზე მოსმენილი იქნა სამეცნიერო მოხსენებები.

დემოგრაფიულმა კომისიამ, საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიასთან თანამშრომლობით, შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული მწვავე დემოგრაფიული ვითარება და დასახა მისი ნორმალიზების ღონისძიებები.

კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თაოსნობით ახალციხეში ჩატარდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო და საუნივერსიტეტო დაწესებულებების ერთობლივი ტრადიციული (XIV) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია ფოლკლორისტიკა“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვახტანგ შამილაძის (1935-2010) ხსოვნას. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია“, „კავკასიის ფონდი“, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოლორთქიფანიდის არქეოლოგიის ცენტრი, ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასიროლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება. გამოსაცემად მომზადდა კრებული – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია,

ფოლკლორისტიკა“ (აღნიშვნული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსი).

საანგარიშო წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში ჩატარდა 12 სხდომა. განყოფილების საერთო კრებამ განიხილა განყოფილების წევრების, სამეცნიერო დაწესებულებებითა და უმაღლეს სასწავლებელთა 2011 წლის საქმიანობის ანგარიშები; წარადგინა კანდიდატურები გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა (ფილიპე გოგიასიშვილისა და შოთა მესხიას) სახელობითი პრემიების მისაღებად. განყოფილების გაფართოებულ სხდომებზე განხილული იქნა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის, თსუ-ის პაატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საქმიანობა და პერსპექტივები; მოსმენილ იქნა, აგრეთვე, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომლის, პროფ. კატარჟინა ქოშც-რიჟკოს მოხსენება „კავკასიელ ლტოლვილთა იდენტობა და ინტეგრაცია პოლონეთში (ლტოლვილთა ორი ბანაკის მაგალითზე)“. განყოფილების სხდომები მიეღვნა ზურაბ კაკაბაძის წიგნების („რჩეული ფილოსოფიური შრომები“, „ფილოსოფია და ცხოვრება“), აგრეთვე, პროფ. ელდარ ისმაილოვისა და აკად.წევრ-კორ. ვ.პაპავას მონოგრაფიის („ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“) პრეზენტაციას.

ჩატარდა განყოფილების საიუბილეო სხდომები, მიძღვნილი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90 და აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადების 100 წლისთავისადმი.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში 2013 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 14 წევრი, მათ შორის 3 აკადემიკოსი და 11 წევრ-კორესპონდენტი.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების წევრების მიერ გამოქვეყნებულია 6 მონოგრაფია და წიგნი, 9 სახელმძღვანელო, 26 სამეცნიერო სტატია.

აკადემიკოსი მერაბ მერაბიშვილი

აკად. მ.მერაბიშვილმა 2012 წელს შექმნა მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსის, აკადემიკოს ვ.ვექსლერის ძეგლი. ძეგლი დაიდგა რუსეთში, ქ. დუბნაში.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული

წიგნი

„მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (თანაავტორობით; „მერიდიანი“, თბილისი, 460 გვ.).

წიგნი პრაქტიკული დანიშნულების თემატური ლექსიკონია, რომელიც გაუადვილებს მოსწავლე-ახალგაზრდობას მარტივად მიაკვლიონ თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ყველაზე აქტუალურ საკითხებს, იქნება ეს დაკავშირებული მართლწერასთან, გრამატიკასთან, ფრაზეოლოგიასთან თუ პუნქტუაციასთან და სხვ. ლექსიკონი დაეხმარება პედაგოგებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

სახელმძღვანელოები

1) ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი (თანაავტორობით; „სწავლანი“, თბილისი, 2012, 304 გვ.);

2) ქართული ენა და ლიტერატურა, VIII კლასი (თანაავტორობით; „სწავლანი“, თბილისი, 2012, 345 გვ.);

3) ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასი (თანაავტორობით; „სწავლანი“ თბილისი, 2012, 370 გვ.);

4) ქართული ენა და ლიტერატურა (ძველი ქართული მწერლობა), X კლასი (თანაავტორობით; „სწავლანი“, თბილისი, 2012, 390 გვ.);

5) ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი (თანაავტორობით; „სწავლანი“, თბილისი, 2012, 472 გვ.);

6) ქართული ენა და ლიტერატურა (XX საუკუნის მწერლობა), XII კლასი (თანაავტორობით; „სწავლანი“, თბილისი, 2012, 448 გვ.);

7) ქართული ენა, ზმნა და მისი ფორმაწარმოება, მოსწავლის რვეული, VII კლასი („სწავლანი“, თბილისი, 2012, 88 გვ.);

8) ქართული ენა, ზმნა და სიტყვათა სინგაქსური კავშირი, მოსწავლის რვეული, VIII კლასი („სწავლანი“, თბილისი, 2012, 88 გვ.);

9) ქართული ენა, ტექსტების ენობრივი ანალიზი, მოსწავლის რვეული, IX კლასი („სწავლანი“, თბილისი, 2012, 80 გვ.).

ყველა დასახელებული სახელმძღვანელო უახლესი სტანდარტების მიხედვით შესრულებული სასწავლო წიგნის ნიმუშს წარმოადგენს და ეროვნულ სკოლებში შესულია 2012 წლის კონკურსის შედეგად.

სტატიები

1) „ილიას გზით“ (წიგნში „მწყემსი საქართველოსი“, თბილისი, 2012, 99-116).

სტატიაში ასახულია ილია მართლისა და ილია II-ის მოღვაწეობის საერთო შტრიხები და მათი დამოკიდებულება ქართულ ეროვნულ ენასთან.

2) „ვარდამ თოფურია და XX საუკუნე“ (წიგნში „ვარდამ თოფურია (1901-1966)“, ხსოვნის წიგნი, თბილისი, 2012, 94-102).

სტატია ასახავს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებს და მის წვლილს ქართველოლოგიის განვითარებაში.

3) „კუთხეური მეტყველებისადმი დამოკიდებულების ახალი ეტაპი და გოდერძი ჩოხელის პროზა“ (კრებული, მიძღვნილი გ.ჩოხელის შემოქმედებისადმი, თბილისი, 2012).

ეს არის ცდა, გააზრებულ იქნეს გ. ჩოხელის ენისა და სტილის ადგილი იმ პროცესებში, რაც ქართულ მწერლობაში XX საუკუნის ბოლოსთვის გამოიკვეთა.

4) „დაუამული და დამჟმარი დერივატების ადგილისათვის ისტორიულ ლექსიკონში“ (ეტიმოლოგიური ძიებაზი, IX, თბილისი, 2012, 3-9).

გაანალიზებულია „სიმწიფის“ სემანტიკის განვითარების კანონზომიერება სხვადასხვა გენეზისის ლექსიკურ ერთეულებში, მათ შორის ჟამ-ძირის დერივატებში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „რესთაველის კომიტეტში“ „ქართული ენის თესაურულების“ გეგმით მიმდინარეობდა ძველი ქართული ენის ძირითადი ძეგლების ელექტრონული ვერსიების მომზადება მათი შემდგომი ლექმატიზაციისათვის, ასევე დამუშავებული ტექსტების ლექმატიზაცია. აკად.წევრ-კორ. ა.არაბული არის თესაურულების ლექმების ერთოთი რედაქტორი;

დასრულდა მუშაობა პროექტზე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია“ (განთავსებულია მისამართზე: www.ice.ge).

აკად.წევრ-კორ. ა.არაბული 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში და წაიკითხა მოსსენტები:

- „ლემატიზაციის პრინციპები „ქართული ენის თე-საურუსისათვის“ (თანაავტორობით; II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი);
- „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსია (თანაავტორობით; II საერთა-შორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი);
- „ქართული ენის თესაურუსი“ (თანაავტორობით; III международная научная конференция „Кавказские языки: генетико-ареальные связи и типологические общности“, მახაჩკალა, რფ);
- „დერივაციის პარადიგმატული ნიშნისათვის“ (არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXIII, თბილისი);
- „ქართული ენის თესაურუსის“ ელექტრონული ვერსია“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემიის „რუსთაველის კომიტეტის“ საიუბილეო კონფე-რენცია: „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის 300 წე-ლი“, თბილისი);
- გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის საიუბილეო სხდომაზე „აკადემიკოს აკაკი ჭანიძის დაბადების 125 წლისთავი“ (თბილისი);
- გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა ეროვ-ნული აკადემიის საიუბილეო სხდომაზე „ილია აბუ-ლაძის დაბადების 110 წლისთავი“ (თბილისი);
- „ერთი უძველესი შერეული პარადიგმის გამოვ-ლენისათვის ერთი დიალექტის ფარგლებში“ (XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესი-ის მასალები, ქუთაისი);
- „ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული ომონიმიის ასახვისათვის ქეგლში“ (თანაავტორობით; არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სა-მეცნიერო სესია, თბილისი);
- „პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე – ქართული ენის ისტორიის მკვლევარი“ (სამეცნიერო კონფერენცია, მი-

ძღვნილი პროფ. ზ.ჭუმბურიძის დაბადების 85 წლისთა-
ვისადმი, თბილისის სასულიერო აკადემია).

აკად.წევრ-კორ. ა.არაბული იყო შემდეგი შრომე-
ბის რედაქტორი:

1) ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკო-
ნები, მთავარი რედაქტორი ნ.ბეპიევი („უნივერსალი“,
თბილისი, 2012);

2) პ.მარგველაშვილის საგამომცემლო პროექტი
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ბეჭდური და
ელექტრონული ვერსია) („ახალი ხედვა“, თბილისი,
2012);

3) II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფი-
აში (ბათუმი, 2012);

4) ძველი ქართული ენა, VII კლასის სახელ-
მძღვანელო, ავტორ-შემდგენელი ლ.მანჯგალაძე (თბი-
ლისი, 2012);

5) არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის
71-ე სამეცნიერო სესია, მასალები (თბილისი, 2012);

6) მთავარი რედაქტორი სამეცნიერო ჟურნალისა
„ეტიმოლოგიური ძიებანი“.

აკად.წევრ-კორ. ა.არაბული იყო ერთ-ერთი ორგა-
ნიზატორი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკა-
დემიაში 2012 წლის 15 მაისს გამართული დიალოგისა
„ქართული ენა და თანამედროვე მასმედია“ და თანა-
მონაწილე ქართული მეცნიერების განვითარების კონ-
ცეფციისა, რომელიც შემუშავდა „ქართული ოცნების“
მეცნიერების კომისიის მიერ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რისმაგ გორდეზიანი

სტატიები

1) „ევროპული იდენტობის აღქმისათვის კლასიკურ
ათენსა და თანამედროვე სამყაროში“ (Созидающая Аер-

ность. К 90-летию А.А.Тахо-Годи. Спецвыпуск Бюллетея Библиотеки „Дом А.Ф.Лосева“ (вып. 16), Гранд Фанр, მოსკოვი, 2012, 124-133, რუსულ ენაზე).

განხილულია ის კრიტერიუმები, რომლებითაც კლასიკურ საბერძნეთში ათენური ანუ ევროპული იდენტობა განისაზღვრებოდა და ნაჩვენებია მათი მიმართება თანამედროვე პოლიტოლოგიაში ევროპული იდენტობის განმსაზღვრელად წამოყენებულ პრინციპებთან.

2) „ტექსტის ორგანიზაციის პრინციპები „ილიადაში“ (გვიურცელადისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თსუ-ის გამომცემლობა).

განხილულია ტექსტის ორგანიზების მაგალითები „ილიადაში“ კომპოზიციური, დრამატული და ენობრივი ორგანიზაციის დონეებზე. ნაჩვენებია, რომ პოემის ტექსტი წარმოადგენს მკაცრად ორგანიზებულ სისტემას. შესაბამისად, იგი ჩამოყალიბებულია წერილობითი კონცეფციის საფუძველზე.

აკად.წევრ-კორ. რ.გორდეზიანი 2012 წელს მონაწილეობდა:

— „ევროპული იდენტობის აღქმისათვის კლასიკურ ათენსა და თანამედროვე სამყაროში“ (საერთაშორისო კონფერენცია: „საბერძნეთი – ევროპული იდენტობა – საქართველო“, თბილისი).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გუჩა კვარაცხელია

სტატიები

1) „ვარლამ თოფურიას ზოგიერთი პოზიციის შესახებ მეტყველების კულტურის სფეროში“ (კრებულში „ვარლამ თოფურია (1901-1966)“, თსუ-ის გამომცემლობა, 2012, 80-84).

სტატიაში წარმოდგენილია აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცირის პოზიციები მეტყველების კულტურის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ენობრივი აღზრდა, ნორმის ვარიანტულობა და სალიტერატურო ენის კულტურულ-შემფასებლური გაგება. განხილულია მეცნიერის ზოგადი პოზიცია სალიტერატურო ენის მიმართ, რომელიც, რაციონალურთან ერთად, ემოციურეთიკურიცაა.

2) „ბრწყინვალე პლეადის დიდი წარმომადგენელი“ (აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი – 125), გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2012 წ. 1 ივნისი).

ბიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად წარმოჩენილია ქართველი კლასიკოსის მეცნიერული მიღწევების ფუძემდებლური ღვაწლი როგორც ფონეტიკის თეორიულ სფეროში, ისე ლოგოპედიის განვითარებაში, რომლის მამამთავრადაც ითვლება საქართველოში.

აკად.წევრ-კორ. გ.კვარაცხელია 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– ადამიანის ცნებასთან დაკავშირებულ სიტყვათა იდეოგრაფიული ლექსიკონი (თანაავტორობით; II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი);

– „ფუნქციური სტილები და მასმედიის ენა“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, დიალოგი საქართველოს წამყვანი მედიასაშუალებების ხელმძღვანელებსა და ურნალისტებთან, თბილისი);

– „აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და თსუ-ის მიერ გამართული ერთობლივი საიუბილეო სხდომა, თბილისი).

დასრულებულია პირველი ეტაპი სამეცნიერო თემისა „ქართული ლექსიკის იდეოგრაფია“. სამუშაო

ხორციელდება არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში (ჯგუფის ხელმძღვანელი).

აკად.წევრ-კორ. გ.კვარაცხელიას მიერ შესრულდა არნ.ჩიქობავას თხზულებათა მრავალტომეულის VI ტომის რედაქცია, კომენტარები და რედაქტორის ბოლო სიტყვაობა (გადაცემულია დასაბეჭდად).

საქართველოს პარლამენტის აპარატში არსებულ ვაკანსიებზე საკონკურსო შერჩევისათვის მომზადებული და გადაცემულია ტესტები.

აკად.წევრ-კორ. გ.კვარაცხელიამ ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წაიკითხა ლექციის კურსი „სემიოტიკა“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირინე მელიქიშვილი

წიგნი

„ფსალმუნი“ – პარალელური ტექსტები, ძველი ქართული ტექსტის თარგმნა-ადაპტაცია თანამედროვე ქართულ ენაზე (საქართველოს საპატრიარქოსა და ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2012).

წიგნი წარმოადგენს სამ პარალელურად დალაგებულ ტექსტს. საფუძვლად აღებულია ფსალმუნთა გიორგი მთაწმიდელისეული ძველი ქართული ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია ორი – მხედრული და ნუსხური ვერსიებით. სიახლეს წარმოადგენს მესამე პარალელური ტექსტის პუბლიკაცია. ფსალმუნთა გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტის თარგმანი ახალ ქართულ ენაზე შესრულებულია ირინე მელიქიშვილის მიერ. გამოცემა აღჭურვილია ტექსტოლოგიური და თეოლოგიური კომენტარებით.

სტატია

„ეიექტივების ფუნქციონალური თავისებურებები ქართველურ ენებში“ (თანაავტორობით; გადაცემულია დასაბეჭდად პაინც პენრიხის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კრებულში, იენის უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია გლობალიზებულ ფონემათა დისტრიბუციული და ფონოსტატისტიკური კვლევის შედეგები ქართველურ ენებში: ძველ და ახალ ქართულში, სვანურში, მეგრულ-ლაზურში და საერთო ქართველურ რეკონსტრუირებულ მასალაში. ფუნქციონალური კვლევის შედეგად საანალიზო ერთეულები ორ ჯგუფად გაიყო: ა) საერთო-ქართველური, ძველი ქართული, სვანური და ბ) ახალი ქართული და მეგრულ-ლაზური. პირველი ჯგუფი გვიჩვენებს ფუნქციონალურ თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია ძლიერი გლობალიზაციის ნიშნისათვის, ხოლო მეორე ჯგუფის ენობრივ ერთეულებში ეს თავისებურებები არ დასტურდება. გაკეთებულია დასკვნა, რომ ქართველურ ენებში მოქმედებს გლობალიზაციის ნიშნის შესუსტების პროცესი.

აკად.წევრ-კორ. ი.მელიქიშვილი იყო გრანტით დაფინანსებული პროექტის – „ძველი აღთქმის ტესტების თანამედროვე ქართული თარგმანის რედაქცია: იობის წიგნი, სოლომონის იგავნი, კალესიასტე, ქებათა ქების წიგნი“ ძირითადი შემსრულებელი. კვლევას აფინანსებდა გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა.

აკად.წევრ-კორ. ი.მელიქიშვილი 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „ფლექსია და აგლუტინაცია ქართველურ ენებში“ (თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყოველწლი-

ური სესია, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი, თბილისი);

– „ქართველურ ენათა მორფოლოგიური ტიპოლოგია“ (Third Regional Conference of Central European Studies Society (CESS), თბილისი);

– „შორეული ნათესაობა წინარე ინდოევროპულსა და წინარე ქართველურს შორის“ (XI საენათმეცნიერო კოლოკვიუმი, დორნახი, შვეიცარია, გერმანულ ენაზე).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აპოლონ სილაგაძე

წიგნები

1) „არაბული დიგლოსიის შესახებ“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 60 გვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე).

მოკლედ მიმოხილულია არაბული დიგლოსიის ზოგიერთი თავისებურება. კონკრეტულადაა გაანალიზებული დიგლოსიური ოპოზიციის ის მხარე, რომელსაც სალიტერატურო არაბული წარმოადგენს. პირველად არის დასმული საკითხი ჰეტეროგრაფიის შესახებ, რომელიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ერთი და იმავე (ზოგ შემთხვევაში, თითქმის ერთი და იმავე) გრაფიკული სისტემით გაფორმებული კლასიკური არაბული ენის, ე.წ. სტანდარტ-არაბულის და დიალექტების (კერძოდ, ეგვიპტური დიალექტის) ტექსტების დეშიფრაციისას.

2) „მეგრული ლექსი“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 151 გვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე).

დადგენილია მეგრული ლექსის ვერსიფიკაციული სისტემა, ნაჩვენებია მისი სპეციფიკა, განსაზღვრულია მეგრული ლექსის ადგილი საერთო ქართულ სისტემაში. მეგრული ლექსი შედარებულია სხვა არასალი-

ტერატუროენოვან ქართულ ლექსთან. განხილულია მეგრული ლექსის მიმართების საკითხი საერთოქართული ვერსიფიკაციის განვითარებაში იმ საფეხურთან, რომელიც ავტორის მიერ რეკონსტრუირებულია როგორც ამოსავალი (პირველისწინა) საფეხური.

3) უურანი, სურა 9, სურა 10, სურა 11, სურა 12, სურა 13, სურა 14. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები ა.სილაგაძისა (გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 158 გვ.).

კომენტარებში დადგენილია ახალი პარალელები ბიბლიაში (ძველი და ახალი ადთქმა), გაანალიზებული და ახსნილია რიგი კონკრეტული საკითხი, პირველ რიგში, ფილოლოგიური ხასიათისა, გაკრიტიკებულია ზოგი ტრადიციული კომენტარი.

სტატიები

1) „არაბულ-მუსლიმური კვალის შესახებ ქართული კულტურის ისტორიაში“ (თანაავტორობით; Humanities and Social Sciences Review, CD-ROM, 01(02), 2012, 77-81. <http://www.universitypublications.net/hssr/index.htm>, ინგლისურ ენაზე).

მოკლედ განხილულია ისეთი მოვლენები საქართველოს ისტორიიდან, როგორიცაა: 1) არაბული ნასესხობები ქართულ ლექსიკაში; 2) ქართული მონეტების არაბული ზედწარწერები; 3) საქართველოს არაბულენოვანი ეპიგრაფები, 4) ჰაბიბნ მასლამას „დაცვის სიგელი“.

2) „არაბული დიგლოსიის ზოგიერთი საკითხი“ („აღმოსავლეთმცოდნეობა“, I, თბილისი, 2012, 103-119, ინგლისურ ენაზე).

სტატია წარმოადგენს მოკლე ვარიანტს ზემოთ დასახელებული წიგნისა „არაბული დიგლოსიის შესახებ“.

3) „მეგრული ლექსის შესახებ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 6, №1, 165-173, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია მეგრული ლექსის ვერსიფიკაციული სისტემა, დადგენილია ის სტრუქტურული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მეგრულის სპეციფიკას, გამოვლენილია მთავარი ნიშანი, რომელიც მეგრულ ლექსს განასხვავებს ქართული სალიტერატურო ლექსისგან.

4) „მეგრული ლექსი სალიტერატურო ქართული ლექსთწყობის კონტექსტში“ (სამეცნიერო კოებული „გორგი ნადირაძე – 80“, თბილისი, 2012, 208-224).

ნაშრომი წარმოადგენს ზემოთ მითითებული სტატიის მოკლე ქართულ ვარიანტს.

5) „ქართული ლექსიკოგრაფიული გამოცდილები-დან: ორენოვანი (თარგმნითი) ლექსიკონების ერთი ტიპის შესახებ“ (თანაავტორობით; II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, 148-149, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

შემოთავაზებულია დებულება იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს დიფერენცირება იმის მიხედვით, თუ რომელ ენებთან გვაქვს საქმე და როგორია მათი ისტორიული მიმართებები; კერძოდ, გარკვეული ნიშნით განსხვავებულ მიდგომაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ორი ენის ისტორიაში აღინიშნება ხანგრძლივი ინტერფერენცია, რასაც შედგებად მოაქვს ნასესხები ლექსიკა, საერთო ფუძეები, საერთო წყაროს მქონე სიტყვები და სხვ.

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძემ 2012 წელს მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციებისა და სიმპოზიუმის მუშაობაში:

– International Conference of Arts and Sciences (ფლორენცია, იტალია);

– ბათუმის II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში (ბათუმი);

– რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია – „ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია. ტექსტზე ორი-ენტირებული კვლევები“ (თბილისი);

– გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო სესია (თბილისი).

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძის რედაქტორობით გამოიცა:

1) „აღმოსავლეთმცოდნეობა“ I (თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები);

2) ნ.ანთიძე-კახიანი, ალ-ურმავის წიგნი მუსიკისა „ქითან ალ-ადვარ“;

3) ნ.ეჯიბაძე, „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა“, II, სინტაქსი;

4) ნ.ეჯიბაძე, „ეგვიპტის არაბული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ასპექტი“;

5) მ.ნანობაშვილი, „სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი“.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მზექალა შანიძე სტატია

„დაპმანი“ (თსუ-ის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კრებულში: „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“, „მერიდიანი“, თბილისი, 2012).

ნაჩვენებია დაპმანის სიტყვის სპარსული წარმომავლობა, მისი მნიშვნელობა; ამის საფუძველზე გასწორებულია „ქართლის ცხოვრებაში“ (ახალ გამოცემაში) მარიამისეული ხელნაწერის დამახინჯებული წაკითხვა.

აკად.წევრ-კორ. მ.შანიძე მონაწილეობს ფოლკსგაგენის საერთაშორისო გრანტით დაფინანსებულ პროექტში „ქართული ენის ეროვნული კორპუსის“ მოსამზადებელ ეტაპში, 2012-2013.

აკად.წევრ-კორ. მ.შანიძე რედაქტირებას უკეთებს ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმა) ძველ ქართულ ტექსტს, რომელიც იბეჭდება საქართველოს პატრიარქის ილია II-ის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად. რედაქტირებული და აწყობილია 1500 გვ.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა შენგელია სტატიები

- 1) ლექსიკოლოგიური ძიებანი. I-V (კრებული „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 76-82).
- 2) „პროფესორ გენადი ბურჯულაძის ხსოვნას“ (პროფესორ გენადი ბურჯულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 32-35).

3) „ლაზური კულტურის საზოგადოებამ ქართველი მეცნიერის წიგნი გამოაქვეყნა“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №205, 2012, 11).

აკად.წევრ-კორ. ვ.შენგელია 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

– „მეგრული კათ-ძირის შესახებ“ (XXXII რესპუბლიკური დიალექტური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი);

– „ჯერობის გამოხატვა ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში“ (III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიური ენები: გენეტიკურ-არეალური კავშირები და ტიპოლოგიური ერთობანი“, მაკაჩიუალა, რფ);

– „ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე“. LI- LII. (სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXIII“, თბილისი);

– „მოსაზრება ქართული ქალ-ი სიტყვის ქართველური შესატყვისის შესახებ“ (არნ.ჩიქობავას ენათ-

მეცნიერების ინსტიტუტის 71-ე სამეცნიერო სესია, თბილისი);

– „საერთო აფხაზურ-ჩერქეზული ფონემური სისტემისათვის“ (ბ.ჯორბეგაძის საზოგადოების XII სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 29-32).

რედაქტირება გაუკეთა ინსტიტუტის ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XL ტომს, რომელიც დაიბეჭდა 2012 წელს.

მისი რედაქტორობით გამოიცა მემორიალური სამეცნიერო სესიის „არნოლდ ჩიქობავას საკითხავების“ მასალები.

გამოვიდა აკად. არნ.ჩიქობავას „შრომების“ VI და VII ტომები (მთავარი რედაქტორი ვ.შენგელია).

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა ხინთიბიძე

სტატიები

1) „გრიგოლ ნოსელის თხზულება ეფთვიმე ათონელის თარგმანში“ (ქ. „ქართველოლოგი“, №17, თბილისი, 2012, 245-253, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

განხილულია წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური ტრაქტატის ეფთვიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი (გამოიცა პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მიერ 2011 წელს). დასმულია საკითხი ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ: თარგმანში წმ.გრიგოლ ნოსელის თხზულება ეგზეგეტიკური პრინციპების კვალობაზე არის გადამუშავებული. გამოთქმულია აზრი, რომ ამაზე უნდა მიუთითებდეს ეფრემ მცირის სიტყვები: „მამასა ჩვენსა ეფთვიმეს ხელეწიფებოდა კლებაიცა და შემატებაიცა“ – ეფთვიმეს უფლება პქონდა დაემატებინა და შეემოკლებინაო.

2) „ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა შაპ-აბას I სამეფო კარზე“ (ჟ. „ქართველოლოგი“, №18, ობილისი, 2012, 7-17, ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ჟურნალ „ქართველოლოგის“ ამ ნომერში გამოქვეყნებულია ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა შაპ-აბას პირველის კარზე 1599 წლის დასასრულს, რომლის ჩანაწერი შემონახულია 1613 წელს ინგლისელი დიპლომატის სერ ანგონი შერლის მიერ ლონდონში გამოქვეყნებულ წიგნში. გაანალიზებულია აქამდე უცნობი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა დიპლომატიური, ისტორიული და ორატორული ხელოვნების თვალსაზრისით.

3) „პირველი სტამბა საქართველოში და ქართული წიგნის ბეჭდვის სათავეები“ (კრებულში „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, ობილისი, 2012).

განხილულია საქართველოში დაარსებული პირველი სტამბის – ვახტანგ VI-ის სტამბის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი: დაარსების ადრინდელი მცდელობა, შემკვეთ-სპონსორები, მესტამბეჭის, შრიფტის და დანადგარების შექმნა, რედაქტორები, გამოცემული წიგნების ბიბლიოგრაფია. ამ ფაქტის მნიშვნელობა მცირე აზიის სახელმწიფოთა ფონზე. ასევე დასმულია საკითხები: პირველი ქართული სტამბა, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, პირველი ქართული შრიფტი.

4) „ჩვენი დიდი მასწავლებელი კორნელი კეკელიძე“ (კრებულში „მუშაკი სულიერი ვენახისა“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემა, ობილისი, 2012, 22-32).

შესწავლილია დიდი ქართველი ფილოლოგის კორნელი კეკელიძის ცხოვრება და შემოქმედება.

5) „გზა – რომლითაც უნდა მისულიყო „ვეფხის-ტყაოსნის“ ამბავი XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ინ-

გლისში“ („ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“. შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2012, 209-216).

სტატია ეხება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკანასკნელ წლებში გამოვლენილ სიახლეს: „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი გამოყენებული იყო შექსპირის ეპოქის ინგლისურ დრამატურგიაში, როგორც სიუჟეტური წყარო შექსპირის თანამედროვე დრამატურგების ბომონტისა და ფლეტჩერის ორი პიესისა: „ფილასტერი“ და „მეფე და არა მეფე“. ავტორი აგრძელებს ამ საკითხის კვლევას იმ მიმართულებით, თუ რა გზით უნდა შესულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისში. მის მიერ გამოვლენილია ამ გზის ძირითადი პუნქტები: XVI საუკუნის დასასრულის სპარსეთის სამეფო კარზე მოღვაწე ქართული წარმოშობის დიდი ვეზირები. ამ დროს სპარსეთში ჩასულ ინგლისელ დიპლომატთა ჯგუფი, ამ ბრიტანული ექსპედიციის სპონსორი ინგლისელი გრაფები და მათი კონტაქტი ინგლისის სამეფო კარის თეატრალურ დასთან.

6) „რუსთაველის ადგილისათვის შუასაუკუნეების ევროპულ-ქრისტიანულ აზროვნებაში“ (Philalethes – შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა Brill, ლეიდენი, ნიდერლანდები, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ყველა თვალსაზრისი, გამოთქმული რუსთველის მსოფლმხედველობით სისტემაზე და ჩამოყალიბელულია ახლებური კონცეფცია: რუსთველის მსოფლმხედველობით სისტემაში პარმონიულადაა შერწყმული შუასაუკუნეობრივი და რენესანსული მსოფლშეგრძნების ძირითადი პოსტულატები იმგვარად, რომ ეჭვი არაა შეტანილი შუასაუკუნეობრივში და მთელი სიმძაფრითაა შემოტანილი რენესანსული. ამგვარი მსოფლმხედვა ტიპოლოგიურად შეესაბამება ევროპელ ინტელექტუალთა შორის XIII-XIV საუკუნეებში ლიტე-

რატურულად გამოვლენილ პოზიციას, უპირველეს ყოვლისა დანტესა და პეტრარკას საზოგადოებრივ და ლიტერატურულ შეხედულებებს.

აკად.წევრ-კორ. ე.ხინოთიძი არის გამომცემელი და რედაქტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის გეგმით გათვალისწინებული ორენოვანი (ქართული და ინგლისური) საერთაშორისო ჟურნალის „ქართველოლოგიის“ №17, №18 ნომრებისა, 2012).

აკად.წევრ-კორ. ე.ხინოთიძი ხელმძღვანელობდა რუსთაველის ფონდის ორ საგრანტო პროექტს:

- საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა – 2012;
- საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალი „ქართველოლოგი“ (2011-2014).

აკად.წევრ-კორ. ე.ხინოთიძი 2012 წელს მონაწილეობდა კონფერენციების მუშაობაში და წაიკითხა მოხსენებები:

- „ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი კვალი ევროპაში“ (ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სანკტ-პეტერბურგი, რფ, რუსულ ენაზე);
- „არისტოტელეს მეგობრობის კონცეფციის ლიტერატურული ხორცშესხმა რუსთველის პოემაში“ (შუასაუკუნეების ფილოსოფიის XIII საერთაშორისო კონფერენცია, მიუნხენი, გერმანია);

– „გზა – რომლითაც უნდა მისულიყო „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ინგლისში“ (მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი).

აკად.წევრ-კორ. ე.ხინოთიძი ხელმძღვანელობს ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერა-

ტურის კომისიას და ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარს.

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელიზბარ ჯაველიძე

მონოგრაფია

„თურქული ლიტერატურის სათავეებთან, აშიკ ფაშა“, წიგნი მე-3 (გადაცემულია გამოსაქვეყნებლად, 450 გვ.).

მონოგრაფია არის პირველი ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია XIV საუკუნის სუფი პოეტის აშიკ ფაშას ცხოვრება და შემოქმედება. იგი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ოსმალეთში ბრძოლა დაიწყო, რათა თურქული ენა ლიტერატურულ სამყაროში დამკვიდრებულიყო სპარსული და არაბული ენების ნაცვლად. ნარომში შესწავლილია როგორც მისი ცხოვრების დღემდე უცნობი ფაქტები, ასევე მოცემულია მისი დიდგანიანი მესნევის „ყარიბ-ნამეს“ (ათი ათასზე მეტი ბეითი) სემანტიკური და სახისმეტყვალების დონეების ანალიზი. კერძოდ, გამოკვლეულია მესნევის აგების სტრუქტურა, ავტორისეული ხედვა პოეტური სიტყვისადმი, წერის სტილის იგავური მეთოდის თავისებურება, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართება და ადამიანის განღმრთობის პრობლემა. სოფლისა და ზეშთასოფლის, ცისა და მიწის, სულისა და სხეულის ერთმანეთთან კავშირის გარდაუვალობა. ხილვადი სამყაროს მეცნიერული შესწავლის საჭიროება და მისთ. გარდა ამისა, გაანალიზებულია პოეტის ლირიკული მემკვიდრეობა და მცირე ზომის პრემიები. წინამდებარე მონოგრაფია არის პირველი მცდელობა

ფრიად საინტერესო მისტიკოსი პოეტის პოეტური სამყაროს ყოველმხრივ შესწავლისა.

სტატიები

1) „რევაზ სირაძე 75 წლისაა (მეცნიერული მემკვიდრეობისა და ცხოვრებისეული ნირის შეფასებისათვის)“ (საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, მიძღვნილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ რ.სირაძის დაბადების 75 წლისთავისადმი, თბილისი, 2012, 159-168).

2) „ბავშვობა – დვთიური უბიწოება“ (ვახტანგ როდონაიას სულიერი პორტრეტისათვის) – კრებული (იბეჭდება).

აკად.წევრ-კორ. ე.ჯავალიძე თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლური მიმართულების თურქული ენისა და ლიტერატურის განხრის მაგისტრატურაში კითხულობდა ლექციების კურსს: 1. სუფიზმი და მისი გავლენა აღმოსავლური პოეზიის განვითარებაზე; 2. „დივანის ლიტერატურის“ პოეტიკა.

მან პერიოდულ გამოცემებში („ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ქრონიკა“, „საერთო გაზეთი“, „საქართველო და მსოფლიო“) გამოაქვეყნა 30-მდე საგაზეთო სტატია, ამავე დროს, კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ საჯაროდ გამოაქვეყნა საკუთარი თვალთახედვა არჩევნების სამართლიანად ჩატარებისა და შემდგომ გამარჯვების ბოლომდე დაგვირგვინების შესახებ.

2012 წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებულმა დარგობრივმა კომისიებმა:

ქართული ენის კომისიაშ 2012 წლის 15 მაისს აკადემიის სხდომათა დარბაზში გამართა თემატური

დიალოგი „ქართული ენა და თანამედროვე მასმედია“. სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები – მზექალა შანიძე და გუჩა კვარაცხელია, არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე, პროფესორი თამარ ვაშაკიძე, რომელმაც მასმედიის წარმომადგენლებს გააცნო ლექსიკონი – „ურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“; ასევე გამოვიდნენ აკადემიური და ურნალისტური საზოგადოების წარმომადგენლები: მედეა როგავა, დოდო შონავა, გურამ გოგიაშვილი, ია ანთაძე და სხვ.

ქართული ლიტერატურის კომისია. გაიმართა ქართული ლიტერატურის კომისიისა და ივჯავახიშვილის სახ. თხუ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის სამი გაერთიანებული სხდომა. ორი დონისძიება ჩატარდა თხუ-ში, ხოლო მესამე მეცნიერებათა აკადემიაში. მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

1) „ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სომხურად“ (მომხს. პროფ. ვლადიმერ მინაშვილი);

2) „ინდივიდუალური მეხსიერება „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით შესრულებულ რომანებში (ოთარ ჭილაძის პროზის მაგალითზე)“ (მომხს. თამარ გეგეშიძე);

3) „ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ ინტერტექსტუალური გააზრება (პლატონის გამოქვაბულის ალეგორიასთან მიმართებაში)“ (მომხს. თამარ ჩოკორაია);

4) „გიორგი პაპაშვილის „დაბრუნება“ (ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლიპაის უნივერსიტეტში დაცული ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „სპეციალური კოლექცია“)“ (მომხს. ასოც. პროფ. რუსუდან ნიშნიანიძე).

საანგარიშო წელს ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში ჩატარდა აკად. აკაკი შანიძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის 300 წლისთავი. მოსმენილ იქნა განყოფილების წევრების ანგარიშები. დადებითად შეფასდა განყოფილებაში განსახილველად შემოსული უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა 2011 წლის საქმიანობის ანგარიშები.

მინიჭებული იქნა აკად. გიორგი ახვლედიანის სახელის პრემია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული სტრუქტურული ერთეულები, კომისიები, რედაქციები

**ქართული ენციკლოპედიის ირაბაშიძის სახ. მთა-
ვარი სამეცნიერო რედაქცია.**

1) გამოიცა ენციკლოპედიური ცნობარი „საქართვე-
ლოს მეცნიერებათა დოკტორები (1992-2006 წლები)“.

2) მომზადდა გამოსაცემად ენციკლოპედია „საქარ-
თველოს“ (მრავალტომეული) მე-2 ტომი (ასოები „გა-
ნი“, „ენი“); წიგნი გამოიცემა 2013 წლის I კვარტალში
მიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსებით;

3) დასრულდა მუშაობა თემაზე „სამხედრო ენციკ-
ლოპედია“ (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გრანტით), საქართველოს ტექნიკურ უნივერსი-
ტეტან ერთად. ნაშრომი უნდა გამოიცეს 2013 წელს.

4) დასრულდა მუშაობა მრავალტომეულზე „საქარ-
თველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერი-

ლობა“ (მე-3 ტომი); ნაშრომი უნდა გამოიცეს 2013 წლის I ნახევარში;

5) დაიწყო მუშაობა წიგნზე „საქართველო და ცნობილი უცხოელი მოღვაწეები“ (პირობითი სათაური); წიგნის გამოცემა იგეგმება 2013 წელს.

აკად. გ.წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურულების კომიტეტი („რუსთაველის კომიტეტი“) 2012 წელს სამეცნიერო მუშაობას აგრძელებდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

ა) რუსთაველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის მოწესრიგება;

ბ) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისის სხდომათა ოქმების მომზადება-პუბლიკაცია;

გ) „ქართული ენის თესაურულების“ შედგენა.

I. გამოიცა:

1. „რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია“, V (1981-2000 წწ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო გ.არაბულმა, თბ. 2012, 372 გვ.

2. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (ბეჭდური და ელექტრონული ვერსია), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოთქმა დაურთო პ.მარგველაშვილმა, საგამომცემლო პროექტის ავტორი პ.მარგველაშვილი, თბ., „ახალი ხედვა“, 2012, 342 გვ.

II. მომზადდა:

1. „რუსთაველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის“ III კრებული (1966 წ.), მასალა შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა გ.არაბულმა.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები“, II ტ., მოამზადა გ.არაბულმა.

3. დამუშავდა „ქართული ენის თესაურულების“ ელექტრონული ტექსტური რესურსები და რედაქტირება

გაუკეთდა ბიბლიისა და სხვა ტექსტების ლემატიზე-ბულ ბაზას (მილიონამდე ერთეულს).

III. „რუსთაველის კომიტეტის“ მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საიუბილეო კონფერენცია, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის 300 წლისთავისადმი. მოხსენებებით გამოვიდნენ: შესავალი სიტყვა (მომხს. აკად. თ.გამყრელიძე), „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის პრინციპები, მიზანი და შედეგები“ (მომხს. გ.არაბული), „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები (მოკლე ადწერილობა)“ (მომხს. მ.ქავთარია), „300 წლის შემდეგ – საგამომცემლო პროექტი „ვეფხისტყაოსანი“ (ბეჭდური და ელექტრონული ვერსია)“ (მომხს. პ.მარგველაშვილი), „ქართული ენის თესაურუსის“ ელექტრონული ვერსია“ (მომხს. ა.არაბული, გ.შერგაშიძე).

IV. „რუსთაველის კომიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომელთა ავტორობითა და რედაქტორობით გამოქვეყნდა შემდეგი შრომები:

1. აკად.წევრ-კორ. ა.არაბული (იხ. გვ. 248-252);
2. მ.ქავთარია, იოანე შავთელის ერთი უცნობი თხზულების შესახებ (თანაავტორობით; საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, ტ. VIII, 2012);
3. მ.ქავთარია, ამბროსი ხელაია, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II (მწიგნობრობა ქართული, ტ. 13, 2012);
4. მ.ქავთარია, Q-1346 ხელნაწერი კოდიკოლოგიის თვალსაზრისით („მწიგნობარი“, 2012);
5. მ.ქავთარია, ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონის“ უცნობი ავტოგრაფი (კრ. „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, 2012);
6. გ.არაბული, „ვეფხისტყაოსნის“ რითმის ზოგიერთი საკითხი (კრ. „რუსთაველოლოგია“, VI, 2012);

7. პ.მარგველაშვილი, განზრახვითი ქმედების შესახებ „ვეფხისტყაოსანში” (ბოლოთქმა გამოცემისა: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი” (ბეჭდური და ელექტრონული ვერსია) (საგამომცემლო პროექტის ავტორი პ.მარგველაშვილი, თბ., „ახალი ხედვა”, 2012);
8. ე.სოსელია, თავისებური ო-ხმოვანპრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში (თანაავტორობით; კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, 2012);
9. რ.ასათიანი, აკუზატივის გაქრობა კავკასიის ენებში: არეალური თუ უნივერსალური ნიშანი? (კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 2012);
10. რ.ასათიანი, სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების დინამიკური კონცეპტუალური მოდელი: ქართული ზმნისწინები (გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, თბ., 2012);
11. რ.ასათიანი, ქართული საინფორმაციო სტრუქტურები (თანაავტ.ორობით; „The expression of information structure, Manfred Krifka and Renate Musan (eds), De Gruyter Mouton”, ECC5, 2012, 127-159, ინგლისურ ენაზე);
12. რ.ასათიანი, ბრუნვათა ინვერსია ქართულში: სინტაქსური თავისებურებები და წინადადების დამუშავება (თანაავტორობით; „Case, Word order and Prominence: Interacting Cues in Language production and Comprehension (Studies in Theoretical Psycholinguistics, v.40, Monique Laners and Peter de Swart (eds.), Springer”, 2012, 145-173, ინგლისურ ენაზე);
13. მ.ივანიშვილი, მცენარეთა სახელები ქართველურში: ზღმარტლი (გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო”, VII, თბ., 2012);

14. ზ.ბარათაშვილი, დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში (კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, ობ., 2012);
15. მ.ჯიქია, თურქული სიტყვის სიგრძე (ქ. Karadeniz, Yil 4, Sayi 15, 2012, 11-19, თურქულ ენაზე);
16. მ.ჯიქია, თურქული ონომასტიკის ადგილისათვის (VI. uluslararası Türk dili kurultayı bildirileri, ანკარა, თურქეთი, 2012, 907-911, ელექტრონული ვერსია, თურქულ ენაზე);
17. მ.ჯიქია, ლ.გეგუჩხაძე, ქართული სინტაქსის საკითხები (კრ. „ენათმეცნიერების საკითხები“, I, 2012, 295-296);
18. მ.ჯიქია, ენობრივ ერთეულთა რაოდენობრივი შეზღუდვის ერთი კანონზომიერება („აღმოსავლეთ-მცოდნეობა“, I, 2012, 129-138);
19. მ.ჯიქია, ლექსის ინტონაცია და მ.მაჭავარიანის „ვითარცა მტკვარი“ (კრ. „ლექსმცოდნეობა“, IV, 2012, 133-141);
- V. „რუსთაველის კომიტეტის“ მეცნიერ-თანამშრომლებმა სამეცნიერო სესიების მასალების სახით გამოაქვეყნეს:

 1. ე.სოსელია, ფერის ტერმინთა ქართული სისტემის ჩამოყალიბების გზა (აკად. გიორგი ახვლედიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 2012);
 2. ე.სოსელია, ზოგიერთი ი-პრეფიქსიანი ზმნური დერივატები ქართულში (თანაავტორობით; „Syntax of the World's Languages“, დუბროვნიკი, ხორვატია, 2012, ინგლისურ ენაზე);
 3. ე.სოსელია, მ.ივანიშვილი, პრევერბები მეგრულში (Central Eurasian Studies Society, Third Regional Conference, ობ., 2012, ინგლისურ ენაზე);

4. მ.ივანიშვილი, ქართველური სოციალური ლექსიკა (აკად. გ.ახვლედიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილი, 2012);

5. ა.არაბული, რ.ასათიანი, მ.ჯიქია, მ.ივანიშვილი, გ.სოსელია, გ.შერვაშიძე, ქართული ენის თესაურუსი (III международная научная конференция, Кавказские языки: Генетико-ареальные связи и типологические общности, Москва, 2012, индивидуальная программа);

6. რ.ასათიანი, კოგნიტიური მიღგომა: არაკანონიკური დატიურსუბიექტიანი კონსტრუქციების კროსლინგვისტური შესწავლა (CESS Regional Conference, 2012, индивидуальная программа);

7. რ.ასათიანი, ლაზური ზმნური ფორმის სტრუქტურის ფორმულა (CESS 13th Annual conference, 2012, индивидуальная программа);

8. რ.ასათიანი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: „გათიშული“ (cleft) კითხვები მეგრულსა და ლაზურში (Syntax of the world's languages 5, დუბროვნიკი, ხორვატია, 2012, индивидуальная программа);

9. რ.ასათიანი, ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა (15th International Morphology meeting, ვენა, ავსტრია, 2012, индивидуальная программа);

10. რ.ასათიანი, ლაზური დიასისტემა და მისი დიალექტები (აკად. გ.ახვლედიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილი, თბ., 2012);

11. პ.მარგველაშვილი, რწმენისა და ცოდნის მიმართებისათვის (II საერთაშორისო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ“, თბ., 2012);

12. მ.ჯიქია, ანთროპონიმები ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პოეტურ ტექსტებში (ლექსმცოდნეობის VI სამეცნიერო სესია, თბ., 2012);

13. მ.ჯიქია, რამდენიმე სოციოლინგვისტური ფაქტის შესახებ გერმანულ ენაში (თსუ-ის გერმანული

ფილოლოგიის დეპარტამენტის რეგიონული სამეცნიერო კონფერენცია „ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია, ფილოსოფია (ტექსტზე ორიენტირებული კვლევები)”, მიძღვნილი პროფ. ვ.ფურცელაძის დაბადების 85 წლისთავისადმი, თბ., 2012);

14. მ.ჯიქია, ფემინურ-მასკულინური კომპონენტების დისტრიბუცია ქართულ სახელებში (საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია”, თბ., 2012);

15. მ.ჯიქია, ქართველურ ენებში სიტყვათა თხზვის ერთი თავისებურების შესახებ (აკად. გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2012).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივი კომისიების მიერ საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი იქნა მასალები შესაბამის სფეროებში კომისიის წევრებისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი დანერგვითი სამუშაოების შესახებ. განხორციელდა საბოლოო შედეგების ექსპერტული შეფასებები.

ცენტრის დარგობრივმა კომისიებმა შეიმუშავეს და სათანადო დონეზე წარმოადგინეს რეკომენდაციები თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის, აგრობიზნესის განვითარების, გარემოს დაცვის, ტყეებში გაგრცელებულ მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის, რეგიონის სივრცობრივი განვითარების, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების პრობლემებზე.

რეგიონულ ცენტრში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მეცნიერთა და მაძიებელთა ჯგუფები მეცნიერული კვლევების განხორციელებაში თეორიული და პრაქტიკული დახმარებისათვის.

ცენტრის ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა და ფუნქციონირებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს მუზეუმი, რომელიც დიდ საგანმანათლებლო-შემოქმედებით საქმიანობას ეწევა როგორც უცხოულ ვიზიტორებთან, ისე ქვეყნის მოსახლეობაში.

მომზადდა და გამოქვეყნდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლის საიუბილეო, ბაღის ერთ-ერთი დამაარსებელ-გამშენებლის, ცნობილი მებაღე-დეკორატორის იასონ გორდეზიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნები.

2012 წლის აპრილში რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველო-თურქეთის (ტრაპიზონის უნივერსიტეტის ართვინის სატყეო ფაკულტეტის) ერთობლივი საერთაშორისო და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დედამიწის დაცვის დღესთან დაკავშირებით ოქმაზე – „დედამიწა – ბუნებრივი კატაკლიზმები და ტყეები“.

გამოქვეყნდა აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრისა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა განყოფილების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული – „სასოფლო-სამეცნეო პროდუქტების წარმოების პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები (ქართული სოფლების აღორძინებით დაინტერესებულთა და დამწყებ ფერმერთა დასახმარებლად)“.

ცენტრის დარგობრივმა კომისიებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოჯახური დვინოების ყოელწლიური ფესტივალის ორგანიზაციაში. ექსპერტთა უშუალო მონაწილეობით მომზადდა ბროშურა „მევენახის სამახსოვრო“.

აჭარის რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პრობლემებზე ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ორგანიზებული იყო ახალ-

გაზრდა მეცნიერთა კავშირის – „ინტელექტის“ მიერ, რეგიონულმა ცენტრმა წარადგინა მოხსენებები კლასტერული განვითარების, მიგრაციის, შრომითი და მატერიალური რესურსების, ინტელექტუალური პროდუქციის პრობლემებზე.

ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აჭარის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტების შემუშავებაში, რომლებიც მოიცავს საშუალო და გრძელვადიან პერიოდებს. მომზადდა ხუთი პროექტი სხვადასხვა სახის ადგილობრივი რესურსების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის შესახებ: თევზის საკონსერვო წარმოება, მცირე სიმძლავრის საკონსერვო წარმოება, ველურ მცენარეთა ნაყოფის გადამუშავება, ახალი და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა, ცქრიალა და სუფრის ღვინის წარმოება ჩხავერისაგან.

ცენტრის ეკონომიკური კვლევისა და ტურიზმის და აგრარული კომისიის ერთობლივი მუშაობით მომზადდა მიზნობრივი პროგრამა – „აჭარაში ჩხავერის გაშენების ოპტიმალური დარაიონების სქემის შემუშავება და ყურძნის გადამუშავებით სუფრისა და ცქრიალა ღვინოების დამზადების ორგანიზაცია“. პროგრამა სამწლიანია და ითვალისწინებს აჭარაში პერსპექტიული სუფრისა და საღვინე ჯიშების გავრცელებისა და ოპტიმალური საწარმოო პროგრამების შემუშავებას. პროგრამა მოწონებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ცენტრის დარგობრივმა კომისიებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს გარემოსდაცვითი, ხე-ტყის რესურსების კვლავწარმოებისა და სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების გატარების პროგრამების შემუშავების მიმართულებით.

საზეიმოდ აღინიშნა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოდვაწის, მეცნიერის ვახტანგ პაპუნიძის

იუბილე. მთავრობის გადაწყვეტილებით გაიხსნა მემორიალური დაფა მის საცხოვრებელ სახლზე. ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩატარდა, აგრეთვე, წიგნის „გზა მარადისობისაკენ“ პრეზენტაცია.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტეგრირებული და სტატუსდაკარგული სამეცნიერო დაწესებულებების პროფილის აღდგენის მიზნით. შესწავლილია არსებული მდგომარეობა, დაისახა ახალი სამოქმედო პროგრამები. მომზადდა დასაბუთება და მიმართვები სათანადო ინსტანციებში წარსადგენად და გადაწყვეტილების მისაღებად.

რეგიონული სამეცნიერო ცენტრისათვის მნიშვნელოვანი იყო მის მიერ ინიცირებული საერთაშორისო დონის ტექნოლოგიების მონაცემთა ბაზის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მეცნიერთა და ცალკეული დარგების სპეციალისტთა ვიზიტი ქალაქ ბათუმში ბალტისპირეთის ქვეყნებიდან. მიღებულია გადაწყვეტილება, რათა ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ ლატვიაში ტექნოლოგიების მონაცემთა ბაზის შექმნის პროექტის სრულმასშტაბიან პრეზენტაციაზე ეპროკაგმირის ქვეყნების მონაწილეობით.

ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმში ორგანიზებული ტურისტული გაჭრობა-გამოფენისა და ტურიზმის დარგის განვითარების მიზნობრივი პროექტების განხორციელების პრობლემებთან დაკავშირებულ კონფერენციაში.

ეკონომიკური კვლევებისა და ტურიზმის დარგობრივი კომისიის მიერ ჩატარდა შეხვედრები ბალტიისპირეთის ქვეყნების, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და შე-

მუშავებულ იქნა წინადადებები აჭარაში ტურიზმის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით;

ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშის შეფასების პროექტი და ფილოსოფოს ნიაზ ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი – „რეკომენდაციები დეპუტატის არჩევისა და ამომრჩეველთა წინაშე ვალდებულებების შესახებ“.

მომზადდა რეცენზია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემბრანული და აგრარული მიმართულებების ხელმძღვანელის რაულ გოცირიძის სამეცნიერო ნაშრომზე, რომელიც ეხებოდა წელის რესურსების გამოყენების პრობლემებს.

რეგიონულმა ცენტრმა აქტიური მუშაობა გასწია საქართველოს საპატიო ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევების პროცესის მართვის სისტემის ჩამოყალიბებისა და გარემოს დაცვითი და აგროსფეროს სასწავლო პროგრამების შედგენისა და ფაკულტეტის ჩამოყალიბების მიმართულებით. შედგენილია სასწავლო პროგრამები ფაკულტეტის ყველა სპეციალობის მიხედვით, სააგენტო კაციონ კომისიის მიერ შერჩეულია საჭირო კადრები.

ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის წევრები 2012 წელს მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით კომისიის წევრები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. თ.გამყრელიძე – საქართველოში მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. ეჭელიძე და ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ს.გარდოსანიძე – ობილისის სასულიერო

აკადემიაში სანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდნენ ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმიდა გიორგის ორდენით.

